კვირის პალიტრა

ფეხი

N32 (322) 10/VIII-16/VIII.2006.

ფასი 60 თ.

63

1168
2006

ზურა ხაჩიძეს და ხათუნა ჟორდანიას გოგონა შეეძინათ — რას უწინასწარმეტყველებენ ბავშვს ექიმები

ქართველმა ქალმა ცოლად ქართველი ქალი შეირთო

რუბრიკის პრემიერა

ფეტიშორეზი

გალებული მსხვერპლი და დანგრეული იმიჯი

„თავიდანვე ველური ქალი ვიყავი...“



„ЖЕЛЕЗНЫЙ БАЧО“ — პრიმინალური წარსულის ქართველი მსოფლიო ჩემპიონი რუსეთში

გოგიჩამ ცოლზე ხელი ჩაიქნია, ბიძინა ბრეგაძე კი მეუღლეს მზრუნველობას არ აკლებს

ბოგონამ, რომელსაც ხერხემალი ჩაუმსხვრიეს, სიმაღლეში მოიმატა

ყველანაირი!

არ გამოგრჩეთ!

№16(51), 11-24 აგვისტო 2006

ალილუია

მართლმადიდებლური ჟურნალი

ფასი 80 თეთრი

ნომრის თემა:
ფერისცვალება

მომეცი ძალა, თუ მტერი არ მეყვარება, ვაპატიო მაინც

მოქცევა სულიერი საგანძურია, მიქცევა კი – სულიერი სანი

მხოლოდ ღვთაებრივი ნათლის სხივებში იძენს ადამიანის გული სიხარულსა და მშვიდობას

თითქოს ერთად დავიბადეთ მე და ვაკის ყოვლადწმინდა სამების ტაძარი...

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ

ქვირის პალიტრა
ეზო
№32 (322)
10 — 16 აგვისტო, 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
გაძვირებული სიამოვნება და ბუნებრივი შეღავათები ანუ „სადა ვბანაობთ, ხალხო?!“ 3
ინფორმაცია 4
უცხოური პრესა
„თაფლაკვერი“ თავდება, ვემგზავრეთ „მათრახისთვის“?!. 5
ჟურნალისტის როლში
რამ მოწამლა ბოგიჩას ცოლი და ვინ შეარქვა ბიძინა ბრეგაძეს მიმინო 7
გამოხმაურება
ბოგონა, რომელმაც ოპერაციის შემდეგ სიმაღლეში მოიმატა 10
არქეოლოგია
თამარ მეფის საფლავს სამთავისის ტაძრის ეზოში ეძებენ 10
მაშველები
ფსკერზე დაშვებული ადამიანები, ცრუგანგაში, მყვინთავი ქალები და რისკიანი საქმე 12
კრიმინალი
- რობაქიძის საქმეზე სასამართლომ შს სამინისტროდან უცნაური პასუხი მიიღო 13
- „...დანის დარტყმა მაინც მოასწრო...“ 14
- ღრმად მოხუცმა ახალგაზრდა მეგობელი თოფით გამოასალმა სიცოცხლეს 15
- პოლიციელი მკვლელობისთვის გაასამართლეს 16

გზავნილები
გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა 17
ემიგრანტები
„მე და დათო კაგიშვილი ერთმანეთს ამერიკაში შევხვდით და საერთო შვილიც გვყავს“ 21
ანტიდეპრესანტი 24
მამები და შვილები
ოჯახი, რომელსაც რეჟისორიც ჰყავს, მსახვარიც, ქორეოგრაფიც და მსახიობიც 24
ობიექტივი 26
თინეიჯერული პონტები
სიმფონიას მსუბუქი ფლირტი მენეჯერის ქალიშვილთან 27
ანომალია
დაქორწინებული ლესბოსელი წყვილი... 30
რიტუალი
საყდარი, სადაც ფული ეზოს ცოცხებით იგვებოდა 31
დოკუმენტური პროზა
სანამ ცოცხლები ვართ... (გაგრძელება) 33

დაქორწინებული ქართველი ლესბოსელი წყვილი...

„ბოლოს, ჩვენი ასეთი ურთიერთობა გაუსაძლისი გახდა და ვუთხარი: საცხოვრებლად ჩემთან გადმოდი-მეთქი. თავიდან სასტიკ უარზე იყო — მამაჩემი მომკლავსო, მაგრამ მამამისი, ჩემთან ურთიერთობის გამო, ისედაც მოსაკლავად ემუქრებოდა, ამიტომ მალევე დავიყოლიე და უკვე ერთი თვეა, რაც ჩემთან ცხოვრობს...

მე ხომ ქალს არაფრით ვგავარ, რა თქმა უნდა, თუ რაღაც ორგანოებს არ ჩავთვლით და ამასაც მალე მოევლება.“

30

რამ მოწამლა ბოგიჩას ცოლი და ვინ შეარქვა ბიძინა ბრეგაძეს მიმინო

„არც ისეთი პატარა ვარ, უკვე 29 წლის გახლავარ. ახალგაზრდების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობასა და ქვეყანაში პოლიტიკის წარმართვაში ქართული ფენომენი არ არის. ამ მხრივ გამონაკლისები არა ვართ...“

7

თამარ მეფის საფლავს სამთავისის ტაძრის ეზოში ეძებენ

„ზოგი ირწმუნება, რომ ბერიკაცმა სწორედ ოქროს საწმისს მიაგნო, სხვები კი ამბობენ, რომ მან ყულაბის მაგვარი ნივთი იპოვა — ოქროს ცხვარი...“

10

ქალწულია თუ არა სექსშოპში ნაყიდი რეზინის ქალი

„ქმარმა საყვარელთან შემისწრო, მაგრამ არავითარი რეაქცია არ ჰქონდა. საწოლში რომ დაგვინახა, მეორე ოთახში გავიდა და მშვიდად დაიძინა. ჩემი საყვარელი კი ნასვამი გახლდათ და არაფერი გაუგია. მხოლოდ დილით ვუთხარი, რომ ჩემს ქმარს იქვე ყურისძირში ეძინა. ლამის გაგიჟდა: ამას ჰქვია ევროპაო!“

17

ტაიმ-აუტი 36

რომანი

ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ნამდვილი ამბავი

აგიტაცია წუნია შინაბერებისთვის... 43

ჯანმრთელობა

- როგორ გავაკაჭოთ ბავშვი 44
- გაფხულის უსიამოვნებანი 45

დიზაინერი

მეტალის რგოლებითა და ბისერებით გაწყობილი საცურაო კოსტიუმები 46

მეტამორფოზები

ია ფარულავა და მისი ეტაპობრივი გარდაქმნა 47

წმინდანები

ქრისტიანული რჯულისთვის წამებული სპარსელი ევსტათი მცხეთელი 50

სიწმინდეები

რატომ ეწოდა ლუკა მახარებლის მიერ დაწერილ ხატს ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი 51

მინდვრებს მიღმა

- მანჩესტერი ახალი სეზონისთვის ემზადება 52
- დიდი ბრაზილიელი „პატარა ბრაზილიაში“ რჩება 53

ადამიანი-ლეგენდა

ჯონ ლენონის ნიუ-იორკი 55

ბომონდი 57

ასპარეზი

„რკინის ბაჩო“ – კრიმინალური წარსულის ქართველი მსოფლიო ჩემპიონი რუსეთში 58

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (დასასრული) 60

ავტო 63

ბომონდური მოზაიკა 64

ჰოროსკოპი

კვირის (10-16 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 66

პოლიტიკური ბიოგრაფია

ფიდელ კასტრო – დიქტატურის დამამხობელი დიქტატორი 67

ტესტი 70

სკანვორდი 71

...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49



ოჯახი, რომელსაც რეჟისორიც ჰყავს, მსახტვარიც და...

– 8 წლის ვიყავი, როცა დედ-მამა ერთმანეთს გაშორდა, მაგრამ დედაჩემის წყალობით, ეს ამბავი უმტკივნეულოდ გადავიტანე.

— მამის ოჯახთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– ძალიან კარგი. მამის მხრიდან მყავს ერთი და...

24

ჯონ ლენონის ნიუ-იორკი

თაღოვან ჭიშკართან, ჯონს ახალგაზრდა მამაკაცმა დაუძახა, მუსიკოსს ალბომი **Pouble Fantazy** გაუწოდა და მორიდებით ავტოგრაფი ითხოვა. ლენონის სახლთან ჩასაფრებულმა ფოტოგრაფმა ლენონის კეთილი ნების გამომხატველი ტრაგიკული ჟესტის ფირზე აღბეჭდვა მოასწრო...

55



„რკინის ბაჩო“ – ქართველი მსოფლიო ჩემპიონი რუსეთში ანუ...

„ეს ხელთათმანები ამორტიზატორებივითაა და კაცს ვერ გათიშავს, პროფესიონალები ჩაფხუტების გარეშე ვჩხუბობთ და შესაბამისად, ტრავმაც მეტია...“

58

ველური წაბლის ხეივანი

ძუძუს კერტებს ნაზად ახებდა ხელისგულებს და ქალს სიგიჟემდე აღაგზნებდა, მაგრამ ბოლოს, როცა ისინი „ერთხორც და ერთსულ“ იქცნენ, სწორედ იმ ბოლო წამს, ნიკამ ნამდვილად იგრძნო, როგორ დაუარა ნანას ყელიდან ბოლომდე – ჰო, ზუსტად „იქამდე“ ნამდვილმა დენმა.

38

გაძვირებული სიამოვნება და ბუნებრივი შეღავათები ანუ „სადა ვბანაობთ, ხალხო?!"

ზაფხული და მით უმეტეს, აგვისტო, მსოფლიოში დასვენების სეზონადაა გამოცხადებული, ოღონდ — არა ჩვენთან. დიახ, არ ისვენებს, უფრო სწორად, ვერ ისვენებს, კიდევ უფრო სწორად, გამჩენი არ ასვენებს ჩვენს პოლიტელიტას და ისეთ სიურპრიზებს მოიფიქრებს ხოლმე, რომ შენც ინტერესდები, ძალაუნებრივად ერთვები და დასასვენებლად მოცემულ იმ ერთ თვესაც პოლიტიკურ ბატალიებში ატარებ.

აი, მაგალითად, ახალი ინიციატივა პიკის საათებში მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ: რა თქმა უნდა, ატყდა ერთი ამბავი, მეგაფონი იშიშვლა ოპოზიციამ, — თუ ამას არ გადაიფიქრებს ქეიფსა და დროს ტარებაში უდროოდ გაჭაღარავებული ჩვენი პრეზიდენტი, პარლამენტის წინ რომ დიდი ადგილია, ხალხით გავავსებთო...

კარგი რა!.. სანამ რაიმეს იტყვი, ხომ უნდა დაფიქრდე?! ჯერ ერთი, როდის იყო, ადამიანს ქეიფი და გართობა აჭაღარავებდა?! თმის გათეთრება ფიქრმა და დარდმა იცის. რა, არ აქვს საფიქრალ-

სადარდებელი? ქვეყანაში იმდენი ახალი პარკი, ინტერნეტ-კაფე, „ისე" კაფე, ბუნგალო, ტოტალიზატორი, შადრევანი, მაღაზია თუ ავტობუსის გაჩერება იხსნება და ყველგან მისვლასა და ლენტის გაჭრას რომ ვერ ასწრებს, ამან დაგვითმათოვლიანა ეს ახალგაზრდა ბიჭი...

ესეც არ იყოს, რომ გაიძახი, ხალხს მოვყრი პარლამენტთანო, რისი გამკეთებელი ხარ?! ამიტომ, იხმარე პოლიტიკური გამჭრიახობა და თქვი, ხალხს შევკრებ ბათუმის ბულვარში-თქო, — ნახე, რამდენი მოვიდეს. ან კიდევ უკეთესს გეტყვი: ჩაატარე ეგ შენი მიტინგი პირდაპირ პლაჟზე და უფრო კონტექსტური იქნება მოწოდება — „ხალხო, სადა ბანაობთ"...

ასე იმიტომ გეხმარებით, რომ მინდა, ცოტა დაისვენოთ და არ ამოიხუთოთ პარტიის ოფისში, სადაც ალბათ ერთი ცალი ფრთამოტეხილი ვენტილატორი გიდგათ და მიტინგიდან მიტინგამდე გასაგრილებლად შედიხართ. თორემ მე თუ მკითხავთ, ძალიან კარგია პიკის საათებში დენის გაძვირება. აბა, თუ ქვეყნის მოღალატე და მშობლიური ენერგოსისტემის მტერი არ ხარ, რაღა მაინცდამაინც მაშინ გჭირდება ელექტროენერგია, როცა ყველას სჭირდება?! მაგალითად, ხომ იცი, რომ ხალხი დილით ყავას ან ჩაის სვამს? აცადე, სადღა ეკვეხები?! ის ჩაი შუადღისას რომ დალიო, რა, მეტ შაქარს ითხოვს?! თან დენიც იაფია იმ დროს და უფრო მეტიც, — საერთოდ არ გჭირდება: ჩაასხი წყალი „მინუტკაში", დადგი ფანჯრის რაფაზე ის შენი „მინუტკა", სხვა დროს რომ 5 წუთში დუღდება, მართლა „მინუტში" აგიდუღებს მზის მხურვალების წყალობით.

ან კიდევ, პიკის საათში რომ არ ჩართო ის შენი „ატმორი" და სამსახურში წასვლის წინ წყალი არ გადაივლო, ხომ, რას ამბობ!.. შენც შუადღისას იბანავე... რა?.. შუადღისას შინ არ ხარ?.. მით უკეთესი — საერთოდ არ დაგეხარჯება დენი. ახლა, თუ ისეთი ზედმეტად თავმოყვარე ხარ, რომ სამუშაო დღის წინ „ასვეუიტსაც" გინდა და ტანსაცმელიც დაუთოებული გიყვარს, ეგეთ ევროპულ სიამოვნებას ტარიფიც ევროპული შეეფერება...

სამაგიეროდ, ბუნებამ იზრუნა ხალხზე ისე, რომ დენი სულ არაა საჭირო: წონაში დაკლება გინდა? — დადექი მზეზე და ოფლად დადნები; პირიქით, გასუქება გინდა?.. ესეც არაა პრობლემა, დადექი მზეზე და გახურებისას, ფიზიკის კანონის თანახმად, სხეულიც გაგიფართოვდება; შხაპის მიღება გინდა? დაწექი მზეზე საკუთარი კორპუსის წინ და მთელ სამეზობლოს ერთი კარგად შეაგინე... ვისაც წყლის რა მარაგიც აქვს, ყველა შენ გადმოგასხამს...

თუ თბილისში ყოფნა მოგბეზრდა, მიდი სამსახურში და დირექციას განუცხადე, ზღვაზე მივდივარ დასასვენებლად და ინტურისტში ნომერი უკვე დავჯავშნე-თქო... იფიქრებენ, 8 თვეა, ხელფასი არ აუღია, სიცხისაგან სულ გაურეკია ამ საცოდავსო და ბიულეტენს გაგიფორმებენ, რადგან სიცხემ მართლა იცის ჭკუის არევა: ხომ ხედავთ, „პოზიცია" კიდევ გვიძვირებს დენს; ოპოზიცია ცარიელ ადგილზე მიტინგს გეგმავს; შოუ-ბიზნესი კიდევ ისე გამოფიტა ამ თაკარამ, რომ უკვე სიტყვებსაც ვეღარ ამბობს და რაღაც გაურკვეველ „შინა მანა კენას" ბუტბუტებს...

P.S. *თინეიჯერული საუბრები ბათუმის ბულვარში:*

— დღეს კონცერტზე წავიდეთ?

— ვისი კონცერტია?

— ვიღაც გიჟები ჩამოსულან, აფიშაზე უწერიათ: „შესრულებული იქნება სიმღერები: „შინა მანა კენა", „სომბალაბუდე", „ამტანიუსი" და „ქერამბო"...

— წავიდეთ, მაგარი გიჟობა იქნება...

პროვოკატორი

რუსი სარდალი ქართული ბლოკპოსტის განთავსებას აპროტესტებს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალ სერგეი ჩაბანისთვის გაუგებარია, კოდორის ხეობაში 107-ე სამშვიდობო პოსტის მახლობლად ქართული ბლოკპოსტის განთავსების მიზანი. სერგეი ჩაბანის მტკიცებით, ბლოკპოსტის მიმდებარე ტერიტორია დანაღმულია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით. მისი თქმით, „აღნიშნულ ზონაში კონფლიქტურ მხარეთა შეიარაღებული ძალები საერთოდ არ უნდა იყოს განთავსებული“.

მონიტორინგი უახლოეს ხანში დაიწყება

ჯგუფში, რომელიც კოდორის ხეობაში მონიტორინგს განახორციელებს, რუსი სამშვიდობოები და დამკვირვებლები უმცირესობაში იქნებიან. საქართველოს ძალოვანი უწყებების მონაცემებით, ამჟამად, კოდორის ხეობაში მდგომარეობა სტაბილურია და მას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები აკონტროლებენ. სოფელ საკენში მათ უკვე აღადგინეს ხიდი, უახლოეს მომავალში კიდევ 10 ხიდის აღდგენა იგეგმება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის თქმით, 1994 წლის შეთანხმებით, საქართველოს უფლება აქვს, რომ კოდორის ხეობაში მძიმე ტექნიკა და არტილერია განალაგოს. „კოდორის ხეობა უსაფრთხოების ზონაშია და მასზე აკრძალვა არ ვრცელდება, ამიტომ, სანამ ივანოვი *(რუსეთის თავდაცვის მინისტრი. — რედ.)* კომენტარს გააკეთებს, უმჯობესია, 1994 წლის ხელშეკრულებაში ჩაიხედოს“, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

კოდორის ხეობაში განადგურებული ტყე აღმოაჩინეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო გარემოს დაცვის ინსპექციამ კოდორის ხეობაში ათასობით ჰექტარი განადგურებული ტყის ფართობი აღმოაჩინა.

ინსპექციის ინფორმაციით, ტყის მასივები კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის მომხრეებს თვითნებურად ჰქონდათ განაწილებული. მოჭრილი მორები მათ სოფელ ლათაში მდებარე სახერხში გადაჰქონდათ, რომლის ერთ-ერთი მესაკუთრე ემზარ კვიციანი იყო. დამუშავებული ხეტყე გასაყიდად, სოხუმის გავლით, სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთში გაჰქონდათ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად მიმდინარეობს ტყეების მეპატრონეთა ვინაობის და ჯარიმის ოდენობის დადგენა.

ირაკლი ბათიაშვილი ადამიანის უფლებების დამცველებს მიმართავს

პოლიტიკური გაერთიანების — „წინ, საქართველო“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს და ეუთოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოში ირის მურს მიმართავს.

„მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო უფლებების იმ უხეში ხელყოფის ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს ჩემ მიმართ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ თქვენთვის მონიჭებული უფლებები და დაგვეხმაროთ ჩვენი უფლებების დაცვაში, დაუყოვნებლივ, სრულად მივიღოთ ყველა მასალა და გავეცნოთ მათ. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი გააგრძელებს კვლავ თვითნებურად ჩემი უფლებების ხელყოფას და ფაქტობრივად, წამართმევს დაცვის განხორციელების საშუალებას, 14 აგვისტოდან იძულებული ვიქნები, მივმართო პროტესტის მშვიდობიან უკიდურეს ფორმებს“, — წერს ბათიაშვილი მიმართვაში.

ლაშა ჩხარტიშვილს მანდატურის სიტყვიერი შეურაცხყოფა ედება ბრალად

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და სასამართლოს მანდატურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ბრალდებით დააკავეს. აღნიშნული ბრალდება ფულად ჯარიმას ან 30-

დღიან პატიმრობას ითვალისწინებს.

ლაშა ჩხარტიშვილი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 8 აგვისტოს დააკავეს. იგი პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და მისი დაკავება თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობასთან 8 აგვისტოს გამართულ საპროტესტო აქციას უკავშირდება. თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, სადაც 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებულის, ყოფილი პატრულის, გრიგოლ ბაშალეიშვილის სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, მანდატურებსა და „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებს შორის დაპირისპირება მოხდა.

მაღალი ტემპერატურა საქართველოში 13 აგვისტომდე შენარჩუნდება

ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ცნობით, მაღალი ტემპერატურა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 13 აგვისტოს ჩათვლით შენარჩუნდება. სინოპტიკოსთა თქმით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია 39-40 გრადუსი სიცხე. 14 აგვისტოდან კი ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბლა დაიწევს; სავარაუდოდ, ხანმოკლე ნალექიც იქნება. ■

სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით

„თაფლაკვეჩი“ თავდება, ვეებგაღოთ „ვათჩანისთვის“?!

რუსუდან ლეგანიძე

*ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ეკონომიკა — ბაზისია, პოლიტიკა კი — მისი ზედნაშენიო. მიუხედავად ამისა, დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკა წარმართავს პოლიტიკას თუ — პირიქით, ჩვენთვის ანუ უბრალო მოკვდავთათვის ხშირად მაინც ძნელი ასახსნელია. თანაც, ამ მხრივ ტოლს არავის უდებს საქართველოც, სადაც მავანთა და მავანთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები ისეა ერთმანეთთან შეზრდილ-გადაჯაჭვული, რომ თავსა და ბოლოს მართლა ვერაფრით გაუგებ. სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია ამ კუთხით საქართველოსადმი სხვა, მასზე ძლიერი ქვეყნების და პირველ რიგში, რუსეთის დამოკიდებულება. სქემა მარტივია: თუ კარგად — ანუ ისე მოიქცევი, როგორც რუსეთს უნდა, — შუქსაც უწყვეტად მიიღებ, გაზიც გექნება და შენს ღვინოსა და მინერალურ წყლებსაც ფართო გასაღების ბაზარი ექნება; თუ ცუდად — ანუ ისე მოიქცევი, როგორც რუსეთს არ უნდა, — საკუთარ თავს დააბრალე: არც შუქი გექნება, არც გაზი და შენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც, როგორც ისევ რუსები იტყვიან — **КОТУ ПОД ХВОСТ**... მიუხედავად ასეთი „ხელშესახები“ პერსპექტივისა, საქართველო, უფრო კონკრეტულად კი, მისი დღევანდელი ხელისუფლება მაინც „ცუდად“ იქცევა. თანაც, იმდენად „ცუდად“, რომ მაშინ, როცა ლამის მთელი ევროპა რუსული ენერგომატარებლების მძევლად ქცეულა, ჩვენი ქვეყანა „ბედავს“, ხმამაღლა გამოაცხადოს, რომ უკვე აღარ არის დამოკიდებული რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე. რა მოჰყვა ამ განცხადებას რუსულ პრესაში ან საერთოდ, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის მხრიდან, — ამას ქვემოთ წაიკითხავთ.*

„გამოცდის“ ჩაბარება გადადებულია

(Regnum.ru, რუსეთი)

2 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო აღარ არის დამოკიდებული რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე, რადგან „ენგურჰესზე“ სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულდა. თუმცა, მთლიანად საკუთარი რესურსების იმედად დარჩენას საქართველო მხოლოდ 2007 წლის მარტიდან თუ შეძლებს, როცა მწყობრში შევა „ენგურჰესის“ კიდევ ორი აგრეგატი. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ირწმუნება, რომ რუსეთმა საქართველოზე „გავლენის ყველა ბერკეტი (ენერგეტიკული სანქციების ჩათვლით) უკვე დაკარგა“.

2006 წელს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოსთვის ერთგვარ „ნაციონალურ პროექტად“ იქცა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 იანვარს, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ოსეთში — გაზსადენის, ხოლო ყარაჩაი-ჩერქეზეთში — ელექტროგადამცემ ხაზზე აფეთქებები მოხდა, საქართველო რუსული გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნული ინციდენტი რუსეთის მხარის მიერ ორგანიზებულ „საბოტაჟის მძიმე აქტად“ შეაფასა, რომლის მიზანიც, ქართველ ხალხში უკმაყოფილების გაღვივება და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის ხელის შეშლა იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინ-

ისტრომ ამ ბრალდებას შესაბამისი პროპაგანდისტული პასუხი გასცა: თბილისის რეაქციას „ისტერია და ბაკქანალია“ ეწოდა, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკა რუსმა დიპლომატებმა „მუქთახორობის, თვალთმაქცობისა და თავგასულობის ნაზავად“ მონათლეს. მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების ამ ქმედებას საფუძვლად „დაუსჯელობის განცდაც“ და იმის დიდი იმედიც ედო, რომ თავისი „ანტირუსული ხაზის“ დამცველებს დასავლეთში იპოვიდა.

ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონზე“, რომლითაც რუსული ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება, ავარია არაერთგზის მომხდარა. მაგალითად, მიმდინარე წლის მარტის ბოლოს, თბილისის ციხეებში დაწყებული უწესრიგობების მეორე დღესვე, დაუდგენელმა პირებმა ელექტროგადამცემი ხაზები ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ირწმუნებოდა, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირში იყო და „დესტაბილიზაციის გზით ქვეყნის ქაოსში ჩაძირვას“ ისახავდა მიზნად. ბურჯანაძის აზრით, ამ ყველაფრის მიღმა „ფრიად სერიოზული ძალები“ იდგნენ.

იანვრის ენერგოკრიზისის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის ელოდება ახალ მცდელობებს იმისას, რომ „საქართველოს თავისუფლებისა და გამთლიანების გზიდან გადაახვევინონ“, მაგრამ ღრმადაა დარწმუნებული — მთავრობა და ხალხი „ყველა მსგავს გამოცდას“ წარმატებით ჩააბარებენ. აპრილში ქართველი ენერგეტიკოსების წინაშე სიტყვით გამოსვლისას, სააკაშვილმა პირობა დადო, რომ თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის გასვლისთვის (2008 წ), ქვეყნის ყველა ენერგეტიკულ პრობლემას გადაჭრის და მას „პოლიტიკური შანტაჟისა და ზეწოლისგანაც“ დაიცავს. პრეზიდენტმა განმარტა, რომ პირველი რიგის ამოცანას ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა წარმოადგენს. მისი ღრმა რწმენით, „ქვეყანას სწორედ ეს გადაარჩენს, ყველა სხვა მიმართულება კი მეორეხარისხოვანია“.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება რუსულ ელექტროენერგიაზე უარის თქმას ჯერ მაინც არ აპირებს. როგორც კახა ბენდუქიძემ ხაზგასმით აღნიშნა, იმპორტი კვლავაც გაგრძელდება — მას უბრალოდ, პოლიტიკური სარჩული გამოეცლება. 3 აგვისტოს, ქართულმა საინფორმაციო სააგენტომ „Новости—Грузия“ გაავრცელა ცნობა, რომ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია რუსეთიდან ელექტროგადამცემი ხაზის — „სალხინოს“ მეშვეობით, 65 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტს აპირებს. სააგენტოს მონაცემებით, ამის საფუძველი 1-ელ და 2 აგვისტოს „ენგურჰესზე“ წარმოქმნილი გაუმართაობები გახდა.

საკუთარი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის დამცველი ქართველი პოლიტიკოსების ბოლო განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მომენტში მათ რუსეთზე მეტად, აფხაზეთი აღელვებთ. ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ კოდორის ხეობაზე გადის. როგორც იცით, სასაზღვრო რაიონში ახლახან სიტუაცია გართულდა, რის შედეგადაც, იქ საქართველოს ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 4 აგვისტოს განცხადებით, „კავკასიონზე“ მომხდარი შეფერხება აფხაზურ მხარეს ჰბრალდება. საგარეო უწყება აფრთხილებს ყველას, რომ „პროვოკაციებს“ არ დაუშვებს და მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, „ყველა აუცილებელ ზომას“ მიიღებს. მინისტრის მოადგილემ გიორგი მანჯგალაძემ განაცხადა, რომ ამჟამად მის ქვეყანას საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საკმარისი რესურსები აქვს. მაგრამ „სეზონური ფაქტორისა და სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით, შესაძლოა, ელექტროენერგიის იმპორტიც აუცილებელი გახდეს“. მანჯგალაძემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ასეთ პირობებში „სეპარატისტულ რეჟიმს და მის მოსკოველ მფარველებს ამ საკითხით მანიპულირების საშუალება არ უნდა მიეცეს!“

ნათელია — იმპორტის ალტერნატიუ-

ლი წყაროების (მათ შორის თურქული ენერგოკომპანიების) არსებობის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება კვლავ რუსული ელექტროენერგიისადმი იჩენს ინტერესს. კერძოდ, ის „ელექტროგადამცემი ხაზის — „სალხინოს“ აღდგენაში რუსეთისა და მისი სამშვიდობო ძალების ოპერატიულ და ქმედით მონაწილეობას“ მოითხოვს. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაში „გამოცდის“ ჩაბარების გადავადება მანამდე მოუწევს, სანამ „ენგურჰესის“ ყველა აგრეგატი არ ჩადგება მწყობრში.

ზენოლის ბერკეტები ერთჯერადი აღმოჩნდა

(Коммерсант-деньги, რუსეთი)

...ელექტროგადამცემი ხაზის — „კავკასიონის“ მეშვეობით ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ყოველთვის პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს „ენერგეტიკული სანქციებით“ ოფიციალურად არასდროს დამუქრებია, ელექტროგადამცემ ხაზზე მომხდარი ყველა დიდი (მაგალითად, 2005 წლის) ავარია ყოველთვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავების პერიოდზე მოდიოდა.

რუსეთის მიერ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების, საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენების ამბავი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან იღებს სათავეს. მაგალითად, 1991 წლის ზამთარში, მიხაილ გორბაჩოვის მითითებით, გაზის მიწოდება შეუწყდა ლიტვას, რომელმაც მანამდე დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდგომში, ზენოლის მსგავსი ფორმებისთვის რუსეთის ხელისუფლებასაც არაერთხელ მიუმართავს. ბოლო მაგალითი, მიმდინარე წლის დასაწყისში უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა გახლდათ.

უნდა ითქვას, რომ ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომლის მშენებლობის დასრულებაც 2006 წლისთვისაა განსაზღვრული, რუსეთს საქართველოსთვის გაზის მიწოდებით მანიპულირების საშუალებას წაართმევს. მას შემდეგ, რაც საქართველო აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან წამოსული გაზის ტრანზიტში ჩაერთვება, ტრანსკავკასიურ გაზსადენზე პრობლემების შექმნის შემთხვევაში, მას აზერბაიჯანული გაზის მოხმარებაზე გადასვლის საშუალება ექნება. ამრიგად, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ „ენერგეტიკული სანქციების“ შემოღების ბოლო შესაძლებლობასაც დაკარგავს.

რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის შეზღუდვას საქართველო ჯერჯერობით, ეკონომიკაში სერიოზული ჩავარდნის გარეშე უმკლავდება. ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის აზრით, „ენერგეტიკული სანქციები“, რომლებიც 2005 წელს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა, ძალზე „არაშორსმჭვრეტელური“ იყო. ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა მითხრა: კი, მაგრამ ჩვენ ხომ თქვენზე გავლენის მოსახდენად ბერკეტები გვაქვსო. უნდა დავაფიქსირო, რომ ის ბერკეტები ერთჯერადი იყო და რუსეთს უკლებლივ ყველა მათგანი უკვე ხელში შემოემტვრა“. ამ განცხადების კვალდავალ, კახა ბენდუქიძე იმასაც დასძენს, რომ საქართველო არც მომავალში აპირებს რუსული ენერგიის იმპორტზე უარის თქმას, უბრალოდ, მისთვის ეს უკვე პოლიტიკური ფაქტორი აღარ იქნება.

ვის „ეხალისება“ აფხაზეთში ომი?

(Коммерсант-власть, რუსეთი)

ჟურნალის — Коммерсант-власть — აზრით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ძალებს იკრებს და აუღიარებელი რესპუბლიკის დასაცავად მეზობელი რუსეთის რეგიონებიდან მოხალისეებმა დაიწყეს დენა. ჟურნალის კითხვაზე — „თქვენ თუ წახვიდოდით აფხაზეთში მოხალისედ?“ — რუსეთის სხვადასხვა რანგისა და ჩინის მოქალაქეები შემდეგნაირად პასუხობენ:

დავით იაკობაშვილი, კომპანია Вимм-Билль-Данн-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: „არა და ამის გაკეთებას არც სხვას ვურჩევდი. ეს ძალზე საშიში წამოწყებაა, სიტუაციის გამწვავება ნამდვილად არ ღირს. არც აფხაზეთი და არც საქართველო ომისთვის მზად არ არიან. მასში ვერავინ გაიმარჯვებს, სისხლი კი ბევრი დაიღვრება. ჩემი აზრით, ამ კამათში ორივე მხარე მართალია. ეჭვგარეშეა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, მაგრამ ის, თუ როგორ მოექცნენ 90-იან წლებში ქართველები აფხაზებს, მიუტევებელია“.

კონსტანტინ ზატულინი, *სახელმწიფო დუმის დეპუტატი, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი:* „მომიწევს წასვლა. მით უმეტეს, რომ თავის დროზე, ჰემინგუეი და კოლცოვიც მოხალისეები იყვნენ. მე აფხაზების დიდი მეგობარი ვარ და მათ შეუძლიათ, ჩემი იმედი ჰქონდეთ“...

მიხაილ კუზნეცოვი, *ფსკოვის ოლქის გუბერნატორი:* „არა, მაგრამ გამორიცხული მაინც არაფერია. იმედი მაქვს, რომ პირადად მე, ასეთი არჩევანით დატანჯვა არ მომიწევს. რაოდენ ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ ომში რუსეთი „თავის მხარეზე“ უნდა დადგეს — ანუ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს“.

ალექსანდრ კორჟაკოვი, *სახელმწიფო დუმის დეპუტატი, პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი:* „ოჯახი რომ არ მქონდეს, აფხაზეთის დამცველთა შორის ჩავწერებოდი. მე არაერთხელ ვყოფილვარ აფხაზეთში და პირადად დავრწმუნდი, რომ საქართველო აფხაზებს ყველანაირად ავიწროებს“.

სერგეი ფილატოვი, *რუსეთის ინტელიგენციის ლიდერი, 1993-1996 წლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:* „არა, რადგან ეს ცეცხლთან თამაშია. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ. თავის დროზე, როცა მოხალისეები საკუთარი ინიციატივით გაემგზავრნენ ვიღაცის დასაცავად, ჩეჩნეთის ომი მივიღეთ. აფხაზეთში მოხალისეების გაგზავნა პოლიტიკოსების წინდაუხედავი ნაბიჯია. ასეთ პრობლემებს ძალის გამოყენებით ვერავინ წყვეტს“.

ვიტალი ლეობა, *კომპანია Red Stars-ის გამგეობის თავმჯდომარე:* „რა თქმა უნდა — მე ხომ აფხაზი ვარ! 1992-1993 წლებში უკვე ვიყავი მოხალისე და ჩემს ხალხს ახლაც აუცილებლად დავიცავ. 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენ წინაშე საკითხი ასე იდგა: სიკვდილი ან სიცოცხლე. ახლა საკითხი ასე მწავდდ აღარ დგას. შეიძლება, ამ ომში აფხაზეთმა დაბლობი რაიონები — მაგალითად, გალის რაიონი დაკარგოს, მაგრამ იმის იქით აღარავის შევუშვებთ“.

ალექსანდრ ბაბაკოვი, *პარტია „როდინას“ ლიდერი:* „როგორც მამაკაცი და პატრიოტი, ქვეყნის დასაცავად ყოველთვის დავდგები. მაგრამ მოცემულ სიტუაციაში პროფესიონალების მონაწილეობაა საჭირო. რუსეთმა აფხაზეთთან დამოკიდებულება მკაფიოდ უნდა გამოხატოს. აფხაზეთი ხომ კარგა ხანია, რაც მზადაა, რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად. მოხალისეები კი გაბედული და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები არიან. მათ პატივს ვცემ“.

ალექსანდრ რუცკოი, *რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი 1991-1993 წლებში:* „არა, იქ არანაირი მოხალისე არ არის საჭირო. ჩემი ვიცე-პრეზიდენტობის დროს, სამხრეთ ოსეთის საკითხით ვიყავი დაკავებული. რუსეთმა ახლაც ხისტი პოზიცია უნდა დაიკავოს და ეს გათავხედებული ქართველი ყმაწვილი ალაგმოს. პუტინმა, ისევე, როგორც ამერიკამ, საკუთარი მოქალაქეების დაცვა უნდა დაიწყოს და მას კონფლიქტის ტერიტორიაზე ჯარის შეყვანის სრული უფლება აქვს“.

იგორ ახბა, *აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთში:* „მე სამხედრო ვარ და თუ ამას სიტუაცია მოითხოვს, მზად ვიქნები. ეს ნორმალური ნაბიჯია. ვფიქრობ, ბევრია მის გადასადგმელად მზად, ამიტომ აფხაზეთი მარტო არ დარჩება. საქართველოში მყოფ ზოგიერთ „ქორზე“ კი, ეს, როგორც გამოსაფხიზლებელი საშუალება, ისე იმოქმედებს. თანაც, რუსეთი ამ კონფლიქტში თითქოს არც მიიღებს მონაწილეობას: ისინი ხომ დაქირავებულები არ იქნებიან, რომლებსაც სახელმწიფო უხდის, არამედ მოხალისეები, რომლებიც იდეალებისთვის იბრძვიან!..“

ვიქტორ ეროფეევი, *მწერალი:* „არავითარ შემთხვევაში და არც სხვას გავუშვებდი. ეს საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი გზით

უნდა გადაიჭრას, თანაც — გაეროს, აშშ-ის, ევროპისა და რუსეთის ეგიდით. მე აფხაზეთში ცოტა ხნის წინ ვიყავი და ომის საშინელი შედეგები ვნახე. საქართველოს აფხაზეთში ნამდვილად არაფერი ესაქმება. ათი წლის წინ მათ იქ ნამდვილი გენოციდი მოაწყვეს და იმისთვის, რომ ეს ტკივილი დაივიწყონ, არაერთი თაობა უნდა გაიზარდოს“.

ბორისლავ მილოშევიჩი, *საკავშირო რესპუბლიკა იუგოსლავიის ელჩი რუსეთში 1998-2001 წლებში:* „აუცილებლად წავიდოდი, მაგრამ მთებში სასიარულოდ ასაკი აღარ მიწყობს ხელს. მე მხარს ვუჭერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და მიმაჩნია, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ: მათ აღიარეს კოსოვო, მაგრამ არ სურთ ბასკეთის, კორსიკის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარება. რუსეთმა პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს და რეგიონში სამშვიდობო პროცესს შეუწყოს ხელი“.

ვიქტორ ანპილოვი, *მოძრაობა Трудовая Россия-ს ლიდერი:* „არა. ადრე, არძინბას დროს, იქ ჩვენს ბიჭებს, მათ შორის სნაიპერებსაც ვგზავნიდით. ერთ-ერთი მათგანი — ივან ვინოგრადოვი დაიღუპა კიდეც. მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა...“

მარია გაიდარი, *მოძრაობა „Да“-ს ლიდერი:* „ნებისმიერ შეთმხვევაში, არ წავიდოდი: მე ხომ, სულ მცირე, სროლა მაინც უნდა ვისწავლო, რომ ვინმეს რაიმე სარგებელი მოვუტანო. თუმცა, მე არ მიმაჩნია, რომ საქართველოსთან ურთიერთობის ასეთი განვითარება ჩვენს ინტერესებში შედიოდეს“.

ნიკიტა ისაევი, *ჰოლდინგ "Praime Insurance"-ს პრეზიდენტი:* „არა, რადგან კონფლიქტს რუსეთის სუვერენიტეტთან არანაირი კავშირი არა აქვს. სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გაწირვა კი მხოლოდ საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის შეიძლება“.

დმიტრი მედოევი, *სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სრუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთში:* „მე უკვე დიდი ხანია, მწყობრში ვარ. ჩვენ ხომ მოძმე ხალხები ვართ, ნათესავები! მერე რა, რომ კავკასიონის ქედი გვყოფს?! კავკასიის მთიელი ხალხებისთვის ეს საერთოდ არ არის საზღვარი“.

კონსტანტინ კრილოვი, *ფედერაცია „სურთო მშვიდობის“ რუსეთის განყოფილების გენერალური მდივანი:* „არავითარ შემთხვევაში. ეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაა და მისმა მოქალაქეებმა საკუთარი პრობლემები თავად უნდა მოაგვარონ. მე მოხალისეების გაგზავნას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ეს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არალეგიტიმურია, საღი აზრის თვალსაზრისით კი — არაშორსმჭვრეტელური. რუსეთი მთელი მსოფლიოს წინაშე პროვოკატორად წარდგება“.

ოლგა სვიბლოვა, *მოსკოვის ფოტოგრაფიის სახლის დირექტორი:* „რომ ვიცოდე, ვის მხარეზე უნდა გამოვიდე, წავიდოდი. ბავშვობაში ფრონტზე მოხალისედ წასვლაზე ხშირად მიოცნებია. მაგრამ მაშინ მტერი ადვილად გასარჩევი იყო, აქ კი, ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე, ვერაფრით გაიგებ. მე აფხაზეთსაც ვეთაყვანები და საქართველოსაც. ორივეგან მყავს მეგობრები. ამიტომ, მოსკოვში მჯდომს, ვერ გამიგია, ერთმანეთთან რა აომებთ... ■

რასაც ამჯერად რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — გთავაზობთ, ამას ჟურნალისტ-პოლიტიკოსის გაბაასება ვუწოდე. დიახ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ბიძინა ბრეგაძემ და რადიო „ფორტუნის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნათია ბანძელაძემ ისე იმუსაიფეს, რომ შთაბეჭდილება შემექმნა, როლები მართლა ხომ არ იცვლება — ბიძინა ჟურნალისტიკას ხომ არ უმიზნებს, ნათია კი — პოლიტიკას-მეთქი?.. ნათია აქტიური ჟურნალისტია, პრეზიდენტსაც კი დაჰყვება საერთაშორისო ვიზიტების დროს, პოლიტიკური ცხოვრების „ფერხულშია“ ჩაბმული და რაღა გასაკვირია, გეზი პოლიტიკისკენ რომ აიღოს?! აი, ბიძინა რეალურად, ჟურნალისტიკაში მოსინჯავს თუ არა ძალებს, არ ვიცი, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე კი უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი.

რაც მოწყალე მოგიჩას ცოლი და ვინ შეარჭვა ბიძინა ბრეგაძეს მიმინო

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ნათია ბანძელაძე
რესპონდენტი – ბიძინა ბრეგაძე

— ბიძინა, ახლა არც საკონსტიტუციო ცვლილებებსა და არც სახელისუფლებო გადაადგილებებზე არ შეგეკითხები, სრულიად სხვა კითხვებს დაგისვამ, რომ შენი პორტრეტის შტრიხები მოიხაზოს. ვიცი, რომ ბევრი მეგობარი გყავს. რას ნიშნავს შენთვის მეგობარი? სიმბოლურად ისე დაემთხვა, რომ დღეს (7 აგვისტო. — ავტ.) შენი ან გარდაცვლილი მეგობრის, ჟანი კალანდაძის დაბადების დღეა...

— მეგობარი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისთვის, ჩემთვისაც ძვირფასია... დღეს ჩემი უახლოესი მეგობრის, ჟანი კალანდაძის დაბადების დღეა. ის სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით აღარ არის. მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი... ხომ ამბობენ — მეგობრობა „24-საათიანიაო“! ჰოდა, ჟანის შეეძლო, გამთენიისას, დილის 5 საათზე დაერეკა და ეკითხა, რას აკეთებო? სულ რაღაც იდეა ჰქონდა, სულ რაღაცას ფიქრობდა... რას უნდა ვაკეთებდე? მძინავს-მეთქი, — ვპასუხობდი. მას შეეძლო, რაღაც არარეალური იდეა მოსვლოდა თავში და განეხორციელებინა კიდეც. ყველაზე ძნელად გასაკეთებელ საქმეს წამოიწყებდა და ბოლომდე მიიყვანდა. მისი წასვლით ბევრი რამ დაგვაკლდა.

— შენს სამეგობროს გისურვებთ, რომ ასეთი ტკივილი აღარ განგეცადოთ... ყველაზე მეტად რა გახარებს ცხოვრებაში?

— ალბათ ის, რაც ყველას. 8 თვის წინ ვაჟიშვილი (ნიკოლოზი) შემეძინა... მახარებს ის, რომ მაქვს შესაძლებლობა, ჩემი ქვეყნის მშენებლობაში რაღაც წვლილი მეც შევიტანო. სხვადასხვა თანამდებობაზე მოღვაწეობისას, რაღაც კონკრეტული საქმეები მაქვს ჩემი ქალაქისთვის თუ ქვეყნისთვის გაკეთებული. მეამაყება ის, რომ მყავს კარგი მეგობრები... არ შემიძლია არ გაგიზიარო სიხარული ერთ ჩემ წარმატებულ ინიციატივასთან დაკავშირებით. დღეს გავიგე, რომ ამ ინიციატივის მეშვეობით, რომელიც ეწ. „კარგი მანქანის ნომრების“ ფასიანად გადაკეთებას ითვალისწინებდა, ბიუჯეტში მილიონ ლარზე მეტია შესული. წინა ხელისუფლების დროს ეს ფული ჯიბეებში მიდიოდა...

— შვილი ახსენე. მაინტერესებს, ქართველი მამების რომელ კატეგორიას მიეკუთვნები: როდესაც ღამე ბავშვი ტირის, თავზე ბალიშს იფარებ?

სესხება-გასესხება
შპს „ევრიკა+“

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართ. (ბაჯონალიძის მხარეს)
☎ **95-23-66; 99-69-00**
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

არებ, იმ მოტივით, რომ დილით ადრე ხარ ასადგომი, თუ ცდილობ, მისდამი მზრუნველობა გამოიჩინო? ჟურნალისტებს გვიჭირს, ვიყოთ მზრუნველი დედები, რადგან სულ გარეთ ვართ (იცინის)...

— არ ვიცი, ქართველი ჟურნალისტები მამებს რა კატეგორიებად ყოფთ, მაგრამ გეტყვით, რომ თავზე ბალიშს არ ვიფარებ, რადგან ბავშვის ტირილისგან ეს ვერ დაგიცავს. ამიტომ ვამჯობინებ, მეც მივიღო პატარის დამშვიდებაში მონაწილეობა.

— ბავშვი თუ დაუტოვებიათ შენთვის?

— კი, იყო ასეთი შემთხვევა. პირველად

გული მწყდება, რომ არიან მაგყუარა, დაუნახავი და ბოღმა ადამიანები

რამდენიმე კვირის ნიკოლოზი დავიტოვე. ჩემი მეუღლე აუცილებელ საქმეზე წავიდა, რაღაც უნდა ეყიდა. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა მაქვს და ჩემს მოვალეობას თავი კარგად გავართვი, მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის, ვინაიდან ძირითადად სამსახურში ვარ ხოლმე.

— ორგანიზატორული ნიჭი ამაშიც აღმოგაჩნდა?

— დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, რომ ამ საქმეს თავს გავართმევდი, ბავშვს არც დავიტოვებდი.

— „ომამდე ტანკისტიც“ ხომ არ იყავი?..

— *(იცინის)* ომამდე ავიატორი ვიყავი.

— ბავშვობაში რაიმე მეტსახელი თუ გქონდა, რაც დღემდე მოგყვება?

— ვინაიდან ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, მიმინოს მეძახდნენ.

— ფრენის არ გეშინია?

— არა, თუმცა ჩემი სპეციალობა პილოტობა არ არის. ეკონომისტ-მენეჯერი ვარ. ბიძაჩემი მუშაობდა და ახლაც მუშაობს ავიაციაში. თავიდანვე მომწონდა ავიატორების ფორმა, მოწესრიგებულობა, გაწონასწორებულობა. ამ დარგის მიმართ გარკვეული ლტოლვა გამიჩნდა და ამიტომაც გადავწყვიტე, ამ მიმართულებით მესწავლა.

— მეოცნებე ყოფილხარ, ხშირად დაფრინავდი სიზმარში?

— სხვათა შორის, რეალისტი ვარ და ამასთან, გამოუსწორებელი ოპტიმისტი.

— ქალაქს პრემიერად რომ გნიშნავდნენ, შენზე თქვეს — პატარა და კარგი ტიპიაო; მაშინ სახეზე არ გიცნობდი... როგორ დაიმსახურე პრეზიდენტის ნდობა?

— არც ისეთი პატარა ვარ, უკვე 29 წლის გახლავარ. ახალგაზრდების მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობასა და ქვეყანაში პოლიტიკის წარმართვაში, ქართული ფენომენი არ არის. ამ მხრივ გამონაკლისები არა ვართ — ეს მიღებულია მთელ ევროპაში. ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის რიგი ქვეყნების წარმატების ერთ-ერთი საწინდარი ესეც არის. ახლა, რაც შეეხება ჩემ მიმართ პრეზიდენტის ნდობას, ამაზე პასუხს ცოტა შორიდან დავიწყებ: აქტიური სტუდენტური ცხოვრება მქონდა. ჟანისთან ერთად, სტუდენტური კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი. პარალელურად, ცოტა ხანს ჩემი პროფილით აეროპორტში ვმუშაობდი. 4 დღეში ერთხელ მიწევდა მორიგეობა. ამიტომ საშუალება მქონდა, იქაც ვყოფილიყავი და იქაც. ვასწრებდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც აეროპორტში, უპერსპექტივობისა და უძრაობის გამო, მუშაობას დავანებე თავი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩავები. მაშინ იუსტიციის მინისტრი, მიხეილ სააკაშვილი იყო. ჟანიმ მისგან შეთავაზება მიიღო და დაინიშნა მოქალაქეობისა და ნოტარიატის, მიგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. მეც წამოვედი ტექნიკური უნივერსიტეტიდან. მიხეილ სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრის პოსტი დატოვა და ჩამოაყალიბა პარტია — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ჟანიმ გამიწია რეკომენდაცია და ასე ჩავები პარტიულ მუშაობაში.

— რეალისტი ვარო, — აღნიშნე. ბავშვობაში სულ არაფერზე გიოცნებია?

— კოსმონავტობაზე ნამდვილად არ მიოცნებია, მაგრამ რაზეც ვოცნებობდი, იმას არ ვიტყვი *(იცინის)*.

— რატომ?

— არ ვიცი, არ ვიტყვი *(იღიმება)*.

— საინტერესოა... კარგი, ახლა რა მიზანი გაქვს ცხოვრებაში როგორც რეალისტ, ორგანიზებულ ადამიანს? ყველაზე მეტად სად ხედავ შენს თავს? რა გინდა, რომ გამოგივიდეს?

— მზად ვარ, ჩემი გამოცდილებით, მივიღო მონაწილეობა იქ, სადაც საჭირო ვიქნები.

— რომელ თანამდებობაზე გრძნობდი თავს უკეთ — მაშინ, როდესაც პრემიერი იყავი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე თუ ახლა, როდესაც დეპუტატი ხარ?

— იმის გამო, რომ ყველა თანამდებობაზე ბევრი საქმე მქონდა, ყველგან კარგად ვგრძნობდი და ვგრძნობ თავს. უსაქმურობა ცუდად მხდის. პრემიერობასა და მინისტრის მოადგილეობასთან შედარებით, ახლა ოდნავ მეტი თავისუფალი დრო მაქვს. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ამჟამად საქმე ცოტა მაქვს. მაჟორიტარი დეპუტატობაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გაკისრებს, რადგან ამდენმა ადამიანმა დაგიჭირა მხარი, გენდო. მათ იმედები არ უნდა გავუცრუო.

— შენს ამომრჩევლებს ხშირად თუ ხვდები და პრობლემებს თუ უგვარებ?

— ისინის რაიონის ამომრჩევლებს არჩევნებამდეც ვხვდებოდი. მათ ყველა შეხვედრაზე ვეუბნებოდი, რომ მე არა ვარ ყოვლისშემძლე და არა მაქვს ჯადოსნური ჯოხი, რომ ერთი ხელის დაქნევით პრობლემები მოვაგვარო. თანადგომას ვპირდებოდი მათ და იმას, რომ ამისთვის ენერგიას არ დავიშურებდი... ახლა კვირაში ერთ დღეს მაქვს რაიონების მცხოვრებლებთან შეხვედრა. უამრავი გაჭირვებული ადამიანი მოდის, მათ შორის, ოჯახური დავებით შეწუხებულიც. ზოგჯერ ისეთი რაღაცების მოსმენა მიწევს, რომ მიჭირს ხოლმე ფსიქოლოგიურად და ემოციურად.

— ამ ყველაფრის შემდეგ, რა გიკვირს ყველაზე მეტად და რაზე გწყდება გული?

— გული მწყდება, რომ არიან მატყუარა, დაუნახავი და ბოღმა ადამიანები. ეს ისეთი მინუსებია პიროვნებისთვის, რომ მას ვერანაირი პლუსი ვერ გადაფარავს. ახლა კონკრეტული ადრესატების დასახელება არ მომთხოვოთ, მაინც არ ვიტყვი. თქვენც კარგად მიხვდებით.

— აგვისტოა, საშინელი სიცხეა ქალაქში. რა გეგმები გაქვს? დასვენებას სად აპირებ? საერთოდ, როგორი დასვენება გიყვარს?

— მართლა ძალიან ცხელა, მაგრამ მე ქალაქში ვარ. ჯერჯერობით არაფერი დამიგეგმავს. ვნახოთ, არ ვიცი, რას გადავწყვეტ. დასვენება მთაშიც მიყვარს და ზღვაზეც. უპირატესობას აქტიურ დასვენებას ვანიჭებ.

— ექსტრემალური სპორტი თუ გიყვარს? პარაშუტიდან ხტომა, წყლის თხილამურები...

— სპორტი მიყვარს, განსაკუთრებით კალათბურთი და ცურვა. ზედმეტი რისკის გაწევა არ მიყვარს. გაწონასწორებული ვარ ყველაფერში.

— ვისი გჯერა და ვის ენდობი? შენს გადაწყვეტილებებზე დიდი გავლენა ვინ შეიძლება მოახდინოს?

— ყოველთვის ვითვალისწინებ მეგობრების, ახლობლების აზრს, რადგან წარმოუდგენელია, ერთმა ადამიანმა ყოველთვის ყველა სფეროში ყველაფერი იცოდეს. კრიტიკულ სიტუაციაში ჩემი გუნდის წევრების რჩევებს ვენდობი — იმ ადამიანებისას, ვისთან ერთადაც ამდენი წელია მოვდივართ.

ჟურნალისტი – ბიძინა ბრეგაძე
რესპონდენტი – ნათია ბანძელაძე

— ნათია, როგორ მოხვდი „იმ გაუგებრობაში“ (ჟურნალისტიკა), რომელსაც დღეს ემსახურები? განათლებით ჟურნალისტი ხარ?

— განათლებით აგროინჟინერ-ბიოლოგი ვარ და თან — თეატრის რეჟისორი. ჟურნალისტიკაში ისე მოვხვდი, რომ მანამდე მქონდა მცირე სასცენო გამოცდილება. ვიყავი მოყვარულთა თეატრში გოგი თოდაძესთან. მეტყველება კარგად მქონდა გავარჯიშებული. არასდროს მიფიქრია, რომ ჟურნალისტი ვიქნებოდი. ჩემი დახვეწილი მეტყველების წყალობით, რადიო „საქართველოს ხმაში“ დავიწყე მუშაობა. რუსულ ინფორმაციებს ქართულად ვთარგმნიდი. ერთხელ ისე მოხდა, რომ ჟურნალისტები არ იყვნენ და მე გამიშვეს პრესკონფერენციაზე,

რომლის ორგანიზატორები ჯემალ გამახარია და მანანა არჩვაძე-გამსახურდია იყვნენ. იქიდან რომ დავბრუნდი, შოკირებული ვიყავი და გაოცებული ვყვებოდი იქ ნანახის შესახებ. რუსიკო ვაშაკიძე იყო საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი. მან ჩემზე თქვა — ეს მე მჭირდება, ამისგან კარგი ჟურნალისტი დადგება; ადექი და დაწერე, რაც ნახეო. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე ჟურნალისტობას. ხომ ამბობენ, რომ თუ სცენის მტვერი ერთხელ მაინც შეისუნთქე, სამუდამოდ „მოიწამლებიო“! შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა: ჟურნალისტიკით „მოვიწამლე“. როცა ვმუშაობ, საქმეში ვარ, მაშინ არც მცივა, არც მშია, არც ვიღლები. ახლა მიმაჩნია, რომ ჟურნალისტობა უკვე ჩემი პროფესიაა, მიყვარს და სულაც აღარ არის „გაუგებრობა“ *(იცინის)*.

— უკვე რამდენი წელია, რაც ჟურნალისტი ხარ?

— ათი წელია, რაც მოვიწამლე, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვგრძნობ თავს.

— მოწამვლის საწინააღმდეგო წამლის დალევა ხომ არ გიცდია?

— არ მიყვარს წამლების დალევა, ჯანმრთელი ადამიანი ვარ. ჯერჯერობით ენერგია მაქვს, რომ ვირბინო და ვიფრინო.

— როგორც შევიტყვე, კარგად ცურავ, ასეა?

— „ომამდე ტანკისტი“ არც მე ვყოფილვარ, მოცურავე ვიყავი. კოდორის მოვლენების შემდეგ მივხვდი, რომ სპორტის ამ სახეობაში ძველი ფორმა უნდა აღვიდგინო. ნანა ლეჟავა თუ კოდორის ხეობაში შეიპარა, მე ზღვით უნდა გავჭრა გზა და გავცურო — ასე ვაპირებ სოხუმში შესვლას... ბავშვობიდან, ფაქტობრივად, პროფესიონალი მოცურავე ვიყავი. საბჭოთა კავშირი შემოვლილი მაქვს. მეექვსიდან მეათე კლასამდე აქტიურად ვიყავი სპორტის ამ სახეობაში ჩაბმული.

— წუწუნი თუ გიყვარს?

— კი, მიყვარს. ბავშვობაში წუწუნას მეძახდნენ, სხვა მეტსახელი არც მქონია. ეგ არის, რომ ოჯახში გრიშას მეძახიან. სანამ გოგიჩაიშვილების რძალი გავხდებოდი *(ნათია გიორგი გოგიჩაიშვილის, იმავე გოგიჩას მეუღლეა. — ავტ.)*, მათ თურმე სახლში საყვარელი, ქერა წრუწუნა ჰყოლიათ. როცა მათი ოჯახის წევრი გავხდი, გადაწყვიტეს, რომ ჩემ მიმართ დიდი ნდობისა და სიყვარულის გამოხატვა იქნებოდა, თუ იმ თაგუნას სახელს — გრიშას დამიძახებდნენ...

— შინაური ცხოველები თუ გიყვარს — მაგალითად, კატები და ძაღლები?

— მიყვარს. ფრანგული ბულდოგი, ჯესიკა გოგიჩაიშვილი მყავს. მას „ფრანგ გურულს“ ვეძახი. ისე, მას დიდად ვერ ვეგუები და არის ხოლმე ამის გამო გაწევ-გამოწევა... კატაც მიყვარს და ძაღლიც. წრუწუნას ვერ ვიტან, თუმცა წრუწუნას სახელს კი მეძახიან.

— აქტიური ჟურნალისტი ხარ, პრეზიდენტს ვიზიტების დროს ყველგან თან დაჰყვები. როგორც ვიცი, „გასპაჟა ბანძელაძედ“ მოგნათლეს. ერთხელ რუსეთის პრეზიდენტი — პუტინი კარიდან მოაბრუნე. მერე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შენი შეშვება აღარ უნდოდათ და პერსონა ნონ გრატადაც გამოგაცხადეს. როგორ მიაღწიე ამას?

— მივაღწიე?!. ეს ჩემს შემთხვევაში, ხმამაღალი ნათქვამია, რადგან არსებობენ კიდევ სხვა ჟურნალისტები. თუმცა — გმადლობ შეკითხვის ასეთი ფორმით დასმისთვის. ვიტყვი ისევ იმას, რომ ძალიან მიყვარს საქმე, რომელსაც ვაკეთებ. მართლა „მოწამლული“ ვარ. ისე მოხდა, რომ პუტინთან პრესკონფერენციაზე, როგორც ერთ-ერთი სააგენტოს წარმომადგენელი, ისე ვიყავი. სხვადასხვა ტელევიზიიდან კოლეგები გარეთ დარჩნენ. შეკითხვის დასმის უფლება არავის ჰქონდა. მანამდე შევიტყვე, თუ როგორ სიამოვნებდა პუტინს, როდესაც მიმართავენ ასე: „გოსპოდინ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ“. იმის გამო, რომ შეკითხვის დასმის უფლება არ გვქონდა, კინაღამ გავგიჟდი. ორდღიანი ვიზიტიდან უკან ისე ვბრუნდებოდი, რომ პასუხები არ მქონდა. ამიტომ, ის იყო, პუტინი კარში უნდა გასულიყო, რომ ვიყვირე: „გოსპოდინ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ!“ მობრუნდა და ჩემკენ წამოვიდა; პირისპირ დამიდგა და ლაპარაკი გამიბა. დავიბენი. გატყობ, რომ აფხაზეთის საკითხზე გინდა, პასუხი მიიღოო, — მითხრა. ისე გავკვიდნიერდი, რომ ვუთხარი: თუ შეიძლება, მიკროფონთან მიდით და ისე ილაპარაკეთ-მეთქი. ეს უკვე კულმინაცია იყო... იმ შენობიდან რომ გამოვედი, რუსული მასმედიის წარმომადგენლები დამეხვივნენ, კითხვებს მისვამდნენ. იცით, რა გელით საქართველოში დაბრუნებისას?!. თქვენ რუსეთის პრეზიდენტი გაიჩერეთ, გზიდან მოაბრუნეთო!.. თბილისში ეს საკითხი არავის გახსენებია და არ განუხილავს. სამაგიეროდ, ამის შემდეგ სოჭში პრეზიდენტების შეხვედრაზე მითხრეს — კარგად ბრძანდებოდეთ, არ შემოგიშვებთო...

— იღბლიანი ადამიანი თუ ხარ?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რადიო „ფორტუნაში“ ვმუშაობ, იღბალი უნდა მქონდეს, ჩემს პროფესიაშიც მიმართლებს...

— აქტიური ჟურნალისტი რომ ხარ და უმეტესად სამსახურით ხარ დაკავებული, ოჯახში ამას როგორ აფასებენ?

— მე და ინგა გრიგოლიას აჩემებული გვქონდა ფრაზა: განა ყველა დედა — დედაა?! ჟურნალისტს უჭირს, იყოს სრულფასოვანი დედა. კვირადღეს თუ ვინმე დამირეკავს ან სადმე დამპატიჟებენ, ასეთი პასუხი მაქვს გამზადებული — დღეს არ მცალია, რადგან დედა ვარ-მეთქი... მიუხედავად ყველაფრისა, ვცდილობ, ვიყო კარგი დედა, მაგრამ ხანდახან ოჯახის წევრებისგან პრეტენზიებსაც ვისმენ. ჩემი მეუღლე გოგიჩა შეეჩვია... უსინდისო ხარო, — მეუბნება. ხანდახან ამბობს — მეგონა, ცოლად ჟურნალისტი მოვიყვანე, თურმე სტიუარდესა ყოფილხარ, სულ დავფრინავო... მართლაც, ბევრს უძლებს გოგიჩა. ისე, მას აღარაფერი უკვირს. იმ დღეს სახლში ნასვამი მოვიდა, დილის 5 საათი ხდებოდა. მე მაგ დროს სახლიდან გავდიოდი. ცუდად ხომ არა ხარო? — მკითხა. — არა, პოლონეთში მივდივარ-მეთქი, — ვუპასუხე. საღამოს სახლში დავხვდი, როცა მოვიდა, თუმცა, ისევ ზურგჩანთა მეკიდა. სად მიდიხარო? — მკითხა. — პოლონეთიდან დავბრუნდი-მეთქი. დილით რომ გაიღვიძა, ისევ ზურგჩანთა მეკიდა. ახლა სადღა მიდიხარო? — ქუთაისი-ქობულეთი-ბათუმი უნდა მოვინახულო-მეთქი. — რატომო? — ეს კითხვა აღარ დაუსვამს. იფიქრა — აზრი აღარ აქვსო, ხელი ჩაიქნია... ყველამ იცის, რომ ჩემი საქმის ერთგული ვარ და ალბათ ამიტომაც ვიმსახურებ იმ ნდობას, რომელიც ოჯახში მაქვს.

— აბიტურიენტი შვილი გყავს, ცოტა ხანში შეიძლება გათხოვდეს. გიფიქრია იმაზე, როგორი სიდედრი იქნები?

— ვერ ვიტან მაგ შეკითხვას. ბოლო დროს ამას ხშირად ვისმენ. არც გოგიჩას სიამოვნებს იმის მოსმენა, რომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, მისი შვილი გათხოვდეს. ამბობს — ახლა ვხვდები, სიძე რატომ არის ცუდი ნათესავიო... ჩემი შვილი 17 წლის არის, უყვარს ემინემი, რაღაც სხვა სამყარო აქვს, თუმცა... მე მასზე ერთი წლით უფროსი ვიყავი, როცა გავთხოვდი... არა, არა — რა დროს ჩემი ბებიობაა? ჯერ წინ მაქვს საქმენი საგმირონი.

— ბებიებიც სჩადიან გმირობებს *(იცინიან)*... შენ როგორი დასვენება გიყვარს?

— ბორჯომში ვიყავი შვილებთან ერთად დასასვენებლად წასული. მაგ დროს, ლიკანში იუშჩენკო ჩამოვიდა. თან, ყოველი შემთხვევისთვის, წაღებული მქონდა დიქტოფონი. იქ ჩვენგან (სამსახურიდან) არავინ იყო, ამიტომ, დიქტოფონითა და ჩემი შვილებით დავიძარი „ეპიცენტრისკენ“ და იმდენი ვქენი, „ბორჯომის დეკლარაციის“ გაფორმებას მაინც დავესწარი. ეს არის ჩემი დასვენების ერთ-ერთი ეპიზოდი *(იცინის)*...

— პოლიტიკაში წასვლას ხომ არ აპირებ?

— არასდროს მიფიქრია ამაზე. თუმცა, ხვალ რა მოხდება, არავინ იცის... ■

„გზის“ №29-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით — „თანდაყოლილი ანომალიები“. ამის შემდეგ, რედაქციაში 13 წლის ელენე ქ. დაგვიკავშირდა და საკუთარ პრობლემებზე საუბრის სურვილი გამოთქვა. წელს ელენემ ორი რთული ოპერაცია გაიკეთა — მას კუზის მოსაშორებლად ხერხემალი ჩაუმტვრიეს...

„ნეტავ, ისეთი ქუჩაში როგორ დავდიოდი?..“

გოგონა, რომელმაც ოპერაციის შემდეგ სიმაღლეში მოიმატა

ნინო ჯავახიშვილი

— ერთ ზაფხულს, მე და ჩემი ბიძაშვილები სტუმრად ბებიასთან ჩავედით. ერთ დღეს, მან დედაჩემს უთხრა: ელენიკო ზურგში ძალიან მოხრილია, რაც ძალიან არ მომწონსო და ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, გამუდმებით ექიმებთან სიარული. ვისთან აღარ მიმიყვანეს, ყოველდღე მასაჟს მიკეთებდნენ, ვარჯიშებზეც დავდიოდი, მაგრამ ამაოდ...

— ალბათ, ამის გამო ძალიან ნერვიულობდი, არა?

— სხვათა შორის, ფიზიკური ნაკლის გამო, კომპლექსი არ გამჩენია, ტანსაცმლით მის დამალვას არ ვცდილობდი, პირიქით, მეცვა ისე, როგორც ნებისმიერ ჩემს თანატოლ გოგონას. ახლა რომ დავფიქრდები ხოლმე, მიკვირს — ნეტავ, ისეთი ქუჩაში როგორ დავდიოდი-მეთქი?.. მაგრამ ალბათ, ბედს შევეგუე, თან, ბუნებით ძალზე მხიარული და დამოუკიდებელი ვარ და პრობლემის დაძლევაში ესეც მეხმარებოდა. ვიცნობ ერთ გოგონას, რომელიც თავს უბედურად გრძნობს იმის გამო, რომ კუზიანია, ოპერაციის გაგონებაც კი არ უნდა. ძალიან მეცოდება — თავისებური ხასიათის გოგოა, ნერვიულობა ეგოისტობაში გადასდის, თითქოს ყველაზე ბრაზობს, თანაკლასელებს სულ გვეჩხუბება. თუმცა, მერე თავის საქციელს ნანობს ხოლმე. მე ასეთი არ ვიყავი.

— მაგრამ მაინც გადაწყვიტე ოპერაციის გაკეთება, არა?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ იყო. ამის გამო, ჩემი მშობლები ძალიან ნერვიულობდნენ. ერთხელ გავიგონე, დედა მამას ტირილით ეუბნებოდა: გული მიკვდება, ასეთს რომ ვუყურებ, დედისთვის ამაზე მეტი უბედურება რა უნდა იყოსო? მათ გადაწყვიტეს ოპერაცია გამეკეთებინა და მეც დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა არ იყოს მეშინოდა, ტკივილი არ მეგრძნო., ვფიქრობდი: დავიძინებ და ველარ გავიღვიძებ-მეთქი. ექიმი მამშვიდებდა — ნუ ნერვიულობ, ვერაფერს გაიგებო. ის კი არ უთქვამს, რომ ხერხემალი უნდა ჩაემტვრიათ. 6 თვის მანძილზე 2 ოპერაცია გავიკეთე — პირველი სამსაათ-ნახევარი გრძელდებოდა — რაღაც მეტალი ჩამიდგეს, 6 თვის შემდეგ კი, ამომიღეს. მთელი ამ ხნის მანძილზე, მკერდიდან ფეხებამდე თაბაშირში ვიყავი ჩასმული. პირველი ორი კვირა ძალიან გამიჭირდა, მერე — მივეჩვიე. იცით, ბევრ მოზარდს აქვს მსგავსი პრობლემა. ექიმმა მითხრა: ასეთ ოპერაციას თითქმის ყოველ პარასკევს ვაკეთებთო.

— როგორი იყო პირველი განცდა ოპერაციის შემდეგ, როდესაც საკუთარი თავი დაინახე?

— მახსოვს — ნარკოზიდან გამოსვლა გამიჭირდა, ექიმები რაღაცას მიყვებოდნენ... ნარკოზიდან რომ გამოვედი, მითხრეს: ყველაფერი კარგად დამთავრდაო, — და რეანიმაციაში გადამიყვანეს — ტკივილები მქონდა, მაგრამ ყველაფერს გმირულად გავუძელი. ექიმმა პირველად რომ ამაყენა და სარკეში ჩამახედა, ემოციები ვერ შევიკავე — ტირილი დავიწყე... ვამჩნევ, სიმაღლეში მოვიმატე (კუზი ხომ სიმაღლეში ზრდას აფერხებს), უფრო თავდაჯერებული და ძლიერი გავხდი... მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით, ყველა ჩემს თანატოლს, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვუთხრა — ნუ ჩაიკლავთ გულში დარდს, ნუ დაკომპლექსდებით და ეცადეთ, თქვენს პრობლემებს გაუმკლავდეთ. გყავდეთ ბევრი მეგობარი, საკუთარ თავში არ ჩაიკეტოთ და დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად იქნება!.. ■

კულტურის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც კულტურული ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციას გულისხმობს, მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. მოხალისე სტუდენტები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, არსებული ეკლესია-მონასტრების დასუფთავებითა და სიძველეების შესწავლით არიან დაკავებული. ამავე პროექტში მოხვდა, ბაგრატ მეოთხის ზეობის დროს აგებული, სამთავისის ათასაუკუნოვანი ტაძარი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამარხულმა ისტორიულმა მემკვიდრეობამ ქართველი არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო. მათი ინტერესი კიდევ უფრო გაამძაფრა ტაძრის შესახებ ხალხში მოარულმა ლეგენდამ, რომელსაც ნებისმიერი სამთავისელი სიამოვნებით გიამბობთ.

პირველი პრეცედენტი ქართული არქეოლოგიის ისტორიაში

თამარ მეფის საფლავს სამთავისის ტაძრის ეზოში ეძებენ

ემა ტუხიაშვილი

მართალია, თავისი მონათხრობის დასტურად, წერილობით ცნობებს ვერავინ იშველიებს, მაგრამ სამთავისელებს წინაპართაგან სმენიათ, რომ სამთავისის ტაძარი განსაკუთრებით ჰყვარებია თამარ მეფეს. როგორც ამბობენ, ყოველი მნიშვნელოვანი ბრძოლის წინ, თამარი სწორედ სამთავისის ტაძარში ლოცულობდა და იმ მიდამოებში არაერთხელ განულაგებია თავისი ლაშქარი. სამთავისელები დარწმუნებულნი არიან, რომ თამარ მეფე სწორედ მათი სოფლის ტაძრის ეზოშია დაკრძალული და ამ აზრის განსამტკიცებლად, კიდევ ერთ ამბავს ჰყვებიან: წლების წინ, ერთი სოფელი ღარიბ-ღატაკი კაცი ნათხოვარი ურმით ტყეში ფიჩხზე წასულა. როდესაც დაღლილ-დაქანცული





აღმოვაჩინეთ სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკული ნივთები

ბრუნდებოდა, ტაძრის მახლობლად მიწაში რაღაც ბრჭყვიალა საგანი შეუნიშნავს. დაღლილ ბერიკაცს უფიქრია: სიცა მაქვს გამოცლილი და დაღლილი თვალი მატყუებსო. ამიტომ ნათხოვარი ხარ-კამეჩის დროულად დაბრუნება გადაუწყვეტია და ბრჭყვიალა საგანს ახლოსაც არ გაჰკარებია. მაგრამ ძილშიც კი არ ასვენებდა მოხუცებულს იმაზე ფიქრი, მოეჩვენა, თუ მართლაც განძი იყო დამარხული ტაძრის მახლობლად. როგორც ამბობენ, გარიჟრაჟზევე წასულა ბერიკაცი თავისი ეჭვების გასაქარწყლებლად, ოქროს ცხვარი უნახავს და მიწიდან ამოუთხრია. ამ უკანასკნელ დეტალზე კი დღესაც კამათობენ სამთავისელები: ზოგი ირწმუნება, რომ ბერიკაცმა სწორედ ოქროს საწმისს მიაგნო, სხვები კი ამბობენ, რომ მან ყულაბის მაგვარი ნივთი იპოვა — ოქროს ცხვარი, რომელიც ოქროს მონეტებით იყო სავსე. ასე იყო თუ ისე, ბერიკაცს თავისი აღმოჩენის შესახებ არავისთვის გაუმხელია და ნაწილ-ნაწილ გაუყიდია განძი, რათა შთამომავლობისთვის მომავალი უზრუნველეყო. მხოლოდ ერთხელ, ისიც შეზარხოშებულს წამოსცდენია თანასოფლელებთან, თავისი უცაბედი გამდიდრების მიზეზი და მოარული ხმების საბაბიც ეს გამხდარა. ამიტომაც, დიდი ყურადღებით აკვირდებიან სამთავისელები ტაძრის ეზოში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებს და სჯერათ, რომ უდიდესი განძი სწორედ თამარ მეფის საფლავთან ერთად იქნება ნაპოვნი.

იროდი მირცხულავა, *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი:*

— სტუდენტების 11-კაციანი ჯგუფი სამთავისში კლუბ „ტაძრისა“ და კულტურის სამინისტროს პროგრამით ვიმყოფებით. ეს პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების დასაქმებას საველე პირობებში, ეკლესია-მონასტრების დასუფთავებას და მსგავს საქველმოქმედო საქმიანობას. თავდაპირველად, სამთავისში იმ მიზნით ჩამოვედით, რომ ტაძრის ეზო უნდა დაგვესუფთავებინა, მაგრამ შემდეგ, არქეოლოგიური გათხრების წარმოება გადაწყდა და ჩვენც ჩავებით ამ საქმიანობაში. პროფესიით არქეოლოგები გახლავართ, ამიტომ კულტურის სამინისტროს თანხმობით, ეზოს ტერიტორიაზე 12 კვადრატული მეტრი ფართობი გამოგვიყვეს და ამ ადგილას აღმოჩენილი ყოველი ისტორიული ნაშთი ჩვენი სტუდენტური ჯგუფის დამსახურებად ჩაითვლება. მუშაობას დილის 6 საათზე ვიწყებთ და ცხელი ამინდების გამო, იძულებული ვართ, დღის პირველ საათზე შევწყვიტოთ. ყოველი ახალი დღის დადგომას დიდი მღელვარებით ვხვდებით, რადგან გვგონია, თამარ მეფის საფლავი სწორედ აქ, ჩვენს სამუშაო პერიმეტრზე იქნება აღმოჩენილი.

— ეი. მთელი ეს სამუშაოები, იდუმალებით მოცული საფლავის აღმოსაჩენადაა გამიზნული?

— ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი კულტურული ფენაა აღმოჩენილი, რაც არქეოლოგიის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა. ჯერ ერთი, სამთავისის ტაძარი ერთ-ერთი უძველესი კულტურული ძეგლია, მისი მშენებლობა 1027 წელს, გიორგი პირველის მეფობის დროს დაიწყო და ბაგრატ მეოთხის ზეობისას — 1030 წელს დასრულდა. მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ ქალაქური ტიპის პატარა დასახლება ტაძრის ტერიტორიაზე გაცილებით ადრე — უკვე V საუკუნეში არსებობდა. ლეგენდის თანახმად, 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, ისიდორე სამთავისელი ქადაგებდა ამ ტერიტორიაზე ქრისტიანობას და აქვე იქნა დაკრძალულიო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია თონე, რომლის კერამიკის სიძველეც ბადებს ეჭვს, რომ ის შესაძლოა, სწორედ ძველი ნაქალაქარის დასტური აღმოჩნდეს. არქეოლოგიური გათხრების დროს, გამოჩნდა ქვით ნაშენი კედლები, რომლებიც სხვადასხვა კულტურულ ფენას მიეკუთვნება. პროექტის თანახმად, აქ ნაპოვნი ყველა ნაშთის აღდგენა, მისთვის პირველადი სახის დაბრუნება მოხდება და 2-3 წელიწადში, აქ მოსული მომლოცველი, რამდენიმე საუკუნის მიჯნაზე აღმოჩნდება. ეს გახლავთ პროექტის ძირითადი მიზანი. რაც შეეხება თამარ მეფის საფლავის პოვნის პერსპექტივას — არც ესაა რეალობისგან შორს. ჯერ ერთი, თამარ მეფის მმართველობის პერიოდში, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ეკლესია-მონასტერი არსებობდა, რომელიც დიდი მონარქის განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა და შეიძლებოდა, რომ გარდაცვალების შემდეგ იქ მოესურვებინა დაკრძალვა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ასეთია სვეტიცხოველი, მაგრამ იმის გამო, რომ მეფის საფლავის ძიებას სწორედ იქიდან დაიწყებდნენ, შერჩეული იქნებოდა ნაკლებად თვალში საცემი ტერიტორია. ამ მოსაზრებას ხალხში არსებული ლეგენდაც ამყარებს, რაშიც შესაძლოა, მართლაც იყოს სიმართლის მარცვალი. ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ინტერესით აკვირდება მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებს, დახმარებასაც გვთავაზობენ, მაგრამ ყოველი ახალი ნაშთის აღმოჩენა, პროფესიონალურ მიდგომას მოითხოვს, ამიტომ იძულებული ვართ, მათ დახმარებაზე უარი ვთქვათ.

— მანამ, სანამ თამარ მეფის საფლავს მიაგნებდეთ, უკვე აღმოჩენილი ნაშთების შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— ჩვენს პერიმეტრზე უნდა შევისწავლოთ ოთხი არქეოლოგიური ფენა. დღეისათვის უკვე ჩავედით XV საუკუნის კულტურულ ფენამდე და აღმოვაჩინეთ სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკული ნივთები, ასევე აღმოვაჩინეთ 3 მამაკაცისა და ერთი შუახნის ქალის სამარხი. სხვათა შორის, ერთ-ერთ მათგანში ჩატანებული იყო ხარის თავი, რაც პირველი პრეცედენტია ქართული არქეოლოგიის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ სამთავისის ტაძრის ეზოს ტერიტორიაზე ასევე ნაპოვნია უძველესი ზეთის სახდელი მოწყობილობა, ლოდები, რომლებიც მოძრაობაში პირუტყვის დახმარებით მოჰყავდათ. უფრო ზუსტი და მრავალფეროვანი ინფორმაცია ახალაღმოჩენილი ნაშთების შესახებ, სპეციალური სამეცნიერო შესწავლის შემდეგ, რამდენიმე თვეში გვექნება. ვფიქრობთ, არქეოლოგიური გათხრები მომავალ ზაფხულსაც გაგრძელდება და ყველაზე საინტერესო ჯერ კიდევ წინ გველის. მანამდე კი, ყოველი მცირედი აღმოჩენითაც კი ვხარობთ და თავს შლიმანს ვადარებთ, რომელმაც ტროა აღმოაჩინა. ■

თამარ მეფის საფლავი სწორედ აქ, ჩვენს სამუშაო პერიმეტრზე იქნება აღმოჩენილი

წელს თბილისში, საცურაო სეზონი უბედური შემთხვევებით დაიწყო. ჯერ იყო და, კუს ტბაზე ბავშვი დაიხრჩო, შემდეგ კი, თვითონ მაშველი დაჭრეს და ა.შ. თუ რა პირობებში უხდებათ ჩვენს მაშველებს მუშაობა, დაცულია თუ არა იქ მისული ადამიანი და როგორია ხალხის დამოკიდებულება მათდამი? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად, კუს ტბის საგუშაგოს სამაშველო რაზმის უფროსს — ზვიად ხარზიანს და მყვინთავ-მაშველს — ვლადიმერ პარაფილოვს გავესაუბრე.

ფსკერზე დაჟეჟული ადამიანები, ცრუბანგები, ეუვინთავი ქალები და რისკიანი საქმე

მარეხ ჭონიშვილი

ზვიადი:

— სოხუმელი ვარ და ცურვა ზღვაზე ვისწავლე. უკვე 6 წელია, რაც კუს ტბაზე მაშველად ვმუშაობ. მიმაჩნია, რომ ძალიან რისკიანი, მაგრამ კეთილშობილური საქმეა.

ვლადიმერი:

— ფიზკულტურის ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული და ერთ დროს, მყვინთავთა ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, მაგრამ ვინაიდან სპორტის ეს სახეობა საქართველოში 1992 წლიდან ფაქტობრივად, აღარ არსებობს, სხვადასხვა ადგილას ვმუშაობდი...

— ამჟამად, კუს ტბაზე სულ რამდენი მაშველია?

ზვიადი:

— სულ 4 მაშველი გვყავს, მაგრამ ვაპირებთ, რამდენიმე კიდევ დავამატოთ, რადგან 4 კაცი საკმარისი ნამდვილად არ არის: ღამითაც გვიწევს მორიგეობა და ძალიან დამღლელი სამუშაოა... საერთოდ, მაშველები რამდენიმე კატეგორიად იყოფიან: გვყავს მოტორისტი, რომელსაც კატერი ყოველთვის მზადყოფნაში უნდა ჰყავდეს; მცურავი-მაშველი, რომლის ფუნქციაა, სანამ ადამიანი ჩაიძირება, მანამდე დაეხმაროს და ბოლოს — მყვინთავი-მაშველი.

— არის თუ არა თბილისში სკოლა, სადაც მაშველებს ამზადებენ?

— ასეთი სკოლა ადრე გვქონდა, მაგრამ არეულობა რომ დაიწყო, დაიშალა და აღარ ფუნქციონირებს. ამჟამად, სახანძრო, ხმელეთისა და წყლის სამაშველო სამსახურები გააერთიანეს და მერიის დაქვემდებარებაში გადაიყვანეს. ახლა მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ყველაფერი ჩამოყალიბდება — იქნება სასწავლო ცენტრიც, სადაც მაშველებს მოამზადებენ და ყველა ნორმატივის ჩაბარება მოხდება.

ვლადიმერი:

— ვფიქრობ, რომ ასეთი სკოლა რაც უფრო მალე გვექნება, მით უკეთესი. არ ვიცი, ახლა რა პრინციპით იღებენ და არჩევენ მაშველებს, მაგრამ ჩემს დროს ასე იყო — დამიბარეს და მკითხეს: კარგად იცი ცურვა? მყვინთავი ხარ? და როცა დადებითი პასუხი მიიღეს, ამის შემდეგ შემამოწმეს. ყველა ნორმატივი ჩავაბარე და მუშაობაც დავიწყე. ადამიანმა, რომელსაც მაშველობის სურვილი აქვს, აუცილებლად უნდა გაიაროს პროფესიონალური მომზადება, რადგან მარტო ცურვის ცოდნა ამ საქმეში საკმარისი არ არის. ადამიანი, რომელიც იხრჩობა — განწირულია და მაშველს ჭიდაობას უწყებს. ამიტომ, თუ არ იცი, ამ დროს როგორ უნდა იმოქმედო, როგორ უნდა ამოიყვანო ის წყლიდან, შეიძლება, შენც დაგახრჩოს.

— ალბათ, ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაგირჩენიათ, არა?

ზვიადი:

— 6 წლის განმავლობაში, კუს ტბაზე 150-მდე ადამიანი გვყავს გადარჩენილი. სტატისტიკისთვის სიას ვადგენთ, სადაც გადარჩენილთა სახელები, გვარები და მისამართებია მითითებული. მაშველს ადამიანის გადასარჩენად სულ 3 წუთი აქვს, ამ დროის განმავლობაში თუ ვერ უშველე, მერე ტვინის უჯრედები კვდება და ადამიანი იღუპება.

ვლადიმერი:

— ბევრი გადამირჩენია, მაგრამ მათი რიცხვი არ დამითვლია. ჩვენი საქმე და მოწოდებაა, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ჩვენ ამას ვაკეთებთ კიდეც. თუმცა, ზოგი გადარჩენის ღირსი არაა, მაგრამ როცა იხრჩობა, წყალში მაინც უნდა ჩახტე და დაეხმარო... სიმართლე გითხრათ, ასეთი ადამიანის გადარჩენა არ მიხარია — მისთვის სიცოცხლეს სწირავ, ამოიყვან და მერე, ან შენ გაგიყრის დანას, ან შენს მეგობარს... ზოგი მართლა არაა სიცოცხლის ღირსი, მაგრამ როცა კაცი ფსკერზეა, ჩაყვინთავ, ამოიყვან და მას სიცოცხლეს აჩუქებ — ამას რა სჯობია?!.

ზვიადი:

— საღამოობით სახიფათო სიტუაცია ძალიან ხშირია, რადგან ამოდიან ნასვამები, უნდათ ცურვა, ნავებით სეირნობა. ჩვენ მათ ვაფრთხილებთ, ვეუბნებით — უკვე ბნელა და წყალში შესვლა არ შეიძლებათქო. ჩვენი თუ არ დაიჯერა, მერე საქმეში დაცვა და პატრული ერთვებიან. ამ რამდენიმე კვირის წინ, ერთ-ერთმა მაშველმა საღამოს ამოსულ ადამიანებს სთხოვა — წყალში ნუ შეხვალთ, ძალიან ბნელაო. მათ არ დაუჯერეს და შელაპარაკება მოუხდათ, ცოტა ხანში კი, ჩვენს მეგობარს დანა გულში გაუყარეს. ასეთი შემთხვევისგან არც ერთი მაშველი არაა დაზღვეული.

— აქ მოსული დამსვენებლების დამოკიდებულება თქვენდამი როგორია?

— ზოგი გვიჯერებს და ჩვენს ნათქვამს ითვალისწინებს, ზოგი — არა. მოსახლეობის მიმართ ჩვენი თხოვნა იქნება, რომ დაემორჩილონ ჩვენს მითითებებს, ისევ და ისევ მათივე უსაფრთხოებისთვის, თორემ, ჩვენ სხვა ინტერესი არ გაგვაჩნია.

— თქვენთან მაშველებად გოგონები თუ მუშაობენ?

— ხომ იცით, სერიალი — „მაშველები“?.. ძალიან კარგი იქნება, ჩვენც რომ ეგეთი ლამაზი მაშველები გვყავდეს, მაგრამ არც ჩვენთან და არც თბილისის ზღვაზე, სამწუხაროდ, ასეთი ლამაზმანები არ არიან.

ვლადიმერი:

— ადრე გვყავდა ქართველი მყვინთავი ქალები, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა საქართველოდან წასულები არიან და საზღვარგარეთ მწვრთნელებად მუშაობენ.

— კარგ მაშველს ცურვის გარდა, კიდევ რა მოეთხოვება?

— პირველ რიგში, მაშველი უნდა იყოს უშიშარი, ადამიანის გადასარჩენად ყველაფერი რომ გააკეთოს. დანარჩენს კი — რა წონის იქნება, რა სქესის ან რა ასაკის, — მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, 75 წლის ასაკში მაშველად ვეღარ იმუშავებ, მაგრამ ადამიანს რაც მეტი გამოცდილება და პრაქტიკა აქვს, თავის საქმეს მით უფრო კარგად აკეთებს.

— რაიმე კურიოზულ სიტუაციაში ხომ არ აღმოჩენილხართ?

ზვიადი:

— კურიოზული და სასაცილო არაფერი ხდება იმიტომ, რომ აქ ყველაფერი ადამიანის სიცოცხლესთანაა დაკავშირებული... თუმცა, ბევრჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა: ყვირიან — გვიშველეთ, გვიშველეთო, — ადამიანის დასახმარებლად გაიქცევი და აღმოჩნდება, რომ მოგატყუეს, მერე კი ამაზე იმდენს იცინიან, რომ ლამის გული მისდით. ასეთ სიტუაციაში ჩვენ სულაც არ გვეცინება, იმიტომ, რომ როცა ვიღაც ცრუგანგაშს ტეხს, ზუსტად იმ დროს, შეიძლება, სხვას მართლა სჭირდებოდეს დახმარება და ვერ დაეხმარო.

— თუ გახსოვთ — პირველად სიკვდილისგან ვინ იხსენით?

— პირველად ვინ გადავარჩინე, არ მახსოვს, მაგრამ აქ მუშაობა რომ დავიწყე, დახრჩობისგან უცხოელი მამა-შვილი ვიხსენი — რაღაც ბანკეტი ჰქონდათ და საქეიფოდ იყვნენ ამოსულები.

— როდესაც ადამიანის გადარჩენად წყალში შედიხართ, შიშის გრძნობა არ გეუფლებათ?

— ვისაც წყლის ეშინია, მაშველი ვერ გახდება. შეიძლება, ახალბედას რაღაც მომენტში შეეშინდეს კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს პასუხისმგებლობის აღების შიში უფრო იქნება...

— როგორ ფიქრობთ — საქართველოში თქვენი საქმიანობა დაფასებულია?

— ძალიან რთული სამუშაოა, მთელი დღე უნდა იდგე და ყველა იმ ადამიანს უყურო, ვინც წყალშია. ზოგი რომ ჩაყვინთავს, შენ ნაპირზე დგახარ და გულისფანცქალით ელოდები — ამოყვინთავს თუ არა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი საქმე უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული.

■

რობაქიძის საქმეზე სასამართლომ შს სამინისტროდან უფნაური პასუხი მიიღო

„საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს“, — აცხადებენ მოკლულის ოჯახის წევრები.

19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, საპატრულო პოლიციის ყოფილი თანამშრომლის — გრიგოლ ბაშალეიშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება. პროცესზე მოწმეების დაკითხვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ამირან რობაქიძე 2004 წლის 23 ნოემბერს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაიღუპა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ტყვია მისი მიმართულებით, გაუფრთხილებლობით, ყოფილმა პატრულმა — ბაშალეიშვილმა ისროლა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ორივე თირკმლისა და აორტის დაზიანების შედეგად, რობაქიძე ადგილზევე გარდაიცვალა.

დაზარალებული მხარის ადვოკატის — ალექსანდრე ალადაშვილის თქმით, მოწმეების დაკითხვა ჯერ კიდევ წინა სხდომაზე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სასამართლოს ამის საშუალება არ მიეცა.

ალექსანდრე ალადაშვილი:

„პროცესზე უნდა გარკვეულიყო, 2004 წლის 23 ნოემბერს, შემთხვევის ადგილზე ავტომანქანით მისულ ბაშალეიშვილს ტელეგადაცემა „პატრულის“ რომელი გადამღები ჯგუფი ახლდა თან. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად სასამართლომ წერილობით მიმართა შს სამინისტროს, მაგრამ იქიდან მოსამართლემ სრულიად არაადეკვატური პასუხი მიიღო. შს სამინისტროდან მას რატომღაც, ზემოთ აღნიშნული წერილის პასუხად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის შესახებ „აცნობეს“ — შემთხვევის დღეს ბაშალეიშვილს თანამეწყვილე — ლობჟანიძე ახლდა თანო. გადამღები ჯგუფის წევრთა შესახებ კი შს სამინისტროს „პასუხში“ არაფერია ნათქვამი“.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ამირან რობაქიძეს ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც საქმეში ფიგურირებს, სინადვილეში არ ჰქონია და ამის დამამტკიცებელი ვიდეომასალაც არსებობს. ეს კადრები სწორედ ბაშალეიშვილთან ერთად შემთხვევის ადგილზე მისულმა ჟურნალისტებმა გადაიღეს. სწორედ ამ ჟურნალისტების ვინაობის დადგენას მოითხოვს ახლა დაზარალებული მხარე და მისი ადვოკატი. მოსამართლის მიმართვაზე შს სამინისტროს უცნაური პასუხის გამო, სასამართლო პროცესი გადაიდო.

ალექსანდრე ალადაშვილი:

„ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს: სახეზეა აშკარა მცდელობა იმისა, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება არ დადგინდეს. შს სამინისტრო ამგვარი, თავისებური მეთოდებით რთული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. მაგრამ საქმის გაყალბების გამო, საბოლოოდ, ეს უწყება მართლაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება“.

სასამართლო პროცესის პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ. მაგალითად, ფართომასშტაბიანი აქციის მოწყობას აპირებენ *„თავისუფლების ინსტიტუტის“* წევრები. *მათ მიაჩნიათ, რომ სამართალდამცველებმა რობაქიძის საქმის გამოძიების პროცესში უამრავი უკანონობა და გაყალბება დაუშვეს. „ყველა ამ დარღვევას ვაპროტესტებთ და მოვითხოვთ, ბოლოს და ბოლოს, გამოვლინდეს ყველა ის დამნაშავე პირი, რომელსაც სრულიად ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობასთან აქვს კავშირი. აშკარად იკვეთება შს სამინისტროს პოზიცია და მცდელობა, დამალოს რეალური ვითარება, ხელი დააფაროს დამნაშავეს და მას ჩადენილი დანაშაულისთვის დამსახურებული, კანონით გათვალისწინებული სასჯელი როგორმე აარიდოს ან შეუმსუბუქოს“*, — აცხადებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი წევრი — **ლაშა ჩხარტიშვილი**.

სასამართლო სხდომების დასწრებაზე უარს აცხადებენ მოკლულის ოჯახის წევრებიც. დაზარალებული მხარე აცხადებს, რომ საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს. მოკლულის ნათესავების თქმით, საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად მოსამართლეს ჯერ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რაც მის მიკერძოებაზე მეტყველებს.

■

„...დანის დარტყმა მაინც მოასწრო...“

„მერსედესის“ მძღოლი ცოლ-ქმრის მიერ დაგეგმილმა ყაჩაღობამ დააზარალა

ნ-კაციანი ყაჩაღური ჯგუფი სასამართლოს წინაშე გასული წლის ზაფხულში ჩადენილი დანაშაულის გამო წარდგა. პროცესზე არც ერთმა განსასჯელმა თავი დამნაშავედ არ ცნო, თუმცა ჩადენილ დანაშაულში მათ დაზარალებული ამხელდა და თითოეული მათგანის მკაცრად დასჯას მოითხოვდა. პროკურატურის წარმომადგენლის თქმით, დაზარალებულის ჩვენების გარდა, საქმეში არსებობდა უტყუარი მტკიცებულებებიც, რომლებიც დაკავებული პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე აშკარად მეტყველებდა.

გელა ბაძაღუა — დაბადებული 1976 წელს, აფხაზეთიდან ლტოლვილი, საშუალო განათლების მქონე, უცოლშვილო, წარსულში ნასამართლევი. დანაშაულის ჩადენის მომენტში ის ქალაქ ქუთაისში ცხოვრობდა.

მამუკა ქარდავა — დაბადებული 1977 წელს, აფხაზეთიდან ლტოლვილი, საშუალო განათლების მქონე, ცოლშვილიანი, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. დანაშაულის ჩადენის მომენტში ქალაქ წყალტუბოში ცხოვრობდა.

გოჩა კუხიანიძე — დაბადებული 1970 წელს, ზესტაფონელი, საშუალო განათლების მქონე, ცოლშვილიანი, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, დანაშაულის ჩადენის მომენტში ცხოვრობდა ზესტაფონში.

სწორედ ეს სამი განსასჯელი წარდგა სასამართლოს წინაშე, როგორც ყაჩაღური დაჯგუფების ლიდერი და ჯგუფის მიერ განხორციელებული დანაშაულების ორგანიზატორი. თუმცა, მათ გარდა ბანდაში კიდევ სამი წევრი, მათ შორის ერთი ქალი შედიოდა, ხოლო ერთის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ზემოთ დასახელებული პირების გვერდით განსასჯელთა სკამებზე გივი ბანძელაძე და მისი მეუღლე — ქეთევან პავლიაშვილიც აღმოჩნდნენ.

პროკურატურამ ხუთივე პირს სამი სხვადასხვა მუხლით წაუყენა ბრალი. მათ არაერთგზის, ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილ ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში, ტარებასა და გადაზიდვაში, აგრეთვე, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენასა და გადაზიდვაში ადანაშაულებდნენ.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბოროტმოქმედები ძირითადად, დედაქალაქში მოქმედებდნენ. ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომლის შესახებაც საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ, სწორედ თბილისში დაიგეგმა, ქუთაისის მახლობლად კი განხორციელდა.

მანამდე, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ბაძაღუამ, რომელსაც ყაჩაღური დაჯგუფების ჩამოყალიბების იდეა გაუჩნდა, თანამოაზრეების მოზიდვის შემდეგ, ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით მათ აღჭურვაზე დაიწყო ზრუნვა. სწორედ ამ მიზნით, ის თავის ნაცნობს — იარაღით მოვაჭრეს დაუკავშირდა და შეხვედრაზეც შეუთანხმდა. შეხვედრა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დათქვეს. იმ დღეს ბაძაღუამ „კალაშნიკოვის“ სისტემის 5,45-კალიბრიანი ავტომატი, შესაბამისი ვაზნები და ორი ცალი ხელყუმბარა — „ფ-1“ და „რგ-42“ შეიძინა. 16-კალიბრიანი გადაჭრილი სანადირო თოფი მას უკვე ნაყიდი ჰქონდა. თოფთან ერთად, ახალშეძენილი იარაღი და საბრძოლო მასალა ბაძაღუამ ჯგუფის წევრებს გადასცა. მალე არსენალს 9-კალიბრიანი საფანტის პისტოლეტიც შეემატა.

საბრალდებო დასკვნაში აღწერილი დანაშაულის ეპიზოდი ავტომანქანის გატაცებას ეხება. სამართალდამცველების თქმით, ჯგუფი ძირითადად, სწორედ ამ სახის დანაშაულზე იყო ორიენტირებული. ბოროტმოქმედები წინასწარ აგროვებდნენ ცნობებს ძვირად ღირებული, უცხოური მარკის ავტომანქანების მფლობელების შესახებ, შერჩეულ ობიექტს მათთვის შესაფერის და ხელსაყრელ ადგილას უსაფრდებოდნენ და იარაღის მუქარით მანქანას ართმევდნენ. დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში, ისინი ძალადობას მიმართავდნენ.

გასული წლის ივნისში, თბილისში, მეტროს სადგურ „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დილის საათებში, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი (რომლის ვინაობაც გამოძიებით დაუდგენელია) იქვე გაჩერებული წითელი „მერსედესის“ მძღოლს გამოელაპარაკა. უთხრა, რომ მის ნაცნობ ცოლ-ქმარს მოულოდნელად რაიონიდან დაურეკეს და სასწრაფოდ ჩასვლა სთხოვეს. *„200 ლარს გადაგიხდით და თუ დრო გაქვს, იქნებ, ჩაიყვანო ქუთაისამდეო, მთხოვა. თავდაპირველად, შევყოყმანდი, მაგრამ ის ახალგაზრდა იმდენად დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მის სიტყვებში ეჭვი არ შემიტანია. ყველაზე მეტად ჩემს გადაწყვეტილებაზე იმან იმოქმედა, რომ გამგზავრებას ცოლ-ქმარი აპირებდა. ვიფიქრე, ალბათ, მართლაც ძალიან უჭირთ რაღაც, თანაც ქალბატონი მოდის და საშიში რა უნდა იყოს-მეთქი? იმ პერიოდში, ფულიც, ძალიან მჭირდებოდა და დავთანხმდი“,* — ჰყვებოდა სასამართლოში დაზარალებული.

მძღოლთან შეთანხმების შემდეგ, დაახლოებით ნახევარ საათში, გივი ბანძელაძე და ქეთევან პავლიაშვილიც გამოჩნდნენ. „მერსედესში“ მოთავსდნენ და დასავლეთისკენ გაემგზავრნენ. ქუთაისს რომ მიუახლოვდნენ, ბანძელაძემ მობილური ტელეფონი ამოიღო და ყაჩაღური ჯგუფის ლიდერის — ბაძაღუას ნომერი აკრიბა. აცნობა მას, ზუსტად რა ადგილზე იმყოფებოდა და საბოლოო შეხვედრის დროზეც შეუთანხმდა. ბანძელაძემ ცოლს ხმამაღლა უთხრა, რომ წყალტუბოს ზონის ერთ-ერთ სოფელში უნდა ჩასულიყვნენ. მაშინ პავლიაშვილმა მძღოლს — თენგიზ მამარდაშვილს მიმართა: დაპირებულ თანხაზე ცოტას კიდევ დაგიმატებთ, სანაცვლოდ კი, სოფელ ფარცხანაყანებში ჩაგვიყვანეო. მძღოლიც დათანხმდა. გზაზე მითითებებს, თუ საით უნდა წასულიყო, ის პავლიაშვილისგან იღებდა.

სწორედ ამ ქალბატონის მითითებით, მამარდაშვილმა გზიდან გადაუხვია და „თურქი მესხების“ დასახლებისკენ წავიდა. მძღოლი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ იქიდან დაახლოებით 500 მეტრში, მას დიდი ხანია, ჩასაფრებული ყაჩაღები ელოდნენ. ზუსტად იმ ადგილას, სადაც ავტომატითა და პისტოლეტით შეიარაღებული ბოროტმოქმედები იყვნენ ჩასაფრებულნი, პავლიაშვილმა მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვა, თითქოსდა გზის შესაკითხად. მგზავრების მიმართ ნდობით განწყობილმა მამარდაშვილმა ავტომანქანა მაშინვე შეაჩერა.

იმავე წამს, ტრასაზე ავტომატმომარჯვებული ბაძაღუა და დანით შეიარაღებული ქარდავა გამოჩნდნენ. ისინი წინ გადაუდგნენ მანქანას და მძღოლს იქიდან გადმოსვლა უბრძანეს. მამარდაშვილი მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და გადმოსვლის ნაცვლად, მანქანა ისევ დაძრა. შეეცადა ბოროტმოქმედებს დასხლტომოდა, მაგრამ ვერ შეძლო. გვერდით სავარძელზე მჯდომმა ბანძელაძემ მას მკლავში წაავლო ხელი და საჭის მართვის საშუალება არ მისცა.

„ჩემთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ ამდენი საათის განმავლობაში, მანქანაში თურმე მგზავრები კი არა, ყაჩაღები მესხდნენ. რაღაც წამებში გავიაზრე ყველაფერი და მივხვდი, რომ ვეღარაფერს გავხდებოდი. სწორედ ამ მომენტში, ბანძელაძის ხელში დანამაც გაიელვა. ხელის მოქნევით შევეცადე, მისთვის წინააღმდეგობა გამეწია, მაგრამ მან დანის დარტყმა მაინც მოასწრო. ტკივილი ბარძაყის არეში ვიგრძენი“, — წერს ჩვენებაში დაზარალებული. ბანძელაძის მიერ დანის დარტყმის შედეგად მან სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. ჭრილობამ მძღოლს მანქანის მართვაში ხელი შეუშალა. მამარდაშვილმა საერთოდ დაკარგა მართვის უნარი, საჭე ვერ დაიმორჩილა, ტრასას ასცდა და ხეს შეეჯახა.

დაზარალებული მანქანიდან გადავიდა და თავს გაქცევით უშველა. ბოროტმო-

ქმედები კი მის კუთვნილ ავტომანქანაში მოთავსდნენ და გზა ზუგდიდის მიმართულებით განაგრძეს.

როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, გატაცებული, 12 ათას დოლარად ღირებული ავტომანქანა მათ იმავე დღეს, მდინარე ენგურთან 800 დოლარად მიჰყიდეს აფხაზებს. მყიდველების ვინაობა გამოძიებით დაუდგენელია. გადამალეს ცეცხლსასროლი იარაღიც. ბაძაღუამ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იარაღი წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები თავისი ნაცნობის სახლში შეინახა. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას ავტომატი და საფანტის პისტოლეტი, ასევე დანა სწორედ იმ სახლიდან ამოიღეს.

აღნიშნული ყაჩაღობის გარდა, დაჯგუფების წევრებს ნარკოტიკული ნივთიერების — მარიხუანის შეძენასა და გადაზიდვაშიც დასდეს ბრალი. საქმის მასალების მიხედვით, ნარკოტიკებს კუხიანიძე თავის საცხოვრებელ სახლში, საძინებელ ოთახში ინახავდა. ლაპარაკია 5,8 გრამ მარიხუანაზე, რომელიც იქ ჩატარებული ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა „ფ-1“ და „რგ-42“ ტიპის ხელყუმბარებთან, ასევე საბრძოლო მასალასთან ერთად ამოიღეს.

დაკავებულებმა პროკურატურას აღიარებითი ჩვენებები მისცეს, მაგრამ მოგვიანებით, სასამართლოში ყველაფერი უარყვეს და ჩადენილი დანაშაულის დეტალების ნაცვლად, პოლიციელთა და პროკურატურის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე აღაპარაკდნენ. აღიარების მისაღებად, სამართალდამცველთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას შესაძლოა, მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ სასამართლო გამოძიების შედეგად აღნიშნული ფაქტი რომ დადასტურებულიყო კიდეც, განსასჯელთა პოზიციას ეს დამაჯერებლობას მაინც ვერ შეჰმატებდა. ყველაზე მეტი კითხვა და ეჭვი განსასჯელთა მიმართ სწორედ მათ მიერ ჩვენებების მიცემისას გაჩნდა. ჩვენებები შეუთანხმებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ყოველივე ამასთან ერთად, მათ ხელს ადებდა დაზარალებულიც. აღსანიშნავია, რომ ყაჩაღები ნიღბებაფარებულნი არ ყოფილან.

ძეთევან პავლიაშვილი სასამართლოს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სთხოვდა. ერთ-ერთ ჩვენებაში ის წერს: „მართალია, *ყაჩაღობაში მონაწილე პირებთან შეხება მქონდა, მაგრამ მათთან მხოლოდ ნაცნობობა მაკავშირებს და სხვა არაფერი. იმ დღეს არაფერი ვიცოდი დაგეგმილი ყაჩაღობის შესახებ და არავის დაყაჩაღება პირადად მე არ მნდომებია...*“

სასამართლომ მომხდარ დანაშაულში პავლიაშვილის თანამონაწილეობა დაზარალებულის და თავად განსასაჯელთა მამხილებელი ჩვენებების საფუძველზე, დადასტურებულად ცნო. ჩადენილი დანაშაულისთვის ის ისევე დასაჯეს, როგორც ჯგუფის სხვა წევრები. რაიონულმა სასამართლომ განსასჯელებს 6 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათგან ყველაზე მკაცრი სასჯელი, როგორც ჯგუფის ლიდერს, ბაძაღუას ერგო. მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. მსჯავრდებულებმა განაჩენი ზემდგომ ინსტანციებშიც გაასაჩივრეს, მაგრამ მათი პოზიცია არც იქ გაიზიარეს. ■

ღრმად მოხუცმა მეზობელი ახალგაზრდა თოფით გამოასალმა სიცოცხლეს

პროკურატურამ მას კიდევ სამი ახალგაზრდის მკვლელობის მცდელობაში დასდო ბრალი

74 წლის მოხუცი — გაიოზ ლასურაშვილი (გვარები შეცვლილია) სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით დასაჯა. სასჯელს, რომელიც მას 19 წლის ახალგაზრდის განზრახ მკვლელობისთვის შეუფარდეს, მსჯავრდებული მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის. საქმის მასალების მიხედვით, მოხუცმა მეზობლად მცხოვრები ირაკლი კავსაძე სანადირო თოფიდან გასროლის შედეგად მოკლა. პროკურატურა აცხადებს, რომ ლასურაშვილმა მკვლელობა წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. თუმცა, ამას გარდა მას კიდევ სამი ახალგაზრდის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში, მკვლელობის მცდელობაში დასდეს ბრალი.

საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი დეკემბრის ერთ საღამოს, დაახლოებით 8-ის ნახევრისთვის მოხდა. ლასურაშვილის თანასოფლელმა ახალგაზრდა ბიჭებმა მოხუცთან გახუმრება გადაწყვიტეს და ამის თაობაზე წინასწარ მოილაპარაკეს კიდევაც. მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ იფიქრებდა, თუ ეს ხუმრობა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა. ჩანაფიქრის განხორციელებისას, თურმე ყველაზე მეტად სწორედ ის აქტიურობდა, რომლის სიცოცხლეც მთელ ამ საბედისწერო მხიარულებას შეეწირა. ეს ირაკლი კავსაძე გახლდათ. მან მეგობრებს, მოხუცის გაშაყირების მიზნით, ლასურაშვილის ეზოში ხმოვანი მაშხალების გადაყრა და მათი აფეთქება შესთავაზა. მაშხალები ახალგაზრდებმა ღობიდან ეზოში გადაყარეს და იმ ადგილს გაშორდნენ.

ბიჭების მოქმედებამ გაიოზ ლასურაშვილი იმ დონეზე გააღიზიანა, რომ სიბრაზისგან წონასწორობადაკარგულმა კედელზე დაკიდებულ, 16 მმ კალიბრიან, სანადირო თოფს დაავლო ხელი. იარაღმომარჯვებული ლასურაშვილი ეზოში გავარდა და გლუვლულიანი თოფი იქვე გადატენა ვაზნებით. ვაზნები, როგორც შემდეგ გაირკვა, ტყვიის მასალისგან, კუსტარული წესით იყო დამზადებული და ფინდიხით გახლდათ დატენილი.

ეზოში რომ ვერავინ დაინახა, სოფლის გზაზე გავიდა. დაახლოებით 25 მეტრის მოშორებით, მან გზაზე მიმავალი ახალგაზრდები შენიშნა. ლასურაშვილი არ შემცდარა, როცა ეჭვი მათზე აიღო. გზაზე სწორედ კავსაძე და მისი მეგობრები (მამუკა თუთბერიძე, გოგა გიუნაშვილი და სოსო ლალიაშვილი) მიდიოდნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, მოხუცმა მაშინ ოთხივე მათგანის მოკვლა განიზრახა. მართალია, ლასურაშვილმა შემდეგ ეს განზრახვა კატეგორიულად უარყო, თუმცა სასამართლომ პროკურატურის პოზიცია მთლიანად გაიზიარა.

ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ მან ახალგაზრდების მიმართულებით, ორჯერ ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით გაისროლა. სროლის ფაქტი არც თავად ლასურაშვილმა უარყო.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, გასროლა დამიზნებით მოხდა. ერთ-ერთი ტყვია ირაკლი კავსაძეს თხემის არეში მოხვდა და ის ადგილზევე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, სიკვდილის უშუალო მიზეზი თავის ტვინის უხეში დაზიანება გახდა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით დაიჭრა მამუკა თუთბერიძეც. ცეცხლნასროლი დაზიანება მან წელისა და მარცხენა მუხლის არეში მიიღო. საბედნიეროდ, დაზიანება მსუბუქი ხარისხის აღმოჩნდა და თუთბერიძე სიკვდილს გადაურჩა.

ჭურვის მოქმედების შედეგად დაიჭრნენ გიუნაშვილი და ლალიაშვილიც. დაზიანებები ორივე მათგანმა წელისა და მუცლის არეში მიიღეს. ჭრილობები მსუბუქი ხარისხის აღმოჩნდა და შედეგად მათ მხოლოდ ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა მოჰყვა.

მიღებული დაზიანებების გამო ოთხივე ახალგაზრდა მიწაზე დაეცა. ლასურაშვილმა ეს რომ დაინახა, მიიჩნია, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მოხუცმა სასწრაფოდ მიატოვა იქაურობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მომხდარის შესახებ მას არავისთვის უთქვამს.

M K

მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (როგორც ამას პროკურატურა აღნიშნავს) სამი ადამიანი რომ სიკვდილს გადაურჩა, ლასურაშვილმა იფიქრა — დამალვას აზრი აღარ აქვსო და გადაწყვიტა, პოლიციას ჩაჰბარებოდა. დამნაშავე მიხვდა, რომ დაჭრილები აუცილებლად ამხელდნენ მას ჩადენილ დანაშაულში. ამიტომაც, მკვლელობის მეორე დღეს ის თავისი ფეხით მივიდა შს სამმართველოს განყოფილებაში.

„მათი მოკვლის განზრახვა არ მქონია“, — გამოუცხადა მოხუცმა სამართალდამველებს. პროკურატურამ ლასურაშვილის სიტყვები მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობით ახსნა და მიიჩნია, რომ სიმართლესთან მის ჩვენებას არანაირი კავშირი არ ჰქონდა. თავისი პოზიციის დასადასტურებლად გამოძიებამ მტკიცებულებებზე მიუთითა, ლასურაშვილს კი ბრალი 108 და 19,109 მუხლებით წაუყენა.

საქმე სასამართლოში განსახილველად სწორედ ამ მუხლებით გადაიგზავნა. განსასჯელმა არც მოსამართლის წინაშე ცნო თავი დამნაშავედ ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობასა და მისი მეგობრების მკვლელობის მცდელობაში. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი კი აცხადებდა, რომ პროკურატურა საქმის გამოძიებისას აშკარად არაობიექტური იყო.

„საქმე გვაქვს 74 წლის, ღრმად, უკვე დაუძლურებულ მოხუცთან, რომელსაც სხვადასხვა დაავადების გარდა, მხედველობაც შეზღუდული აქვს. გამორიცხულია, მას ვინმესთვის თოფი დაემიზნებინა და ისე ესროლა. ის მიზანში ვერავის ამოიღებდა, აქედან გამომდინარე, კავსაძე განზრახ არ მოუკლავს. იმ დღეს მკვლელობის ჩადენა მას არც უფიქრია, უბრალოდ, ბიჭების დაშინება უნდოდა. საუბედუროდ, ტყვია კავსაძეს მოხვდა და ის სასიკვდილოდ დაიჭრა. ეს სავალალო შედეგი, მართალია, ლასურაშვილის მიერ განხორციელებულ გასროლას მოჰყვა, მაგრამ ეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით მოუხდა“, — განაცხადა სასამართლო პროცესზე **ადვოკატმა**.

განსასჯელის დამცველმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, პროკურატურის მიერ წაყენებული განზრახ მკვლელობის მუხლი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლზე გადაკვალიფიცირებულიყო. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ახალგაზრდების დაჭრის ფაქტს, მათთან მიმართებაში ადვოკატმა, სისხლის სამართლის საქმის, საერთოდ, შეწყვეტა მოითხოვა.

„გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი ასაკი. 74 წლის მოხუცი ვარ, ამასთან, ძძიმე ავადმყოფი. დაზარალებულებმა სახლ-კარი გადამიწვეს და აღარაფერი დამრჩა, კმაყოფაზე კი 64 წლის უსინათლო მეუღლე მყავს. აქამდე სამართალში არასდროს ვყოფილვარ მიცემული, კანონი არასდროს დამირღვევია, მთელი სიცოცხლე შრომაში გავატარე და პატიოსნად ვიცხოვრე... გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა შემამსუბუქებელი გარემოება და შეფარდებული სასჯელი შემიმსუბუქოთ“, — ასეთი განცხადებით მიმართა მსჯავრდებულმა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატას.

პროურატურამ კი რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ იშუამდგომლა.

ცვლილება განაჩენში მართლაც შეიტანეს. ჩადენილი დანაშაული რომ უტყუარადაა დადგენილი და რომ მოხუცმა ახალგაზრდა ბიჭი წინასწარი განზრახვით გამოასალმა სიცოცხლეს, საქმის მასალებზე დაყრდნობით, პალატამაც დაადასტურა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ მუხლის გადაკვალიფიცირების საფუძველი არ არსებობდა და აქედან გამომდინარე, რაიონული სასამართლოს შეფასება კანონიერად მიიჩნიეს. თუმცა, შემამსუბუქებელი გარემოებებიც გაითვალისწინეს, კერძოდ, მსჯავრდებულის ასაკი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მოსამართლეებს მის მიმართ განსაკუთრებული ლოიალობა არ გამოუჩენიათ. შეფარდებული სასჯელი მას მხოლოდ 2 წლით შეუმცირეს. ■

პოლიციელი მკვლელობისთვის გაასამართლეს

26 წლის პოლიციელს პროკურატურამ ბრალი 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენა. ბრალდების თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად, მან ერთი ადამიანი მოკლა, მეორეს კი, სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა. ახალგაზრდა პოლიციელმა წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ არ ცნო. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დანაშაული მან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩაიდინა...

შემთხვევა ღამის პირველის ნახევარზე, თბილისში მოხდა. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები იმ დროს, ბეჟანიშვილის ქუჩაზე იდგნენ და სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ. ამ დროს, ქუჩაში ავტომანქანით ჩაიარეს დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა. პოლიციელებმა ისინი საბუთების შემოწმების მიზნით გააჩერეს. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ დაცვის სამსახურის თანამშრომლებს — მაღრაძესა და ნატრიაშვილს (გვარები შეცვლილია) მათ უხეშად მიმართეს. ეს მმაკაცებს შორის შელაპარაკების მიზეზი გახდა. კამათი რამდენიმე წუთში ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. განსაკუთრებით აქტიურობდა გეწაძე, რომელიც თავდაპირველად თავის თანამშრომელ პოლიციელებს გამოესარჩლა, შემდეგ კი, მისთვის სამსახურებრივი ვალდებულების შესასრულებლად გადაცემული ცეცხლსასროლი იარაღი — ტაბელური „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო და მაღრაძეს დაუმიზნა. მაღრაძემ დროულად შენიშნა გეწაძის მოქმედება და მას ორივე ხელი დაუჭირა. ხელები მაღლა ააწევინა. შედეგად, გეწაძის პისტოლეტიდან გასროლაც ჰაერში მოხდა.

საქმის მასალების მიხედვით, გეწაძემ დანაშაულებრივი ქმედება არც ამის შემდეგ შეწყვიტა. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, იარაღი მაღრაძეს თავში, კეფის არეში ზედიზედ ორჯერ ძლიერად ჩაარტყა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მაღრაძემ ნაფლეთი ჭრილობები მიიღო, თუმცა ექსპერტების თქმით, დაზიანება მსუბუქი ხარისხის იყო და მას შედეგად ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა მოჰყვა.

იარაღის თავში ჩარტყმის ფაქტი ნატრიაშვილის თვალწინ მოხდა და მან მაშინვე მეგობრის დასახმარებლად გასწია. ეს რომ შენიშნა, გეწაძე ახლა მას მიუბრუნდა და, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, განზრახ მოკვლის მიზნით, ახლო მანძილიდან დამიზნებით ესროლა ტყვია. ნატრიაშვილისთვის მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ძძიმედ დაჭრილი, ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

რაც შეეხება გეწაძეს, ის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და დააკავეს. წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ ნატრიაშვილი განზრახ არ მოუკლავს.

„მკვლელობის განზრახვა არ მქონია. მაღრაძე იარაღის წასართმევად დამესხა თავს და მკლემ. ამის გამო, სხეულზე მრავალი დაზიანება მივიღე, რაც შესაბამისი დოკუმენტებით დასტურდება კიდეც. სწორედ იმ მომენტში, როცა მაღრაძე ჩემთვის იარაღის წართმევას ცდილობდა, მოხდა უნებლიე გასროლა, ტყვია შემთხვევით, ნატრიაშვილს მოხვდა. ამ უნებლიე გასროლას მოჰყვა მისი სიკვდილი და არა ჩემს განზრახვას...“ — ასე იმართლა თავი განსასჯელმა სასამართლოში. ყოველივე ამასთან ერთად, მან თავისი კოლეგები — სამართალდამცველები, წინასწარი გამოძიების პერიოდში დაშვებულ, არაერთ პროცესუალურ დარღვევაში დაადანაშაულა.

სასამართლომ ყოფილი პოლიციელის სიტყვები არ ირწმუნა, მიიჩნია, რომ ის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ლაპარაკობდა უნებლიე გასროლაზე და მის ჩვენებას სინამდვილესთან კავშირი არ ჰქონდა. ასეთი დასკვნა სასამართლომ, როგორც განაჩენში წერია, მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანა. გეწაძე დამნაშავედ ცნეს და მას ჩადენილი მკვლელობისა და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოგვიანებით, ეს განაჩენი, მსჯავრდებულის მსგავსად, დაზარალებულმაც გასაჩივრა. დაზარალებული მხარე პრეტენზიას შეფარდებულ სასჯელთან დაკავშირებით გამოთქვამდა, მიაჩნდა, რომ სასჯელი მეტისმეტად ლმობიერი იყო. მაგრამ მათი პრეტენზია, ისევე, როგორც მსჯავრდებულის პოზიცია გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა. ■

MK

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა

ბინ ლადენის არ გვეშინია ანუ აქა ამბავი იმისა, ქალწულია თუ არა სექსშოპში ნაყიდი რეზინის ქალი

დღევანდელ „გზავნილებს“ გასულ კვირაში მომხდარი, ერთი სასიამოვნო ფაქტით დავიწყებ: ჩვენმა განათლების მინისტრმა (გვარს არ დავასახელებ) სვანეთში კომპიუტერები ჩაიტანა და მესტიის სკოლაში ინტერნეტი ამუშავდა. მიუხედავად ამისა, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, — ჯერჯერობით არც ერთი სვანი ინტერნეტში არ დაკარგულა... ეს სასიამოვნო სიახლე კი ჩვენი რესპონდენტის მესიჯმა გამახსენა, სადაც სვანისა და კომპიუტერის შესახებ გვწერს.

მარი ჯაფარიძე

საქარხნო „ბრაჟი“

„ახალი ლუპტოპი ვიყიდე და გადავწყვიტე, ძველი გამეყიდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ მის საყიდლად ერთი სვანი მომდგა. ავუხსენი, როგორ უნდა ჩაერთო, გამოერთო და მსუბუქად, მოხმარების წესებშიც გავარკვიე. დახლოებით ერთი კვირის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ ლუპტოპი გაფუჭდა და აღარ ირთვება. მივედი, მიზეზი რომ გამეგო და რას ჭედავ?! გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, კორპუსის ძირში ძალიან აკურატულად გაკეთებული, 16 მცირე ზომის ნახვრეტია. ეს რა არის-მეთქი? — შევიცხადე, რადგან ვიდრე ეს ლუპტოპი მე მეკუთვნოდა, არავითარი ნახვრეტი არ ჰქონდა. საფენტილაციო ხვრელები გავაკეთე, რადგან მუშაობის დროს ძალიან ხურდებოდა, მაგრამ არა მგონია, რომ გაფუჭების მიზეზი ეგ იყოსო, — მიპასუხა... აი, ასეთი დაუჯერებელი რამ ვნახე ჩემი თვალით“.

სტუმრები წარსულიდან

„დიდი ხანია, „გზავნილებში“ მესიჯი აღარ გამომიგზავნია. ახლა კი მინდა, ჩემი დაუჯერებელი ამბავი მოგიყვეთ. ერთხელ, მე და ჩემი ძმაკაცი საბურთალოს სასაფლაოზე წავედით, ჩემი წინაპრების პატივსაცემად. ცოტა დასალევიც გვქონდა. როცა ჩვენი მწირი პურმარილი გაიშალა, ის იყო, ჩემი მიცვალებულების სადღეგრძელოს ვამბობდი, რომ 2 ასაკოვანი ქალბატონი მოგვიახლოვდა. ერთ-ერთმა მკითხა — ჩემს შვილიშვილს ხომ არ ჩამოუვლიაო? გამეცინა და გიუებად მოვნათლე: საიდან უნდა მცოდნოდა, ვინ იყო მათი შვილიშვილი?!. ამ ქალს ვერაფრით დავეხმარე და მოკლე პასუხი გავეცი. ჩემს ძმაკაცს მივუბრუნდი და ისევ ჭიქა ავიღე ხელში. ეს ქალი კი არ მომეშვა და მეუბნება — როგორ ჰგავხარ ჩემს შვილიშვილსო! ამაზე სულ გადავირიე. აბეზარი ქალები ვერაფრით მოვიშორე და მხოლოდ გვერდულად გავუღიმე. ჩემი ძმაკაცი კი ჩემზე კაიფობდა და ხმამაღლა იცინოდა. ბოლოს, ამ ქალბატონებმა ისეთი რამ მითხრეს, რომ ლამის ჭკუიდან გადამიყვანეს. ჯერ ჩემი სახელი მითხრეს, მერე — გვარი, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი და ა.შ. მერე დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. გავეკიდე, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგე. იმ საფლავში კი სწორედ ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილი 2 ქალბატონი განისვენებდა: ჩემი ბებია და ბაბუის და. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ასე მოხდა. პავლიკა, მონასტრის ბიჭი“.

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ქალები რასაც ფიქრობენ, იმის საპირისპიროს ამბობენ და სპეციალური ლექსიკონის შემოთავაზებაც კი შემიძლია მათთვის, ვისაც ქალის ენის გაგება უჭირს. მაშ, ასე: თუ ქალი ამბობს:

„ჰო“, ეს ნიშნავს — „არას“,

„არა“ — „ჰო“,

„შესაძლოა“ — „არა“

„დამნაშავე ვარ“ — „განანებ!“

„ჩვენ გვჭირდება“ — „მე მინდა!“

„შენ გადაწყვიტე“ — „ისე იქნება, როგორც მე მინდა“...

ლექსიკონის გაცნობას კიდევ ერთი რესპონდენტის მესიჯის შემდეგ განვაგრძობთ.

„მუნჯის ენა დედამ იცის!“

„ჩემი მეგობარი თავის ცოლს სულ უკუღმართს ეძახდა. ნინოს მეც კარგად ვიცნობდი, მაგრამ მისთვის უკუღმართობის არაფერი შემინიშნავს. თუმცა, ჩემი ცოლიდან გამომდინარე, ჩემს ძმაკაცს ვუჯერებდი და მჯეროდა, რომ მასაც უკუღმართი ცოლი ჰყავდა. ყველა ქალი ასეთია და რაღა ნინიკო იქნებოდა გამონაკლისი?! ერთ დღეს, სწორედ ნინიკოს მოწადინებით, გადავწყვიტეთ, ოჯახებით ბუნებაში გვექეიფა. საჭმელ-სასმელი მოვიმარაგეთ და გზას გავუდექით. გზა კი მხოლოდ ნინომ იცოდა. გინდ დაიჯერეთ, და გინდ — არა, მაგრამ აი, ასეთი რამის მომსწრე გავხდი: — შემდეგ მოსახვევში მარჯვნივ შეუხვიე, — უთხრა საჭესთან მჯდომ ქმარს ნინომ. სიტყვაც არ უთქვამს მძღოლს, ისე შეუხვია მარცხნივ. ცოლი ხმას არ იღებს, ჩვენ კი გზას განვაგრძობთ. როგორც ჩანს, ჩემმა მეგობარმა ჩემი გაფართოებული თვალები შენიშნა და მითხრა: — ნუ გიკვირს, მე ხომ ვიცნობ ჩემს ცოლს!.. მე კი ჩემი ცოლი მეუბნება: — რა გაგიკვირდა? სწორად შეუხვიაო!.. ეს ქალები გადამრევენ!“

ახლა კი, კვლავ ჩვენს ლექსიკონს დავუბრუნდეთ:

„როგორც გინდა, ისე მოიქეცი“ — „ამის პასუხს მოგვიანებით მოგთხოვ!“

„სალაპარაკო მაქვს“ — „ჭკუა უნდა გასწავლო!“

„არა ვარ ნაწყენი“ — „რა თქმა უნდა, ცოფებს ვყრი!“

„ეს სამზარეულო ისეთი პატარაა!..“ — „ახალი სახლი გვინდა!“

„ახალი ფარდები ვიყიდოთ, ძვირფასო“ — „აუჯიც, ნოხებიც, რემონტიც გავაკეთოთ“...

კიდევ ერთი ამბავი და ლექსიკონის ბოლო ნაწილს გავეცნობით.

ორი მზია

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ერთხელ ასეთი ამბავი შემემთხვა: სამსახურიდან დავურეკე ჩემს მეგობარს, რომელიც ამავე დროს ჩემი სეხნიაც გახლავთ. როგორც ჩანს, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და

შეცდომით ჩემი სახლის ნომერი ავკრიბე. ყურმილი მამაკაცმა აიღო:

— გამარჯობა! — ვეუბნები დაბნეული, რადგან ჩემი მეგობარი მარტო ცხოვრობს და წესით, მასთან მამაკაცი არ უნდა ყოფილიყო.

— გაგიმარჯოს! — მპასუხობს მამაკაცი.

— თუ შეიძლება, მზიას დამალაპარაკეთ.

— მზია სამსახურშია, — მშვიდად მიპასუხა მამაკაცმა, მე კი პირი დავაღე, რადგან ჩემი მეგობარი არ მუშაობდა.

— მე მისი მეგობარი ვარ. თუ შეიძლება, მითხარით, სად მუშაობს?

— ტელეფონის ნომერს მოგცემთ და დაურეკეთ, — მეუბნება კაცი და ჩემი სამსახურის ნომერს მაძლევს. მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე. ყურმილი რომ დავკიდე, მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდი, რომ საკუთარ ქმარს ველაპარაკე. გასაკვირი კი ის არის, რომ ვერც ის მიხვდა, ვინ ვიყავი. მერე კი ამბობდა — მივხვდი, მაგრამ გაშაყირებდიო, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერაფერსაც ვერ მიხვდა...“

ახლა კი — ლექსიკონის ბოლო ნაწილი და შემდეგ, კიდევ ერთი მესიჯი, ქალების უცნაურობაზე.

„გიყვარვარ?“ — „ახლა რაღაც უნდა გთხოვო!“

„ერთ წუთში მზად ვიქნები“ — „შეგიძლია, მშვიდად უყურო ფილმს, რომელიც ახლახან დაიწყო“...

„გავსუქდი?“ — „მითხარი, რომ მზეთუნახავი ვარ!“

„მისმენ?“ — „რაც გითხარი, ის გააკეთე!“

„მე არ გიყვირი“ — „ვყვირი იმიტომ, რომ შენ არანორმალური და შეუგნებელი ხარ“...

სიურპრიზი

„ვისაც უმაღლესი სასწავლებელი კომუნისტური რეჟიმის დროს დაუმთავრებია, მას კარგად მოეხსენება (ზურიკელა ვაშალომიძის არ იყოს) პურზე წასმული ნივრის გემო... სტიპენდია და მშობლების მიერ სოფლიდან გამოგზავნილი ფული სულ 2-3 დღე გვყოფნიდა, მერე კი იწყებოდა შიმშილის დღეები და ვინ იცის, რამდენჯერ, იმ, პურზე წასმული ნივრის გემოც კი გვენატრებოდა. ბავშვობიდან მიყვარს შემწვარი კარტოფილი და როდესაც მშიოდა, არაფერი მენატრებოდა ისე, როგორც კარაქში შემწვარი ეს ბოსტნეული და ხმამაღლა ვამბობდი ხოლმე: როცა უნივერსიტეტს დავამთავრებ და მუშაობას დავიწყებ, ბევრ კარტოფილს და კარაქს ვიყიდი-მეთქი. გავიდა წლები. მე უკვე კარგი სამსახური და კარგი ხელფასიც მქონდა. ერთი არაჩვეულებრივი გოგონა გავიცანი. მართალია, მასთან „ერთჯერადი“ ურთიერთობა არ მინდოდა, მაგრამ არც ცოლად მოყვანას ვაპირებდი. უკვე კარგა ხანი იყო, ვაბამდი, არ ვაკლებდი ძვირად ღირებულ საჩუქრებს, რესტორანში ქეიფს და ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა ლოგინში ჩავიგორებდი... ერთ მშვენიერ დღეს, სახლში დამპატიჟა და თან მითხრა, რომ ჩემი დიდი ხნის ოცნება სწორედ იმ დღეს ასრულდებოდა. რომანტიკული აზრებით დატვირთული მივადექი მის სახლს. ხომ წარმოგიდგენიათ, რაზე ვფიქრობდი?! კარი რომ გააღო და ოთახში შევედი, დავინახე 2 ადამიანზე გაშლილი სუფრა, სანთლებითა და შამპანურით, მის შუაგულში კი საპატიო ადგილი უზარმაზარ ტაფას ეჭირა, რომელზეც, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, კარაქში შემწვარი კარტოფილი ჯერ კიდევ შიშხინებდა. ძალიან ბევრი ვიცინე. თურმე მას ჩემი მეგობრებისთვის უკითხავს, რაზე ვოცნებობდი და მათაც გაუმხელიათ. ასეთ ქალს ცოლად როგორ არ მოიყვან?! ჰოდა, ასეც მოვიქეცი. ის კი დღემდე ხშირად მახსენებს ერთ ძველ გამონათქვამს: გზა კაცის გულისკენ კუჭზე გადისოოო“.

მზრუნველი სიძე

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რომ ჩემი სახლისთვის კაპიტალური ღობე გამეკეთებინა. ავიღე ათმეტრიანი სიგრძის საზომი და თავდაპირველად ეზოს სიგრძე-სიგანე გავზომე. სულ 30 მეტრი გამოვიდა. მინდოდა, რომ ღობე 1,5-მეტრიან სექციებად დამეყო. 30 გავყავი 1,5-ზე და 20 გამოვიდა. შემდეგ, ღობე შევუკვეთე და 2 კვირაში, გამზადებული ღობის დამონტაჟება დავიწყე. 2 სექცია დამრჩა. ძალიან გამიკვირდა. ისევ გავზომე ადგილი, ისევ იგივე მივიღე, გავყავი — იგივე შედეგი გამოვიდა. ლამის გადავირიე. მათემატიკაში არ მოვისუსტებ და ასე რად მემართებოდა, არ ვიცი. იმ გეოგრაფიის მასწავლებელივით მომივიდა, რომელიც რუკაზე ამერიკას ვერ იპოვის... გავაჩერე გამვლელი და ვთხოვე, დაანგარიშებინა. იგივე პასუხი მივიღეთ. მეზობლები შეიყარნენ, უყურებდნენ ჩემს „ზედმეტ ღობეს“ და იცინოდნენ. ამასობაში, ჩემი სიდედრიც დაბრუნდა ქალაქიდან. როდესაც ხალხის თავშეყრის მიზეზი შეიტყო, ცოტა ხანს იყოყმანა, მაგრამ მერე გამოტყდა: თურმე საზომი გაუფუჭებია მეექვსე და მეშვიდე მეტრს შორის და ამას რომ ვერ მივმხვდარიყავი, „კოხტად“ ამოუჭრია მთელი მეტრი, მერე ბოლოები ერთმანეთზე ასევე „კოხტად“ დაუწებებია და ადგილზე დაუდვია... ყველამ გულიანად იცინა. მე კი ჩემს სიდედრს შევპირდი, რომ დარჩენილ ღობეს მისი საფლავისთვის გამოვიყენებდი. ასე უნდა მაგას!“

მაგარი მძღოლი

„ერთხელ გვიან ღამით ვბრუნდებოდი შინ. დავინახე, რომ დიდუბეში, წერეთლის გამზირზე საკმაოდ ძვირად ღირებული მანქანა იყო გაჩერებული, მის წინა კართან კი მშვენიერი, ასევე მდიდრულად გამოწყობილი ქალბატონი იდგა და გამვლელ მანქანებს ხელს უწევდა. არავინ უჩერებდა. მივხვდი, რომ რაღაც პრობლემა ჰქონდა და მის ფეხებთან გავაჩერე. საბურავი ჰქონდა დაშვებული. „ზაპასკა“ გაქვს? — ვკითხე. — არ ვიცი, — მიპასუხა. საბარგული ავხადე და აღმოჩნდა, რომ სათადარიგო ბორბალი ჰქონია. უცებ გამოვცვალე საბურავი და ის-ის იყო, დავაპირე, დაშვებული საბურავი საბარგულში ჩამედო, რომ ქალი მანქანას მკერდით გადაეფარა: არ მინდა, რაში მჭირდება? თუ არ შეწუხდებით, თავად გადააგდეთ, რაო, — მითხრა, თვალის დახამხამებაში დახურა საბარგული, ჩახტა მანქანაში, მადლობა მომაძახა და წავიდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ეს ამბავი კი ასე იყო“.

თანამშრომელი

„ერთხელ, დასავლეთიდან მოვდიოდი. მაშინ ჯერ კიდევ ის დრო იყო, როდესაც გზაზე ავტოინსპექტორები იდგნენ და მძღოლებს ფულს გვძალავდნენ. გული გამიწყალეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაჩერებდნენ და მეც პატიოსნად ვიხდიდი 5 ლარს. ბოლოს ყელში ამომივიდა და მორიგი გაჩერებისას გადავწყვიტე, მწარედ გავხუმრებოდი ამ წურბლებს. ზოლიანი ჯოხი ამიწიეს თუ არა, მანქანა გავაჩერე, გადმოვედი და საბუთები წარმოვადგინე, თან ვეუბნები — კაცო, ცოტა ფრთხილად იყავით, შუა ტრასაზე არ გაჩერ-

დეთ, აგერ, 2 კილომეტრის მოშორებით თქვენი თანამშრომელი მანქანას გაუტანია და საწყალი, მგონი, მოკვდა-მეთქი. დაფაცურდნენ, შემთხვევის ზუსტი ადგილი გამომკითხეს, ჩასხდნენ მანქანაში და „გაიქცნენ“. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ადგილზე მისულებს, იქ მანქანის მიერ გატანილი, მკვდარი ძაღლი დახვდებოდათ... როგორც ჩანს, სიჩქარეში ჩემი ნომერი ვერ დაიმახსოვრეს, თორემ არ შემარჩენდნენ ამ ხუმრობას“.

ბოროტი ბიძია

„ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, შარშან ზამთარში, ჩვენს ეზოში მოხდა. იმ ღამით დიდი თოვლი მოვიდა და დილით ბავშვებით გაივსო ეზო. გუნდაობდნენ, თოვლში გორაობდნენ და მშვენიერი თოვლის ბაბუაც დადგეს. ეზოში ჯიპი შემოვიდა, რომელმაც ვერაფრით აუქცია გვერდი თოვლის ბაბუას. მძღოლმა ფანჯრიდან თავი გამოყო და ბავშვებს ჩხუბი დაუწყო: რაღა ამ შუაგულ ეზოში გააკეთეთ ეს თოვლის ბაბუა?! სხვაგან ადგილი არ იყოო? შეშინებული ბავშვები აქეთ-იქით მიიმალნენ. მძღოლმა კი მანქანა უკან დახია, დიდი სისწრაფით გამოექანა, რომ თოვლის ბაბუა დაენგრია და გაევლო, მაგრამ, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მანქანა თოვლის ბაბუას დაეჯახა თუ არა, დიდი დაჯახების ხმა გაისმა და მანქანა ადგილზე გაქვავდა. ის თოვლის ბაბუა ბავშვებს იმ ვერტიკალურად ჩაცემენტებულ, ასე, 1 მეტრის სიმაღლის რელსზე გაუკეთებიათ, რომელიც ეზოს გადასატირად იყო გამოყენებული. რა თქმა უნდა, ჯიპი მაგრად დაზიანდა, მაგრამ მძღოლს ხმაც აღარ ამოუღია. აბა, ბავშვებს რომ ეჩხუბებოდა, კარგი იყო?!.“

ღარიბი სასიძო

„კარგა ხანია, ცოლის მოყვანას ვაპირებ. უკვე 4 წელია, შეყვარებული მყავს. ჯერ იყო და, სასიდედროს ვერ ვითანხმებდი, მერე, როცა მდიდარი სასიძო იპოვა, რომელმაც მაგრად დასცინა, ისევ ჩემზე გააკეთა არჩევანი... მერე ავარიაში მოვყევი და თითქმის მთელი წელი რეაბილიტაციას მოვანდომე; მერე სხვა პრობლემები გამიჩნდა და ასე... ამ რამდენიმე ხნის წინ კი, როგორც იქნა, მოვაბი თავი ამ საქმეს, მივედი ჩემი სატრფოს ოჯახში და მის მშობლებს ვთხოვე მისი ხელი და გული. თანხმობაც მივიღე და ქორწილის დღეც დავთქვით. მეორე დღეს, საიუველირო მაღაზიას მივაკითხე, რომ საცოლისთვის ბეჭედი შემერჩია. გამყიდველმა ყველაზე ძვირად ღირებული შემომთავაზა (რა შემატყო ასეთი, არ ვიცი). უფრო „მოკრძალებული“ ბეჭედი მინდა-მეთქი, — ვუთხარი. ბევრი ვარჩიე, მაგრამ მაღაზიიდან ხელცარიელი წამოვედი. კარში რომ გამოვდიოდი, გამყიდველმა მომაძახა: როდესაც მოკრძალება გაგიგლით, მაშინ შემოგვიარეთო... ასე დამცინა, სიღარიბის გამო, ოქროულობის მაღაზიის გამყიდველმა. გინდ დაიჯერეთ და გინდ — არა!“

შეშინებული

„ერთი დარდიმანდი მეგობარი მყავს. უკვე 35 წლისაა, ცოლი იმას არ აწუხებს და შვილი, ბლომად ფულს შოულობს, გარეგნულადაც მშვენივრად გამოიყურება და ეს ცხოვრება სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს, არაფერს მიმალავს და თუ ჩემი დახმარება სჭირდება, იცის, რომ ყოველთვის მზად ვარ, მისთვის თავი გავწირო. ერთხელ, შუაღამისას, 4 საათზე მომადგა. თვალებში შიში ჰქონდა ჩამდგარი და წამწამებს სასაცილოდ აფახულებდა. ჩემს ცოლს რომ არ გაღვიძებოდა, ცალკე ოთახში დავსხედით.

— რა მოგივიდა? — ვკითხე შეცბუნებულმა, რადგან ის ასეთ მდგომარეობაში არასოდეს მინახავს.

— მაგდას ხომ იცნობ (მისი ახალი ნაშა იყო, რომელიც მაშინ ჯერ არ ჰყავდა გაჟიმული)?

— რა თქმა უნდა, ვიცნობ.

— ახლა მასთან ვიყავი და იქიდან მოვდივარ.

— მერე, რა მოხდა? ქმარმა მოგისწრო? თუ ქალწული აღმოჩნდა? — ვეკითხები და მეცინება, რადგან უკვე მივხვდი, რომ სერიოზული პრობლემა არ ჰქონდა.

— ბიჭოოოო, გადავირიე!.. ვივახშმეთ, კონიაკიც დავლიეთ და გადავედით მთავარზე. როგორც იქნა, საწოლამდე მივიყვანე და დაიწყო და რა დაიწყოოოო!.. ჯერ ხელოვნური ფრჩხილები მოიძრო, მერე — პარიკი, წამწამები, ლიფიდან ბამბები ამოალაგა, თვალებიდან კი — ლინზები და დაიწყო ხელების ფათურით საწოლის ძებნა... სანამ ის საწოლს მიაგნებდა, მე უკვე კიბეზე ჩამოვრბოდი... — დაასრულა მან თხრობა. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ გადავწყვიტეთ, დასამშვიდებლად, რესტორანში წავსულიყავით. დავიწყეთ სმა. წარამარა დგებოდა ადგილიდან, მუსიკოსებთან მიდიოდა, ჯიბეში ფულს უტენიდა და შეკვეთას შეკვეთაზე აძლევდა. ბოლოს, მოსწყინდა აქეთ-იქით სიარული, ერთბაშად უამრავი ფული გადაუხადა და რეპერტუარიც შეუდგინა... უკვე თენდებოდა, როდესაც „უფროსი მუსიკოსი“ მოვიდა და ფულის ნაწილი უკან მოუტანა: უკვე გვიანია, ბატონო, და ამდენს ვერ ვიმღერებთო... გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ასეთი მეგობარი მყავს. მასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. შვეიცარიაში ვიყავით ერთად. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტეთ, რომ სექსშოპში შეგვევლო და დაგვეთვალიერებინა. გამყიდველი გოგონა თავაზიანად მოგვემსხურა.

— რა გნებავთ? — გვკითხა.

— რეზინის ქალი მინდა, — თვალიც არ დაუხამხამებია ლადოს, ისე უპასუხა.

— აგერ, ბატონო, ჩინური ქალები, იაფად, გერმანულები — შედარებით ძვირი ღირს. — დახლზე ჩამწკრივებული იყო უამრავი გასაბერი ქალი — სურნელოვანი, მოძრავი, გაშეშებული, შავკანიანი თუ თეთრკანიანი. ლადო ყველაზე ძვირად ღირებული „ქალისკენ“ იშვერს თითს და — მაჩვენეთ, თუ შეიძლებაო, — სთხოვს გამყიდველს. გოგონამ ახალი „ქალი“ გამოიტანა საწყობიდან, გახსნა, „ნასოსით“ გაბერა და ლადოს მისი ყველა ღირსება თვალნათლივ დაანახვა.

— ქალწულია? — დაინტერესდა ჩემი მეგობარი. მე სიცილი ამიტყდა, გამყიდველი გოგონა კი შეურაცხყოფილი დარჩა და ეუბნება: — ჩვენ სოლიდური ფირმა ვართ, „სექენდ ჰენდით“ არ ვვაჭრობთო. ასე დამთავრდა ჩვენი სექსშოპში სტუმრობის ამბავი. ის მშვენიერი „ქალი“ კი მაინც ვერ ვიყიდეთ. პატივისცემით, ლადო-2“.

ჩვენი რესპონდენტის ნაამბობმა ერთი ანეკდოტი გამახსენა: მიხომ ცოლი მოიყვანა; ქორწილის ღამეს ცოლმა უთხრა: მიხო, ძალიან მიყვარხარ, შენი დაკარგვა არ მინდოდა და რაღაც საიდუმლო მხოლოდ შენ უნდა გითხრაო. — თქვიო, — შეაგულიანა „ახალგამომცხვარმა“ ქმარმა. — ჩემო მიხო, ერთი ფეხი ხის მაქვსო... — ჩვენს სიყვარულს ეგ ჩრდილს ვერ მიაყენებსო, — უპასუხა მიხომ. პატარძალმა მოიხსნა პროთეზი და იქვე მიაყუდა. — მიხო, ერთი ხელიც ხის მაქვსო... — ეგ არაფერი, მთავარია, გიყვარდეო... — კბილებიც პროთეზის მაქვსო. მიხომ ჭიქით წყალი მოუტანა, რომ პროთეზი შეენახა. — ცალი თვალიც შუშის მაქვსო... — შენ შემოგევლე, უფრო მეტად მეყვარებიო... — მიხო, იცი, ცოტა ქალწულიც არა ვარო... — აბა, დედაკაცო, აეწყვე ახლა და დაახვიე აქედანო!.. — აევსო მიხოს მოთმინების ფიალა.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„სექტემბერში ომი დაიწყება“

„მე ვმუშაობ ერთ-ერთ სპეცდანიშნულების ბრიგადაში. შემიყვარდა ლურჯთვალება, მაღალი ოფიცერი. ის კი ქალებს არ ენდობა. იქნებ, მიხვდეს, რომ ყველა ქალი ერთნაირი არ არის. მიიღე სითბო და სიყვარული, ლურჯთვალება ოფიცერო, მე შენ ძალიან მიყვარხარ“.

„ერთხელ, დედას ბაზარში გავყევი სურსათის საყიდლად. სუნელების განყოფილებასთან პილპილის საყიდლად მივედით. ერთი შეკვრა პილპილი ავიღეთ, დედამ გამყიდველს ქაღალდის კუპიურა მიაწოდა. ვიდრე ხურდას დაგვიბრუნებდა, ქალმა უკან მიიხედა და რას ხედავს ჩემი თვალები?! დედამ კიდევ ერთი შეკვრა პილპილი აიღო და ცელოფანის პარკში ჩაუძახა; რა თქმა უნდა, ერთის ფული გადაიხადა მხოლოდ... თვალებს არ დავუჯერე. შემრცხვა და გამყიდველს ფული დავუმატე. ამის შემდეგ დედას პილპი-

ლის ქურდს ვეძახი“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ისეთი ბიჭი შემიყვარდა, რომელსაც ადრე ვერ ვიტანდი. მართალია, ნერვების მოშლას არ ვაკლებ, მაგრამ თვითონაც მაბრაზებს. ვიცი, სექტემბრიდან ისევ ომი დაიწყება“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ამ ერთი თვის წინ ონკოლოგიურ საავადმყოფოში ოპერაცია გავიკეთე. მაშინ ჩემი თავი ყველაზე უბედური მეგონა, მაგრამ იქ შევხვდი ადამიანს, რომელიც ახლა სიცოცხლეს მირჩევნია. თეო, მიყვარხარ! ალეკო, 18 წლის“.

„მე ორსულად ვარ და თვის ბოლოს ტყუპს ველოდები ტომ კრუზისაგან. ახლა, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ გათხოვილი ქალი, მულებთან ერთად პაემანზე წავედი. იქ ამბავი მოხდაა!.. ერთს ისეთი გარეგნობა ჰქონდა, შეგვშინდა. კაფეში ქეიფი კი შეგვრჩა“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა: მე 16 წლის ვარ, ხოლო ჩემი ქმარი — 37 წლისაა. მააშ!“

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ სკოლიდან დაბრუნებულს, ჩემი სკლეროზიანი ბებია ჩემს ბოტებსა და ჯინსის ქვედაბოლოში გამოწკეპილი დამხვდა. თან მისაყვედურა კიდეც: რა იქნებოდა, რომ ჩემთვისაც ასეთივე გეყიდათო?!. ერთხელ, ბებომ ჩაის დალევა გადაწყვიტა, მაგრამ ერთჯერადი პაკეტის ჩაი არ მოინდომა და ძველებური მეთოდით, ე.წ. „ზავარკა“ გააკეთა. ჩაიზე ჩემი დაც მიიპატიჟა და როგორც აღმოჩნდა, ხმელი სუნელების „ჩაი“ დაუყენებია“.

„გზის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ერთი მამაკაცის მესიჯი, სათაურით — „არ ენდოთ გურულ ქალს“. ეს რა გვიყავი?! მოგვჭერი, ხომ, თავი გურულ გასათხოვრებს?! გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ სწორედ გურულ ქალს უნდა ენდო. არ გჯერა? ჩამოდი გურიაში და დაგიმტკიცებ“.

„ჯერ მხოლოდ 18 წლის ვარ და უკვე იმდენი რამ მაქვს თავს გადახდენილი, რომ თავი დიდი ქალი მგონია. 15 წლის ვიყავი, როდესაც 25 წლის ბიჭმა თავი შემაყვარა. მის გარდა, ვერავის და ვერაფერს ვხედავდი. საკმარისი ფული ყოველთვის მქონდა. ამიტომაც, ძვირად ღირებული სუნამოები, მონობარათები და ფული არც მას აკლდა. რაღა თქმა უნდა, ამ ყველაფრით ისარგებლა — აბა, რას იზამდა?! ბოლოს კი იმდენს მაიაღწია, რომ ლოგინშიც ჩამიწვინა. მკაცრი მშობლები მყავს და ღამით არსად მტოვებენ. ისე ვიყავი მისი სიყვარულით დაბრმავებული, რომ ღამით სახლიდან გავიპარე და მასთან დავრჩი. დილით სახლში რომ მივედი, დიდი ამბავი ამიტეხეს, მაგრამ ტყუილი მოვიგონე და მშობლები დავაშოშმინე. მერე ჩემმა მშობლებმა იმ ვაჟბატონს დაურეკეს. მან კი ჩემზე უთხრა — არ ვიცნობო. ასეთი მშიშარა იყო. ამის შემდეგ ერთი თვით დაიკარგა, მერე ისევ გამოჩნდა, მერე — ცოლიც მოიყვანა. ასეთი არაკაცი მაინც „ვიგლოვე“. ახლა უკვე შევიზიზღე“.

„ისეთ თემას შეეხეთ, რომ არ მომეწერა, გული გამისკდებოდა. ამ საიდუმლოს 2 წელია, ვინახავ. ქმარმა საყვარელთან შემისწრო, მაგრამ არავითარი რეაქცია არ ჰქონდა. საწოლში რომ დაგვინახა, მეორე ოთახში გავიდა და მშვიდად დაიძინა. ჩემი საყვარელი კი ნასვამი გახლდათ და არაფერი გაუგია. მხოლოდ დილით ვუთხარი, რომ ჩემს ქმარს იქვე, ყურისძირში ეძინა. ლამის გაგიჟდა: ამას ჰქვია ევროპაო! — ჩაილაპარაკა და გიჟივით გავარდა გარეთ. ქმარმა რომ გაიღვიძა, ვკითხე — ასეთი რამ როგორ მოითმინე, რატომ არ გაბრაზდი-მეთქი? იცით, რა მიპასუხა?.. წმინდანი არც მე ვარ და არც შენ ხარ „ბორშჩი“, რომ „გათავდე“, მეც მეყოფი და იმასაცო... ამ ამბის მერე საყვარელმა ერთხელ დამირეკა და მითხრა — ან ორივე აფრენთ, ან ერთმანეთი ძალიან გიყვართ და თვალს იბრმავებთო. ჩემი ქმარი ისევ ჩემთან ცხოვრობს, იმას კი ჰგონია, რომ ორივე ვაფრენთ. ხატზე დავიფიცებ, რომ რაც მოგიყევით, სრული სიმართლეა, თქვენ კი, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა! პატივისცემით, ინგა, 36 წლის“.

„მე და ჩემი ახლობელი ლილოს ბაზრობაზე წავედით. სიარულ-სიარულში ერთმანეთს ავცდით. დავურეკე და შევთანხმდით — როდესაც ყველაფერს ვიყიდდით, ბაზრობის გასასვლელში შევხვდებოდით ერთმანეთს. ვიყიდე, რაც მინდოდა, ძმაკაცს შევხვდი და შინ წამოვედით. მხოლოდ სახლში აღმოვაჩინე, რომ ჩემი 130-ლარიანი „ტუფლი“ ცალ-ცალი წამომიღია. რაღას ვიზამდი?! მეორე დღეს უნდა წავსულიყავი და გამეცვალა. ამ დროს, კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ჩემი ძმაკაცი შეშფოთებული შემოვარდა — არიქა, მიშველე, ცალ-ცალი „ტუფლი“ მიყიდიაო! როცა ვნახე, სიხარულით გადავირიე: ჩემნაირი ფეხსაცმელი უყიდია და ჩემი ფახსაცმლის ცალი მას ჰქონდა, მისი ცალი კი — მე. სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი. თქვენც, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ასე იყო და...“

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ჩემმა ქმარმა დედის, მამისა და ძმის გვერდიდან მომიტაცა“.

„ერთი წლის წინ, მე და ჩემი ნათესავი უსაქმურობისგან ჩათში „შევძვერით“ და ერთი ესპანელი ბიჭი გავიცანით. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ეს ჩემი ნათესავი უკვე 2 თვეა, იმ ესპანელის ცოლია. ბედნიერებას ვუსურვებ“.

„როცა გიპოვე, იმ დღეს თითქოს გარდავისახე. პატარა, რომანტიკულ გოგონას, ოცნებასავით შემრჩი ხელში. შენ მსახიობი იყავი და შენი პროფესია აღმაფრთოვანებდა. ლექსებს გიძღვნიდი, შენ კი გულში მიხუტებდი, უსასრულო მადლიერებით. ეს ჩვეულებრივი ურთიერთობა არ იყო. ეს იყო სასწაული, ცისა და მიწისა. შენ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყავი და „სასიყვარულო ბარათებში“ თამაშობდი... იმ დარღვეულ ჯაჭვს ვერ გავამთელებ, მაგრამ ხშირად მახსენდები. იმედია, დიდი სიყვარული იპოვე. გახსოვს? — „შენს ძლიერ მკერდზე გავიკეთებ, მერცხალი, ბუდეს,/ გადამიტაცებს ოცნებათა ქროლვა, მარადი../ მოვალ და ნაზად დაგიკოცნი უტკბილეს ტუჩებს/ და სამუდამოდ გაჩერდება წუთი, საათი...“ უკვე 5 წელი გავიდა, მე კი ისევ მახსოვხარ, გიო... ნინიკო“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ერთ-ერთ გაზეთში რუბრიკაში, სადაც სამსახურს სთავაზობენ, ასეთი განცხადება წავიკითხე: „ვეძებ კარგ ცოლს, საკუთარი ქმრისთვის. გამომეხმაუროს ქალბატონი 29-38 წლის, ქალაქი — თბილისი, მუშაობის გრაფიკი — მთელი დღე, ანაზღაურება — 200 ლარი. დამატებითი ინფორმაცია: უნდა ერკვეოდეს კულინარიაში. ის გახლავთ 29 წლის, მაღალი, აკურატული, სიმპათიური, შეუძლია ყველანაირი საოჯახო საქმის გაკეთება. მსურველები დამიკავშირდით. „...“ ასეთი რამ გაგიგონიათ?“

„ვიდრე დავქორწინდებოდი, ჩემს მომავალ ცოლს მთელი წელი ვხვდებოდი. გვიანობამდე ვსეირნობდით ხოლმე, მერე ვარკეთილში ვაცილებდი, მე კი გლდანში ვცხოვრობდი და ძალიან ვწვალობდი შინ მისვლაზე. დაღლილს, ჭამის თავიც კი აღარ მქონდა ხოლმე. დილით კი, ადრიანად უნდა წავსულიყავი სამსახურში. ასე მეორდებოდა ყოველდღე. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მომწყინდა ეს ყველაფერი და ის გოგო ცოლად მოვიყვანე. თქვენ კი გაიძახით, სიყვარული და სიყვარულიო...“

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა: ერთხელ, ჩემი შვილის ბაღიდან გამოსაყვანად ისეთ დროს მივედი, როდესაც ბავშვებს შუადღის ძილი უწევდათ. ვიდრე ჩემს პატარას გავაღვიძებდი და ჩავაცმევდი, ერთმა ბიჭუნამ ძილში წამოიტირა. ძიძა მივიდა, მიეფერა და ეუბნება: რაო, პატარავ, ბინ ლადენი დაგესიზმრა?.. ნუ გეშინია, ვერ მოგვერევა, ჩვენ მაგრად მოვცხებთ ტაკუნებზე ბინ ლადენსო... აი, ასეთი ანტიტერორისტი ძიძა ჰყავს ჩემს შვილს“.

„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ჩვენს კორპუსში ერთი მანიაკი ცხოვრობს. სხვას რომ მოვუყვე მისი საქციელის შესახებ, არ დაიჯერებს, რადგან ნორმალური, ოჯახის კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველთვის, როცა მეზობელი გოგონები აივანზე გავდივართ, ისიც გამოდის, წელს ქვემოთ შიშვლდება და თან ჩვენ გვიყურებს. როგორ არ დავემუქრეთ, მაგრამ ვერაფრით შევაშინეთ. მინდა ვუთხრა, რომ აზრზე მოვიდეს, თორემ ცოტა ხანში საჩვენებელს აღარაფერს დავუტოვებთ... ახლა ბათუმში ვარ და იქიდან გიმესიჯებთ. პლაჟს რომ გადავხედავ, მეღიმება: ყველა, „გზას“ კითხულობს და თან ისე ირუჯება. მაკა“.

„მარი, ზიხარ და ამ ბრტყელ-ბრტყელ ამბებს იგონებ, არა?.. ნამდვილად ვიცი, რომ ამ მესიჯს არ დაბეჭდავ, მაგრამ მინდა, რჩევა მოგცე: არ ჯობია, უფრო საინტერესო თემებზე წერო, — ხალხი რომ გწერს (ვითომ) — „გზავნილებზე“ ვგიჟდებიო?.. ნუთუ ხალხის ტვინი ასეა დეგრადირებული?! ასე, სოფლურ-გლეხურად წერა რაღაა (იმედია, გული არ გატკინე)“.

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ აი, ასეთი მესიჯიც მივიღე...

დღეს „გზავნილებს ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — როგორ მივაღწიე მიზანს. გამოგზავნეთ მეილები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

რაც დრო გადის, საქართველოდან უფრო მეტი ადამიანი ცდილობს საზღვარგარეთ წასვლას, რათა მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს, უფრო მეტი განათლება მიიღოს ან სულაც, უცხო ქვეყნების კულტურას გაეცნოს. მერე კი, სამშობლოში დაბრუნების მსურველი ნაკლებია — იქ წასულებს ურჩევნიათ, სხვისი მოსამსახურეები იყვნენ, ვიდრე აქ დაბრუნდნენ. სწორედ ამის გამო, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უამრავი ქართველი ემიგრანტია. ჩემი დღევანდელი რესპონდენტიც — ილონა ჟვანია-გილმანი 8 წლის წინ გაემგზავრა ამერიკაში სასწავლებლად. გარდა სწავლისა, მან იქ შექმნა არაჩვეულებრივი ქართულ-ამერიკული ოჯახი და თავს ბედნიერად გრძნობს.

ჭიკაანელი მტირალა ნარკომანი, ჯულია რობერტსის ბიუსტჰალტერი და „ბოიფრენდობის ინსტიტუტი“

„მე და დათო ყაზიშვილი ერთმანეთს ამერიკაში შევხვდით და საერთო შვილიც გვყავს“

ნათია ჟვანია

— ამერიკაში ჩემი გამგზავრების მთავარი მიზანი სწავლის გაგრძელება გახლდათ. ამასთანავე, მინდოდა, რომ ქვეყნის საზღვრებს მიღმა გავსულიყავი და მენახა, თუ რა ხდებოდა იქ. ნიუ-იორკი კი, ჩემი ოცნების ქალაქი იყო — ყოველთვის მინდოდა ტყუპი ცათამბჯენისა და თავისუფლების ქანდაკების ნახვა. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად, ამის შანსი მომეცა — ბოსტონში 1998 წელს, ველოსპორტში შეჯიბრება იგეგმებოდა, სადაც საქართველოს წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეული. ცხოვრებაში ამ სპორტთან არანაირი შეხება არ მქონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბავშვობაში დავდიოდი ველოსიპედით, ცხვირპირსაც ხშირად ვიმტვრევდი და რამდენადაც სასაცილო არ უნდა იყოს, ამ გუნდის კაპიტნად გამაფორმეს. ბილეთები გამგზავრებამდე 3 დღით ადრე ვიყიდეთ. ასეთი რეისი იყო: თბილისი-ვენა-ნიუ-იორკი და ორი კვირის შემდეგ, იმავე რეისის უკან დასაბრუნებელი ბილეთებიც შევიძინეთ. იმ კომპანიის წარმომადგენლებმა, სადაც ბილეთები ვიყიდეთ, გვითხრეს, რომ ვენაში 23 საათი უნდა გავჩერებულიყავით, რადგან როცა იქ ჩავიდოდით, ნიუ-იორკის თვითმფრინავი უკვე ერთი საათის გაფრენილი იქნებოდა. ამიტომ დაგვპირდნენ, რომ იქ ჩვენს სახელზე სასტუმრო აუცილებლად დაჯავშნული იქნებოდა და მთელი 23 საათის განმავლობაში ლუქსებში მოვისვენებდით (აქედან ოთხი გოგო და ერთი ბიჭი წავედით), მაგრამ რა თქმა უნდა, ეს დაპირება პოსტკომუნისტური რეჟიმის მორიგი ტყუილი აღმოჩნდა... სხვა გზა არ გვქონდა, ხუთივემ ერთად, 65 დოლარად, სასტუმროს ერთი ნომერი 4 საათით დავიქირავეთ. ამ 4 საათში, ზოგი შხაპს იღებდა, ზოგი თავს იწესრიგებდა, ზოგს კი — ეძინა. მერე, ისევ აეროპორტში წავედით და მოსაცდელ დარბაზში სკამებზე მოვკალათდით, რათა ღამე ასე მაინც გაგვეთია. მორიგეობით — ორორი საათი ვიძინებდით, ერთმანეთს ვენაცვლებოდით, რომ ბარგი არავის მოეპარა. მეორე დილას კი აღმოჩნდა, რომ ბილეთები გვქონდა შემდეგ რეისზე: თბილისი-ვენა და ორი კვირის შემდეგ — ნიუ-იორკი-ვენა-თბილისი. კინაღამ გავგიჟდით, ბევრი ვინერვიულეთ და გავარკვიეთ, რომ ჩვენი ჯგუფიდან ორ ადამიანს საშუალება ჰქონდა, პირდაპირ ნიუ-იორკში წასულიყო; ერთი პრაღაში გადააფრინეს, მე და ერთი გოგო კი — სოფიაში გაგვიშვეს. იქ აეროპორტში კიდევ 5 საათი ვისხედით და ბოლოს, როგორც იქნა, „ბოინგში“ ჩაგვსვეს და ნიუ-იორკში გაგვამგზავრეს. იქ ჩასულებმა კი აღმოვაჩინეთ, რომ ჩემი ბარგი ისლანდიაში „გაფრენილა“ და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დამიბრუნეს.

— იქ ვინმე გელოდა? სად დაბინავდი?

— ჩვენი ჯგუფის წევრმა შემომთავაზა — ბრუკლინში და მყავს, იქ წავიდეთ და სამსახურის მოძებნაშიც დაგვეხმარებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მიუხედავად იმისა, რომ სამი ღამე საერთოდ არ გვიძინია და ძალიან დაღლილები ვიყავით, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაინც მეტროთი წავედით — ტაქსი ძვირი დაჯდებაო, — გვითხრეს. ბრუკლინის ხიდზე რომ გადავდიოდით, თავისუფლების ქანდაკება დავინახე და ხმამაღლა ვთქვი: ნეტავ, დაიწვას-მეთქი! — ტყუპისთვის კი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ისეთი გამწარებული ვიყავი, რომ ამერიკა სულ აღარ მაინტერესებდა. ბრუკლინში ღამის თორმეტ საათზე მივედით... მანამდე გაგონილი მქონდა (და ასეც მქონდა წარმოდგენილი), რომ ამერიკაში ქართველები ძალიან მაგრად ცხოვრობდნენ, მაგრამ იმედი მალე გამიცრუვდა. მეტროდან ამოსვლისთანავე, პირველად ინდოელები, ესპანელები და ზანგი ბავშვები დავინახე, რომლებიც „რეზინობანას“ თამაშობდნენ. მაღაზიებზე ჟალუზები ჩამოწეული იყო და ზედ დიდი ასოებით რაღაც ეწერა. კორპუსთან კი, ქართველი ნარკომანი ბიჭების დიდი ბირჟა იყო. თითქოს ყელში რაღაც გამენასკვა და ტირილი დავიწყე. მოგვიანებით, წარმოშობით ჭიკაანელ ერთ-ერთ ნარკომანს შევუყვარდი — შუაღამისას ოთახის კარს მიმტვრევდა, მერე დაჯდებოდა და ტირიოდა, მეუბნებოდა: მე რომ მიყვარხარ, შენ რატომ არ გიყვარვარო?!.

— სამსახურის მოძებნა გაგიჭირდა?

— თვე-ნახევარი უმუშევარი ვიყავი და გადავწყვიტე, რომ ძიძად დამეწყო მუშაობა. ბევრ ოჯახში გავიარე ე.წ. ინტერვიუ, მაგრამ არავინ ამიყვანა იმის გამო, რომ არც ამერიკაში მქონია მსგავსი გამოცდილება და არც საკუთარი შვილი მყავდა. მერე ვიღაცამ მასწავლა — მოიტყუე, ვითომ გათხოვილი ხარ და შვილიც გყავსო. ასეც მოვიქეცი. ჩემი დეიდაშვილის შვილზე ვთქვი: ჩემი-მეთქი და იმის ამბები მოვყევი. სამსახურში მაშინვე მიმიღეს. 3 თვის შემდეგ, იმ ოჯახიდან წამოვედი. იქ ყოფნისას,

M K

ყოველი დღე მთავრდებოდა იმით, რომ ფანჯარასთან ჩემს ჩემოდანზე ვჯდებოდი და ველოდებოდი, როდის გათენდებოდა, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავი... მაგრამ მერე ვნახე სიზმარი, რომელიც აბსოლუტურად ყველა ემიგრანტისთვისაა ნაცნობი: ჩამოვედი თბილისში, ამერიკაში ველარ მივდიოდი და ამის გამო ძალიან ვინერვიულე. დილით შეშინებულს გამეღვიძა, ჩემოდნები ამოვალაგე და მას შემდეგ, თბილისში დაბრუნებაზე აღარც მიფიქრია. უცხო ქვეყანაში მთელი 8 წელი საბუთების გარეშე ვცხოვრობდი.

— ქართველი მეგობრები მალევე შეიძინე?

მას ნიკიც მამას ეძახის და ის არანორმალურად უყვარს

— სხვათა შორის, დაახლოებით 6 თვე დამჭირდა იმისთვის, რომ ნორმალური ხალხი გამეცნო და მათთან დავმეგობრებულიყავი. ისევე, როგორც საქართველოში, იქაც სხვადასხვა ფენის საზოგადოება არსებობს. ჩემი შესაფერისი მეგობრები ვიპოვე და დღემდე ვმეგობრობთ — ამერიკაში სისხლით ნათესავები არა მყავს და ჩემი ოჯახის წევრები ისინი არიან.

— ქართველები ერთმანეთს სად ხვდებოდით?

— შაბათ-კვირას, ყველა საწყალი „ბეიბისიტერი“ *(ძიძა. — ავტ.)* ქალი ერთ-ერთ მეგობართან ვიყრიდით თავს. სწორედ იქ გავიცანი ბევრი ქართველი და შემდგომში, როცა ძალიან მიჭირდა, თითქმის ყველა მათგანი მხარში ამომიდგა.

— იმ გოგონასთან თუ განაგრძე მეგობრობა, რომელთან ერთადაც საქართველოდან წახვედი?

— წლების განმავლობაში ერთად ვცხოვრობდით. საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა. მერე გავთხოვდი და საცხოვრებლად მანჰეტენზე გადავედი, ის კი, თავის დასთან — ჯორჯიის შტატში წავიდა და მას შემდეგ, აღარ მინახავს.

— ამერიკელებს როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველებთან?

— თავიდან ბევრმა არ იცოდა, სად იყო საქართველო, ყველას ეგონა, რომ ჯორჯიის შტატზე ვლაპარაკობდით. ზოგი მეკითხებოდა: ქრისტიანები ხართ თუ მუსლიმანებიო? ზოგსაც შევარდნაძე და სტალინი ჰყავდა გაგონილი... ის, რომ ჩვენი ენა და კულტურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია, თითქმის არავინ იცის. ვარდების რევოლუციის, განსაკუთრებით — საქართველოში ბუშის ვიზიტის შემდეგ კი, ჩვენით აღფრთოვანდნენ. ქართული კერძებიც ძალიან მოსწონთ, ოღონდ, ყოველდღე ვერ ჭამენ — ცოტა არ იყოს, მძიმეაო.

— ჩვენს ხალხს სამსახურში როგორ ექცევიან?

— ამერიკელები ძალზე მკაცრი და მომთხოვნი ხალხია, მათთვის მოსამსახურე — მოსამსახურეა, მნიშვნელობა არა აქვს — საიდანაა. გოგონებისგან მსმენია, რომ ზოგიერთ ოჯახს ძიძის ოთახი სარდაფში ჰქონდა გამოყოფილი, ზოგი კი, საკუთარი შვილების ოთახის გვერდით აწვენს ძიძას და როგორც ოჯახის წევრს, ისე იღებს. საბედნიეროდ, სარდაფში არასოდეს მიცხოვრია — ორი ოჯახი გამოვიცვალე და ორივეჯერ კარგ ადამიანებთან მოვხვდი.

— მაშინ, როცა არანაირი გამოცდილება არ გქონდა, ბავშვების მოვლა არ გიჭირდა?

— პირველად ძალიან გამიჭირდა — 9 თვის ბავშვი ჩამაბარეს და დღე და ღამე არ მეძინა. მეორე ოჯახში კი, 4 და 7 წლის გოგონები მყავდა. ისინი დღემდე ძალიან მიყვარს — მათი სურათებიც მაქვს და ერთმანეთს ხშირად ვუკავშირდებით.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, შენს პირველ ქმარს — მსახიობ დათო კაზიშვილს („უძინართა მზე“, მთავარი როლის შემსრულებელი) სწორედ ამერიკაში შეხვდი და საერთო შვილიც გყავთ...

— მე და დათომ მანჰეტენზე, საერთო მეგობრების საშუალებით გავიცანით ერთმანეთი. სხვათა შორის, გაცნობიდან 2 საათის შემდეგ მივხვდი, რომ ერთმანეთთან რაღაც გვაკავშირებდა. აღმოვაჩინეთ, რომ თურმე, ჩვენი დედები 25 წლის განმავლობაში ერთად მუშაობდნენ — დედამისს ბავშვობიდან ვიცნობდი და ყოველთვის ძალიან მიყვარდა.

— მერე, მოვლენები როგორ განვითარდა?

— ქართული ჩვეულებისამებრ — თავიდან, მთელი ღამეები სატელეფონო საუბრები გვქონდა. მერე, წმინდა ვალენტინის დღეს, დათო ჩემთან სტუმრად მოვიდა და მაშინ უკვე გასაგები იყო, რაც უნდოდა.

— სიყვარული აგიხსნა?

— დათომ მხოლოდ ერთხელ მითხრა: მიყვარხარო და ისიც მაშინ, როცა უკვე დაშორებულები ვიყავით და გამოვუცხადე — სხვაზე ვთხოვდები-მეთქი... ჩვენ ერთად ცხოვრება წინასწარ არ დაგვიგეგმავს, ყველაფერი თავისთავად მოხდა. არც მე მქონდა იმის პრეტენზია, რომ მისი ცოლი დამრქმეოდა და არც მას უთქვამს ოდესმე, რომ ჩემი ქმარი იყო. უბრალოდ, ეს ქართული ტრადიციის მიხედვით, ბუნებრივად ასე გამოდიოდა, რადგან მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა გაცნობიერებული ბოიფრენდობისა და გელფრენდობის ინსტიტუტი. იქ ათასობით ქართველი ცხოვრობდა ჩვენსავით და მათ ცოლ-ქმარი ერქვა... დაახლოებით ერთი წელი ვიყავით ერთად, მერე კი მივხვდით, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები ვიყავით, სხვადასხვა იდეა გვამოძრავებდა. ბევრჯერ დავშორდით და შევრიგდით, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ შერიგებას აზრი აღარ ჰქონდა.

— როცა გაშორდით, შენ უკვე ორსულად იყავი?

— მაშინ არ ვიცოდი, ფეხმძიმედ რომ ვიყავი. ორი კვირის შემდეგ, ექიმთან ჩვეულებრივი ვიზიტით მივედი, მან კი დიდი ამბით მაცნობა, რომ მალე დედა გავხდებოდი, თან მითხრა: ახლა ბავშვის მამა მოძებნე და ეს ამბავი შეატყობინეო... ჩემს მეგობრებს ვთხოვე, რომ დათოსთვის ბავშვის შესახებ არაფერი ეთქვათ, მაგრამ ერთ-ერთმა ძალზე ახლო მეგობარმა — ანუშკიმ, რომელიც ახლა უკვე ჩემი შვილის ნათლიაა, ერთ დღეს გადაწყვიტა, რომ ბავშვის მამისთვის ყველაფერი შეეტყობინებინა. დათომ შვილი უარყო. მას უთქვამს: ილონა ორსულად ჩემგან არ არისო. მოგვიანებით, როცა ბავშვი დაიბადა, ჩემთან დათოს ძმა მოვიდა, რომელიც ასევე ამერიკაში ცხოვრობდა (დღესაც იქ ცხოვრობს, მეუღლესთან ერთად). ბავშვის დანახვისთანავე გაოცებულმა აღნიშნა, რომ პატარა ძალიან ჰგავდა დათოს... ნიკი



დათომ შვილი უარყო. მას უთქვამს: ილონა ორსულად ჩემგან არ არისო

როცა ძალიან მიჭირდა, თითქმის ყველა მათგანი მხარში ამომიდგა

(ჩემი ქალიშვილის სრული სახელია — ნიკოლ-მარიამი) უკვე 5 თვის იყო, როცა ბებიამ დარეკა და შვილიშვილს ახალი წელი მიულოცა. 8 თვის რომ გახდა, დარეკვა მამამაც გაბედა და ბავშვი მოიკითხა. ნიკი უკვე 10 თვის იყო, როცა იძულებული გავხდი, ის თბილისში, დედაჩემთან გამომეგზავნა, რადგან მუშაობა და ამის პარალელურად, მისი მოვლა-პატრონობა ძალიან გამიჭირდა. იმ დროს, დათო უკვე თბილისში იყო. ბავშვის ჩამოსვლის ამბავი გაიგო თუ არა, მასთან მაშინვე მივიდა და ვიდრე ნიკი საქართველოში იყო, არც მოსცილებია.

— მეორედ როგორ გათხოვდი?

— ჩემი ახლანდელი ქმრის სახლში ჩემივე ფეხით მივედი. ერთი საერთო მეგობარი გოგო გვყავდა — ისრაელიდან, რომელიც ჩემზე 8 წლით უმცროსი იყო და შემოკედლებული მყავდა, ერთად ვმუშაობდით და ძალიან მიყვარდა. როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, მითხრა: ისეთი რამ მინდა გაგიკეთო, რომ არასოდეს დაგავიწყდე; ერთი მეგობარი მყავს, მინდა გაგირიგო და იქნებ, ბედს ეწიოო. ვკითხე: თუ ასეთი კარგია, შენ რატომ მიდიხარ-მეთქი? მიპასუხა: 35 წლისაა და ჩემთვის ბებერიაო. რა თქმა უნდა, ამ წინადადებაზე არ დავთანხმდი. იმანაც იეშმაკა — გაცილების ცერემონია იმ ბიჭის ბინაში მოაწყო და იძულებული გავხდი, რომ იქ წავსულიყავი. მერე, როცა ის აეროპორტში წავიყვანეთ, მე და ის ბიჭი — როჯერი უკან მანქანით წამოვედით და საცობში გავიჭედეთ, სადაც მთელი 3 საათი მოგვიხდა დგომა. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ერთამანეთი უკეთესად გაგვეცნო და ტელეფონების ნომრები გაგვეცვალა. ასე ავაწყვეთ ურთიერთობა და მალევე — 7 თვეში დავქორწინდით. ახლა გვყავს საერთო შვილი, წლინახევრის მიტჩელი (ქართულად. — მიშა). როჯერი, ნიკისა და მიჩის ერთმანეთისგან აბსოლუტურად არ ასხვავებს. ყოველთვის ამბობს — ჩემი პირველი შვილი, ნიკიაო. მას ნიკიც მამას ეძახის და ის არანორმალურად უყვარს — რაც აქ ვართ, ერთმანეთი ძალიან ენატრებათ და როცა ნიკი მამამისს ტელეფონით დაელაპარაკება, იმ ღამეს არ სძინავს, ტირის და სულ როჯერზე ფიქრობს.

— ამერიკაში როგორ ერთობით?

— ათასნაირ ბარში დავდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები „შიკის“ და კომფორტის მოყვარული ხალხია, უცნაური ბარები აქვთ. ჩვენს სახლთან ახლოს ერთი ბარია (ახლა მანჰეტენზე აღარ ვცხოვრობთ, მაიამიში გადავედით), სადაც ჭუჭყიანი, დანგრეული იატაკი და კედლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ საკმაოდ ცნობილი და შეძლებული ხალხი მიდის. ერთი უცნაური წესი აქვთ — ბარმენები ბარის „სტოიკაზე“ ადიან, დარბაზში ახალგაზრდა გოგონებს შეათვალიერებენ, ვინც თვალში მოუვათ, საცეკვაოდ მასაც დახლზე აიყვანენ; ერთ-ერთი ბარმენი მას სასმელს დაალევინებს, მეორე კი, ჩუმად მიეპარება და ბიუსტჰალტერს ჩაუხსნის; ბიუსტჰალტერების კოლექცია იქვე კედელზე, სასმელების თავზე აქვთ ჩამოკიდებული. მათი რაოდენობა დაახლოებით 5000-მდე იქნება. სხვათა შორის, მათ შორის, ჯულია რობერტსის ბიუსტჰალტერიც კიდია... იმ ბარს ბევრი ჰოლივუდელი ვარსკვლავი სტუმრობს, მაგრამ ისეთი ჩაცმულები დადიან, რომ ვერც ვცნობთ. სამაგიეროდ, ვიცნობ ქართველ, მაგრამ ამერიკაში ძალზე ცნობილ დიზაინერს — ნინი ქეის, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია. ჩვენ საერთო მეგობრები გვყავს და ხანდახან ერთად ვერთობით. ახლა ნინიც თბილისშია და ერთმანეთს აქაც ვნახულობთ.

როჯერი, ნიკისა და მიჩის ერთმანეთისგან აბსოლუტურად არ ასხვავებს

— საკუთარი კოლექციიდან თუ გისახსოვრა რამე?

— არა, მე ხომ ჯერ ცნობილი პიროვნება არ ვარ (იცინის)!..

— ახლა, როცა 8 წლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდი, შენი აზრით, აქ რაიმე შეიცვალა?

— რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა — ხალხი ძალიან გაუბედურებულია; ყოფილი თანამდებობის პირები დღეს სამარშრუტო ტაქსის მძღოლები არიან; ქალაქიც ძალზე შეცვლილია, საბედნიეროდ — უკეთესობისკენ.

— საქართველოში საცხოვრებლად არასდროს დაბრუნდები?

— ჯერ არ ვიცი, თუმცა, გამორიცხული არ არის.

— როჯერმა ქართველი ცოლის მოყვანა რატომ გადაწყვიტა და როგორი შთაბეჭდილება აქვს მას საქართველოზე?

— როჯერს საქართველოზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონდა, რადგან განათლებული ადამიანია. სხვათა შორის, ჩემდა სამარცხვინოდ, მან საქართველოს ისტორია ჩემზე უკეთესად იცის... მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამერიკელი კი არა, რომელიმე ქვეყნიდან ჩასული იმიგრანტი შეერთო ცოლად. ეს იმიტომ უნდოდა, რომ ჩვენი მხრიდან ჩასული ქალები უფრო ტრადიციულები, თბილები და მორჩილები არიან, ამერიკელი ქალები კი, ქმრებს იქით იმორჩილებენ, ცივები არიან და კარიერის გარდა არაფერი აინტერესებთ... ჩემი ქმარი მეუბნება: შენ ჯერ შენი შვილები გიყვარს, მერე — მე და ამას ძალზე ვაფასებო. მას აქ ჩამოსვლის ძალიან დიდი სურვილი აქვს და ალბათ, ამას მალე მოახერხებს კიდეც. მაიამიში თუკი ვინმე ქართველს გაიცნობს, ყველა შინ მოჰყავს და მეც დიდი პატივით წარმომიდგენს ხოლმე. ძალიან უყვარს ქართველი ხალხი, ცდილობს, რომ ქართულადაც ილაპარაკოს და რაღაც-რაღაცებს ახერხებს კიდეც.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎ 822 006005
822 006 099
822-425-544
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ღრანტე ვიწრო, ღრმა ხევია.
2. „ახორი“ და „თავლა“ სინონიმებია.
3. სპარტელები ღამით ბრძოლის ოსტატები იყვნენ.
4. ტაკვი მოკვეთილი კიდურის დარჩენილი ნაწილია.
5. არც ერთი ტირანი პირად ცხოვრებაში ბედნიერი არ ყოფილა.
6. დაკოდილ ცხენს ლაფშა ჰქვია. მას მეორენაირად იაბოს ეძახიან.
7. რონალდ რეიგანი 70 წლის ასაკში გახდა ამერიკის პრეზიდენტი.
8. „ბეზ ბაკალა ნეტ ვაკალა!“ — ამბობს მომღერალი ვერკა სერდიუჩკა.
9. „პიანაია ზმეია პოლზაეტ პრიამა,“ — ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.

10. პანამის არხს 28 წლის განმავლობაში აშენებდნენ. მისი სიგრძე 80 კილომეტრია.
11. წეწონი მარილთან ერთად დანაყილი ნიგოზია. ამგვარი ნაზავი იდეალურად ინახება.
12. საყოველთაოდ ცნობილი სერიული მკვლელი — ანდრეი ჩიკოტილო, რომელმაც 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, სამაგალითო მეოჯახე გახლდათ.
13. ჰოლანდიაში ყველა ფერის ტიტა მოჰყავთ. მათ შორის ყველაზე იშვიათი, თითქმის ლეგენდად ქცეული შავი ფერის ტიტაა.
14. „ავტოკონსერვანტი“ სპეციალური სითხეა, რომელიც იდეალურად იცავს ავტომობილის ძარას კოროზიისაგან. „ავტოფარეხი ფლაკონში“ — ასეთი სახელი შეარქვეს ამ ქიმიურ საშუალებას მომხმარებლებმა.
15. უგემრიელესი თევზი მაკრურუსი ყოველთვის თავმოჭრილი და უკუდო იყიდება. ეს თევზი იმდენად მახინჯია, რომ სხვაგვარად მას არავინ იყიდდა.
16. მეცნიერთა გამოთვლით, გლობალური დათბობის დროს, დედამიწაზე ტემპერატურის 3 გრადუსით მომატების შემთხვევაში, მარტო გრენლანდიის ყინულების დადნობის შედეგად, მსოფლიო ოკეანის დონე 7 მეტრით მოიმატებს.
17. გერმანელი მიკრობიოლოგის — რობერტ კოხის საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია სიტყვები, რომელიც მან თავის დროზე, ერთ-ერთ თავის ნაშრომს ეპიგრაფად წაუმძღვარა: „ნურასდროს იქნები უსაქმური“.
18. ჰანს ქრისტიან ანდერსენი ნევრასთენიით იტანჯებოდა. ეშინოდა ავად გახდომის, ხანძრის, გემის ჩაძირვის, სიმაღლის, მატარებელზე დაგვიანების, პასპორტისა და სხვა მნიშვნელოვანი

ოჯახი, რომელსაც რეჟისორიც ჰყავს, მსატვარიც, ქორეოგრაფიც და მსახიობიც

„ხშირად ვოცნებობ სპექტაკლზე, სადაც მხოლოდ ოჯახის წევრები დავკავდებით, მაგრამ...“

ეკა მინდაძე

„მამა ექიმი რომ მყოლოდა, შეიძლება, დღეს მეც ექიმი ვყოფილიყავი“, — ამბობს თემურ ჩხეიძის ქალიშვილი ეკა ჩხეიძე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მამამისი რეჟისორია, არ არის განებივრებული როლებით, რადგან ბატონი თემური შვილის ან რომელიმე ოჯახის წევრის ამ თუ იმ როლზე დაკავებას ყოველთვის ერიდება...

— ხელოვანი ადამიანების წრეში რომ არ გავზრდილიყავი, ალბათ, მსახიობის პროფესიას არ ავირჩევდი — ბავშვი რა გარემოშიც იზრდება, ის იზიდავს. სხვათა შორის, ვიდრე სამსახიობოზე ჩაბარებას გადავწყვეტდი, რეჟისორობა მინდოდა, მაგრამ თემურის მხრიდან წინააღმდეგობას წავაწყდი. მისი აზრით, რეჟისორობა ქალის საქმე არაა, მსახიობი კი, ქალიც შეიძლება იყოს და კაციც. ბედმა გამიღიმა და ბატონი მიშა თუმანიშვილის ჯგუფში აღმოვჩნდი. მან ისე მიმამსგავსა მედიკოს (*ეკა ჩხეიძის ბებია, მედეა ჩახავა. — ავტ.*), რომ „პატარა ჩახავას“ მეძახდა. ამ სახელით მიმართვამ ჩემში უფრო მეტად გაამძაფრა პასუხისმგებლობის გრძნობა და ვცდილობდი, ძალ-ღონე არ დამეშურებინა იმისთვის, რომ მედიკოს სახელი არ შემერცხვინა... დღეს, მსახიობების უმეტესობას ძალიან უჭირს. მარტო თეატრში მუშობით ვერ არსებობ და რომ არა რეკლამა და რაღაც-რაღაცების გახმოვანება, ცხოვრება მეც ძალიან გამიჭირდებოდა. ამიტომაც არ მინდა, რომ ჩემი შვილი ჩემს კვალს გაჰყვეს. მირჩევნია, ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც ცხოვრებაში გამოადგება. ბოლოს და ბოლოს, ინანომ სამი ენა იცის და ეს არ უნდა გამოიყენოს?!.

— მისალებ გამოცდებზე რამდენად დაგეხმარა ის, რომ თემურ ჩხეიძის ქალიშვილი და მედეა ჩახავას შვილიშვილი იყავი?

— საერთოდ, ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს რაღაცის მიღწევა. ის ფაქტი, რომ ცნობილი ადამიანების შვილი და შვილიშვილი ვარ, ხშირ შემთხვევაში ხელს მიშლის.

— თემურ ჩხეიძე მკაცრი მამაა?

— არა, დედა უფრო მკაცრი იყო. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მამა სახლში გაზეთით და „ჩუსტებით“ არასდროს მინახავს, მას მუდამ სადღაც ეჩქარებოდა, სულ რეპეტიცია და სპექტაკლი ჰქონდა. ისე, მეუღლეც ასეთი შემხვდა — თავისი საქმით ისეა დაკავებული, რომ სახლში ძალიან იშვიათადაა. ვფიქრობ, ეს კარგია — არ სჯობს, კაცი საქმიანი იყოს, ვიდრე უსაქმური?.. ამიტომ, თუ რაიმე ასაკრძალავი იყო, დედა მიკრძალავდა. იმ დროს ამის მიზეზს ვერ ვხვდებოდი, დღეს კი ვფიქრობ, რომ სწორად იქცეოდა. ჩემს შვილს რაღაც-რაღაცებს მეც ვუკრძალავ. მართალია, ამის გამო ძალიან მიბრაზდება, მაგრამ იმედია — გამიგებს.

ეკა ჩხეიძე მეუღლესთან — ლევან მუმკუდიანთან ერთად

— რომელი უფრო ზარმაცი ბავშვი იყო — შენ თუ შენი და?

— ჩემი და ყოველთვის შრომისმოყვარე და მიზანდასახული იყო. მე კი დღემდე ზარმაცი ვარ (*იცინის*). თეონა დედაჩემის გზას გაჰყვა — ის თითქმის ყოველდღე 6 საათის განმავლობაში ვიოლინოზე უკრავდა, რაც ჩემთვის წარმოუდგენელია. არეულობის პერიოდში, მან კონსერვატორიას თავი დაანება, სრულიად

მარტო, გერმანიაში წავიდა და ლიანა ისაკაძის ორკესტრში დაიწყო დაკვრა. ცოტა ხანში, მიუნხენის კონსერვატორიაში ჩააბარა და დღეს ვენის ორკესტრში უკრავს. თეონას არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს, რომელიც გერმანელი გახლავთ. ის პროფესიით ექიმია და კერძო ტრავმატოლოგიური კლინიკა აქვს.

— მამა სკოლაში თუ გაკითხავდა ხოლმე?

— ამ მხრივ დედა უფრო აქტიური იყო, მაგრამ თუკი მას არ ეცალა, მამა მოდიოდა ხოლმე. ერთხელ მამა ექსკურსიაზეც წამომყვა.

— გაიხსენე მამის მიერ მომზადებული სიურპრიზი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა.

— მახსოვს, იმ დროს, როცა ყველანი ერთ დიდ სახლში ვცხოვრობდით (მედიკოსა და კოტესთან ერთად), გადაწყვიტეს, რომ ახალი წელი ეზეიმათ. მათ თითქმის მთელი ეზოს ბავშვები დაპატიჟეს. მოიტანეს უზარმაზარი ნაძვის ხე და ა.შ. ავთო მახარაძე წინასწარ გაუფრთხილებიათ — თოვლის ბაბუა უნდა იყოო. დადგა ახალი წელიც, უფროსებმა ნაძვის ხის გარშემო წრე გაგვაკეთებინეს და გვითხრეს: თოვლის ბაბუას დაუძახეთ და მოვაო. ყვირილი დავიწყეთ. უცებ, კარი გაიღო და საჩუქრებით დატვირთული თოვლის ბაბუა შემოვიდა. მისი დანახვისას ბავშვებმა ტირილი დაიწყეს და მშობლებისკენ გაიქცნენ. ამან ისე იმოქმედა ავთოზე, რომ ნიღაბი სასწრაფოდ მოიხსნა და დამიძახა: მე ვარ, ეკუნა, ნუ გეშინიაო. აი, ასეთი სიურპრიზი გამიკეთა მამაჩემმა. იმის მაგივრად, რომ ის ძალიან მომწონებოდა, შემეშინდა და საშინელ ხასიათზე დავდექი.

— ალბათ, დამეთანხმები, რომ ოჯახის დანგრევა ყველა ბავშვზე მოქმედებს...

— 8 წლის ვიყავი, როცა დედ-მამა ერთმანეთს გაშორდა, მაგრამ დედაჩემის წყალობით, ეს ამბავი უმტკივნეულოდ გადავიტანე.

— მამის ოჯახთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ძალიან კარგი. მამის მხრიდან მყავს ერთი და *(ის ჩვენს გზას არ გაჰყვა, უცხო ენები დაამთავრა)* და დისშვილები.

— როგორ ფიქრობ — მამას რით ჰგავხარ?

— ხასიათით და გარეგნობით.

— მაგრამ გარეგნობით ბებიას უფრო გამსგავსებენ...

— მამა ხომ ბებიას ჰგავს *(იცინის)*!..

— ეკა, თუ შეგიძლია ილაპარაკო ბატონი თემურის დადებით და უარყოფით თვისებებზე?

— ის ცხოვრებაში უფრო სიტყვაძუნწი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანია. ფიქროს ხვალინდელ რეპეტიციაზე, სამომავლო გეგმებზე. თუ ცხოვრებაში ასეთი სერიოზულია, რეპეტიციებზე იხსნება და ლაღი, თავისუფალი ხდება.

— როგორი ბაბუაა?

— სამწუხაროდ, ჩემი შვილები მას იშვიათად ხედავენ, მაგრამ ბაბუა მაინც უყვართ.

— მამა შენს შემოქმედებას როგორ აფასებს?

— ძირითადად დადებითად. როცა რაღაც მოეწონება, კარგად და სწორად მუშაობო, — მეუბნება. ეს მისგან უმაღლესი შეფასებაა...

— მამა-შვილს ერთად გიმუშავიათ?

— ამას წინათ, ერთად „სამეფო უბნის თეატრში“ ვიმუშავეთ (იქ მას სტუდენტები ჰყავს, რომლებიც სპექტაკლებს დგამენ თემურის დახმარებით). სპექტაკლში — „კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე“, — კატის როლი ვითამაშე. ის არ ცდილობს, რომ შვილი ამა თუ იმ როლზე დაკავოს. დედამისიც ასე ჰყავდა დაჩაგრული. არ უნდოდა, ვინმეს ეთქვა: თავისიანებს ასაქმებსო...

— ბატონი თემური მკაცრი რეჟისორია?

— პირიქით, ცდილობს, არ შეგზღუდოს და არ დაგაკომპლექსოს — ამა თუ იმ მოქმედებას ისე შემოგაპარებს, თითქოს ეს იდეა შენ მიაწოდე. ასეთი მიდგომა კი, მსახიობს სტიმულს აძლევს. მისი რეპეტიციები იმდენად მომწონდა, რომ თავისუფალ დროს პარტერში ვჯდებოდი კამერით ხელში და მას, როგორც რეჟისორს, ვიღებდი.

— ქალბატონი მედეა როგორ აფასებს შენს შემოქმედებას?

— ყველა სპექტაკლს, რომელშიც ვმონაწილეობ, დიდი ინტერესით ელოდება, ხოლო სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ცდილობს, რაც შეიძლება მეტად მაქოს და მადიდოს *(იცინის)*.

— ბებიას და შვილიშვილს ერთად არასდროს გითამაშიათ?

— სამწუხაროდ, არა. ამ მხრივ, ნატოს *(მურვანიძე. — ავტ.)* უფრო გაუმართლა: „სამეფო უბნის თეატრში“ სპექტაკლი — „აქ, ამ სავანეში“ — ერთად თამაშობენ... ძალიან მინდა და ხშირად ვოცნებობ სპექტაკლზე, სადაც მთელი ოჯახის წევრები დაკავდებით. ამის გაკეთება ძნელი არ არის, რადგან ოჯახში რეჟისორიც გვყავს, მხატვარიც, ქორეოგრაფიც, მსახიობებიც და თეატრიც გვაქვს, მაგრამ...

— ამბობენ — მამა ქალიშვილის გათხოვებას ძნელად ეგუებაო. შენს გათხოვებას როგორ შეეგუა?

— მშვენივრად. 23 წლის ვიყავი, როცა ოჯახში ვიკითხე: შეიძლება თუ არა, ამ კაცს ცოლად გავყვე-მეთქი? რა თქმა უნდა, მათგან თანხმობა მივიღე, რადგან ძალიან კარგად იცნობდნენ ლევანს *(ცნობილი მომღერლისა და მსახიობის, თენგიზ მუშკუდიანის შვილი. — ავტ.)* და მის ოჯახს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

დოკუმენტების დაკარგვის. ქალებისადმი დაუძლეველი შიშის გამო, სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ინტიმური ურთიერთობა არასდროს ჰქონია.

19. ყველაზე დიდი მედალი რუსეთში თუჯისგან ისხმებოდა. ეს უზარმაზარი ნაკეთობა 17 გირვანქას იწონიდა. ამ მედლით რუსეთში ლოთებს აჯილდოებდნენ.

20. ძველ რომში გამოცდილ გლადიატორებს ხშირად ახალბედებს უპირისპირებდნენ, რათა გაეზარდათ მათი გამარჯვებების რიცხვი და ამ გზით მათი ღირებულება აემაღლებინათ.

21. რიჩარდ ნიქსონმა ნებაყოფლობით განაცხადა უარი სახელმწიფოს მიერ დანიშნულ პირად დაცვაზე, რითაც 200-ათასი დოლარის ეკონომია გაუკეთა საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტს.

22. თავის მიერ გამოცემულ ამოცანათა კრებულს, ლუის კეროლმა თავდაპირველად — „უძილო ღამეებში შეთხზული ამოცანები“ უწოდა, მაგრამ მეორე გამოცემის სათაურში, თავისი უსაზღვრო გულკეთილობის გამო, სიტყვა — „უძილო ღამეები“ „უძილო საათებით“ შეცვალა, რადგან მის მეგობრებს არ ეფიქრათ, რომ მწერალს უძილობა ტანჯავდა და ამის გამო არ შეწუხებულიყვნენ.

23. პირველად, სერგო ზაქარიაძე რუსთაველის თეატრში ისე შევიდა, როგორც ტაძარში. ბროლის ჭაღმა, ნაძერწმა ჭერმა, მოხატულმა პლაფონებმა ისე დააბნიეს სოფლელი ბიჭი, რომ კედლის დიდი სარკე ფოიეს გაგრძელება ეგონა და გზა პირდაპირ განაგრძო.

24. პატიმრობაში მყოფმა ლევან ბერძენიშვილმა ციხეში მოწყობილ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. მან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ ბრწყინვალე ლექცია წაიკითხა, რისთვისაც ჯილდოდ გადაეცა ერთი ღერი „პრიმა“.

25. კუბაში მივლინებით ჩასულმა რუსმა მწერალმა ჰენრიხ ბოროვიკმა, იმჟამად იქ მყოფი ერნესტ ჰემინგუეი მოინახულა და საჩუქრად სამი ბოთლი რუსული არაყი გადასცა. საჩუქრის დანახვაზე ამერიკელ მწერალს თვალები გაუბრწყინდა და ერთ ბოთლს მაშინვე დაუპირა გახსნა. ბოროვიკმა ერთხანს უყურა — როგორ ცდილობდა ჰემინგუეი საცობის ამოძრობას, შემდეგ ბოთლი გამოართვა, ხელისგული ძირში ოსტატურად ამოჰკრა და საცობი ხმაურით ამოაგდო. ამის დანახვაზე ჰემინგუეის სიცილი აუტყდა: ახლა კი ვხვდები, რუსებმა თავიანთი ხელოვნური თანამგზავრი კოსმოსში როგორ გაუშვესო.

ინდიანა სერგეი

გამოჩენილი იტალიელი მსახიობი მარჩელო მასტროიანი 1988 წლის მარტში ეწვია საქართველოს. 13 მარტს, ღამის პირველ საათზე ავიდა სერგო ფარაჯანოვთან მთაწმინდაზე. სერგოს მეგობლებმა ისეთი დახვედრა მოუწყვეს, რომ მსოფლიომოვლილმა კინოვარსკვლავმა აღიარა – ასე მხოლოდ მშობლიურ იტალიაში მხვდებიანო...

იური მეხითოლი

„ბევრს მოსწონს ჩემი სიმღერა, მაგრამ უმეტესწილად, ამას ხმამაღლა არ აღიარებენ, მას ჩუმად უსმენენ“ — ამბობს მომღერალი გიორგი დათიაშვილი, რომელსაც ახლობლები სიმფსონას ეძახიან. რამდენიმე თვის წინ, მასზე თქვეს — თავისი მენეჯერის ქალიშვილს ეკურკურება და მალე, მას ცოლადაც მოიყვანსო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს პოპულარულ თინეიჯერზე გავრცელებული მორიგი ჭორი იყო — ჩვენ უბრალოდ, მსუბუქი ფლირტი გვაქვს და მეტი არაფერი, ცოლის მოყვანას კი, კარგა ხანს არ ვაპირებო — გამოგვიტყდა გიორგი.

სიმფსონს მსუბუქი ფლირტი მენეჯერის ქალიშვილთან

„30 წლამდე ცოლი არ უნდა მოიყვანო, ან საერთოდ, რა საჭიროა ცოლის მოყვანა?“

ლიკა ქაჯაია

— ცელქი ბავშვი ვიყავი. ძალიან მიყვარდა ტკბილეულობა და ამის გამო, ჩუმ-ჩუმელა გავხდი — სახლში სასუსნავებს მიმალავდნენ, არ მაჭმევდნენ, მეუბნებოდნენ: ამდენი ტკბილეულის ჭამა არ შეიძლებაო და მახსოვს, შოკოლადს და კანფეტებს ვიპარავდი. ფეხბურთის თამაშიც მიყვარდა, მაგრამ ხშირად, ეზოში არ მიშვებდნენ, ამიტომ ვიპარებოდი და მერე, მეძებდნენ ხოლმე.

— კიდევ რას იპარავდი?

— მეტს არაფერს, იმიტომ, რომ სხვა არაფერი მიყვარდა. ისე, თუ გაინტერესებს, ჩემი სიცელქის გამო, მშობლებს ნერვებს ყოველთვის ვუშლიდი, მაგრამ მთლიანობაში, საყვარელი ბავშვი ვიყავი.

— მშობლები კიდევ რას გიშლიდნენ?

— იქიდან გამომდინარე, რომ მომღერალი ვარ, ქალაქიდან გასვლა ხშირად მიწევს და ამას მშობლები უკვე მიეჩვივნენ. თან, ღამის ცხოვრებაზე ვგიჟდები და ძალიანაც რომ უნდოდეთ, ამას ვერ დამიშლიან.

— მაგრამ სანამ შენს რეჟიმს შეეჩვეოდნენ, საღამოს ყველგან წასვლის უფლება გქონდა?

— ხომ გითხარი — ჩუმჩუმელა ვიყავი-მეთქი და მშობლები ამ ყველაფერს ნელ-ნელა შევაჩვიე. არასდროს მქონია იმის პრობლემა, რომ ძმაკაცთან არ გავეშვი, პირიქით, ყოველთვის იმის მომხრეები იყვნენ, რომ ბევრი მეგობარი მყოლოდა და ყველასთან კარგი დამოკიდებულება მქონოდა.

— სიმღერა რამ შეგაყვარა?

— პატარა რომ ვიყავი, სახლში სულ ღიღინ-ღიღინით დავდიოდი — ვიღაც-ვიღაცების სიმღერებს ვიზეპირებდი და ვმღეროდი. 7-8 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა ჩემი მუსიკალური ნიჭი შეამჩნიეს და იფიქრეს: სიმღერაზე შევიყვანოთო... ძალიან ბევრი საბავშვო სტუდია მოვიარე. ცოტა ხანში კი, გადავწყვიტე, სიმღერისთვის ხელი სერიოზულად მომეკიდა და მივედი სტუდია „ორფეოსში“, სადაც შევისწავლე ხმის ჩაწერა, არანჟირება. ძალიან მინდოდა, რომ ჩემი ჯგუფი მყოლოდა. ცოტა ხანში, მშობლების ხელშეწყობით სურვილი ავისრულე კიდეც — ერთ-ერთ სტუდიაში შევიკრიბეთ და დასაკრავ ინტრუმენტებზე გავნაწილდით (მე „კლავიშზე“ ვუკრავდი). ყველანი თვითნასწავლები ვიყავით და აი, ასე ჩამოვაყალიბეთ როკჯგუფი. მახსოვს, მაშინ „ბითლზს“ ვბაძავდით. მერე, გამიჩნდა იმის ამბიცია, რომ სიმღერა ჩამეწერა და კლიპი გადამეღო, რათა ჩემი შემოქმედება ფართო აუდიტორიას მოესმინა.

— შენს ასაკში პოპულარობა როგორია?

— ერთი მხრივ, კარგია, მით უმეტეს მაშინ, როცა შენს შემოქმედებას დადებითად აფასებენ, როცა ხალხს შენი სიმღერა მოსწონს (რაც ძალიან სასიამოვნოა) და მეორე მხრივ, აქედან იწყება შენი პოპულარობაც, რომელსაც თავისი მინუსებიც აქვს.

— უფრო კონკრეტულად?

— ანუ გემოვნებაზე არ დაობენ — ბევრს არ მოსწონს ის, რასაც აკეთებ, რაღაც სხვანაირად გიყურებენ, გლანძღავენ, მაგრამ ცოტა ხანში, შეიძლება შენს სიმღერას ჩუმად (სხვებმა რომ არ გაიგონ) და სიამოვნებით მოუსმინონ.

— როგორც ვიცი, წელს სკოლა დაამთავრე — გული არ დაგწყდა?

— სკოლის დამთავრება ერთი მხრივ, ძალიან ვინანე, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვი, რომ ყოველ წუთას ნოსტალგია მომეძალება, რადგან მას შემდეგ, რაც მუსიკალურ განათლებას ხელი სერიოზულად მოვკიდე, მასზე იმდენად გადავერთე, რომ სკოლაში წასვლასაც ვეღარ ვახერხებდი... ვინმეს რომ გაველვიძებინე, გაკვეთილის მოყოლის ნაცვლად, აუცილებლად წავიღერებდი..

— რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თინეიჯერი აღარ იქნები, შენს ცხოვრებაში რა შეიცვლება?

— მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ ვიცი, რომ ბავშვურად „გაჯაზება“ ძალიან მომენატრება.

— „გაჯაზება“ მერეც ხომ შეიძლება?

— კი, მაგრამ როცა იცი, რომ ბავშვი აღარ ხარ და მაინც, მის შესაფერისად იგიჟებ თავს, ეს ცოტა არ იყოს, უხერხულია... თუმცა, ალბათ ეს უფრო სახალისო იქნება.

— თინეიჯერებს დღეს რა პრობლემა გაქვთ?

— სხვებს რა აწუხებს არ ვიცი, მაგრამ ჩემი ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ გარდატეხის ასაკში ვარ და ხმა რაღაც ცვლილებებს განიცდის...

— როგორ მოსწავლედ გთვლიდნენ?

— მეშვიდე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ მერე, ავურიე — ბოლო 2 წელი საშინელი მოსწავლე ვიყავი, სკოლაში საერთოდ არ დავდიოდი. კიდევ კარგი, რომ მასწავლებლები ხელს მიწყობდნენ და კლასში არ მტოვებდნენ.

— სწავლაში ხელს რა გიშლიდა? გაკვეთილის მოყოლა „გიტყდებოდა“?

— არა, კი არ „მიტყდებოდა“, უბრალოდ, ვერ ვაზროვნებდი, მთლიანად ხელოვნებაზე, ჩემს ბენდზე ვიყავი გადართული. იმის მაგივრად, რომ გაკვეთილი მესწავლა, მერჩია, იმაზე მეფიქრა — ბენდში ახალი რა დავუკრა, რა თემა „ავაგდო“-მეთქი?.. თუმცა, გაკვეთილსაც ვკითხულობდი, მაგრამ ვერ ვიმახსოვრებდი.

— მშობლები არ გიბრაზდებოდნენ?

— რა თქმა უნდა, 2 დღეში ერთხელ ლექციებს მიკითხავდნენ, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— კი, ძალიან ხშირად. ბოლო ზარი რომ გვქონდა, კურიოზი იყო ის ფაქტი, რომ რამდენიმე მასწავლებელს საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემ მიმართ სითბო ყველამ გამოხატა. მეუბნებოდნენ: ყველას ძალიან გვიყვარხარო და ა.შ... უცნაურია, არა? — გაკვეთილზე თითქმის ვერც ერთი მასწავლებელი ვერ მიტანდა, რადგან ცელქი და უყურადღებო ვიყავი, ბევრს ვლაპარაკობდი. მასწავლებელი დასაწერად დავალებას თუ მოგვცემდა, რაღაც ლექსის ტექსტს ვწერდი.

— თავისუფალი თემა კარგად გამოგდიოდა, არა?

— კი, რადგან ამ დროს, ყოველთვის ხელოვნების სფეროს — ჩემს საყვარელ თემას ვირჩევდი.

— კლასიდან არ გაუგდიხარ?

— კი, რამდენჯერმე. ერთხელ იმის გამო გამაგდეს, რომ ქალი რაღაცას ნახევარი საათის განმავლობაში მიხსნიდა და ვერ გავიგე, არ ვუსმენდი.

— „შატალოზე“ არ დადიოდით?

-— არა, ამის „მუღამი“ არასდროს მქონია.

— ხშირია შემთხვევა, როცა

კლასი რეპის და როკის მოყვარულ „სასტავებად“ იყოფა...

— ეს ბავშვური რაღაცაა — ჩვენ ეს „სასტავი“ გვყავს, იმათ — ის და სისულელეების გამო, ერთმანეთს ხოცავენ. მე-5 კლასამდე ჩვენც ასე ვიყავით, ერთმანეთს ვერ ვუგებდით, მაგრამ როცა გავიზარდეთ, მე-8 კლასის მერე, ყველანი ერთმანეთს დავუმეგობრდით და მხოლოდ სხვა კლასებზე ვიყავით გადამტერებული.

— ვისი ფანი ხარ?

— ყოველთვის ვიყავი სტივ უანდერის ფანი, ყოველთვის ისეთ რაღაცებს აკეთებს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი სკოლაა. ასევე, ძალიან მიყვარს „ბითლზი“... მათგან ბევრი რამ ვისწავლე, მივხვდი — რა არის ცოცხალი მუსიკა და ა.შ. ასევე, მქონდა საყვარელი მომღერლების ალბომები.

— ხომ არ გიცდია, რომ სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— თბილისში ძალიან ცოტა თინეიჯერი უსმენს ჯაზს, მე კი, ამ მუსიკალურ მიმდინარეობაზე ჭკუა „მეკეტება“. აქედან გამომდინარე, უცნაური გამოვდივარ. დავდიოდი უცნაურად ჩაცმული. ასევე, მაქვს ბუნებრივად ხუჭუჭი თმა, რომელიც სიგრძეში არ იზრდება (ზევით იზრდება) და ამის გამო, სიმფსონა შემარქვეს. მოკლედ, თავზე „ბუჩქი“ მქონდა, დახეული ჯინსი ან ფართხუნა შარვალი მეცვა და ხალხი რაღაც სხვანაირად მიყურებდა.

— როგორ ფიქრობ, უცნაურად რატომ გიყურებდნენ?

— ალბათ, იმიტომ, რომ უცნაურად გამოვიყურებოდი. ეს შოკი არ იყო, უბრალოდ, მაშინ ასე 50 ბიჭიდან მხოლოდ ერთს თუ ეცვა.

— შენს ცხოვრებაში ქუჩას რა ადგილი უჭირავს?

— ბიჭისთვის აუცილებელია, რომ შავის და თეთრის გარჩევა იცოდეს, მან რაღაც დროის მანძილზე, ქუჩური ცხოვრებით უნდა იცხოვროს, მეგობრები უნდა გაიჩინოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის შემდეგ, ის აუცილებლად ძველი ბიჭი ან ქურდი იყოს. ქუჩა ძალიან დიდი სკოლაა — ლოგიკურად მსჯელობას და თავის გატანას გასწავლის... როგორც თბილისში ჩამოსულ უცხოელს (რომელმაც ქართული არ იცის), ქართველი ვერაფერს გააგებინებს, ასევე, დედიკოს ბიჭიც ქუჩის ბიჭს ვერაფერს მიახვედრებს. ვიღაცას თავი არ უნდა „დააგოიმებინო“, თამამი და სწორად მოაზროვნე უნდა იყო.

— შენ როგორ მოახერხე ის, რომ სხვისი გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყავი?

— ეს მშობლების დახმარებით მოვახერხე. ისინი ყოველთვის მაქცევდნენ ისეთ ყურადღებას, რომელიც მოზარდს ამ ასაკში სჭირდება. პატარა ბიჭს ქუჩაში რომ გაუშვებ, ის ან კარგ წრეში მოხვდება, ან ძალიან ცუდში. მე ისეთ ხალხთან ვიზრდებოდი, ისეთი ძმაკაცები მყავდა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ დღეს ქუჩის ბიჭი ვყოფილიყავი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ძლიერი ნებისყოფა მქონდა, მათ არ ავყევი. ალბათ, ამაში ხელოვნების სიყვარულმაც შემიწყო ხელი.

— ეი. ამ ასაკში, რაღაც მიზნის დასახვა აუცილებელია?

— „ბირჟავიკს“ საქმე არა აქვს — თბილ ლოგინში გაიღვიძებს, საათს დახედავს და ან დააგვიანდება ქუჩაში გასვლა, ან არა... რაღაც მიზანი თუ არ გაქვს, დაიღუპები.

— როგორ ფიქრობ, ვინ არიან დედიკოს ბიჭები?

— დედიკოს ბიჭები ისინი არიან, ვისაც მშობლები ცივ ნიავს არ აკარებენ... ვიცნობ ისეთ ბიჭებს (სხვათა შორის, ძალიან კარგები არიან), რომლებსაც მამა (იმის გამო, რომ ოჯახი არჩინოს), საზღვარგარეთ ჰყავთ, შვილებს მათთან ხშირი კონტაქტი არა აქვთ, დედას კი, ყველაფერს ვერ „გააგებინებ“... მეც მამაჩემმა მითხრა: ქუჩაში გადი, მეგობრებს შეიძენ, ფეხბურთს ითამაშებ და თუ საჩხუბარი იქნება, უკან მაშინაც არ დაიხიო. დედა კი მეჩხუბებოდა — ახლავე სახლში შემოდიო. როცა ბიჭი ქალების გარემოცვაში იზრდება, ეს ცუდია, რადგან მას, რაღაც ქალისთვის დამახასიათებელი თვისებები უყალიბდება და დედიკოს ბიჭი ხდება.

— რას იტყოდი შენს თანატოლებზე, რომლებიც ქუჩაში დგანან, მათხოვრობენ და ამას გართობას ეძახიან?

— ძალიან ხშირად ვხედავ ასეთ ბავშვებს და მათი დახმარების სურვილი არასდროს გამჩენია, რადგან როცა ადამიანს 2 ხელი, 2 ფეხი და აზროვნების უნარი გაქვს, ისედაც შეგიძლია ფული იშოვო, თავს მიხედო და კიდევ, ამაში გასართობს ვერაფერს ვხედავ.

— თუ გიკითხავს მათთვის — ასე რატომ იქცევიან?

— ვალდებული ვიყავი, მათთვის ეს კითხვა დამესვა და ამის გამო, ზოგ-ზოგიერთებთან ვიჩხუბე კიდეც... ესეც ჩვენი თაობისთვის დამახასიათებელი მიმბაძველობა და ვითომ უკომპლექსობაა. სიგარეტს და პლანს იმიტომ არ ვეწევი, რომ არ მყავს ისეთი ძმაკაცები, რომლებიც ამის გაკეთებას მირჩევენ. მათ შეიძლება, ორივე გასინჯული აქვთ და დღეს აქტიური მწეველები არიან, მაგრამ არასდროს უთქვამთ — ეს გააკეთე, მაგარიაო. პირიქით, ამას მიკრძალავენ. იმ ხალხს კი, ვინც ცუდად იქცევა ან თუნდაც, მათხოვრობს, ეტყობა, ნამდვილი მეგობრები არასდროს ჰყოლია.

— როგორი გოგოები მოგწონს?

— ვერ ვიტყვი, რომ თეთრი ან შავგვრემანი გოგოები მომწონს. პირველად, რასაც მანდილოსანში ყურადღებას ვაქცევ, ეს არის ტუჩები და თვალები. დანარჩენს კი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ის კარგი ადამიანი იყოს და თავისებური შარმი ჰქონდეს.

— როგორც ვიცი, შეყვარებული გყავს, არა?

— შეყვარებული არ მყავს. უბრალოდ, ვიღაცებმა ჭორი გაავრცელეს, თითქოს ჩემი მენეჯერის ქალიშვილი მიყვარს და მალე, ცოლად მოვიყვან.

— მაგრამ შენ ხშირად ამბობდი, რომ ის გოგონა ძალიან მოგწონდა...

— ისეთს არაფერს ვამბობდი. მე ის მართლა ძალიან მიყვარს, არაჩვეულებრივი გოგონაა, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ უბრალოდ, მსუბუქი ფლირტი გვაქვს გაჩაღებული. სიყვარული კი ოდესმე თავისით მოვა, ისე, რომ არაფერს მკითხავს... მე რომ მკითხო, 30 წლამდე ცოლი არ უნდა მოიყვანო, ან საერთოდ, რა საჭიროა დაქორწინება? *(იცინის)*... მაგრამ დედაჩემის საყვედურებს ვერსად გავექცევი: რა ქნას, შვილიშვილი უნდა.

— შეყვარებული არასდროს გყოლია?

— მყავდა და მაშინ ისიც კი მეგონა, რომ იმ გოგოს ცოლად მოვიყვანდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს ნამდვილი სიყვარული არ იყო.

— როგორ ფიქრობ, უცხოელი თინეიჯერები თქვენგან რით განსხვავდებიან?

— მართალია, უცხოელ თინეიჯერებთან შეხება არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ თავისუფლები ჩვენზე ადრე გახდნენ და ყველაფერს ჩვენზე ადრე მიაღწიეს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ რაღაც-რაღაცებში მათ ვბაძავთ.

— მშობელმა თინეიჯერი შვილი ყოველთვის უნდა აკონტროლოს?

— რაღაც დონეზე, ეს აუცილებელია.

— და შენ მშობლების კონტროლქვეშ ყოფნა მოგეწონება?

— მოდი, ერთ ამბავს გავიხსენებ — იმდენად მიჩვეული ვარ მშობლების ყურადღებას, იმას, რომ ისინი ხშირად მირეკავენ და მეკითხებიან — სად ხარ, რას შვრები? — და ა.შ. რომ ეს აღარ მაბრაზებს, პირიქით, ერთხელ ბათუმში მომიწია მარტო წასვლამ (კონცერტი მქონდა). რატომღაც, მთელი დღის განმავლობაში არ დამირეკეს და ლამის ცუდად გავხდი, ვერ მოვისვენე, სანამ ამის მიზეზი არ გავიგე — მათ დავურეკე და ვუსაყვედურე: რატომ არ მომიკითხეთ-მეთქი?..

— ცოლის მოყვანას რომ დაუპირებ, რჩევას მაშინაც მშობლებს ჰკითხავ?

— აუცილებლად.

— და შენი რჩეული რომ არ მოეწონოთ?

— დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვინმეს ცოლად მოყვანას გადავწყვეტ, ის ჩემებს აუცილებლად მოეწონებათ, თუ არა და, დიდი ბოდიში, მაგრამ მათ არაფერს შევეკითხები.

— რას ურჩევდი თინეიჯერებს?



დედაჩემის საყვედურებს ვერსად გავექცევი: რა ქნას, შვილიშვილი უნდა

— ძალიან მიყვარს ბათუმი და გული მწყდება, როცა იქ, საღამოს, ქუჩაში პატრულის გარდა არავინ დადის. ახალგაზრდებს ღამის ცხოვრება რატომღაც არ იზიდავს.

— იქნებ, გვიან ღამით, თინეიჯერებს ქუჩაში არ უშვებენ და ყველა შენნაირი თავისუფალი არ არის?

— შეიძლება, მაგრამ ისეთ ადამიანებსაც ვიცნობ, რომლებსაც ქუჩაში გამოსვლა ეზარებათ — საშუალება აქვთ, მაგრამ არ აკეთებენ იმას, რაც მე მიყვარს — ღამის ცხოვრება ძალიან მაგარია.

— რას უსურვებდი თანატოლებს?

— ვუსურვებდი ყველაფერ კარგს და ვურჩევდი, რომ იყვნენ უფრო გახსნილები, თავისუფლები, უკომპლექსოები, მაგრამ ეს უზრდელობაში არ გადაეზარდოთ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ვამოხმაურება

თეო, *17 წლის:*

„ვარ ძალიან მომხიბვლელი, მაგრამ ბიჭებს არ მოვწონვარ, რასაც ძალიან განვიცდი. ზოგი უშნო გოგო იმდენ ბიჭს უყვარს, რომ... არც ატუტუცებული ვარ. მირჩიეთ, რა ვქნა?“

ნინა:

— შენი პრობლემა მგონი, შენივე კომპლექსებშია. გირჩევ, ახალი ნაცნობები შეიძინო, ხალხში გაერიო, მოუშვა და ვიღაც აუცილებლად შეგამჩნევს.

ლიკა, *19 წლის:*

„ნინა, აბსოლუტურად ყველაფერში გეთანხმები, რადგან მართლაც კარგი გემოვნება გაქვს... ფილმის გადაღება გადავწყვიტე და მსურველები — 12-დან 14 წლამდე, ჟურნალ „გზის“ მეშვეობით გამომეხმაურეთ“.

ნინა:

— კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა. იმედია, კარგ ფილმს გადაიღებ.

ფიფიკო, *16 წლის:*

„ნინა, მეც შენსავით 16 წლის გავთხოვდი, მაგრად მეშინია მშობიარობის და ქმარი რომ მეფერება, ნერვები მეშლება. სახლში დაქალების მიყვანა მიტყდება — ჩემს თავს ველაპარაკები, თან მძიმე მუსიკას ვუსმენ და ვტირი. ახლა მივხვდი, რომ ჩემთვის უძვირფასესი ბავშვობა დავკარგე“.

ნინა:

— საერთოდ, ორსულობის პერიოდში, ქალის ფსიქიკა მთლიანად იცვლება. მეც ასე ვიყავი და ესპანური ენის სწავლა დავიწყე. მასწავლებელი გაგიჟებული იყო, მეკითხებოდა: შვილო, პატრონი არა გყავსო?.. ეტყობა, შენ მძიმე მუსიკა მოგწონს და იმიტომაც უსმენ. მშობიარობის ნუ გეშინია, მთელი მსოფლიოს ქალები აჩენენ შვილს და შენ რა უნდა მოგივიდეს? დამშვიდდი, ყველაფერი გაივლის.

თეკო, *14 წლის:*

„ვაიმე, მიშველეთ რამე — ერთდროულად 2 ბიჭი მომწონს (მათაც მოვწონვარ) და არც ერთის დაკარგვა არ მსურს. რა ვქნა?“

ნინა:

— ოოო... ეს მართლაც დიდი პრობლემაა. ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ დრო რომ გავა, არჩევანის გაკეთება მოგიწევს და ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად უნდა დაემშვიდობო.

უცნობი, *16 წლის:*

„ამწუთას ვკითხულობ თქვენს ინტერვიუს ნინასთან. მისი რჩევა მჭირდება და ტელეფონის ნომერს ხომ ვერ მომცემთ?“

ნინა:

— თუ ჩემი რჩევა გჭირდება, მაშინ შენი ტელეფონის ნომერი მომეცი და აუცილებლად დაგირეკავ.

ფელი, *16 წლის:*

„მე და ჩემი კლასელი ბიჭი ერთმანეთს ვერ ვიტანდით. 2 წელია „მეკაიფება“, მამცირებს და ჩემზე ჭორაობს (თუმცა, არც მე ვაკლებ), ძალიან გადამეკიდა, სულ მაკვირდება... მეგონა მეზიზღებოდა, მაგრამ მგონი, მომწონს. მირჩიეთ, რა გავაკეთო? როგორ გავიგო — რატომ ვერ მიტანს? მისთვის ხომ არაფერი დამიშავებია“...

ნინა:

— ამ ასაკში, თავიანთი გრძნობები რომ დამალონ, მოზარდები ხშირად აგრესიულად იქცევიან. დაელაპარაკე, იქნებ მასაც უყვარხარ?.. თუ არა და დამიჯერე — კაცების გულისთვის ნერვების აშლა არ ღირს.

ფინა, *17 წლის:*

„ნინა, შენი გაცნობა ძალიან მინდა და გთხოვ, შემომეხმიანე. რა გავაკეთო იმისთვის, რომ შენსავით მიმზიდველი და მომხიბვლელი ვიყო?“

ნინა:

— არაფერიც არ უნდა გააკეთო, იყავი ისეთი, როგორიც ხარ, ნურავის მიჰბაძავ. ხშირად იფიქრე იმაზე, თუ რა მოგიხდება და ამის მიხედვით იმოქმედე.

კიკა, *18 წლის:*

„გამარჯობა. მინდა, რომ რამე მირჩიოთ — შეიძლება თუ არა, რომ მესიჯებით შეგიყვარდეს ადამიანი? ადრე სხვებს დავცინოდი, ახლა კი, მეც ასეთ დღეში ვარ“...

ნინა:

— ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. მყავს ისეთი მეგობრები, რომლებმაც ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით გაიცნეს ის ადამიანები, რომლის გვერდითაც დღეს ბედნიერები არიან, ანუ ისინი შეუღლდნენ...

ნუკა, *16 წლის:*

„რა ვქნა, მირჩიეთ — ბიჭი მეუბნება: მიყვარხარო და სხვას კოცნის. ასე მეუბნება: ლიკა მხოლოდ გასართობია, შენ კი ნამდვილი სიყვარულიო. დავუჯერო? მე ის მიყვარს“.

ნინა:

— თუ ბიჭს უყვარხარ, მან შენ არც კი უნდა მიგახვედროს, რომ სხვასაც ხვდება (რაღაც-რაღაც მიზეზის გამო). თუ მან ფეხებზე დაგიკიდა და შენ თავლწინ ვიღაცას „დაეზასა“, ე.ი. ის პატივს არ გცემს. ამ შემთხვევაში, მოღალატე ფეხზე უნდა „დაიკიდო“, რადგან ის შენი ღირსი აღარ იქნება.

ანუკა, *17 წლის:*

„ერთი წლის წინ, გავიცანი ადამიანი, რომელმაც ძალიან შემცვალა. ეს ადამიანი ნუკრი გეორქოვია, ჩემი დიდი და ტკივილიანი სიყვარული. ნუკ, ძალიან მენატრები, არ არსებობს ისეთი დღე, შენზე რომ არ ვიფიქრო. ოცნებაში გეფერები და გესაუბრები. სანამ შენ ჩემთან მოხვალ, მანამდე შენი მონატრება იქნება ჩემთან. მიყვარხარ და ბევრს გკოცნი. შენი ბუტია და მტირალა ანუკი“.

სოფო, *29 წლის:*

„მონატრებული სალამი მთელ საქართველოს. ლიკა, საბერძნეთიდან გწერ. უკვე 9 თვეა აქ ვარ და 9 დღე არ ვყოფილვარ ბედნიერი. მენატრება ჩემი ოჯახი — მეუღლე და ჩემი პატარები — 8 წლის ბექა და 3 წლის გიგი (ჟუჟა). ვინ იცის, რამდენი ღამე გამითევია თეთრად, ტირილში. როდის მეღირსება მათი ნახვა და ბედნიერი ცხოვრება?.. ბექუნა, ჩემო პირველო სიყვარულო, ძალიან მენატრები, დაუჯერე მამიკოს და ბებოს. ჟუჟა, ჩემო პატარავ, შენს პუტკუნა ლოყებზე ჩამახუტა და აქ ცოტა ხანი კიდევ გავძლებდი. ლიკა, ჩვენ ხელფასიანი პატიმრები ვართ, ცრემლებს ვერ ვიკავებ. გკოცნით ყველას“.

ირაკლი, *17 წლის:*

„პრივეტ“ ლიკა. თქვენი რუბრიკა პირველად ვნახე და ძალიან მომეწონა. მადლობა მინდა ვუთხრა უცნობს და ანასტასიას იმისთვის, რომ მათ ნინის რჩევა მისცეს. ისე კი, გოგოებო, გირჩევთ უსმინოთ როკს. ვისაც ეს სტილი მოსწონს, გავერთიანდეთ და ნახავთ — რა საამურია თავისუფალი ცხოვრება. დამიმესიჯეთ 8(93)25.28.13“.

პავლიკა, *მონასტრის ბიჭი:*

„ვეხმაურები თამთას (16 წლის). თუ ჩემს გაცნობას ისურვებ, შეგიძლია დამეკონტაქტო ამ ნომერზე — 8(93)20.67... და ჩვენს „სასტავშიც“ მოხვდები. ბოლო 2 ციფრი ლიკამ იცის... მარი, შენ კი იქნებ გადაიფიქრო, ჩვენს (იდიოტების) წინააღმდეგ გაერთიანება. აი, ზოგიერთები კი კიდურებზე „დაიკიდო“, კარგი? დამიმესიჯე და კარგი „ეს-ე-მეს“ მეგობრები ვიქნებით“. ■

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში გეები და ლესბოსელები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, საქართველოში მსგავსი ადამიანების არსებობა ხალხის უარყოფით რეაქციას, უკეთეს შემთხვევაში კი, მათ გაკვირვებას იწვევს. რამდენიმე დღის წინ, ქართლის ერთ-ერთ სოფელში სტუმრად ჩასულს, ჩემი მასპინძელი აღშფოთებული დამხვდა — ჩვენს სოფელში ქალმა ქალი ცოლად შეირთო და ერთ-ერთი მათგანი ჩემი კლასელიაო. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა ძალზე დამაინტერესა და მასპინძელს ვთხოვე: „ახალშეუღლებულ“ წყვილთან მიმიყვანე-მეთქი. ვიდრე ამ ოჯახში მივიდოდით, ჩემი მეგობარი დიდი ენთუზიაზმით მიყვებოდა — „ცოლი“ სკოლის პერიოდში კარგი გოგონა იყო, თაყვანისმცემელი ბიჭებიც ჰყავდა და მათთან შეხვედრაზე უარს არასდროს ამბობდა. მისთვის არასოდეს და არავის შეუნიშნავს, რომ ქალები აინტერესებდა. ამიტომაც, ამ ამბავმა სოფლის აღშფოთება გამოიწვიაო... სტუმრად მისულებს ეზოში „ქმარი“ შემოგვეგება, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ ჟურნალისტი ვიყავი, მაშინვე აგრესიული გახდა და მითხრა: ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ სახალხოდ ლაპარაკს არ ვაპირებო. ხანგრძლივი ხვეწნის შემდეგ, ინტერვიუზე მაინც დავითანხმე, თუმცა იმ პირობით, რომ მათ ვინაობას არ გავამხელდი და კითხვებით არც მის „მეუღლეს“ შევაწუხებდი. თან გამაფრთხილა — თუ რომელიმე კითხვა არ მომეწონება, პასუხს არ გაგცემო. წაყენებულ პირობებს დავთანხმდი და ჩვენი ინტერვიუც შედგა (სხვათა შორის, რომ არ მცოდნოდა, რომ ჩემი რესპონდენტი ქალი იყო, მისი გარეგნობის მიხედვით, ამას ვერც მივხვდებოდი).

დაქორწინებული ქართველი ლესბოსელი წყვილი, ნაცემი „სიმამრი“ და ცოცხლად დამარხული შვილი

„ქალს არაფრით ვგავარ, თუ რაღაც ორგანოებს არ ჩავთვლით“

ნათია ქივიძე

— შეიძლება გკითხო, რა გქვია?

— შენი მეგობრისგან ჩემი ნამდვილი სახელი ალბათ, უკვე გეცოდინება, მაგრამ არ დაწერო. პირობითად, ნიკა დამარქვი — ჩემი „მეუღლე“ ასე მომმართავს.

— ნიკას სხვა არავინ გეძახის?

— არა. ხომ იცი, სოფლელებისთვის ძნელად აღსაქმელია, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება გოგო იყო და სახელიც შესაბამისი ერქვა, უცებ სხვა სქესის ადამიანად წარმოიდგინოს და ბიჭის სახელით მიმართოს, მაგრამ მე ეს არ მადარდებს. მთავარია, ჩემს „ცოლს“ ესმის ჩემი.

— ვიდრე „ცოლზე“ ლაპარაკს დავიწყებდეთ, იქნებ შენი ცხოვრების შესახებ უფრო დაწვრილებით მიამბო?

— რა უნდა გითხრა?! ჩვეულებრივ, ტრადიციულ ოჯახში დავიბადე. მყავს 2 დედმამიშვილი. მამაჩემი ლოთი იყო და მძიმე ხასიათი ჰქონდა. ამის გამო, დედას ჩვენთვის არც ეცალა — მუდმივად პრობლემები ჰქონდა. ისიც ვიცი, რომ დედას ჩემი გაჩენა აღარ უნდოდა, მაგრამ აბორტის ფული არავინ ასესხა და დავიბადე. მამას ოღონდ სასმლის ფული ჰქონოდა და სულ არ აინტერესებდა, ოჯახში რა ხდებოდა. სამი წლის წინ, მამა გარდაიცვალა, როგორც გვითხრეს — იაფფასიანმა სასმელმა მოწამლა. დედა უკვე 6 თვეა, ავად არის და ლოგინსაა მიჯაჭვული. ჩემმა უფროსმა ძმამ ასეთ ოჯახში ცხოვრებას ვერ გაუძლო და უკვე წლებია, სახლიდან წავიდა (როგორც ვიცი, სადღაც რუსეთშია და არც კი გვეხმიანება). ჩემი დაც კარგა ხანია, გათხოვილია და არც ის იკლავს თავს აქ მოსვლით — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემი დაოჯახების ამბავი შეიტყო. როგორც გავიგე, ჩვენს მონახულებას ქმარი უკრძალავს. მოკლედ, დედაჩემი ჩემს იმედად დარჩა.

— თავს როგორ ინახავ?

— ბავშვობიდან ბიჭებთან მეგობრობა უფრო მიზიდავდა. არასოდეს მითამაშია თოჯინებით და მსგავსი სისულელეებით, რადგან გაცილებით უკეთესად გამომდიოდა „ომობანა“ ან „ფეხბურთის“ თამაში. ბიჭებსაც უხაროდათ, მათი ჭკუის გოგო რომ ნახეს და ჩემთან მეგობრობაზე უარს არ ამბობდნენ. პირიქით, მანქანის მართვა და სიგარეტის მოწევა რომ მესწავლა, ამაში მეხმარებოდნენ კიდეც. სხვათა შორის, ორივე საქმეს არაჩვეულებრივად გავართვი თავი — მერვე კლასში უკვე პროფესიონალი მძღოლი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ მანქანა არასდროს მყოლია. სიგარეტს კი, თითქმის აკვნიდან ვეწევი. ბავშვობაში არასოდეს მიგრძნია, რომ გოგონები მომწონდა. უბრალოდ, ბიჭები ჩემთვის მხოლოდ კარგი მეგობრები იყვნენ, გოგონებთან საერთო ენას ვერ ვპოულობდი — მხოლოდ მათი შორიდან ყურება და წვალება მიზიდავდა. დანარჩენი ბიჭებივით, მათ მეც ხშირად ვქაჩავდი თმას და ჩანთებსაც ვუმალავდი. მომწონდა, როცა გაკაპასდებოდნენ ხოლმე. რაც შეეხება თავის რჩენას, კაცურ საქმეებს ვაკეთებ. ძირითადად, ფერმაში ვმუშაობ და საქონელს ვმწყემსავ. ახლაც, როცა „ცოლის“ მოყვანა გადავწყვიტე, ცხვარში წავედი, ცოტა ფული მოვაგროვე და ისე მოვიყვანე. ხომ იცი, ოჯახს რამდენი ხარჯი აქვს.

— პირველად როდის მიხვდი, რომ გოგონები მოგწონდა?

— მეათე კლასში ვიყავი, როცა ჩემმა კლასელმა გოგონამ — მეგიმ გადაწყვიტა, რომ ჩემთან საერთო ენა გამოენახა, რადგან ყოველთვის მოკლედ შეკრეჭილი თმითა და ბიჭურად ჩაცმული დავდიოდი. კლასელებს, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი აკვირვებდათ და გადაწყვიტეს, ჩემში ქალი გაეღვიძებინათ. ერთხელ, გაკვეთილების ბოლოს, შინ რომ ვბრუნდებოდით, მეგი დამემგზავრა და ბიჭებზე დამიწყო საუბარი. მიყვებოდა, თუ როგორ მოსწონდა ჩვენი სკოლელი და ა.შ. ჩემდა გასაოცრად, ვიეჭვიანე. მერე, მეგიმ მითხრა: კაბა არასდროს გცმია, არადა, რომ გაიპრანჭო, ურიგო გოგო არ იქნებიო. თავს მიხედე-მეთქი, — უხეშად ვუპასუხე და გავეცალე. იმ ღამეს არ მიძინია, მეგიზე ვფიქრობდი. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მივხვდი, რომ მე ის, როგორც კაცს ქალი, ისე მომწონდა, მაგრამ მისთვის ამის თქმა ვერ გავბედე. ისიც მიხვდა, რომ ჩემი ქალად ქცევის სურვილი უშედეგო იყო და თავი დამანება... სკოლის დამთავრებისთანავე მეგი გათხოვდა.

— შენი „მეუღლე“ სად გაიცანი?

— მეზობელი სოფლიდანაა. ერთხელ, ბიჭებმა მითხრეს: გვერდზე სოფელში, მეგობართან კარგი პონტი „იჩითება“ და წავედითო. ეკაც იქ გავიცანი, თუმცა, მას ჩემთვის ყურადღება არც მოუქცევია, ჩემს ძმაკაცს ეპრანჭებოდა.

— მერე, როგორ მოინადირე მისი გული?

— სხვათა შორის, ძალიან გამიჭირდა. ის ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, რომელიც ბიჭებს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა, კარგა ხანს არც იცოდა, რომ ბიჭი არ ვიყავი. მოგვიანებით ვიღაცისგან გაუგია... საჩუქრებს ვუგზავნიდი, თუ სადმე მიდიოდა, გზაზე ვხვდებოდი და დანიშნულების ადგილამდე ვაცილებდი. თავიდან ახლოსაც არ მიკარებდა. მე კი, მის აჩრდილად ვიქეცი და გადავწყვიტე — რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჩემი გამხდარიყო. მერე, ეკამ ჩემთან ურთიერთობის ტაქტიკა შეცვალა. მანაც გადაწყვიტა, რომ ჩემში ქალი გაეღვიძებინა და დამიმეგობრდა. ამით ვისარგებლე და შინ ხშირად ვეპატიჟებოდი. ისიც მელაპარაკებოდა ლამაზ, ქალურ ჩაცმულობასა და ათასგვარ სისულელეზე. ოღონდ ჩემთან ყოფილიყო და ყველაფერზე თავს ვუქნევდი. ერთი-ორჯერ, მისი ხათრით კაბაც კი ჩავიცვი, მიუხედავად იმისა, რომ მასში თავს საშინლად ვგრძნობდი. ჩვენი „მეგობრობა“ დაახლოებით ერთ წელს გაგრძელდა. ეკა უკვე ისე მენდობოდა, რომ თავის საიდუმლოებებსაც მიყვებოდა. მას ჩემთან ურთიერთობის გამო, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან პრობლემები ჰქონდა და ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემთან არ გამოუშვიათ. ერთ დღეს, გადავწყვიტეთ — ტყეში ჩანჩქერის სანახავად წავსულიყავით. პირველად იქ მოვეფერე. თავიდან წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ მერე მოეწონა და უარი არ უთქვამს. თუმცა, იმ დღის მერე, გამირბოდა, თავს

მარიდებდა. მე ისევ მის აჩრდილად ვიქეცი, სულ უკან დავყვებოდი. ერთხელ, მამამისიც კი მოვიდა ჩემთან, ჯერ საშინელი სიტყვებით გამლანძღა, მერე კი მითხრა: ჩემს შვილს თავი დაანებეო. მისთვის გინება არც მე დამიკლია. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ცოტა ხანში, ეკას გული ისევ მოვინადირე — შეყვარებულები ვიყავით, მაგრამ მისივე თხოვნით, ჩვენს ურთიერთობას ვმალავდით. ვინმე ბიჭთან ერთად თუ დავინახავდი, საშინლად ვეჭვიანობდი. ბოლოს, ჩვენი ასეთი ურთიერთობა გაუსაძლისი გახდა და ვუთხარი: საცხოვრებლად ჩემთან გადმოდი-მეთქი. თავიდან სასტიკ უარზე იყო — მამაჩემი მომკლავსო, მაგრამ მამამისი, ჩემთან ურთიერთობის გამო, ისედაც მოსაკლავად ემუქრებოდა, ამიტომ მალევე დავიყოლიე და უკვე ერთი თვეა, რაც ჩემთან ცხოვრობს.

— თქვენი ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?

— სად მყავს ოჯახი? — დედაჩემს ლოგინიდან დამოუკიდებლად წამოდგომაც კი არ შეუძლია. თუმცა, მან ეს ამბავი რომ გაიგო, გულის შეტევა დაემართა და იმ საღამოს, კინაღამ მოკვდა. გასაკვირია, მაგრამ ასეთმა ავადმყოფმა ქალმა ყველაფერს გაუძლო, ჯერ ისევ ცოცხალია... რაც შეეხება ეკას ოჯახს, მამამისი გაგიჟებული მოვარდა და ხელი გამარტყა, მაგრამ არც მე დავრჩი ვალში, საკმარისი ძალა მაქვს. ჩვენს ჩხუბში მთელი ორი სოფელი ჩაერია. ეკას მამამისმა ხელი თმაში ჩაავლო და ასე უნდოდა მისი წათრევა, მაგრამ მე არ დავანებე, თან ეკაც ყვიროდა: მე ის მიყვარსო. მშობლების მოვარდნებმა და ჩხუბმა სისტემატური ხასიათი რომ მიიღო, მერე გადავწყვიტეთ — აქაურობას ცოტა ხნით გავცლოდით. ჩემი ერთ-ერთი მეგობრის მიტოვებულ „დაჩაზე“ წავედით და რა თქმა უნდა, ჩვენი ადგილსამყოფლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ეკას მშობლები გვეძებდნენ, მაგრამ ვერ გვიპოვეს, მერე კი, ჩემი მეუღლის მეგობარს დაავალეს: ეკას გადაეცი, რომ ჩვენ შვილი მოგვიკვდაო. ამის გამო, დედამისმა შაებიც კი ჩაიცვა. რა სისულელეა, არა? — ცოცხალ ადამიანს გლოვობენ.

— გასაგებია, მაგრამ არა მგონია, ადვილად აღსაქმელი იყოს, როცა შენი ქალიშვილი საცხოვრებლად ქალთან მიდის.

— მე ხომ ქალს არაფრით ვგავარ, რა თქმა უნდა, თუ რაღაც ორგანოებს არ ჩავთვლით და ამასაც მალე მოვევლება.

— რას გულისხმობ?

— მე და ეკამ გადავწყვიტეთ, რომ ორივემ ვიმუშაოთ, ფული მოვაგროვოთ და ოპერაცია გავიკეთო... მანამდე კი, ამ სოფლიდან წასვლა მოგვიწევს, რადგან გამარჯობასაც აღარავინ გვეუბნება. მართალია, ჩემდამი აგრესიას მიჩვეული ვარ და ხალხის აზრს აღარაფრად ვაგდებ, მაგრამ ამის გამო, ეკა ძალიან იტანჯება, სულ ტირის. ხალხი იმას ვერ ხვდება, რომ ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ, 24 წლისები და ვიცით, ჩვენს ცხოვრებას როგორ უნდა მივხედოთ.

— მაშინ, რატომ არ გინდა, რომ შენი ნამდვილი სახელი და გვარი დავწერო?

— ისევ ეკას გამო. თანაც არ მომწონს, როცა ჩემს პირად ცხოვრებაში ვიღაც ცხვირს ყოფს. ყველამ თავის ცხოვრებას მიხედოს. მათ შორის, შენც. ახლა კი, კარგად იყავი. ისედაც ბევრი გითხარი... ■

თბილისი-გორის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სოფელ იგოეთთან მდებარე წითელ საყდარს მგზავრი ისე არ ჩაუვლის, რომ ხურდა ფული არ გადაყაროს და უფასოს მშვიდობით მგზავრობა არ შესთხოვოს. ეს ტრადიცია ხალხში მრავალი წელია დამკვიდრებულია და რაღა დაგიმალოთ, მეც სწორედ ასე ვიქცევი. გზის ამ მონაკვეთზე ისე არ გავივლი, რომ ჩემი ჰონორარის მცირედი ნაწილი საყდრის მიმართულებით არ გადავყარო, რაზეც სწრაფად რეაგირებენ გზის პირას ჩასაფრებული ადამიანები და მაგნიტისბოლოიანი გრძელი ჯოხებით მოხერხებულად აგროვებენ ხურდას. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრმა არც კი იცის, სად მიდის და რას ხმარდება ჩვენ მიერ გადაყრილი ფული, რამდენად მართებულია ამ ფორმით შესაწირის გაღება და საერთოდაც, როგორ გამოიყურება შიგნიდან საქართველოში ალბათ „ყველაზე შემოსავლიანი საყდარი“.

თქვენ და ჩემი ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა, სოფელ იგოეთს ვესტუმრე და საყდრისკენ მიმავალ გზას ფეხით გავუყევი. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, გრძელ ხის მორზე ჩამომჯდარი ადამიანები შევნიშნე და პირველი ცნობების შეგროვება წითელი საყდრის შესახებ სწორედ იქიდან დავიწყე. ადგილობრივთა ტერმინოლოგიას თუ დავესესხები, აღმოჩნდა, რომ სოფლის „ჯეელები ბირჟას ამაგრებდნენ“, ამიტომაც ცნობისმოყვარე სტუმართან მუსაიფში ხალისით ჩაებნენ.

საყდარი, სადაც ფული ეჯოს სოცხეპით იკვეკოდა

ემა ტუხიაშვილი

გიორგი:

— ოდითგანვე ასე იყო, ხალხი საყდართან ფულს ყრიდა და პირჯვარს ისახავდა: ღმერთო, მიშველეო! ადამიანებს სჯერათ, რომ ამ რიტუალის შესრულების შემდეგ, მშვიდობით იმგზავრებენ და ხიფათს აარიდებენ თავს. სხვათა შორის, ამ საყდრის შესახებ ისტორიული ცნობების მოძიება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ საყდარი შუა საუკუნეებშია აგებული. XX საუკუნის დასაწყისში მისგან მხოლოდ ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი, ხოლო 1983 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა. სოფლის უხუცესები ამბობენ, რომ უწინ ტაძრის ადგილას საბაჟო ყოფილა და ფულის გადაყრის ტრადიციას, საბაჟო ხარკის გაღების წესს უკავშირებენ. უხუცესების თქმით, წინათ ამ ადგილას აბრეშუმის საქარავნო გზა გადიოდა და მის ამ მონაკვეთს გარკვეული საზღაურის გადახდის გარეშე ვერ გაივლიდი.

რეზო:

— ამ საყდრის გარშემო ბევრი ჭორმართალი თქმულა. ზოგი ამბობს: ვინც ამ ადგილას ფულს გადაყრის, შვილმკვდარი დედის წყევლა აუხდებაო და ერთ ამბავს ჰყვებიან. მრავალი წლის წინ, დედას მცირეწლოვანი შვილი გაუსხლტა ხელიდან, რათა მიწაზე მოფენილი ფული შეეგროვებინა. ბავშვი მანქანას გაუტანია და გამწარებულ დედას ფულის ამკრებიც დაუწყევლია და გადამყრელიც. სხვათა შორის, საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ყოველთვის დატვირთულია ტრანსპორტით, ამიტომ ის ადამიანები, ვინც ტაძართან ფულს აგროვებენ, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ. მახსოვს, ერთხელ, ტაძართან ახლოს, მანქანამ 40 წლის ქალი გაიტანა, შემდეგ — შუახნის მამაკაცს დაეჯახა...

— ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც საყდრის გარშემო ფულის აკრება ევალებათ?

გოგიტა:

— უწინ საყდართან ფულის შეგროვება სათაკილო საქმედ მიიჩნეოდა. აქ ძირითადად ლოთები, სახელგატეხილი ქალები და უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები იყრიდნენ თავს და ხშირად, ფულს რომ ვერ იყოფდნენ, ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ ამ გზაზე ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გაუვლია თავისი ესკორტით და შეშფოთებულა: გზის ამ მონაკვეთზე სტუმარს ვერ გამოატარებ, ქალი და კაცი წაკუზულან, ფულს აგროვებენ და უკანალები მგზავრებისთვის აქვთ მიშვერილიო. ამის გამო, კასპის რაიონის ხელმძღვანელობას *(სოფელი იგოეთი კასპის რაიონს ეკუთვნის. — ავტ.)* საყვედური გამოუცხ-

ადეს და საყდართან პოლიციელები დააყენეს, ვითომდა უმსგავსო საქციელის აღსაკვეთად. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ისევ გამოუვლია შევარდნაძეს ამ გზაზე და რას ხედავს?! — ახლა უკვე პოლიციელებს აქვთ მიშვერილი უკანალები ტრასაზე მიმავალი ტრანსპორტისთვის და ხარბად კრებენ ფულს... მოგვიანებით, საყდრის „შემოსავლები“ კასპის რაიკომის ხელში გადავიდა, შემდეგ, ქალაქის გამგეობამ ჩაიგდო ხელში და „შტატიან“ თანამშრომლებსაც ეს უწყება არჩევდა.

— როგორ თუ „შტატიან“ თანამშრომლებს?

— ე.ი. იმ ადამიანებს, ვისაც საყდრის მახლობლად ფულის შეგროვების უფლება ეძლეოდათ, მაგრამ გარკვეული თანხა რაიონის ხელმძღვანელობასთან უნდა ჩაეტანათ... წლების წინ, სამარცხვინო საქმე იმდენად პრესტიჟულ სამსახურად იქცა, რომ საყდრის მახლობლად მორიგეობისთვის მხოლოდ „ჩაწყობისა“ და პროტექციის შედეგად შეგეძლო მიგეღწია.

წითელი საყდრის შესახებ არანაირი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება

— თქვენს სოფელს თუ ხმარდებოდა საყდრიდან შემოსული თანხები?

— ჩვენი სამყოფი ფული ვის შემორჩებოდა, როდესაც ამ თანხას თავად ქალაქის გამგეობა, ძეგლთა დაცვისა და კულტურის განყოფილებაც კი ვერ იყოფდნენ ერთმანეთში. თუმცა, ჩემზე უკეთ ამაზე ტაძარში გიამბობენ. ახლა იქ სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს და ვინმე აუცილებლად დაგხვდებათ.

წითელი საყდარი მართლაც ხარაჩოებშია ჩასმული. როგორც ჩანს, ტაძრის აღდგენა-შეკეთება განუზრახავთ. საკურთხეველთან ახალი ფილები დაუგიათ და კედლების გასუფთავებას შესდგომიან. ღვთისმშობლის ერთადერთი ხატი იატაკზე, სამშენებლო ხელსაწყოებისა და მასალების გვერდითაა დაბრძანებული. ერთადერთი, რისთვისაც ხელოსნებს ადგილი არ შეუცვლიათ, სასანთლეა, სადაც ეულად დგას ჩამოღვენთილი ერთი სანთელი. საყდარში შუახნის მამაკაცმა შემოიხედა, ქუდი მოიხადა, მომესალმა და თავი სოფელ იგოეთის აღორძინების კავშირის წევრად გამაცნო. ჩემსა და ნიკოლოზ ხუციშვილს შორის ასეთი საუბარი შედგა:

— წლების განმავლობაში, საყდართან აკრებილი თანხები კასპის განყოფილების ანგარიშზე ირიცხებოდა, რის შემდეგაც მავანნი მათ პირადი მოხმარებისთვის იყენებდნენ. მთელი ამ ხნის მანძილზე ვთხოვდით რაიონის ხელმძღვანელობას, რომ აღნიშნული შემოსავლებიდან მცირედი ჩვენი სოფლის კეთილდღეობისთვის მოეხმარათ, მაგრამ ამაოდ. ჩვენი სოფელი მთებითაა გარშემორტყმული, ამიტომ სპეციალური ანძის გარეშე ქართული ტელეარხების ყურება არ შეგვიძლია. თავდაპირველად მხოლოდ ამ ანძის შეძენას ვითხოვდით ჩვენივე სოფლის საყდრიდან შემოსული ფულით, მაგრამ ამ თხოვნას ყური არავინ ათხოვა. ცოტა ხნის წინ, საკუთარი ძალებით სოფელში რამდენიმე ძველი სალოცავის აღდგენა გადავწყვიტეთ. ვიფიქრეთ, შესაბამისი უწყება ასეთი კეთილი საქმისთვის მაინც არ დაიშურებდა საყდრიდან შემოსულ თანხას, მაგრამ ასეთი პასუხი მივიღეთ: საყდართან ფულს საერთოდ ვეღარ ვაგროვებთო. ასეთი უსამართლობა კი აუტანელი აღმოჩნდა და სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა, ერთი დღე საყდართან ე.წ. „შტატიან თანამშრომლებთან“ ერთად გაეტარებინა. როგორც გაირკვა, იქ სულ მცირე, დღეში 100-120 ლარის მოგროვებაა შესაძლებელი. ამგვარი შედეგი საკმარისი აღმოჩნდა, რომ სოფელს შესაბამისი ზომები მიეღო. დავუკავშირდით სამთავისი-გორის ეპარქიას და იქ გვიპასუხეს, რომ საყდრიდან შემოსულ ფულთან შეხება არასდროს ჰქონიათ, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, თუ ეს თანხა კეთილ საქმეებს მოხმარდებოდა. სოფელმა სამორიგეოდ რამდენიმე სანდო ადამიანი დანიშნა და შედეგიც მივიღეთ: საყდრიდან შემოსული ფულით უკვე დავეხმარეთ უკიდურესად გაჭირვებულ 35 ოჯახს, შევიძინეთ ნანატრი ანძა და გარკვეული თანხა გადავურიცხეთ ახალშობილს, რომელიც ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ფილტვის იშვიათი პათოლოგიით დაიბადა და სასწრაფოდ ესაჭიროებოდა უცხოეთში ოპერაციის გაკეთება. საყდრის გარშემო ყოველდღიურად აკრებილი თანხებით დავიწყეთ ამ ტაძრის რეკონსტრუქცია, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევს სამთავისი-გორის ეპარქიის წარმომადგენელი იორამ იმედაშვილი. გარდა ამისა, შემოსული ფულით სოფელში კიდევ ორ სალოცავს ვაშენებთ.

— მერე, კულტურის განყოფილება ასე იოლად შეელია „ტკბილ ლუკმას“?

— სასამართლოშიც კი გვიჩივლეს, მაგრამ ხალხს დიდი ძალა აქვს...

— თქვენ ბრძანეთ, რომ სამთავისი-გორის ეპარქიასთან გქონდათ ურთიერთობა. საინტერესოა, როგორ აფასებენ ისინი ხალხში დამკვიდრებულ ფულის გადაყრის ტრადიციას?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ წითელი საყდრის დასახელება მისი შეფერილობიდან მოდის: საყდარი მუქი წითელი აგურითაა ნაგები, ხოლო საძირკველში ნატეხი და რიყის ქვებია გამოყენებული. უფრო ზუსტად კი, ეს გახლავთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, კერძოდ — 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, ჩვენი წინამძღვრის მამა იორამის წყალობით, ამ ეკლესიაში, მრავალი საუკუნის შემდეგ პირველად, კვლავ აღევლინა ქრისტიანული ლოცვა და იმედი გვაქვს, რომ ეს უკვე ტრადიციად დამკვიდრდება. რაც შეეხება ფულის გადაყრის ტრადიციას — ეპარქიის აზრით, მათ ურჩევნიათ, რომ ადამიანებმა შეწირვის უფრო მართებულ ფორმას მიმართონ, კერძოდ — გააჩერონ მანქანა, შევიდნენ ტაძარში, დაანთონ სანთელი და ილოცონ. სოფლის უხუცესების თქმით, ამ საყდარს დიდი ძალა აქვს...

— გამოდის, რომ აქ იმთავითვე ტაძარი იყო და არა საბაჟო პუნქტი...

— სამწუხაროდ, წითელი საყდრის შესახებ არანაირი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. ისტორიკოსები იმასაც ამბობენ, რომ ფულის გადაყრა რაიმე ადგილას ძირითადად, წარმართობიდან მოდის და არაქრისტიანულია. მათივე თქმით, ასეთი ტრადიცია წარმართულ რელიგიაში ადგილობრივი ღვთაების მოსამადლიერებლად, მისი გულის მოსაგებად ტარდებოდა. მაგრამ დანამდვილებით ვიცით, საყდრის მახლობლად, ასე, 100-ოდე მეტრის დაშორებით, კაპილონი მდებარეობდა. ეს იყო ადგილი, სადაც საქონელი იცვლებოდა. წინაპრებისგან მსმენია, რომ ამ კაპილონში, კავკასიაში მოგზაურობის დროს, ალექსანდრ პუშკინი გაჩერებულა.

— რამდენად უსაფრთხოა გზის სავალ ნაწილზე ფულის შეგროვება?

— ზრდასრული ადამიანი სიფრთხილეს იჩენს, ამიტომაც არის უფრო მოსახერხებელი ხურდა ფულის შეგროვება მაგნიტისწვეტიანი ჯოხით. ერთხელ გამვლელი გაგვეხუმრა კიდეც: ამ მთავრობამ თქვენთვის მოჭრა ლითონის მონეტებიო. მაგრამ ხშირად, ფულის ასაკრეფად სოფლიდან ბავშვებიც ამოდიან: ნაყინისთვის ვაგროვებთო. ასეთ დროს გვირჩევნია, ჩვენ მივცეთ ფული, ვიდრე მათი სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდოთ. ჩემს ბავშვობაში კი მახსოვს, რომ მგზავრები ძირითადად კუპიურებს ყრიდნენ და ირგვლივ, ყველაფერი ფერად-ფერადი ქაღალდებით იყო მიმოფანტული. როგორც კი საავტომობილო მოძრაობა შენელდებოდა, საყდართან მორიგე ადამიანები ფულს ეზოს ცოცხებით ხვეტდნენ და ტომრებში ათავსებდნენ. ცხონებული პაპაჩემი ამბობდა, რომ გროშები საყდართან ჯერ კიდევ მაშინ იყრებოდა, როდესაც ხალხი ამ გზაზე ურემში ჩაბმული კამეჩებით მგზავრობდა.

■

სანამ ცოცხლები ვართ...

მანანა იამვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-31

საქართველოს შავი თებერვალი და „წითელი ტერორი“

ლიზიკო ქავთარაძის მოგონებებში შემდგომ ვკითხულობთ:

„...ამ ბუნაგის *(საბჭოთა რუსეთის საელჩოს. — ავტ.)* ექსტერიტორიულობას ჩვენი მთავრობა პირნათლად იცავდა. მაშასადამე, იცავდა მათ ჯაშუშურ კავშირებს ადგილობრივ ბოლშევიკებთან, რომლებიც ყველა დემოკრატიული თავისუფლებით სარგებლოდნენ: პარტიული ორგანიზაცია, პრესა, სადეპუტატო მანდატები და ასე შემდეგ. იქნებ, საჭირო იყო მცირე შეზღუდვების გამოყენება მაინც, მაგრამ ავაზაკების მიმართ ავაზაკობა, ავაზაკებს უფრო ეხერხებათ. ახალბედა რესპუბლიკა კი, თავის დემოკრატიულ და რევოლუციურ ტრადიციებს უფრთხილდებოდა...

1921-მა წელმა მეხუთე კლასში მოგვისწრო. მეორე ქალთა გიმნაზიაში არც ერთი კომკავშირელი და არც ერთი კომუნისტი მასწავლებელი არ გვყავდა. არ იყო ისეთი მოწაფე, რომლის მშობელიც ბოლშევიკების თანამგრძნობი ყოფილიყო... განახლდა ოკუპაციის დღეებში შეწყვეტილი მეცადინეობა. ჩუმად შევედით კლასში, უხმოდ მივუჯექით მერხებს. ეს იყო სამგლოვიარო შეყრა, მასწავლებლების და მოწაფეების გულდათუთქული წყვეტილი თქმა... და უცებ გაჩნდა დიდი საზრუნავიც, ოლღა ევსეის ასული სანიკიძე-ვალაბუევა (ესერთა პარტიის წევრი იყო) დირექტორის მოადგილე იყო და სკოლის ეზოში ცხოვრობდა. მისი ბინა სამზარეულოდ გადაიქცა, სადაც ვაგროვებდით ფულს, უფრო ხშირად — პროდუქტებს, ვამზადებდით სადილებს და სხვადასხვა საავადმყოფოში მიგვქონდა, სადაც ომში დაჭრილები გვეგულებოდნენ. მათ შორის იყო დემნა შენგელაია. წინ მიდგას მისი სახე. როდესაც დაგვინახავდა, მისი მჭმუნვარე სახე აღფრთოვანებით ნათდებოდა და გვესალმებოდა: „ქართველ ქალებს გაუმარჯოს!..“

მალე გამოჩნდა იატაკქვეშეთიც. ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების ჯგუფები, მაგრამ უფრო მასობრივი, ჩვენი, ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია იყო. მე და ჩემი მეგობარი ვერა ასათიანი მათთან მივედით. ჩავუჯექით მარქსიზმს. მახსოვს აგია აბაშიძის და პავლე სვანიძის გაცხარებული პაექრობები მარქსიზმზე, რომელსაც ყმაწვილქალები პირდაღებული ვუსმენდით. ისინი 1924 წელს დახვრიტეს. „ახალგაზრდა მარქსისტებს“ ხელმძღვანელობდნენ გამობრძმედილი და პოლიტიკურად კარგად მომზადებული ავანგარდი: დათო ყიასაშვილი, მიშა ჩაჩუა, გენო ბელთაძე, მიშა ჩოგოვაძე და სხვები, ვისი სახელებიც არ მახსოვს. იატაკქვეშეთი საქართველოში კონსპირაციის განკერძოებული სამყარო არასოლეს ყოფილა. იგი ხალხის გაორებული ცხოვრების ერთი მხარე იყო, რომელსაც მეორისგან მკვეთრი საზღვრით ვერ გამოყოფდი... აგერ გამოდიან მოწაფეები თავიანთი სასკოლო ოთახებიდან. მწყობრად ტოვებენ კლასებს. საერთო გაფიცვაა ქალაქში... სადგურებში ორთქლმავლები გაბმით აწივლდნენ, მათ შეუერთდა ქარხნის საყვირი, მეორე, მესამე... აქა-იქ ზარების რეკვაც ისმის. თავიანთი რაიონებიდან მუშები დაძრულან. ჩვენც ვჩქარობთ და მასწავლებლები აქეთ-იქით აწყდებიან, ყვირიან, ცალყბად აჯერებენ, უკან დაბრუნებას სთხოვენ მოსწავლეებს და... თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლებს ვერ მალავენ. გიორგი ახვლედიანი. იგი ჩვენი სკოლის დირექტორია და მისი ვალია, დაგვაწყნაროს: — ბავშვებო, რას სჩადიხართ, დაბრუნდით. მე გზას ვუღობავ, გამარჯვებული მხიარულებით მისკენ ნაბიჯს ვდგამ. იგი უკან იხევს. კიდევ ერთი ნაბიჯი, კიდევ მეორე. ეს თამაშია, მიზანსცენისთვის პარტნიორებს რეპეტიცია არ გაუვლიათ. პატივცემული გიორგი უკვე კაბინეტშია. მიყურებს, თითქოს მეკითხება, ახლა როგორ მოვიქცეო? მე კი წამღერებით ხმამაღლა ვამბობ: — „კაბინეტში ჩაკეტილი ხარ და არაფერი შეგიძლიანო. თუ გნებავთ, „ნარკომს“ დაურეკეთ და კარგად ბრძანდებოდეთ“, — ჰაეროვან ამბორივით ღიმილს ვუგზავნი და ყველანი ქუჩაში გავრბივართ. გარეთ კი დემონსტრანტებს „ნაგაიკებით“ კვლავ კაზაკები დაგვერივნენ, ისმის მოწოდება: „ამხანაგებო, ვიკრიბებით მეორე ვაჟთა სკოლის ეზოში“. ცალ-ცალკე, ვინც კი მოძალადეებს გაადაურჩა, დათქმულ ადგილას მივდივართ. დიდი ეზო გადაჭედილია. ორატორები კი, ხან ერთი ფანჯრის რაფაზე დგებიან და ლაპარაკობენ, ხან — მეორეზე. ყველა პარტიას თავისი ფანჯარა აქვს აჩემებული...

...ავად ვიყავი. ვალიკო კანდელაკი და ვასო კაპანაძე მოიჭრნენ — რა დროს წოლაა, არავის გვიშვებენ, წამოდი! — სასწრაფოდ ვიცვამ, ორი ნაწნავიც მკერდზე ჩამოვუშვი. გრიშაშვილის ვარდისფერყდიანი დიდი ფორმატის წიგნის ქვეშ პროკლამაციების მოზრდილი დასტა ამოვაფარე. წავედით ქალაქის საბჭოში. შესასვლელში დადარაჯებულ ორ „ლიკვიდატორს“ ვეღრიჯები, შემიშვით-მეთქი — „გაუშვი, ჭკუას ისწავლის“ — გადაულაპარაკა ერთმა მეორეს. რაღაი მე უკვე შიგნით ვიყავი, ჩვენებიც გაბედულად ამოქმედდნენ, კარი შემოამტვრიეს და ქანდარაზე შემოცვივდნენ. მეც იქა ვარ, მეორე რიგში ვზივარ. თბილისის საბჭოს დაბალქანდარიანი პატარა დარბაზი აქვს, ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს. მიმდინარეობს ყოფილი სოც-დემოკრატების ე.წ. „ლიკვიდატორების“ სხდომა. პრეზიდიუმში საშა ცინცაძე და საშურა სიხარულიძე შევნიშნე. „უფროსობიდან“ დამამახსოვრდა ლეო რუხაძე. პარტიის თვითლიკვიდაციის უბადრუკ ინსცენირების ტალღაში არის მოყოლილი ისიდორე მანტკავაც. გაბედული სიტყვებით გამოდიან ზოგიერთები, ამხელენ ამ კამპანიის ჩეკისტურ სარჩულს. მასობრივად მოჰყავთ შანტაჟის, ფალსიფიკაციის, სიყალბის მაგალითები. ზოგი ბაიბურშიც არაა, არც ყოფილან ოდესმე სოციალ-დემოკრატები. „ობსტრუფანტების“ გამოსვლებმა დისკუსია გაახურეს: — თუ პროლეტარიატს სამშობლო არ გააჩნია, მარქსს არსად უთქვამს, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი მას არ მოიპოვებს, — რიხიანად ამთავრებს ისიდორე მანტკავა თავის სიტყვას. გაისმის ტაში და შეძახილები. მოწინააღმდეგეები ტრიბუნისაკენ იწევენ. მე კი პროკლამაციები დამავიწყდა. ჩვენები

კი თურმე ნერვიულობენ, ვერ მპატიობენ ხელსაყრელი მომენტის გაშვებას. მეც არ ვეპუები და გაბრაზებული მათ თავიდან ვიშორებ. ლეო რუხაძე ამბობს სიტყვას; დარბაზის მიმართულებით პროკლამაციების დასტა ზევით შევტყორცნე. თეთრი ფურცლები ჰაერში შეთამაშდნენ და ფანტელებად წავიდნენ დარბაზის პარტერისაკენ. რა თქმა უნდა, ყველამ შემნიშნა. „აიბარგე, სწრაფად გაქრი, წუთებს ვითვლი!“ — ამიარ-ჩამიარეს ყოფილმა მარქსისტებმა, რომლებსაც ჯერ სინდისი არ დაჰკარგვოდათ. შესვენება გამოცხადდა. მე კი გავჯიქდი და წასვლა აღარ მინდა, სხდომის გაგრძელება მაინტერესებს. თუმცა ვხვდები, რომ ვცოდავ ჩემი მეგობრების წინაშე და მკაცრად მომხვდება... ვასო და ვალიკო ღიმილით მოეშურებიან ჩემკენ, აქეთ-იქიდან მკლავს მიყრიან და კარისკენ მივყავარ. მგონი, კარგად დამჩქმიტეს კიდეც, მაგრამ ღიმილს არ იშორებენ სახიდან. კარებამდე მიმაცილეს და უსინდისოდ გამომაპანჩურეს. დაბოღმილი წამოვედი. ეს აშკარა ძალადობა იყო, დაბრიყვება. აქცია ბრწყინვალედ ჩავატარე, არავითარი რეპრესია არ მელოდა — თავს ვიმართლებდი, მაგრამ არ გამომივიდა. „სასტიკი“ ზომებით დამემუქრნენ. პროკლამაციების გადაყრა მართლაც, ყველასთვის თვალსაჩინოდ მოხდა და ხალხის ერთსულოვანი ხელშეწყობით სახლში უვნებელი დავბრუნდი“.

ლიზიკოს ამ მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ბოლშევიკებს ქართველები ტაშის ცემითა და სიხარულით არ შეხვედრიან. 1924 წლამდე საპროტესტო გამოსვლები არ წყდებოდა და თავისუფლების ნიშნები კიდევ არსებობდა. 1924 წლის აჯანყებამ არა მხოლოდ ზღვა სისხლის ღვრა მოუტანა საქართველოს, არამედ ბოლშევიკებმა საბოლოოდ გაანადგურეს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული მონაპოვარი, მრავალპარტიულობა.

ЛЮБИШЬ КАТАТЬСЯ...

ვასო კაპანაძე და ვალიკო კანდელაკი 1924 წელს დახვრიტეს. აჯანყების შემდგომ რეპრესიებზე, მეგობრებისა და თანამებრძოლების მასობრივ დახვრეტებზე ლიზიკო ქავთარაძე დაწვრილებითა და გულისტკივილით წერს. ახლა ცნობილია, რომ დაპატიმრებები და დახვრეტები ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, მეტნაკლები ინტენსივობით მუდმივად ხორციელდებოდა. 1937 წელი კი პიკი იყო, როდესაც პარტიის შიგნით ერთმანეთს დაერივნენ და ინტრიგებმა, დასმენებმა, განუკითხაობამ ქვეყანა წალეკა. სხვა პარტიების წევრები, რომლებიც ადრე როგორღაც გადარჩნენ, ზოგი გულაგის ჯურღმულებში ჩაიკარგა, ზოგს კი, საქართველოში ბერია და „ენკავედე“ სასტიკად გაუსწორდა.

ჩვენს ლიზიკოს 1928 წლისთვის უკვე ჰქონდა იატაკქვეშა ბრძოლის გარკვეული გამოცდილება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაციის“ აქტივისტი, უნივერ-

ლიზიკო ქავთარაძე შვილიშვილთან (მარჯვნივ) და მის მეგობრებთან ერთად

სიტეტშიც წარმატებით სწავლობდა. პროფესორმა ლუარა ანდრონიკაშვილმა ლიზიკოს ერთდღიანი ვადა მისცა მოხსენების გასაკეთებლად და ისიც სამეცადინოდ სახლში ჩაიკეტა:

„საწერი მაგიდა ორ ფანჯარას შუა მედგა. მოსაღამოებისას შევნიშნე, ვიღაც გაუბედავად მითვალთვალებდა. ქუჩაში ჩავირბინე, ლიკო ხუციშვილი ციხიდან მითვლიდა, რომ წამებისას მირიან ბარამიძე ჭკუაზე შერყეულიყო, ორთაჭალის ციხის ფანჯრებიდან ჩემსა და ოთხი ამხანაგის გვარებს გაჰყვიროდა, ჩვენს გადარჩენას იხვეწებოდა და კიდევ რაღაცებს ბოდავდა. მოხსენებისთვის ვისღა ეცალა, საქმეების მოგვარებას დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი. გამჭოლი ეზოების მეშვეობით ვახერხებდი უკვე ადევნებული „ფილერების“ ჩამოშორებას და მოკლე დროში აუცილებელი საქმეები მოვაგვარე. საჭირო იყო პირადის მოწესრიგებაც. თბილისიდან უნდა წავსულიყავი, რომ ჩხრეკა-დაპატიმრების სანახაობა, ბინის აქოთება, ოჯახის ინტიმში მოურიდებელი ფათური — მშობლებისთვის ამერიდებინა. არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლას აზრი არ ჰქონდა, ამხანაგები ჩემთან სიარულს არ მიოშლიდნენ. ჩემი და, აგრონომიულს ამთავრებდა და სტაჟიორად სოხუმში გაანაწილეს. ამხანაგებმა, აფხაზეთის იუსტიციის კომისარიატში, სტაჟიორის საგზური სასწრაფოდ გამომინახეს“.

ლიზიკომ თავის საყვარელ მასწავლებელს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, დაუფარავად აუხსნა საკუთარი მდგომარეობა. სწორედ მაშინ, გამომშვიდობებისას, უთხრა ბატონმა ლუარსაბმა ცნობილი ფრაზა: „Ну чтожь, любишь кататься, люби и саночки возить“, რომელმაც მრავალი წლის შემდეგ ასე შეაწუხა თამრიკო ჩხეიძე და მისი მეგობრები.

სოხუმში ლიზიკოს უკვე დაუფარავად უთვალთვალებდნენ, რაც მაშინ იმის ნიშანი იყო, რომ მალე დააპატიმრებდნენ. ახალგაზრდა ქალს „შემთხვევით“ გაეცნო მოსკოვის რომელიღაც უნივერსიტეტის ლექტორი, „როტ-ფრონტის“ კორესპონდენტი, გერმანელი ვილიამ სპირო. იგი „ჩეკას“ აგენტი და ავანტიურისტი აღმოჩნდა. 1928 წლის 15 აგვისტოს ლიზიკო ქავთარაძე დააპატიმრეს და მალე გამომძიებელმა კოზლოვსკიმ მას ვილიამ სპირო დაუპირისპირა. გერმანელი კომუნისტი ცდილობდა, ლიზიკოსთვის ჯაშუშობა დაებრალებინა. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდნენ პატიოსანი გამომძიებლები და კოზლოვსკიმ, უსუსური ჩვენებების გამო, სპიროს ეპიზოდის გამოძიება დახურულად ჩათვალა, მაგრამ საქმის გაგრძელება თბილისზე იყო დამოკიდებული და ლიზიკო გააფრთხილა საქმის სერიოზულობის შესახებ. პატიმარ ქალს „უყურადღებოდ“ არ ტოვებდნენ. როდესაც სპიროს მონაწილეობით გათამაშებული „სპექტაკლი“ არ გამოუვიდათ, მისი გადაბირება „ჩეკას“ მაღალჩინოსნებმა — ნაჭყეპიამ და ჯინჯოლიამ სცადეს. მათ სურდათ, ლიზიკო, ბერიას პროვოკაციებში ჩაეთრიათ და ემიგრაციასთან მისი პარტიის კავშირი დაედგინათ. საქმეში რესპუბლიკის პროკურორიც იყო ჩართული, რომელიც კაკი წერეთელთან ლიზიკოს შესაძლო ურთიერთობას იკვლევდა. ლიზიკოს მამას, რომელიც შვილის დაპატიმრების გამო სოხუმში ჩავიდა, გამომძიებლები არწმუნებდნენ, რომ მათი მცდელობით მოიხსნა ჯაშუშობის მუხლი, მაგრამ „ჩეკა“ თავისას განაგრძობდა.

სოხუმში სამთვიანი ძიების შემდეგ, ლიზიკო თბილისში უშიშროების ციხეში გადმოიყვანეს. პოლიტიკურ პატიმრებში მიღებული იყო — დილით, ლოცვასავით, საქართველოს ჰიმნი — „დიდება“ ემღერათ. ასე ხვდებოდნენ დახვრეტას, ამ ხერხითვე აწვდიდდნენ ერთმანეთს ინფორმაციას. ლიზიკოს ციხეში შესვლისას, „დიდებაზე“ მისი სახელი დაამღერეს, რამაც იგი ძალიან შეაშფოთა. მომღერალი, გოგი კუტალაძე აღმოჩნდა, ისიდორე რამიშვილის ნათესავი, რომელმაც უკვე გამოიარა სამწლიანი გადასახლება და არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა. აღმოჩნდა, რომ გოგი უკვე ორი თვე, ციხეში იჯდა, აწამეს და ყველაფერი აღიარა. ლიზიკო წერს:

„გული ჩამწყდა. მას ვენდობოდი, სოციალ-დემოკრატების ოჯახიდან იყო. მაგრამ წინ მეტი მელოდა. ზევით გამომიძახეს, გამომძიებელი ანკეტას მივსებდა. ტელეფონმა დარეკა და დასტურის შემდეგ, კაბინეტში ლიკო ხუციშვილის და, მარო, შემოვიდა. გამომძიებელმა ბრძანება გასცა, შეხვედრაზე პარმენ ფირცხალაიშვილი ამოეყვანათ და მე უკან დავებრუნებინე. მალე პარმენი შემოიყვანეს და მე იმავე ზედამხედველმა წამიყვანა. მაროს დები, ქეთო და ბოკა 1926 წლიდან საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ, პარმენი ქეთოს ქმარი თუ საქმრო იყო. ამით მისი დაპატიმრება და საქმის გამოძიების დასრულება მამცნეს. მაგრამ რატომ?“

ლიზიკოს კითხვას პასუხი მალე გაეცა. ხელისუფლებას სულ ცოტა, სურდა, მიე-

ღო მათი პარტიის დეკლარაცია ლოიალურობის შესახებ. რაც შეეხება მეტს — ამის შესახებ ლიზიკო თვითონ ჰყვება:

„პარმენი და ლორდელი, საზღვარგარეთის ბიუროს ემისრებად ჩამოვიდნენ და პირველივე ნაბიჯებით ჩვენი უნდობლობა დაიმსახურეს. წარმოიშვნენ პარალელური ორგანიზაციები, მასობრივი ჩავარდნები ქრონიკულ უბედურებად იქცა. ასეთ პირობებში მუშაობის შეჩერება-კონსერვაცია უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ სწორედ ეს აწყობდა „ჩეკას“, იატაკქვეშეთს ჯაშუშ-პროვოკატორებით აავსებდა და ვინ იცის, რა პოლიტიკურ ავანტიურებს გაითამაშებდა და რამდენს იმსხვერპლიდა, რადგან ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ბრძოლის შეჩერებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა. ვიდრე ძალა შეგვწევდა, ორგანიზაციის გადარჩენაზე ვზრუნავდით, მაგრამ ამ სახის მუშაობამ ბევრი შესაწირი მოითხოვა. შვიდი წელი გავძელით, ახლა კი, ჩვენი უახლოესი მეგობრები — ვერა ასათიანი, კოკი იოსელიანი და სხვები გააციმბირეს“.

ლიზიკომ პარმენ ფირცხალაიშვილს ბარათი მისწერა, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ. იგი აპირებდა, კატეგორიულად მოეთხოვა პარმენისთვის, ქვეყნის დატოვება და მუშაობის შეჩერება: „ადრე, მათი გაწვევის მიზნით, ისიდორე მანტკავა საფრანგეთში გაიგზავნა, მაგრამ ჩვენი საზღვარგარეთული ხელმძღვანელობისაგან არაფერი ისმოდა. რისი გაკეთებაც მოხერხდა, გავაკეთე: გზები გადავხურე, კავშირები გავასაიდუმლოე, სანამ საზღვარგარეთიდან ამბავს არ მივიღებდი, მაგრამ არ დამცალდა...“

ლიზიკოს საქმეს გამომძიებელი მელიქიძე აწარმოებდა. დაკითხვის დროს, მან ღიად განაცხადა, რომ სურს, „მენშევიკები“ ერთად შეყაროს. ლიზიკოსთვის ნათელი გახდა, რომ დეკლარაციას ამზადებდნენ. ხელმოწერაზე უარი თქვა და ჩვენების მიცემას კი დათანხმდა: „დეკლარაცია ჩაუვარდათ. გამოძიება სულხანიშვილს გადაეცა. რაც, ღრმად დარწმუნებული ვიყავი, იცოდნენ, — იმას ვუდასტურებდი. საქმეების გადაბარებისას (სოხუმში წასვლის წინ) კატეგორიული უარი ვუთხარი ყველას და მათ შორის გოგის, საკომუნიკაციო ხაზების ჩაბარებაზე, არც თბილისის ხაზი მიმიცია და არც — რაიონების. ურთიერთობა კი ბევრთან მქონდა, ზოგი — ამხანაგი იყო, ზოგი — თანამგრძნობი და აქტიური დამხმარე. გამომძიებელთან ხანგრძლივი საუბრების დროს, არც ერთი გვარი ყურში არ მომხვედრია და თავს ვულოცავდი. მაგრამ იყვნენ მუშაობაში უშუალოდ ჩაბმულები; იყო ტიპოგრაფია, სტენოგრაფი, ბეჭედი, კონსპირაციული ბინები და ა.შ. თავში ერთი აზრი მიტრიალებდა: როგორ დამენამუსებინა გოგი კუტალაძე, რომ არ ეთქვა ის, რისი თქმაც ჯერ ვერ მოესწრო. ტიპოგრაფიის ახალი ადგილი მხოლოდ ოთხმა კაცმა ვიცოდით — გოგიმ, მიშა კუტალაძემ და საშა მელიმონაძემ. იმედები ამაო აღმოჩნდა. გარედან ამხანაგებმა მაცნობეს, რომ მდგომარეობა სხვაგვარად ვითარდებოდა. გოგის დედა, ისიდორე რამიშვილის და იყო და ეს ოჯახი სრული ნდობით სარგებლობდა. უმცროსი შვილი, მიშა, ქუჩას აჰყვა და გაფუჭდა. „ჩეკა“ ასეთ საკბილოს გვერდს არ აუვლიდა, მოისყიდეს, გააჯაშუშეს და შემდეგ, პროვოკატორის როლიც წარმატებით შეასრულებინეს. ტექნიკაც კი მისცეს, რადიომიმღები. მიშა კუტალაძემ არა ერთი და ორი ასეული კაცი დააღუპვინა „ჩეკას“. დრო ნელა მიდიოდა, ვკითხულობდი გაზეთებს (მაშინ არ გვეკრძალებოდა) და პატარა წრუწუნათი ვერთობოდი, ხელიდან ვაჭმევდი. მელიქიძემ გამომიძახა: — პარმენი და ლორდელი თქვენთან შეხვედრას ითხოვენ. — სიხარულით გული ამიფანცქალდა, ვინაიდან დიდ თავმოყრაზე კრინტს აღარ ძრავდა. ვუპასუხე: — ჩეკას გამომძიებლებს უშუალოდ ვესაუბრები და მათი აგენტები ახალს რას მეტყვიან?! — სევერიან და სევასტი რამიშვილებიც იმავეს გთხოვენ, სეითი ავადაა, მაგრამ თქვენს სანახავად მოსვლას აპირებს.

— გადაეცით, რომ პოლიტსამმართველო, პოლიტსალონად არ მიმაჩნია. ველოდი, როდის გამოქვეყნდებოდა დეკლარაცია და ვის გვარებს ამოვიკითხავდი. ცხადი იყო, ზარ-ზეიმი არ შედგა“.

გამომძიებლებმა ახალ ტაქტიკას მიმართეს და ლიზიკოს შესთავაზეს, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციასთან“ კავშირის გაწყვეტის სანაცვლოდ, სასწავლებლად საზღვარგარეთ გაეშვათ. ამ მიზნით მამაც კი მიუგზავნეს, მაგრამ ლიზიკო უარზე იდგა, თუმცა ძალზე აფიქრებდა მამის მდგომარეობა, რომელიც დაშინებული მოეჩვენა. გამომძიებლები კი არ ცხრებოდნენ: გამოძახებები დღის ნებისმიერ დროს გრძელდებოდა. ბოლოს, მორიგ დაკითხვაზე მელიქიძემ გამოუცხადა:

„ვინაიდან ჩემი დახსნის ცდებმა ამაოდ ჩაიარა, იძულებულია, მთელი სიმკაცრით ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი დასვას. აი, რა ბრალდება გეკისრებათ ყველას, — და დაშიფრული დოკუმენტები, გასაღები და ტექსტიც წინ დამილაგა. ეს იყო ჯაშუშური მუშაობის მამხილებელი საბუთები. საზღვარგარეთ, ბიუროს ბრძანებით და პოლონეთის გენშტაბის დავალებით, ვითომც, ჩვენი იატაკქვეშეთის ორგანიზაციები, რწმუნებულ პირთა მეშვეობით აგროვებდნენ და უშუალოდ გენშტაბს აწვდიდნენ სამხედრო და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ცნობებს. ჯაშუშურ საქმიანობას ხელმძღვანელობდა, კონსპირაციული სახელით, ვინმე „იაკინთე“. მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური პარტიის მიმართ ასეთი ბრალდების წაყენებას მხოლოდ ბოლშევიკური „ჩეკა“ თუ იკადრებდა, აბა, ვინ დაიჯერებდა ასეთ უტიფარ და პოლიტიკურად სრულიად უმეცარ პროვოკაციას?! მაგრამ სადაც საზოგადო აზრი, პრესა, სასამართლო, კანონი და კანონის წინაშე პასუხისგება არ არსებობდა, ყოველგვარ ბრალდებას დაამტკიცებდი. თავზარდაცემული ვიჯექი — წყალი ხომ არ მოგაწოდოთ? — კმაყოფილებას ვერ ფარავდა მელიქიძე. „იაკინთესთან“ შეხვედრა მოვითხოვე, მაგრამ უარი მტკიცეს. იგივე უარი მივიღე. — მაშინ რომელიმე რწმუნებული მაჩვენეთ-მეთქი. ორიოდე დღის შემდეგ, „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ბერიას წერილი დაშიფრულ-გაშიფრული დოკუმენტების ფოტოფირებით, ქუჩური სტილის კომენტარებით და მისებური დამუქრებებით. 1951 წლისთვის, ამ სახის „თაიგულები“ ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ მაშინ ეს იყო პოლიტიკური ხულიგნობის უმაგალითო აქცია. აშკარად ვხედავდი, თუ რა გამანადგურებელი კამპანიისთვის არის გამიზნული ასეთი უგვანო ცილისწამება... კარადა-საკანში გადამიყვანეს. ფეხები კედელზე მქონდა მიბჯენილი და გაუთავებლად ვაბოლებდი. აფორიაქებულ ფიქრებში, ღმერთმა იცის, ვაღამებდი თუ ვათენებდი... ისეთი ბუღი იდგა, შემოიხედავდა თუ არა ზედამხედველი, ფეთებით ხსნიდა ხოლმე კარის მცირე დარაბას... აი, თურმე რატომ ამოიჩემა სპირომ ჯაშუშობის მუხლი. თავიდანვე ყველა მათი ქმედება გათვლილი და მიზანმიმართული იყო. აი, თურმე რატომ „მეარშიყებოდნენ“ და ვითომც მფარველობდნენ — თქვენ არ იცით, ვისთან გქონიათ საქმე, ახალგაზრდა ხართ, გვენანებით, გვინდა, თქვენი სახელი დავიცვათო. გასაგები გახდა, თუ რა წუმპეზე ლაპარაკობდა მამაჩემი და რითი იყო უზომოდ შეშინებული: მან დაიჯერა ჩვენი პარტიის ჯაშუშობა. პრესის მონოპოლიის პირობებში კი მასობრივ დეკლარაციაზე ხელმოწერაზე ცოცხალი საბუთი რა იქნებოდა? აი, ამიტომ უნდოდათ ჩემი გარეთ გამოსვლა და სწავლისათვის საზღვარგარეთ მივლინება. ეს უკვე უბრალო სალიკვიდაციო დეკლარაცია კი არ იყო, არამედ ჩვენი პარტიისაგან, როგორც ჯაშუშების ბანდისაგან გამიჯვნა. ალბათ სხვებსაც ასე ამუშავებდნენ, ნეტავ, ვის?..

მელიქიძემ დაკითხვაზე კურსი შეცვალა, თქვენ ჯაშუშობის ბრალდებას არავინ გიყენებთ, საზღვარგარეთის ბიურო ამას თქვენს ზურგს უკან ეწეოდა. ძალიან შეწუხებულია როლანდ თალაკვაძეო, — ერთი სიურპრიზი კიდევ მაგემა. როლანდი საზღვარგარეთ მეგულებოდა. ლადო გიორგობიანის, გერმანე ღლონტის და სხვათა დაღუპვის შემდეგ (1926 წელს — 26 ამხანაგი დახვრიტეს), იგი არალეგალურად თითქმის ჩემი სახლიდან წავიდა საზღვარგარეთ.

„ფორვერტში“ გამოქვეყნებული იყო მისი წერილი, ამიტომ გამომძიებლის ნათქვამი არ დავიჯერე. მელიქიძემ „საქმე“ გადმოიღო. თურმე როლანდი, მანტკავას ნაცვლად, ლენინგრადის გზით წამოსულიყო საქართველოსკენ, მაგრამ ვერ ჩამოაღწია. ეს შორეული და სახიფათო გზა ალბათ იმიტომ აირჩია, რომ ფირცხალაიშვილს არ გადაჰყროდა, ვინაიდან საზღვარგარეთის საკომუნიკაციო ხაზი მას ჰქონდა ხელში ჩაგდებული. მაშასადამე, იქ, ბიუროში ფირცხალაიშვილი უკვე მხილებული იყო“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფონდის საჩუქარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. სად და როგორ იშოვა მაუგლიმ თავისი დანა?

2. თბილისელებს კარგად ახსოვთ ის წლები, როდესაც ქალაქში კომენდანტის საათი მოქმედებდა. ამ პერიოდს ერთი საბავშვო გადაცემა დაემთხვა, რომელშიც პატარა გოგონამ კონკიას ზღაპარი მოჰყვა. რომელ საათზე გაიქცა ამ ზღაპარში კონკია სასახლიდან?

3. ერთხელ გურამ რჩეულიშვილი ლენინის მოედანზე თოფის სროლისათვის დააპატიმრეს. რას ესროლა ქართველმა მწერალმა?

4. ბიბლიური წინასწარმეტყველი — მოსე ღვთის სიტყვას საკუთარი ძმის, აარონის პირით ამცნობდა ებრაელ ხალხს. რატომ?

5. ერთხელ ჯაბა იოსელიანს ვიღაც კაცი გადაეკიდა — „ხალხი დაბნეულია, არ ვიცით, ვის გავყვეთო“. რა უპასუხა ცხონებულმა, თავიდან რომ ველარ მოიშორა?

6. ერთხელ ფილიპე მაკედონელს იშვიათი სილამაზის ცხენი მიჰგვარეს, რომელსაც ხარის თავის მსგავსი ნიშანი ჰქონდა შუბლზე და ამის გამო, ბუცეფალს — „ხარისთავას“ ეძახდნენ. ცხენი ძალზე ოჩანი გამოდგა, ზურგზე არავინ შეისვა და საუკეთესო მხედრები ძირს ჩამოაგდო. ახალგაზრდა უფლისწული ალექსანდრე მიხვდა, რისიც ეშინოდა ბუცეფალს. მერანს ზურგზე მოახტა, მზის საპირისპირო მიმართულებით გააჭენა, დაღალა, დაიურვა და დაიმორჩილა. რისი ეშინოდა ცხენს?

7. რატომ აღინიშნება საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე 2 აპრილს?

8. დაასრულეთ ბისმარკის სიტყვები: „ომი საკმაოდ სერიოზული საქმეა იმისათვის, რომ იგი მათ მივანდოთ“. ვის გულისხმობდა ბისმარკი?

9. ერთხელ მწერალთა კავშირში მისულმა ამ პოეტმა, ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო და იქ თავშეყრილებს ღიმილით ჰკითხა: „კრება გაქვთ პოეტებს, ძამიკო?!..“ დაასახელეთ ეს პოეტი.

10. რა განსხვავებაა ცნობილი გამოთქმის მიხედვით, პესიმისტსა და ოპტიმისტს შორის?

11. ძველ საბერძნეთში, არეოპაგის სხდომების დროს, განსასჯელის ბედი ფარული კენჭისყრით წყდებოდა. ყოველი მსაჯული აგდებდა თეთრ კენჭს — „შეწყალების ურნაში“ ან შავს — „სიკვდილის ურნაში“. რატომ იწყალებდნენ განსასჯელს, თუკი ურნებში კენჭების თანაბარი რაოდენობა აღმოჩნდებოდა?

ანეკდოტები

* * *

— გაიგე, ჩვენი შალიკო სამსახურიდან გაუგდიათ.

— რატომ?

— სწორედ იმ დროს შეუსწრეს, როცა პაციენტთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა.

— ეჰ, სადღა ვიპოვით ეგეთ კარგ ვეტერინარს?!

* * *

მამაკაცი ეკითხება ღმერთს:

— უფალო, რატომ შექმენი ქალი ასეთი ლამაზი?

— იმიტომ, რომ შეგყვარებოდა.

— მაშინ, რატომ შექმენი ასეთი სულელი?

— იმიტომ, რომ შენ შეჰყვარებოდი.

* * *

ცოლი გაზეთს კითხულობს და ქმარს ეუბნება:

— წარმოგიდგენია, მეცნიერებს გამოუგონებიათ აპარატი, რომელიც სიცოცხლეს 150 წლამდე ახანგრძლივებს.

— უყურე შენ! აუცილებლად მივმართავდი მაგ მეცნიერებს, ცოლიანი რომ არ ვიყო.

* * *

— უკაცრავად, შემთხვევით ჯანმრთელი კბილი ამოგიღეთ. ახლავე ამოგიღებთ მტკივანსაც.

— არაფერია. ისე, მადლობა ღმერთს, რომ ოკულისტი არა ხართ.

* * *

ცხრასართულიანი სახლის ლიფტთან ჩოჩქოლია. ახალგაზრდა ქალმა ლიფტში იმშობიარა — იქით, ბავშვი ჩხავის, აქეთ — დედა.

— ნუ გეშინია, შვილო, ახალშობილი კარგად არის, მშვენიერი ბავშვია, — ამშვიდებს ხანში შესული ქალი.

— მომეჭრა თავიიი! ლიფტში ვიმშობიარეეე! — ვერ აჩერებენ ახალგაზრდა დედას.

— მერე, რა მოხდა, შვილო, უარესებიც ხდება. ამ ორი წლის წინ, ქალმა ავტობუსში იმშობიარა.

— ის ქალიც მე ვიყავიიი! — უმატა ტირილს ქალმა.

* * *

— გინდათ, დატკბეთ მონა ლიზას საიდუმლო ღიმილით ისე, რომ ლუვრში არ მოგიხდეთ წანწალი? — ჰკითხეთ თქვენს ცოლს, რაში დახარჯა თქვენი ერთი თვის ხელფასი.

* * *

ერთი ქალი უყვება მეორეს:

— ჩემი ქმარი ისე მღალატობს, ისე მღალატობს, რომ პირდაპირ არ ვიცი, ვისგან მყავს შვილი.

* * *

რესტორნის სამზარეულოში საღამოს უძვირფასეს კაბაში გამოწყობილი მედიდური ქალბატონი ჭურჭელს რეცხავს და გასამშრალებლად უნაკლო სმოკინგში გამოწყობილ ბატონს აწვდის:

— არა, კერძები შესანიშნავი იყო, დესერტიც, შამპანურიც... მაგრამ მაინც, როცა კიდევ დამპატიჟებთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს საკრედიტო ბარათს ვადა არ ჰქონდეს გასული.

* * *

მიხოსთან შვილმა მიირბინა და ეუბნება:

— მამი, მამი, ჩვენმა ვირმა კენტავრი გააჩინა.

— მოვკლავ შაქრუას, დედას ვფიცავარ!..

* * *

— რით განსხვავდება ზაზუნა ვირთხისგან?

— ზაზუნას უკეთესი „პიარი“ აქვს.

* * *

ამერიკელი ტურისტი იერუსალიმში ჩავიდა. გოდების კედლის ნახვა უნდა, სახელწოდებას ვერ იხსენებს და მძღოლს ეუბნება:

— იმ ადგილას მიმიყვანეთ, სადაც თქვენ, ებრაელები მოთქვამთ, ყვირით და კედელს თავს ურტყამთ.

მძღოლმა ტურისტი საგადასახადო ინსპექციის შენობასთან მიიყვანა.

* * *

დედა ქალიშვილს ეუბნება:

— არ გაბედო, მაგ რეგვენს ცოლად არ გაჰყვე!

— კარგი რა, დედა, სულ ცოტა ხნით, რა!

* * *

მთვრალი კაცი საპირფარეშოში შესვლისას შარვალში იქექება.

— რამდენჯერ უნდა ვუთხრა ჩემს ცოლს — აიღებ რაღაცას, იხმარ, დადე რა თავის ადგილზე!

* * *

კაცს ქუჩაში ბანდიტი დაესხა თავს.

— ფული მომეცი!

— არ მაქვს.

— მაშინ, შარვალი გაიხადე.

— ერთადერთი შარვალია, სხვა არა მაქვს.

ბანდიტი ზურგზე შეახტა უპოვარს:

— ეს რა უბედურს გადავეყარე, ქუჩის კუთხემდე მაინც მიმიყვანე.

* * *

აფთიაქში აფორიაქებული ახალგაზრდა კაცი შედის:

— მეტი აღარ შემიძლია, მომეცით 10 გრამი საწამლავი, სიდედრი უნდა მოვწამლო!

— დაწყნარდით, ყმაწვილო, რეცეპტი გაქვთ?

— არა, მე მისი ფოტოსურათი მაქვს.

* * *

კახელმა ოქროს თევზი დაიჭირა.

— ოღონდ გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ, — უთხრა თევზმა.

მიხო დათანხმდა და ახლა, მას სახლში სამი დედალი ვირი ჰყავს.

* * *

— მამიკო, ცოლქმრული ცხოვრება მართლა ლატარიას ჰგავს?

— არა, შვილო, ლატარიაში რაღაც შანსი მაინც გაქვს!

* * *

ზოოპარკში:

— მამი, უცებ ლომი რომ გამოხტეს გალიიდან და შეგჭამოს, სახლში რომელი ნომერი „მარშრუტკით“ უნდა წავიდე?

* * *

გურიაში ერთი მეზობელი უყვება მეორეს:

— გეიგე, წუხელ ცეცხლაძეები დუუყაჩაღებიათ და ისე დოუუთოებიათ, სულ დუუტკიცინებიათ!

* * *

სვანს ჯაჭვის პერანგი იღლიებთან დაუჟანგდა.

ჯორნალის საფასჩიშერ

„ეზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მაუგლის ორი დანა ჰქონდა. კიპლინგის ნაწარმოებში არ ჩანს, თუ სად იშოვა მან პირველი დანა, რომელიც მან ნიანგ ჯაკალეს სქელტყავა ზურგზე გადაამტვრია, როდესაც მთელი ღამის განმავლობაში ჭაობებში მარტოდმარტო ებრძოდა. ამის შემდეგ, მაუგლიმ იპოვა ახალი, უფრო გრძელი დანა, რომელიც გარეული ტახის მიერ მოკლულ მონადირეს შეხსნა ქამრიდან. შემდეგ კი კვალს გაჰყვა, ტახი მოკლა და ამით დანის საფასური გადაიხადა.

2. უცხოელი კონკიებისგან განსხვავებით, თბილისელი კონკია, სამხედრო პატრულს რომ არ დაეკავებინა, პრინცის სასახლიდან 11 საათზე გაიქცა.

3. სიჩუმეს.

4. თავად მოსეს ენა ებმოდა.

5. „ტრამვაის გაჰყევითო“.

6. საკუთარი ჩრდილის.

7. 2 აპრილს, ჰანს ქრისტიან ანდერსენია დაბადებული.

8. გენერლებს.

9. გალაკტიონ ტაბიძე.

10. პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია, ოპტიმისტი კი — კარგად ინსტრუქტირებული პესიმისტი.

11. განსასჯელს იწყალებდნენ, რადგან ამ შემთხვევაში, „შეწყალების ურნაში“ კიდევ ერთ კენჭს აგდებდნენ — ქალღმერთ ათენას სახელით.

სეხნიები

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-31

ზაზა ვაჩნაძე

ყოფილი ემიგრანტი, არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში ბიზნესსაქმიანობას იწყებს: ქალაქს მახლობლად დიდ ნაკვეთს იძენს და სამშენებლო-სადიზაინერო ფირმას აფუძნებს, რომლის შერჩევაშიც, მისი 13 წლის ქალიშვილის, თეონას დედა — უძრავი ქონების ფირმის მენეჯერი ნატო ეხმარება. მაგრამ სწორედ ამ მიწის ნაკვეთით ვიღაც ძალზე დაინტერესებულია და პირველი დღიდანვე მოსვენებას არ აძლევს ნიკას... ოფისის გახსნიდან სულ ცოტა ხანში, მას მოულოდნელად, პარლამენტარი ქალი, ნანა მელაძე ეწვევა. ნიკა და ნანა მალევე დაუახლოვდებიან ერთმანეთს...

შამპანურს ნელა, პატარა ყლუპებით სვამდნენ, თან ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ. ნიკამ მუსიკალური ცენტრის ღილაკს მიაჭირა თითი და ოთახში ტანგოს წყნარი მელოდია გაისმა. მერე კი ხელი გაუწოდა ნანას და ორივენი ლამაზად აჰყვნენ რიტმს.

— ეს თქვენი თვალების ბუნებრივი ფერია თუ ლინზების? — შეეკითხა ნიკა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — გაუღიმა ნანამ.

— მე ვფიქრობ, რომ ეს თვალების ყველაზე ეროტიკული ფერია, როგორიც კი ოდესმე შემხვედრია... — თქვა სერიოზულად ნიკამ.

— ბევრი თვალები შეგხვედრიათ? — პასუხს ელოდა ნანა.

— ამას თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს? — გაუკვირდა ნიკას.

— არავითარი... უბრალოდ, ვცდილობ დიალოგის გაგრძელებას... — გაეღიმა ნანას.

— რატომ? არ გინდათ, რომ ყველაფერი ერთბაშად მოხდეს?.. — გაჩერდა ნიკა.

— რა უნდა მოხდეს, ნიკა, ერთბაშად? — გულუბრყვილოდ იკითხა ნანამ.

— გენიალურია! ასეთი შეკითხვა მხოლოდ თბილისში შეიძლება მოისმინო... — თქვა ნიკამ.

და ნანამ უეცრად თმა აუწეწა.

— დიახ, დიახ... შენ ხომ თქვი — შემეჩვიეო. ჰოდა, ცოტა დრო მჭირდება, — წავიდა და თავის სავარძელში ჩაჯდა.

— დრო ფული ღირს, ქალბატონო ნანა! — თეატრალურად წარმოთქვა ნიკამ.

— ჰოდა, უნდა ვეცადოთ, ძვირი არ დაგვიჯდეს. წინ მთელი ღამეა... — გადაიკისკისა ნანამ.

— მე ძალიან მიყვარს ღამეები, — თქვა სასხვათაშორისოდ ნიკამ და ჭიქები შეავსო.

— ღამეები?.. — დაინტერესდა ნანა.

— დიახ. მე ყველა ღამეს თავის სახელს ვარქმევ, — თქვა ნიკამ.

— ძალიან საინტერესოა. დღევანდელ ღამეს რას დაარქმევდით? — ეშმაკურად იკითხა ნანამ.

— ჯერ როგორ გითხრათ? ეგ მხოლოდ დილით მეცოდინება... — აუხსნა ნიკამ.

— მაინც როგორ სახელებს არქმევთ? — შეეკითხა ნანა.

— ყველანაირს, სულ ყველანაირს.

— მაშინ, შეგიძლია მითხრა შენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ღამის სახელი?

— რატომაც არა?.. თუნდაც, პირველი კოცნის ღამე.

— ა�ა, აი, თურმე საით უმიზნებთ! — რატომღაც მეტს მოელოდა ნანა.

— რატომ? თქვენ შემეკითხეთ და მე გიპასუხეთ, — „გაუტყდა“ ნიკას.

— მაშინ ჩამომითვალეთ, რომლებიც გახსოვთ.

— კარმენის ღამე. ჩეხოვის ღამე. მოცარტის ღამე... — დაიწყო თავისი საყვარელი ღამეების ჩამოთვლა ნიკამ. — ვნებების ღამე. ძაღლების ღამე...

— ეგ რაღა იყო? — გაეცინა ნანას.

— დამკბინეს, — თქვა ნიკამ.

— კიდევ? — იკითხა ნანამ.

— დედის ღამე. ჰიპნოზის ღამე. სტრიპტიზის ღამე. მტრედების ღამე. ბართლომეს ღამე...

— ბართლომეს ღამე. დაშნების ღამე. დუელის ღამე... — გააგრძელა ნანამ — ძალიან მეცოდები...

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას.

— იმიტომ, რომ ჩვენი პირველი ღამის შემდეგ, შენ უამრავი ოტელოს ღამე გელის... — მთელი გულით გადაიკისკისა ნანამ.

— თქვენც — არანაკლები, — არ დაუთმო ნიკამ.

— მაინც, რას დაარქმევ ჩვენს პირველ ღამეს? — ჩაეძია ნანა.

ნიკამ მაგნიტოფონი ჩართო.

— მომეცი ხელი!

ცეკვა ნელა, ტაატით დაიწყეს.

— ამ ღამეს მე გაზაფხულის ღამეს დავარქმევ... — ყურში ჩასჩურჩულა ნიკამ ნანას.

— არ მითხრა ახლა, გაზაფხულს ჰგავხარო, არ გამასულელო... — გადაიხარხარა და მკლავები ძლიერად შემოაჭდო ნიკას ნანამ.

— არა, უბრალოდ, გაზაფხულისფერი თვალები გაქვს... — თქვა ნიკამ და ყელის ძირში ნაზად აკოცა. მათმა ტუჩებმა კი მაშინვე იპოვა ერთმანეთი და ვნებიანად დაეწაფა ეროტიკულ ნექტარს. მთელი ღამე წინ ჰქონდათ...

მამაკაცები, რომლებიც ქალებს ხელთათმანებივით იცვლიან, ხშირად ექსტაზისას ისეთ უცნაურობას აწყდებიან, ვერც ერთი ჭკუათამყოფელი ვერასოდეს რომ ვერ წარმოიდგენს. ასე მოხდა იმ ღამითაც. ნიკა აუჩქარებლად, სიამოვნებით ტკბებოდა ნანას სრულყოფილი სხეულის სილამაზით. ძუძუს კერტებს ნაზად ახებდა ხელისგულებს და ქალს სიგიჟემდე აღაგზნებდა, მაგრამ ბოლოს, როცა ისინი „ერთხორც და ერთსულ“ იქცნენ, სწორედ იმ ბოლო წამს, ნიკამ ნამდვილად იგრძნო, როგორ დაუარა ნანას ყელიდან ბოლომდე — ჰო, ზუსტად „იქამდე“ ნამდვილმა დენმა. ელვისებურად, ზიგზაგისებურად, კლაკნილად... ძინ! — დაჰკრა დენმა სიცოცხლის გამგრძელებელს და ნიკას ეგონა, რომ მარადიულობას შეუერთდა. ეს ნამდვილი სასწაული იყო და ამ სასწაულს ნანას სხეული საიდუმლოდ ინახავდა. და ნიკამ კიდევ ერთხელ იწამა მოარული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ კაცი და ქალი, ეს ორი სრულიად განსხვავებული სქესი, დედამიწაზე სხვადასხვა პლანეტიდან არიან გადმოსახლებული, ოღონდ, ერთი განსხვავებით: მამაკაცები — ერთი და იმავე პლანეტიდან, ქალები კი — უამრავი, სხვადასხვა პლანეტიდან...

C M Y K

ჯერ ისევ დილის გარიჟრაჟი იქნებოდა, როცა ბერიძეების სახლში, სანოვაგითა და ყვავილებით ხელში, ფეხაკრეფით შეიპარა თაზო. ის ჩუმადვე შევიდა მისაღებში და სუფრის გაწყობას შეუდგა. ამ დროს, ჯერ კიდევ ყველას, თავ-თავის ოთახში ეძინა: ნიკას, ანის, თეონას, ვერიკოს, სოლომონს და ელისოს. თაზომ სუფრა ძალიან ლამაზად გააწყო... ყვავილებს კი პიანინოს თავზე მიუჩინა ადგილი. როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი მზად იყო, გამოვიდა და ყველა ოთახის კარი ბოლომდე გამოაღო. შემდეგ ისევ მისაღებში შევიდა და ფორტეპიანოს მიუჯდა. პირდაპირ მაღალი აკორდები აიღო და — „მხოლოდ შენ ერთს“ — გაისმა მისი ძლიერი ტენორის ხმა. თაზო მართლაც, მთლიანად მუსიკის ტყვეობაში იყო, ამიტომაც ვერ შეამჩნია, როგორ დაიწყეს მის ზურგს უკან, ღამის პერანგებსა და საღამურ სამოსში გამოწყობილმა ნამძინარევმა ოჯახის წევრებმა შემოსვლა. პირველი, თეონა გამოჩნდა, შემდეგ — სოლომონი, ვერიკო, ელისო და ნიკა. მხოლოდ ანი არ ჩანდა არსად — ის, ვისაც ასეთი გრძნობით უმღეროდა თაზო. მან სიმღერა მიამთავრა და მოტრიალდა. ტაში კანტიკუნტად გაისმა. თაზომ თვალებით თავის ცოლს დაუწყო ძებნა, რომელიც სწორედ ამ დროს შემოფარფატდა ოთახში.

— რა ხდება? — იკითხა თვალების ფშვნეტით ანიმ.

— ბეთჰოვენი. ლაურას, — გამოაცხადა ხმამაღლა თაზომ და ისევ კლავიშებს მიუბრუნდა. — ეძღვნება ანი ბერიძეს!

— მე-ე? რასთან დაკავშირებით? — გაუკვირდა ანის.

თაზომ თავი მიაბრუნა და ცოლს მშვიდად მიმართა:

— შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, ანი, ერთად ვიმღეროთ, მითხარი ბანი.

— რა მემღერება, თაზო, ამ დილაადრიანა, გაგიჟდი?! — ხელი ჩაიქნია ანიმ.

თაზომ თაიგული აიღო და მისკენ გაემართა. შუა გზაში კი შედგა და ოჯახის სხვა წევრებს მიუბრუნდა:

— ე, რას დაგიღიათ პირი და მომჩერებიხართ — „კაკ კაზა ნა ნოვიე ვაროტა“?! დაგავიწყდათ, დღეს რა დღეა?! დღეს თხუთმეტია! შეყვარებულების დღე, ხალხო, შეყვარებულების! — და ანის ყვავილები მიაჩეჩა. — გილოცავ, ძვირფასო! დღეს შენ უამრავი სიურპრიზი გელის.

— არა, შენი ჭირიმე! — აფეთქდა ანი. — ეს ერთიც მეყოფა. თანაც, დღეს თხუტმეტი კი არა — ცამეტია, თარსი რიცხვი, შენსავით. ორი დღის მერეა თხუთმეტი.

— ჰო-ო? — განცვიფრებული მიაშტერდა სხვებს თაზო.

— ჰოდა, შენ ნორმალური ხარ?! — თვალებს აბრიალებდა ანი. — შენ იცი, რომელ საათზე დავიძინე?! დილის ხუთზე დავიძინე და შენი ბღავილი მაღვიძებს!.. ან თქვენ ნორმალურები ხართ, ხალხო, ამ გიჟს რომ აჰყოლიხართ?! — ყვავილები დაბნეულ თაზოს მიაყარა და ოთახიდან გავიდა. — ახლა უნდა დავიძინო და შენ რომ შემოხვიდე და გამაღვიძო, იცოდე, ფანჯრიდან გადავხტები!

თაზო გაშრა, ხელი ჩაიქნია.

— მაშინ, არ გილოცავ. არ გინდა და ნუ გინდა. აი, ამათ მივულოცავ! თქვენ გილოცავთ. დიახ, ყველას გილოცავთ სიყვარულის დღეს, რომელიც ორი დღის შემდეგ დადგება. დიდი რამე, ორი დღე შემეშალა, მთელი კვირა ხომ არა?! ჰოდა, რა დროს ძილია, ხალხო?! ძილი, რომ დავიხოცებით, მაშინაც გვეყოფა. გახსენით, რა, შამპანურები, დავილოცოთ!

— მართალია! — გამოაცხადა ნიკამ. — რა დროს ძილია, ხალხო?! ორ დღეში სიყვარულის დღე მოდის თურმე, შეყვარებულების დღე, ხალხო! სად, რომელ ქვეყანაში წამოგაგდებენ დილაუთენია ლოგინიდან მარტო იმისათვის, რომ სიყვარულის სადღეგრძელო შემოგთავაზონ? მითხარით, დამისახელეთ თუნდაც ერთი ნორმალური ქვეყანა! შენ გენაცვალე, თაზო, კაცი ხარ კაცური!.. დაჯექი ახლა ინსტრუმენტთან და ერთი ჩვენებური, დაშხოშიანი „შალახო“ შევუბეროთ, მოსულა?

თაზო ვერ მიხვდა, ხუმრობდა თუ სერიოზულად ეუბნებოდა ამას ნიკა.

— მე კიდევ რამდენი რამე მქონდა ჩაფიქრებული და მთელი ნაფიქრალი წყალში მეყრება... — ჩაილაპარაკა უნუგეშოდ.

— არა, რატომ?! მე სიამოვნებით დავლევ ერთ ჭიქას. გამივსე ჭიქა, ნიკა! — ჭიქა გაუწოდა ნიკას ვერიკომ.

— მეც გამივსეთ! — წამოავლო ჭიქას ხელი სოლომონმა.

— დაუსხი, ნიკა, „კოკა-კოლა“, — უთხრა ვერიკომ.

— არა, რატომ?! — აღელდა სოლომონი. — მე შამპანური მინდა, შამპანური დამისხით, მარტო ერთი, ერთი ჭიქა დამისხით! ჩემი სიყვარული — სიყვარული არ არის და თქვენი სიყვარული — სიყვარულია?!. ვერიკო, შენ ვის სადღეგრძელოს სვამ?

— შენსას, ჩემო სიყვარულო, შენსას, სხვა ვინა მყავს შენს მეტი?! — გადააჭარბა ვერიკომ.

— კარგი, რა, დედა, დავუსხათ ერთი ჭიქა, რას უზამს?! — თქვა ნიკამ.

— რა უნდა მიყოს, ბიჭო, ერთმა ჭიქამ?! ხუთი ლიტრი კახური გამომიცლია და არ დამტყობია არაფერი... — დაიტრაბახა სოლომონმა.

— შენ რა მონადირესავით ტყუილები გისწავლია, სოლომონ! ორი ბოთლის მეტი ცხოვრებაში არ დაგილევია. რომელი ხუთი ლიტრი?! — გაუკვირდა ვერიკოს.

— ნაძლევი! — თქვა სოლომონმა.

— რა ნაძლევი? — გაუკვირდა ვერიკოს.

— რომ ოთხ ბოთლს გამოვცლი, — თქვა სოლომონმა.

— რომელ ოთხ ბოთლს, სოლომონ! რა გგონია, რამდენი წლისა ხარ? — გადაირია ვერიკო.

— ოცდაშვიდის! — გამოაცხადა სოლომონმა.

— მიშველეთ! — მთლად გაგიჟდა ვერიკო.

— არა, მამა, შენ ბევრად მეტისა ხარ, — მშვიდად უთხრა ნიკამ. — შენთვის დალევა არ შეიძლება, შენ სასმელი ექიმებისგან გაქვს აკრძალული, დაგავიწყდა?

— წამოდი შენ ჩემთან, სოლომონ! — ხელკავი გამოსდო სოლომონს სიდედრმა. — მე მაქვს შენთვის კარგი ღვინო გადანახული. წამოდი.

— ერთი ჭიქა დამალევინეთ, თქვე ულმერთოებო, ერთი! — შეევედრა სოლომონი.

— წამოდი, ბიჭო, შენთვის სუფთა ღვინო მაქვს გადანახული. მაგის დალევა როგორ შეიძლება? ეგ სუფთა ქიმიაა, ქიმია! — მოქაჩა სოლომონს ელისომ და ძალით გაიყვანა ოთახიდან.

— ეჰ, მეც წავედი, გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელი. მე თქვენი აყოლა, ჩემო ტკბილო შეყვარებულებო, არ გამომადგება, არა... — ჩაილაპარაკა ვერიკომ და გავიდა.

სუფრასთან მხოლოდ ხელისგულებში სახეჩადებული და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი თეონა, ნიკა და თაზო დარჩნენ.

— ჰო, როგორ არის?.. ეს ღვინო არის ქიმია, ამის სმა ოსვენციმია, არა?.. — თქვა თაზომ.

— შენც შეყვარებული ხარ, თეონა? — შეეკითხა ნიკა თეონას.

— ძალიან, — თქვა თეონამ.

— ვისზე? — დაინტერესდა ნიკა.

— დედიკოზე და მამიკოზე...

— რომელი უფრო მეტად გიყვარს — დედიკო თუ მამიკო? — ჩაერია თაზო.

— მამიკო, რა თქმა უნდა.

— იმდენი რა გითხარი შენ! წამოდი, წამოდი, ცოტა კიდევ წავუძინოთ მე და შენ, — მოჰკიდა ნიკამ თეონას ხელი და კარისაკენ წავიდნენ.

— ნიკა, შენც? — წამოხტა თაზო. — დაგველია, რა, ერთი-ორი ჭიქა, შენ ხომ შეყვარებული ხარ...

ნიკა სწრაფად მოტრიალდა.

— შეყვარებული?! შენ რა იცი?

— როგორ, მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს!

— ვისზეა მამიკო შეყვარებული? — იკითხა თეონამ.

— არა, არაფერი, ვიხუმრე, — მიხვდა საკუთარ შეცდომას თაზო.

— წამოდი, წამოდი, ვის უსმენ? — მოქაჩა შვილს ნიკამ და მისაღებიდან გაიყვანა.

თაზო დაჯდა. შამპანური მაღალ ბოკალში დაისხა და სულმოუთქმელად გამოცალა. წამოდგა. ინსტრუმენტთან მივიდა. დიდხანს დაჰყურებდა კლავიშებს. შემდეგ დაჯდა და ისევ მაღალი აკორდები აიღო...

„სიყვარულის დილამ“ გადაიარა. ნიკამ პირი დაიბანა და სამზარეულოში შეიხედა. იქ არავინ დახვდა. მისაღებში სუფრა ისევ გაშლილი იყო. თავში ელისო იჯდა და რადიოს უსმენდა.

— მოდი, ნიკა, — გაუხარდა ელისოს შვილიშვილის დანახვა.

ნიკა სუფრასთან დაჯდა.

— წავიდა? — და ცარიელ ბოთლზე ანიშნა. — ოჰო, ჩამოუცლია!..

— ყველანი წავიდნენ. მე და შენ დავრჩით მარტო.

— მამა? — იკითხა ნიკამ.

— სძინავს.

— მაგარი „სიყვარულის დილა“ ჩავატარეთ, — თქვა ნიკამ.

— სულ წუთიერი, დღევანდელი დღით ცხოვრობს, — ჩაილაპარაკა ელისომ.

— ეგ ალბათ, მალე მოკვდება, — ნამცხვარი გადაიღო თეფშზე ნიკამ.

— რატომ? — იკითხა ელისომ.

— თითქოს მოსწრებაზეა, ვერ ისვენებს.

— და არც სხვებს ასვენებს, არა?..

— ჰო, თავგადასავლებს ეძებს ბიჭი...

— ისე, ნიჭიერია. პატრონი რომ ჰყოლოდა, ალბათ, რაიმეს მიაღწევდა.

— მუსიკაში? — დაინტერესდა ნიკა.

— თუნდაც, — თქვა ელისომ.

— მერე, ანიზე უკეთეს პატრონს სად ნახავს?!

— ანი... იცი, რა პრობლემები აქვს ანის ან რას აკეთებს?.. მოაყოლე, როცა ნახავ. ჭკუიდან გადაგიყვანს... — თქვა ელისომ.

— ჰოო?! რას აკეთებს ამისთანას? საყვარელი ჰყავს? — დაეჭვდა ნიკა.

— არა, არა. მე ისე ვერ მოვყვები, როგორც თვითონ. ჯობს, თვითონ მოგიყვეს... ირაკლიმ დაგირეკა ტელეფონზე, არ გაგაღვიძე. უჩემოდ არსად წავიდეს, აუცილებელი საქმე მაქვს, დამელოდოსო.

ნიკა ჩაფიქრდა.

— არა, არ მცალია, ვერ დაველოდები. რა მინდაო, არ თქვა?

— არა. შენ არ დაურეკავ, არ დაელაპარაკები? — ვერ მიუხვდა ელისო.

— არა, მაგრამ შენ ნუ ღელავ, ელისო. არ დაიღალე, ამდენი ხალხის მოვლა-პატრონობით?..

— იცი, ნიკა, მეც მყავდა ბებია. სოფიო ერქვა. ისიც იცი, ხომ, რომ ჩვენ ექვსი და-ძმა ვიყავით?

— ჰო...

— სულ უნდოდა, რომ ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეცხოვრა, ყველას ერთად — ცოლშვილიანად, ქმარშვილიანად და თანაც, ტკბილად ვყოფილიყავით ერთმანეთთან... შენ რომ მითხარი, კარგი გიქნია, რომ არ გამაღვიძეო, — როგორც ეკალი ჩამესო გულში...

— კარგი, რა, ბებო, ნიკოლოზის დროინდელ ხალხს ადარებ ჩემს თაობას?! ყველაფერი იცვლება...

— არა, კი არ იცვლება — იკარგება... შვილს არ აჩენს ანი...

— შენს თავზე იფიქრე, ელისო, საკუთარ თავზე. ოცდამეერთე საუკუნეა, არავინ იცის...

— ...რა გველის, არა? კარგი, დღეიდან ჩემს თავზე ვიფიქრებ, მარტო... — გაეღიმა ელისოს.

— ჰოდა, ასე... მე წავედი, — წამოდგა ნიკა.

— არ დააგვიანო... ირაკლი თუ გამოჩნდა, რა გადავცე?

— ელისო, ამწუთას არ თქვი, მარტო ჩემს თავზე ვიფიქრებო?!.

— ჰო, კარგი, კარგი...

ნიკა გავიდა. ელისო ჩაფიქრდა. — არა, არა... ჯობდა, სულ ქალები გაეჩინა... შენს თავზე იფიქრეო. რატომ? ცუდად რომ არ მოვიქცე, ალბათ...

ნიკა ტელევიზიაში ისევ კაფეში ელოდებოდა ნანას. ყავა უკვე დაელია. ახლა სიგარეტს ეწეოდა და ბარმენ გოგონას აკვირდებოდა, რომელიც კლიენტებს ემსახურებოდა.

ნანა სულ მალე გამოჩნდა. კოსტიუმი და ხელჩანთა სკამის ზურგზე გადაკიდა, ჩამოჯდა და იდაყვები მაგიდას ჩამოაყრდნო. ორივეს ოდნავ ეღიმებოდა და თვალებში უმზერდნენ ერთმანეთს. მალე მათმა მტევნებმა ერთმანეთის თითებს დაუწყეს ძებნა. იპოვეს და დამშვიდდნენ...

— რაღაც საჩუქარი მგონიხარ უფრო და არა — ქალი... — უთხრა ნიკამ.

— ოჰო! აკი, ამინდივით ცვალებადი ხარო!.. შენ არ იყავი?.. — გაეღიმა ნანას.

— უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, არა მაქვს უფლება? — იკითხა ნიკამ.

— რა კარგია... როცა როგორ გნებავს, არა?! არაფერს შემომთავაზებთ? — ისვენებდა და ნებივრობდა ნანა.

— ყველაფერს, რასაც ინებებთ...

— იცი, რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დრო წინ კი არა, უკან მიდის. თითქოს მთლიანად მომეხსნა პასუხისმგებლობა... ჰო, ჰო, თითქოს რაღაც უწონადობის მდგომარეობაში ვიყო, გეფიცები... — თქვა ნანამ.

— კი, ანგელოზები ვართ ორივენი და ჰაერში დავფრინავთ... — გაეცინა ნიკას.

— ჩამოვფრინდეთ მიწაზე?.. მაშინ, შამპანური და ჩიტის რძე — ჩემთვის, — ბრძანა ნანამ.

— გოზინაყი არ გინდა? კაი... შოკოლადი?

— კარგი, რაიმე „ბატონისნაირი“ მაშინ, — დაეთანხმა ნანა.

ნიკა დახლთან მივიდა. ბარმენი გოგონა, თან ნიკას ემსახურებოდა, თან რამდენჯერმე სხვანაირად გახედა ნანას. ასე, ქალები ხშირად მიანიშნებენ მამაკაცებს — რაც მე ვარ, შენი „დამაც“ იგივეაო... ნიკამ თავისთვის მიწის თხილი აიღო. შამპანური დაასხა.

— შენს სილამაზეს!.. — ადღეგრძელა და მოსვა. სასიამოვნო სითხემ ტკბილად დაუარა სხეულში.

— შენს ნიჭიერებას!.. — უთხრა ნანამ და იმანაც მოსვა. — რას შვრება ჩემი პროექტი? წაიწია წინ? — ბოკალი დადგა და იკითხა ნანამ.

— პასპორტი თითქმის მზადაა. მარტო წითელი ხაზი დარჩა. ფული გადარიცხულია და ალბათ, ორ-სამ დღეში წამოვიღებთ. ხედავ, რა სწრაფად ჩამოვფრინდით მიწაზე!.. თითოც შევსვათ და იქნებ, ისევ ავფრინდეთ... — შესთავაზა ნიკამ.

— სხვათა შორის, ხშირად, ლიფტში ყოფნისას, მგონებია, რომ შენობას ავცდი და უკვე ცაში მივფრინავ ლიფტიანად. კი, კი, კივილამდე სულ ცოტა დამკლებია... — თქვა ნანამ.

— იცი, ძალიან მინდა, რომ ყელზე გაკოცო... — უთხრა ნიკამ.

— კი, ბატონო. ვითომ გინდა, რაღაცა ყურში მითხრა, — უთხრა ნანამ და მისკენ გადაიხარა. ნიკამ გადაიწია და ამ დროს მისმა მობილურმაც დარეკა. ორივე ოდნავ დაფრთხა. — არ გაგვიხეთქა გულები! — თქვა ნიკამ.

მობილურის ეკრანზე ირაკლის ნომერი ციმციმებდა.

— შინ არა ვარ... — თქვა ნიკამ და ტელეფონი გათიშა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ნანამ.

— ჩემი ძმა, — თქვა ნიკამ.

— რატომ არ უპასუხე მერე, თუკი მართლაც შენი ძმა იყო? — დაეჭვდა ნანა.

— „ბევრი რამ არის, ჰორაციო, ამ ქვეყანაზე, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ“... — წარმოთქვა ნიკამ.

— ასეა საქმე? რა ჰქვია?

— ვის? ჩემს ძმას?

— ჰო...

— ირაკლი.

— ირაკლი ბერიძე. როგორი ნაცნობი სახელი და გვარია!.. რას აკეთებს? — დაინტერესდა ნანა.

— არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს. რაღაც თეთრი ყვავის პონტში მუშაობს... — თქვა ნიკამ.

— რა-ა? — გაეცინა ნანას. — საინ-

ტერესოა.

— ერთი სადღეგრძელო შეიძლება? — იკითხა ნიკამ.

— ოღონდ, რაიმე აბსტრაქტული, რა... — სთხოვა ნანამ. — შენთან შეხვედრის შემდეგ რატომღაც, სულ „აბსტრაქტულ“ ხასიათზე ვარ...

— მაშინ, თეთრ რაშს გაუმარჯოს!.. — თქვა ნიკამ.

— რომელ თეთრ რაშს? — თვალები გაუფართოვდა ნანას.

— რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ჩამოგიქროლებს და თუ არ მოთოკე და არ დაიმორჩილე, გაფრინდება და — დაემშვიდობე წარმატებებს... — თქვა ნიკამ.

— შენ უკვე ჩამოგიქროლა?.. — შეეკითხა ნანა.

— რა, არა? — გაუკვირდა ნიკას.

— ა�ა... ჩემზეა ლაპარაკი? მე ვარ თეთრი რაში?.. მაგრამ ჩემი დამორჩილება რომ არც ისე ადვილია, ნიკა!.. — თვალებში ჩახედა ნანამ. „მუქი, შავი თვალები და გრძელი შავი წამწამები. ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებს“... — გაიფიქრა ნანამ.

ისევ დარეკა ნიკას მობილურმა. ისევ ირაკლი იყო. ისევ გათიშა ნიკამ ტელეფონი.

— ხომ გითხარი უკვე, რომ შინ არა ვარ!..

ნანა ეჭვით უმზერდა ნიკას.

ირაკლი ნიკას თავისი ბინიდან ურეკავდა. ვერ გაეგო, რატომ არ პასუხობდა. მართალია, ძმები იყვნენ, მაგრამ ამდენი ხნის უნახაობამ ის ქნა, რომ ერთმანეთი თავიდან უნდა გაეცნოთ.

ირაკლის, ლადო, დეა და თათიკო ჰყავდა სტუმრად. სუფრასთან ისხდნენ და „ღრეობდნენ“. ლადოს, თათიკო ეჯდა მუხლებზე. ლადო უძლებდა. დეა და ირაკლი შერიგებულიყვნენ. იმის ახსნა, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების შემორიგება მათი რბილია, დამყოლი ხასიათის გამო ძალზე ადვილია, ალბათ, არ არის საჭირო...

— მითიშავს ტელეფონს, არ მელაპარაკება, — თქვა ირაკლიმ.

— არა უჭირს, შინ დაიჭერ, სად წავა?!. გურამამ გადამაგდო, იმ ახვარმა! ჩემი იყო ეგ ნაკვეთი, ჩემი!.. ამას დაუწყია ვაჭრობა, ამ ნათესლარს!.. დავაკლებინებინებო, რა!.. იმან ამასობაში, სხვა კლიენტი ნახა და გაყიდა. თანაც, მაინცდამაინც ჩემი ბიძაშვილის ხელში არ ჩავარდა?! — ბრაზობდა ლადო.

— კაი, კაი, ნუ დარდობ. მე რომ ჩავერევი!.. მთავარია, არაფერი იცოდეს. არ ეცოდინება, დამიჯერე, წარმოდგენაც არ ექნება... მაგან უბრალოდ, მიწა იყიდა. როგორც თვითონ ამბობს, მამაპაპეული.

— ჰოდა, დააჯდა ზედ კრუხივით! — თქვა ლადომ.

— არა უჭირს, მოვთაფლავთ, ავაჭრი შინ და დავიჭერ. მაგისთანები შემიკერავს?! — ამშვიდებდა ირაკლი.

— რაზე ბაზრობთ, სიმონ? — იკითხა თათიკომ.

— შავი ოქროს საბადოზე... რა შენი საქმეა, რაზე ვბაზრობთ?! შენც საკითხი არ გადაგვიჭრა, რა, ერთბაშად!.. — მოაკეტვინა ლადომ.

— ჩვენ ბოდიში, მაღალ მატერიებზე საუბრობთ და ჩვენ ვერაფერს მივხვდებით, არა?.. გაშრა ყელი, ჩავყლურწოთ, რა, ერთი-ორი ყლუპი! — ბოთლს გადასწვდა თათიკო.

— გადაჯექი! — უთხრა ლადომ.

— რატომ? მშვენივრად ვარ მოკალათებული, — იუარა თათიკომ.

— ფეხი დამიბუჟდა.

ამის თქმაზე, დეა აკისკისდა. თათიკო სკამზე გადაჯდა.

— რა გაცინებს? — მიუბრუნდა დეას ლადო.

— მე ვიცი, შენ რაც გაგიბუჟდა...

ამაზე უკვე თათიკო აკისკისდა. ლადომ თითი დაანახვა:

— აღუ-უ! ნეკზე არ მიკბინო...

— ეგ თქვენი ნავთობის საბადო ახალი აღმოჩენილია? — იკითხა სასხვათაშორისოდ თათიკომ.

— ბევრის ცოდნა უტვინობის ნიშანია, — უთხრა ლადომ.

— სიტყვამ მოიტანა, თორემ რაში მაინტერესებს ნეტა!.. აი, ჩემი შავიც, თეთრიც და წითელი ოქროც... მიყვარს შამპანური, სირი და გოზინაყი, — თქვა თათიკომ.

— გახსოვს სკოლაში? — გაახსენდა რაღაც საინტერესო დეას. — აუ, რა დაუნი იყო ეს, იცით, სკოლაში?.. ერთი მასწავლებელი გვყავდა, საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა. სპირიდონას ვეძახდით... აიწევდა ეს თითს და — სპირიდონ მასწ... სირი გიყვართ თუ გოზინაყი? კლასი წვებოდა.

— ...არა, ფულზე ეგ არ წამოვა. რამე სხვა უნდა მოვიფიქროთ... — გადაულაპარაკა ლადომ ირაკლის. — თამაშობს, თუ იცი?

— წარმოდგენა არა მაქვს, — თქვა ირაკლიმ.

— რატომღაც მგონია, რომ ეგ იქ, ბირჟაზე თამაშობდა. სხვანაირად ამხელა ფულს ვერ იშოვიდა... შეაპარე, აბა, ერთხელ, სამორინეში წასვლა.

— საყვარელი უნდა მოისყიდოთ, ეე, დებილებო! საყვარელი არ ჰყავს? — დაარიგა დეამ ბიჭები.

— მართლა, აი, ეს გამოგვადგება... ერთხელ უკვე იპეპლავეს ამან და იმან, — ხელი დაადო თათიკოს ირაკლიმ.

— მე? შენ, ბიჭო, როგორა ხარ, მე ფულზე გავიყიდები?!. რომელი იუდა მე მნახე?! არც იოცნებო! ირაკლი კი არა ვარ... — თქვა თათიკომ.

ამის გაგონებაზე, დეას ლუკმა ყელში გადასცდა. იმდენი ახველა, ლამის დაიხრჩო. ირაკლიმ ბეჭებზე დაუტყაპუნა. მერე შამპანური მიაწოდეს და როგორც იქნა, მოასულიერეს.

— არ გავიყიდებიო!.. ლამის დავიხრჩვი... — თქვა დეამ. — ქალი თუ გაბოზდა, ყველაფერზეც წამსვლელია, არ დაუჯეროთ...

— ნეტავ, დამხრჩვალიყავი!.. — მიაშტერდა თათიკო. — მე მითქვამს — ამ საქმეში არ გამოვდგები-მეთქი და ბასტა!

— შენ რა ქოში უკუღმა ყარე, გოგო! — არ მოეწონა ქალების ლაპარაკი ლადოს. — ჯერ ვინმემ რამე დაგავალა?.. აქ დამთავრდეს ეგ ბაზარი!.. არ გამომივიდნენ უფასო დამცველები?! არ მომინდეს, თორემ, ას ლარში სტრიპტიზს გაცეკვებ მოედანზე. აქეთ კი არ შემეხვეწები?!

— შენი ცოლი გაიყვანე შუა მოედანზე და ის აცეკვე სტრიპტიზის პონტში, შე ნაგავო! — წაუსისინა თათიკომ და შამპანურით სავსე ჭიქა პირდაპირ სახეში შეასხა ლადოს...

შემდგომი მოვლენები კი, რაღაც წამებში, ელვის სისწრაფით განვითარდა: ფეხზე წამომხტარ ლადოს, თავზე ლოდივით დაეშვა თათიკოს „ტონიანი“ მუშტი. ლადო წამით კი გაითიშა, მაგრამ მაშინვე მოვიდა აზრზე და თათიკოს ებდღვნა. იმწამსვე, მოჭიდავეებივით, ორივე, იატაკზე გაგორდა. დეა აწივლდა. ლადომ ქალს შუაკაური გამოსდო და ჩოქბჯენში გადაიყვანა. ტრუსი ჩახადა და როცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აზრზე მოვიდა, უკვე სიამოვნებას განიცდიდა და როგორც ლადოს მოეჩვენა, კრუტუნებდა კიდეც. ლადო კი თვალებს ველურივით აკვესებდა და უკანალს მთელი ძალით იქნევდა... დეას საშინლად მოუნდა. კაბა გაიძრო, ირაკლი დაითრია და ისინიც იატაკზე გაგორდნენ. ექსტაზი იმდენად ძლიერი იყო, რომ ყველაფერი წუთებში მომთავრდა. ცოტა ხანს გათიშულები ეყარნენ იატაკზე. მერე კი ოთხივეს ხარხარი აუტყდა.

— მოგეწონა? — ჰკითხა ლადომ თათიკოს, როცა სიცილით გული იჯერეს.

— ცხოველი ხარ, პირუტყვი! — უპასუხა თათიკომ.

— ყველანი პირუტყვები ვართ, — უპასუხა ლადომ.

— რომ გიჩივლო?.. — შეეკითხა თათიკო.

— რა უნდა მიჩივლო?! — აგდებულად უპასუხა ლადომ.

— რა და სადაც ხელი მომკიდე, ახლა ხომ დაწითლებული მაქვს! — უჩვენა ყველას, დაწითლებული კანი მკლავებსა და ბარძაყებზე თათიკომ. — აი, ხედავთ?!

ხვალ ესენი მთლად ჩამილურჯდება. ასეთი კანი მაქვს...

— ამ ჩემს ფეხებს! — თქვა ლადომ.

— შენს ფეხებს, არა?.. ციხეში რომ ამოგალპობ, მაგასაც ვნახავთ! — ახტა უცებ თათიკო.

— ვის ამოალპობ ციხეში?! შენ ხომ არ გიღიტინებენ მაგ ტვინში, ეე! მე ლადო ვარ, გოგო, ბერიძე!

— მე კიდევ, მურაზ ლეშკაშელის შვილი ვარ!

— დიახ, — დაუმოწმა დეამ თათიკოს.

— ვისი, ვისი? — ყურებს არ დაუჯერა ლადომ.

— მურაზ ლეშკაშელის, — გაუმეორა თათიკომ.

— მოიცა, მოიცა. მართლა თუ მაშაყირებ?

— მართლა, — თქვა ირაკლიმ.

ლადომ შეუსტვინა.

— გამოდის, რომ მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი გავაუპატიურე?!. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ ასეთი მაგარი ვიყავი, არ მეგონა, ძმობას გეფიცებით! — და ლადო უეცრად მუხლებზე დავარდა, მტევნები იაპონელივით მიატკუცა და თათიკოს პატიება სთხოვა:

— უნდა მაპატიო, აღარ ვიზამ. აი, აი... — მაგიდიდან შამპანურის ბოთლი აიღო და თათიკოს გაუწოდა. — აჰა, აი, დამასხი, დამაცალე, თუ გინდა — ჩამარტყი. რაც გინდა, ის მიყავი!..

თათიკომ ბოთლი გამოართვა და მართლაც, თავზე დააცალა.

— ასე, ასე, ყოჩაღ! — აქეზებდა გაწუწული ლადო, თან შამპანურის ნაკადს პირს უღებდა და ცოტ-ცოტას ყლურწავდა კიდეც. მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია და აიზილა. ვინ ვის შამპანურს ასხამდა თავზე, ვინ — კონიაკს და ვინ — კარაქს უსვამდა და ხიზილალას ერთმანეთს ან ვინ ვის ლოკავდა და ვინ ვის სხეულზე რას ჭამდა, ძნელი აღსაქმელი იყო. ასე რომ, თავაშვებულ ორგიას მხოლოდ მზის ამოსვლამ დაუსვა წერტილი.

ირაკლის დიდი შანსი ჰქონდა, ძმა სარფიანად გაეყიდა...

იმ დღეებში ისევ შეხვდნენ თავიანთ საყვარელ, ტელევიზიის კაფეში ნანა და ნიკა. ნანამ სთხოვა: სანამ სახელი საბოლოოდ გაგვიტყდება, ისევ მანდ შევხვდეთ, თორემ სხვაგანაც რომ გვნახონ, ჩვენი ფოტოებით ჟურნალ-გაზეთებს ააჭრელებენო.

...საფერფლე სავსე იყო ნამწვებით, ერთი ბოთლი შამპანური — დაცლილი, მეორეკი — ჩანახევრებული. ნიკამ საყელო შეიხსნა. უკვე თავისუფლად, „შენობით“ მიმართავდნენ ერთმანეთს და აღარ ერიდებოდათ არც ერთურთის და არც სხვების...

— არ ვიცი, რა ხდება... — ამბობდა ნანა. — შენთან როცა ვარ, მეხსნება ყველანაირი სტრესი, თითქოს ემოციებისგანაც კი ვიცლები... აი, პლანი რომ ჰქონდეს ადამიანს მოწეული, ისე...

— ქვეყნის ბედ-იღბალზე არ ფიქრობ? ან მომავალზე? — შეეკითხა ნიკა.

— შენთან როცა ვარ?

— ჰო...

— კი, მთელი პლანეტის... არ გაგიგონია, რომ ადამიანს ფეხის ნეკზე „მაზოლი“ უფრო მეტად აწუხებს, ვიდრე ის, რომ თუნდაც ნახევარი ხმელეთი წყალში ჩაიძიროს?

— ამბობენ, ქალები მამაკაცის ხმას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე შესახედაობასო, მართალია? — შეცვალა თემა ნიკამ.

— შენ ეგ ძალიან გაწუხებს? — დაინტერესდა ნანა.

— ყოველ შემთხვევაში, იმაზე ბევრად მეტად, ვიდრე — რამდენი ფეხი აქვს ჭიანჭველას, — თქვა ნიკამ.

— ჭიანჭველას აქვს ოთხი ფეხი და სამი თავი... — თქვა ნანამ.

— ოთხი ფეხი და სამი თავი ჭიანჭველას კი არა, გველეშაპს აქვს, გველეშაპს... დიახ, ახლა მე დავაღებ პირს და გადაგყლაპავ... — თქვა ნიკამ.

— ვაიმე, რატომ უნდა გადამყლაპო? ამირანი ხომ არა ვარ! — შეიცხადა ნანამ.

— აა, ამირანი გადაყლაპა, არა, შავმა ვეშაპმა?..

— შავმა, წითელმა და თეთრმა... — ხელი ნიკას ხელისკენ წაიღო ნანამ. — მარტონი მინდა ვიყოთ, ძალიან, ძალიან მინდა, რომ შემჭამო და გადამყლაპო... — უთხრა ვნებიანად.

ნიკა მისკენ გადაიხარა, შამპანური დაუსხა და ყელზე აკოცა. აი, ეს ყოველივე საკუთარი თვალით დაინახა თეონამ, რომელიც ანისთან ერთად, სწორედ ამ დროს, ბარის კიბეზე ჩამოდიოდა. დიახ, საკუთარი თვალით დაინახა, როგორ კოცნიდა მამამისი უცხო ქალს... თეონა გაშეშდა. ფერი დაკარგა. თითქოს რაღაც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარი რამ დაკარგა. ნიკას რატომღაც ზურგი აეწვა, მიიხედა და შვილის მომნუსხველ თვალებს წააწყდა. თეონა შეტრიალდა და კიბეზე აირბინა. ნიკა წამოდგა.

— ბოდიში, ნანა, ჩემი ქალიშვილი იყო... — თქვა და თეონას გამოუდგა.

კიბეზე გვერდი აუარა სახტად დარჩენილ ანის და კაფედან გაქრა. ანიმ საფეხურები ჩაათავა, წავიდა და პირდაპირ ნიკას სკამს დაესაკუთრა.

— ქალბატონო ნანა, ნიკა რომ ჩემი ძმაა, თუ იცით? — გამომწვევად დაუსვა შეკითხვა. ნანას ძალიან გაუკვირდა.

— არა, არ ვიცოდი, — თქვა მან გულწრფელად.

— დიდი ხანია, იცნობთ? — შეეკითხა ანი.

— არც ისე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი... — დააყოლა ნანამ.

— ბოდიში, მაგრამ თუ უხერხული არ იქნება, ხომ ვერ მეტყვით, როგორ გაიცანით ან ვინ გაგაცნოთ? — შეეკითხა ანი.

— ანი, შენ რა, ინტერვიუს მართმევ?.. — სიგარეტს მოუკიდა და ფეხი ფეხზე გადაიდო ნანამ. — თან, რაღაც აგრესიას გამჩნევ ჩემ მიმართ. ადრე ასე ძმები იქცეოდნენ დების მიმართ და ეტყობა, ახლა შეცვლილია ყველაფერი... არ შეიძლება, კაცი და ქალი ერთმანეთს იცნობდნენ?.. თანაც, არა მგონია, ჩემმა ნაცნობობამ ნიკას რაიმე ავნოს, შენ როგორ ფიქრობ? — ნამდვილად აინტერესებდა ანის პასუხი ნანას.

— მაგან ერთხელ უკვე გაიმრუდა ცხოვრება... — თქვა ანიმ.

— მეც, სხვათა შორის... — დაუფიქრებლად უპასუხა ნანამ.

— თუმცა, რა ჩემი საქმეა, მაგრამ ასეთ სახალხო თავყრილობის ადგილას შეხვდრებს მე თქვენს ადგილზე, თავს ავარიდებდი... — თქვა ანიმ.

— ეგ ალბათ, ნიკას უფრო ეხება. მეც ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა მოულოდნელმა შემოტევამ... — თქვა ნანამ.

— კარგით, რა, ქალბატონო ნანა!.. — გაეცინა ანის. — თქვენ გინდათ თქვათ, რომ საბაბი არ მიგიციათ და ეს პირველად ხდებოდა?..

— რა თქმა უნდა, გენაცვალე! და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს მოხდა, პირველად და უკანასკნელად... — ცდილობდა, დაერწმუნებინა საკუთარ სიმართლეში ანი.

— კარგით, რა! ასე ქალები მამაკაცებს ატყუებენ, მაგრამ ქალი ქალს ვერ მოატყუებს... — ჩაილაპარაკა ანიმ. — არა, როგორ გეკადრებათ, მე სულაც არ ვაპირებდი, თქვენს ამბავში ჩარევას... ამ ინტიმურ სცენას რომ არ შევსწრობოდი...

— არ ვიცი, მაგ წამიერმა სცენამ შენზე რა შთაბეჭდილება დატოვა, ანი... ერთს კი გეტყოდი, რომ მე და ნიკას საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს: მე მის ფირმასთან ხელშეკრულება გავაფორმე. ჩემი კოლეჯის პროექტირება და აშენება დავავალე.

— ასე გეთქვათ თავიდანვე, — გაეღიმა ანის. — ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, თორემ, ამ თქვენი ბოთლების ფსკერზე დარჩენილი შამპანურის მიხედვით, სულ სხვა დასკვნა შეიძლებოდა გამოეტანა ადამიანს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავიცვალა წუნია შინაბერებისთვის!..

ინგა ჯაყელი

...როცა ჩემმა დედისერთა მეგობარმა ოცდაათს გადააბიჯა და გათხოვებას კვლავაც არ ფიქრობდა, მის იმედზე დარჩენილი ახლობლები სერიოზულად შეშფოთდნენ და თუ მანამდე მაჭანკლების დახმარებით წელიწადში სამოთხე კაცს ახვედრებდნენ, ახლა თვეში ორჯერ გზავნიდნენ წინასწარ მოწყობილ შეხვედრებზე, მაგრამ არა და არ გამოჩნდა ამ ქვეყანაზე ჩვენი ნუციკოს მოსაწონი კაცი. ყველას მოუძებნა გასაკილი და დასაცინი, რაზეც ყველაზე მძაფრი რეაქცია მამამისს — ძია სერგოს ჰქონდა, რომელმაც ერთ-ერთი კანდიდატი თავად შეარჩია და შვილს დაემუქრა: იცოდე, თუ ზაქროზეც უარს იტყვი, შინიდან გაგაგდებ და ამ კეთილშობილ ბიჭს დავიტოვებ, შევრთავ უპრეტენზიო გოგოს და ოჯახი გადაშენებას გადამირჩებაო!..

...ზაქრო სოხუმელი დევნილია. 40 წელს მიღწეული, იმ სასტუმროს ერთ ოთახში იყო შეყუჟული ქვრივ დედასთან ერთად, უცხოელებზე რომ გაყიდა ჩვენმა მთავრობამ და ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა. შესახედავად არ იყო ცუდი ბიჭი, მაგრამ მოხერხებულობა და მარიფათი აშკარად აკლდა, არც სამუშაო ჰქონდა მუდმივი და ეს დაიხვია ხელზე ჩვენმა ნუცამ: სოხუმიდან წამოსულები, ვინც ოდნავ ვარგოდა, ისეთი შრომისმოყვარე ხალხია, ქვასაც წვენს ადენენ და აშენდნენ, სასახლეები იყიდეს თბილისსა და ქუთაისში, მოსკოვში აქვს ბიზნესი 50%-ს. ეგ უხეირო რომ ქონებისთვის მთხოულობს, აშკარაა და რა მჭირს სამაგისოო!..

მოკლედ, არ უნდოდა გათხოვება გოგოს და ბოლომდე იბრძოდა თავისუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ აღარც მისი მშობლები აპირებდნენ დათმობას და საქმეში „მძიმე არტილერია“ — მამიდა თალიკოც ჩართეს, რომელიც ძველი პედაგოგი და ისეთი ორატორია, ძნელად თუ ვინმე შეეკამათება. ამჟამად, სოფელში ქმართან და შვილებთან ერთად ცხოვრობს და ძალიანაც ბედნიერია. არადა, თურმე თავის დროზე, მისი სოფელში გათხოვება ყველას გაუკვირდა, რადგან მამამისი ქალაქში ცნობილი და საკმაოდ მდიდარი კაცი იყო...

ჩამოვიდა თალიკო მამიდა. გაჯიუტებულ ძმისშვილთან ერთად, ჩვენც, მისი მეგობრები, შემოგვისხა ირგვლივ წიწილებივით და მთელი საათი ხმა აღარ ამოგვაღებინა:

— სახლ-კარი და ქონება არ ნიშნავს კაცის სიკარგეს. ზოგს რისი ნიჭი აქვს და ზოგს რისი, შესახედავად თუ ვარგა და სიტყვა-პასუხი არ ეშლება, რად გინდათ ეს სახლი და ქონება, ოხრად რომ ატოვებინებ ჩემს საცოდავ ძმას, მოიხმარეთ მშვიდობაში და მოასწარით შვილიშვილებს, სანამ არ გახეთქვია გული. მამაჩემს მამაშენზე მეტი ფული ჰქონდა და გაიძახოდა: ამ ჩემს შავტუხა გოგოს, თავის დროზე უფლისწულს „ვუყიდიო“, მაგრამ ვერაფერიც ვერ „მიყიდა“. თვალი ჭამს და თვალი სვამსო — ხომ გაგიგონიათ. მე კიდევ, სარკეში არ ვიხედებოდი კვირიდან კვირამდე, რომ დამვიწყებოდა საკუთარი გაჭირვება და მიგრეხილ-მოგრეხილი ცხვირ-პირი; თან ყოველთვის ისეთი ბიჭები მიყვარდებოდა, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენ... ვტიროდი და ვიღამებდი თვალებს, ღმერთს სასწაულის მოხდენას შევთხოვდი, მაგრამ არ მოხდა ჩემს ნებაზე და შენსავით რომ მივაწიე ოცდაათს, ვინც შემომეძლია, იმას გავყევი — კი იცნობ ბიძაშენს და რა ალენ დელონიც ახლაა, ის იყო ახალგაზრდობაშიც. მეტრ-ნახევარი ვიყავი მე და ის ჩემი სიმაღლისაც არ იყო, წვრილ კისერზე რაქიტიანივით დიდი თავი ედგა და გაღუნულ ფეხებშიც უღლიანი ღორი გაუძვრებოდა, მაგრამ რომ ვთქვი: გაუთხოვრად დარჩენილი თავს მოვიკლავ-მეთქი! — აღარ თქვა მამაჩემმა არაფერი და ორასკაციანი ქორწილიც გადამიხადა, მაყრებისთვის ცალკე გაშალა 50 კაცზე სუფრა, მაგრამ მოგვადგა ჩემი კოლია უფროს დასთან და სიძესთან ერთად ტაქსით, მარტო...

— მანქანაც არ ჰყავდა თავისი? — იკითხა ნუციკომ.

— მანქანა კი არა, იმ ტაქსის ფულიც უსესხებიათ და ქორწილის მერე რომ ჰკითხა მამაჩემმა: სად მიგყავს პატარძალი ან მაყრად რამდენ კაცს წაიყვანო? — დაირცხვინა — მაყრების საშუალება არ გვაქვს, ჩვენ კი ვაგზალში უნდა მივასწროთ, ნახევარ საათში ჩვენი სოფლის „ელექტრიჩკა“ გადისო!..

აასხა მამაჩემს სისხლმა ტვინში, მაგრამ შეიკავა თავი და გამიყვანა გვერდზე: ასე რანაირად გაგიშვა, თუ გინდა, ჩავშალოთ საქმეო, — მაგრამ აღარ გადავთქვი და ვუთხარი: თუ დახმარება გინდა, მანქანა გვიქირავე, სოფელში გაგვიშვი-მეთქი!.. გვიქირავა, მაგრამ რად გინდა?! — გავცდით რაიონულ ცენტრს და მივადექით საცალფეხო ბილიკს, მანქანას კი არა, ორ კაცს არ შეეძლო გვერდიგვერდ სიარული. ჩამოვედით და საათ-ნახევარი ვიარეთ

ფეხით თოვლ-ტალახში!.. როგორც იქნა, მივაღწიეთ სახლამდე და რა ქორწილი, რის ხალხი?! — დამხვდა შინ მოხუცი დედამთილი. ის იყო, მჭადები დაეცხო კეცებზე, გაჭვარტლული იყო ოთახი კვამლით...

სახლი აღარ მკითხო: გაუტიხრავი ერთი ოთახი იყო, ნახევარი ფარდით გაყოფილი და დაუჭედავი იატაკით. როგორც ჩანს, სახელდახელოდ დააგეს, რადგან მეორე ნახევარში მიწური იყო...

იმ ღამეს სულ არ გავიკარე ქმარი — ფარდის იქით იწვნენ ჩემი დედამთილი და მული, თავის ქმართან ერთად... დილით წასასვლელად რომ გაემზადნენ, კი შერცხვა, მაგრამ მაინც მომთხოვა ოქროს „კალცო“ ჩემმა მულმა, წინადღეს რომ წამომაცვეს თითზე — მაგის მეტი არაფერი გამაჩნია, ჩემიაო!

— გაატანე მერე?! — გადაირია ნინუცა.

— აბა, რა მექნა, წივილ-კივილს ხომ არ ავტეხდი და საერთოდ, გაოგნებულს აღარც მქონდა რაიმის თავი: ცოტა ხანში მეზობელმა მოგვაკითხა და კოლიას შარვალი და პიჯაკი მოითხოვა — ნათხოვარი ჰქონია; მეორე მეზობელმა ფეხსაცმელი წაიღო და მესამემ „ლეჟანკა“, რომელზეც წინადღეს ჩემი მული და მისი ქმარი იწვნენ თავფეხშექცევით — სტუმრები მომივიდა და მჭირდებაო!..

— პატრონი არ გყავდა, სად გაგიშვეს?! — აღშფოთებას ვერ მალავდა ნუცა.

— შენ მაშინ უნდა გენახე, როცა მეორე დღეს სარეცხი წამოვიწყე და ჩემს ქმარს საცვალი რომ გავხადე, გამოსაცვლელი არ ჰქონდა მეტი, შიშველს ხომ არ ვამყოფებდი გაშრობამდე?! — ავიღე და ჩემი ფუშფუშებიანი „ტრიკო“ ამოვაცვი დროებით — თან იცინოდა და თან იცრემლებოდა მოგონებებში გადავარდნილი თალიკო მამიდა. ძალიან მოგვერიდა, მაგრამ თალიკოს საცვლებში გამოწყობილი კოლიას წარმოდგენაზე, იმდენი ვიკისკისეთ, ლამის იატაკზე ვიხოხეთ და ველარ დაგვაშოშმინა თალიკო მამიდამ.

— არაფერს ვნანობ მაინც, სახლი ერთი კი არა, ოთხი ავაშენე — ჩემს ხუთ შვილს შემოვევლოს ჩემი სიცოცხლე და ჩემს უთვალავ შვილიშვილს, კოლიასაც არ გავცვლი თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტზე, რადგან ესაა ჩემი ცხოვრება და იმის წარმოდგენაც არ მინდა, ვინ ვიქნებოდი, გაუთხოვარი რომ დავრჩენილიყავი! — ასეთმა დასკვნამ კი დაგვაფიქრა და ისიც ვაღიარეთ, რომ მართალი იყო თალიკო მამიდა, მაგრამ... მაინც ვერ დავითანხმეთ ნუციკო გათხოვებაზე. ახლა კი ერთად ველოდებით უფლისწულებს ისევ და... ახლობლების „გულის გასახეთქად“ ლამაზი ტყუილებით ვიქცევთ თავს... ■

როგორ გავაკაჟოთ ბავშვი

ზაფხული ყველაზე ხელსაყრელი დროა ორგანიზმის გასაკაჟებლად. ბავშვის სხეულის გაკაჟება კი, ხშირი რესპირატორული დაავადებისაგან მისი დაცვის საუკეთესო საშუალებაა — შემოდგომასა და ზამთარში პატარას თავიდან ააცილებთ სურდოს, გრიპს, გაცივებას.

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზაფხულში გაკაჟების ძირითად ფაქტორებს — მზე, ჰაერი და წყალი წარმოადგენს. გაკაჟება გონივრულად, დადგენილი წესების დაცვით უნდა წარიმართოს, რათა ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ. სხვადასხვა პროცედურის ჩატარებისას, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დასუსტებული ან ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების შემთხვევაში, აგრეთვე, მცირეწლოვან და წლამდე ასაკის პატარების მიმართ, რომელთაც ორგანიზმის დამცავი მექანიზმები ჯერ კიდევ არა აქვთ ჩამოყალიბებული.

როგორ დავიწყოთ გაკაჟება? თავდაპირველად, ბავშვმა უნდა მიიღოს ჰაერის რამდენიმე აბაზანა — უქარო, მზიან ამინდში, ღია ცის ქვეშ შიშველი უნდა გავაჩეროთ 5-15 წუთის განმავლობაში. პროცედურა მთავრდება უხეში პირსახოცით კანის დაზელით. თუ ბავშვს ე.წ. „ბატის კანი“ წარმოექმნა, მაშინ სხეულის დაზელა უფრო ადრე უნდა დავიწყოთ, გაცივების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე.

თუ ბავშვი ჰაერის აბაზანებს კარგად იტანს და იგი იოლად არ ცივდება, შეგიძლიათ, გადახვიდეთ წყლის გადავლების პროცედურაზე. წყლის ტემპერატურა ყოველდღიურად თანდათანობით უნდა შემცირდეს. სველი კანი კარგად უნდა შეუმშრალოთ და შემდეგ დაუზილოთ პირსახოცით გაწითლებამდე.

გამაკაჟებელი პროცედურები სისტემატურად უნდა შესრულდეს. გაკაჟების პროცესში შესვენებები დაუშვებელია, რადგან ამ დროს შესაძლოა, ფუჭად დაიკარგოს გამომუშავებული დაცვითი რეფლექსები. თუ ყოველდღიურად წყლის პროცედურის ჩატარების პირობები არა გაქვთ, შესაძლებელია, მისი შეცვლა ცივი წყლით ფეხების დაბანის პროცედურით. თუმცა ამ შემთხვევაშიც სიფრთხილე გმართებთ, რადგან ფეხების გაცივებამ შეიძლება ავად გახადოს ადამიანი. ბავშვის გაკაჟება, რეკომენდებულია შემდეგი თანამიმდევრობით ჩატარდეს:

● ფეხების დაზელა სველი პირსახოცით: წყლის საწყისი ტემპერატურა 37 გრადუსია. იგი თანდათანობით უნდა შემცირდეს 28 გრადუსამდე. პროცედურის ხანრძლივობა — 2-4 წუთია;

● წყლის გადავლება ფეხებზე: წყლის საწყისი ტემპერატურა — 35 გრადუსი. თანდათან უნდა შეამციროთ თითო გრადუსით 26 გრადუსამდე;

● ფეხის გრილი აბაზანები: წყლის საწყისი ტემპერატურა — 24 გრადუსი. ყოველ მეორე დღეს აგრილებთ თითო გრადუსით, საბოლოოდ — 18 გრადუსამდე. პროცედურის ხანგრძლივობა 2-8 წუთია;

● აღნიშნული პროცედურების კარგად გადატანის შემდეგ, ფეხებზე გადასავლებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ონკანის წყალი;

მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებას კი ასეთი სქემით გირჩევთ:

სველი პირსახოცით დაზელა: საწყისი ტემპერატურა — 35-37 გრადუსი. მას თანდათანობით, ყოველ მე-2-3 დღეს ამცირებენ თითო გრადუსით, საბოლოოდ — 18 გრადუსამდე. სველი დაზელის ხანგრძლივობა 2 წუთია. შემდეგ აგრძელებთ მშრალი დაზელით;

წყლის გადავლება: საწყისი ტემპერატურა — 30 გრადუსი. თანდათანობით ამცირებთ თითო გრადუსით — 18 გრადუსამდე. გადავლების პროცედურის ხანგრძლივობა 5-7 წუთია;

შხაპის პროცედურა: საწყისი ტემპერატურა — 37 გრადუსი, ყოველ მე-2-3 დღეს აცივებთ 1 გრადუსით და დაგყავთ 27 გრადუსამდე. შხაპის ხანგრძლივობა 2-3 წუთია;

აბაზანები: საწყისი ტემპერატურა — 36-38 გრადუსი. ყოველ მე-3-4 დღეს ამცირებთ თითო გრადუსით და დაგყავთ 30 გრადუსამდე. აბაზანის ხანგრძლივობა 10-12 წუთია.

გაკაჟება შესაძლებელია კონტრასტული ტემპერატურების გამოყენებითაც.

ფეხის აბაზანები: ცხელი წყლის ტემპერატურა — 42 გრადუსი (იგი უცვლელი რჩება), გრილი წყლის ტემპერატურა დასაწყისში — 37 გრადუსი. მას თანდათანობით ამცირებთ თითო გრადუსით — 20 გრადუსამდე. პროცედურის ხანგრძლივობა 8-12 წუთია. ცივ წყალში ფეხებს აწყობთ 2 წუთით, ხოლო ცხელში — 3 წუთით, მონაცვლეობით.

ყველა ზემოთ აღწერილი პროცედურა იოლად სრულდება სახლის პირობებშიც. ■

ზაფხულის უსიამოვნებანი

ზაფხულის პერიოდში, როცა გარეთ ცხელა, ხშირდება მოწამვლის შემთხვევები, რასაც თან ახლავს ფაღარათი (კუჭის აშლა). როცა ეს პრობლემა გაწუხებთ, უპირველესი ამოცანა, რაღა თქმა უნდა, ფაღარათის შეჩერებაა. ეს სიმპტომი იმითაა საშიში, რომ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის გაუწყლოება, თუმცა მას სასარგებლო ეფექტიც გააჩნია — წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისა და მავნე მიკრობებისაგან. ამიტომ არ არის სასურველი ნაწლავის მოქმედების მაბლოკირებელი ფართოდ რეკლამირებული პრეპარატების დაუყოვნებლივ მიღება, რადგან ისინი ხშირ შემთხვევაში არ ებრძვის დიარეის მიზეზს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვათ სათანადო დიეტა და მიიღოთ ანტისეპტიკური თვისებების მქონე მცენარეული ნაყენები. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს, რომელთაგან შეგიძლიათ, თავად შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი.

ჩაის ნაცვლად მიირთვით ეფექტური ანტისეპტიკური მცენარის — კრაზანის ნაყენი. 1 ს/კ კრაზანას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაახურეთ ჭურჭელს თავსახური და დადგით 40-50 წთ. გადაწურეთ და მიიღეთ 150 მლ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე, თუკი მიდრეკილი ხართ ფაღარათისკენ. ეს ნაყენი ეფექტურია გახანგრძლივებული ფაღარათის დროსაც — მის სამკურნალოდ ნაყენი უნდა მიიღოთ 10-15 დღის განმავლობაში. ამავე ნაყენით შეიძლება ოყნის გაკეთება, რათა საშიშმა მიკროორგანიზმებმა დროულად დატოვონ ნაწლავი. ოყნისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ბალახების — გვირილის, მუხის ქერქის, სალბის ნაყენებიც.

ექიმები ფაღარათის სამკურნალოდ გვირჩევენ ხოლმე მუხის ქერქის ნახარშს. იგი საუკეთესო ანტიმიკრობული საშუალებაა, რომელსაც ლორწოვანის შემომგარსველი ეფექტიც აქვს, მაგრამ ეს ნაყენი არ შეიძლება ბავშვებისთვის. 1 ჩ/კ დაქუცმაცებული მუხის ქერქს დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი წყალი, დააყოვნეთ 6 სთ და მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში. მწვავე დიარეის დროს კი შეგიძლიათ ასეთი ნაყენი მოამზადოთ: 40 გ მუხის ქერქს დასხით 1 ლ წყალი, წამოადუღეთ და მიიღეთ თითო ს/კ დღეში რამდენჯერმე.

დაგეხმარებათ ხილი და ჯენჯრა

● ფაღარათის დროს ეფექტური საშუალებაა შტოში. კენკრისგან შეგიძლიათ გამოწუროთ წვენი ან ფოთლებისა და ნაყოფისგან დამზადოთ ნაყენი. ამისთვის აიღეთ 2 ს/კ კენკრა და ფოთოლი, დასხით 2 ჩ/ჭ ცხელი წყალი და დადგით დაბალ ცეცხლზე 10 წუთით. ნაყენი შეაგრილეთ, გადაწურეთ და ფაღარათის დროს, სვით 100 მლ 4-ჯერ დღეში;

● ფაღარათისას მოამზადეთ მსხლის ნაყოფის ნახარში, არ დაატკბოთ და არ ჭამოთ თავად მოხარშული ხილი კომპოტიდან, რადგან ნაყოფში შემავალმა უჯრედისმა შეიძლება გააძლიეროს ფაღარათი. სვით მხოლოდ სითხე. ნახარშის მოსამზადებლად 1/2 ჩ/ჭ მსხლის ჩირს შეგიძლიათ შეურიოთ 3 ს/კ შვრიის ბურღული და მოხარშოთ 2 ჩ/ჭ წყალში. 1 საათი გააჩეროთ, გაწუროთ და სვათ 1/4 - 1/2 ჩ/ჭ ნახარში 1-2-ჯერ დღეში;

● ხალხური მედიცინა ფაღარათის საწინააღმდეგო ძლიერ საშუალებად მიიჩნევს ანტიმიკრობული ეფექტის მქონე ბროწეულის ქერქს. 1 ს/კ დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ მანამდე, ვიდრე ფერს არ შეიცვლის და ამის შემდეგ დალიეთ ერთბაშად მთელი ჭიქა.

P.S. თუ კუჭის მოქმედება ძალიან ხშირია (7-8 ან მეტჯერ დღეში) და დეფეკაციისას აღინიშნება ლორწოს ან სისხლის მინარევი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ■

ᲐᲠᲗᲠᲘᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲯᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ

აიღეთ 50 გ ქაფური, 100 გ სპირტი, 50 გ მდოგვის ფხვნილი და 100 გ ათქვეფილი ცილა. სპირტში ჯერ ქაფური გახსენით, შემდეგ — მდოგვის ფხვნილი. ცალკე ათქვიფეთ კვერცხის ცილა, მერე კი, ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ. ეს ფაფა ძილის წინ ხელებში შეიზილეთ.

1 კონა წვრილად დაჭრილ ნიახურს დაასხით 300-400 გ ცივი წყალი და უზმოზე დალიეთ. გაიმეორეთ ყოველ დილით 7 დღის განმავლობაში.

100 ცალ კაკლის ფოთოლს დაასხით 3 ლ მდუღარე წყალი და 1 საათის განმავლობაში ხარშეთ. მიიღეთ დღეში სამჯერ, ღვინის ჭიქით.

საღამოს 3 ს/კ ბრინჯი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, გარეცხეთ და ახალი წყალი დაასხით. დილამდე ასე დატოვეთ, რათა კარგად დალბეს. მოხარშეთ უმარილოდ. სასურველია, ფაფა თხევადი იყოს. გააცივეთ და მიირთვით უზმოზე, საუზმემდე 3 სთ-ით ადრე. 2-3-კვირიანი კურსის ჩატარების შედეგად, სახსრების ტკივილი მეოთხე-მეხუთე დღეს გაივლის.

– რამდენად საზიანოა ტუბდაავადებულისთვის მკურნალობის მთლიანი კურსის ვადამდე ადრე შეწყვეტა?

ნიკოლოზ ნასიძე – ტუბერკულოზის ექსპერტი, ტუბერკულოზის მკურნალობისა და კონტროლის პროგრამის წარმომადგენელი:

– ტუბერკულოზით დაავადება – ეს გახლავთ ადამიანსა და ტუბერკულოზის ბაქტერიას შორის ბრძოლა. მედიკამენტები კი ამ ბრძოლაში ადამიანს ბაქტერიის დამარცხებაში ეხმარება.

როდესაც ტუბდაავადებული მცირედი მომჯობინებისთანავე წყვეტს მკურნალობას, აღარ იღებს საჭირო წამლებს, ტუბერკულოზის ბაქტერია ისვენებს, ძლიერდება, უფრო ღონიერი ხდება და მერე მის გასანადგურებლად მედიკამენტები უძლურია – აი, ასე ყალიბდება ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებისადმი გამძლე (რეზისტენტული) ტუბერკულოზი. ავადმყოფი კი რეზისტენტული ტუბერკულოზის გამავრცელებელი ხდება. ასეთი ფორმით მკურნალობა გაცილებით რთულია, ხანგრძლივი და ხშირად უშედეგო.

ამიტომ, ყველა ტუბდაავადებულს ვურჩევ: ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, მოერიდეთ საცხოვრებელი ადგილის დატოვებას, განაგრძეთ მედდების მეთვალყურეობით მკურნალობა, ჩაამთავრეთ მკურნალობის კურსი ბოლომდე, რათა მომავალ ზაფხულს უკვე უსაფრთხოდ, სრულად გამოჯანმრთელებულმა შეძლოთ დასვენება.

აქვე შევნიშნავ, მკურნალობის კურსის დაწყებიდან სულ მცირე დროში ავადმყოფი აღარ გამოყოფს მიკობაქტერიას და ის საშიში აღარ არის გარშემო მყოფთათვის.

✔ ᲮᲕᲔᲚᲐ, ᲓᲐᲛᲘᲡ ᲝᲤᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲡᲘᲪᲮᲔ – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲤᲗᲘᲖᲘᲐᲢᲠᲘᲡ!

✔ ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ!

✔ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲗᲘᲖᲘᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ!

✔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲪᲮᲔᲚ ᲮᲐᲖᲖᲔ: **911926** (ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ). R

ყველა ქალის ოცნებაა, იყოს მოდური და ჰქონდეს საკუთარი დახვეწილი სტილი, მაგრამ იყო მოდური, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბრმად მიჰყვე მის ტენდენციებს, რადგან საკუთარი სტილის შეგრძნება უფრო მნიშვნელოვანია. წლევანდელი ზაფხულის მოდის ტენდენციებსა და სიახლეებზე სასაუბროდ, დიზაინერ ნინო ქართველიშვილს მივაკითხეთ, რომელსაც ახლახან საზაფხულო, პერსონალური ჩვენება ჰქონდა.

ვეტალის რგოლებითა და ბისერებით გაწყობილი საცურაო კოსტიუმები

„ფლს, გაღუნულფესებიან ქამაკაცებს არ გუმართლათ“

სოფო ჭონიშვილი

— რაღაც განსხვავებული სამოსის შექმნის სურვილი ბავშვობიდანვე მქონდა — ყოველთვის მინდოდა, ჩემი ხელით მოქექსოვა, შემეკერა ტანსაცმელი და სხვადასხვანაირი ლამაზი სამკაული ამეწყო. ამ საქმის დიდმა სიყვარულმა და ინტერესმა, უნივერსიტეტში მხატვრული მოდელირების ფაკულტეტზე ჩაბარება გადამაწყვეტინა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო, საკუთარი მაღაზია-სალონი მქონოდა, სადაც საზოგადოებას ჩემ მიერ შექმნილ ტანისამოსსა და აქსესუარებს შევთავაზებდი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან 4 წლის შემდეგ, მეგობართან ერთად, ეს სურვილი ავისრულე — მაქვს სახელოსნო, სადაც დღედაღამ თავდაუზოგავად ვშრომობ.

— პირველი პერსონალური ჩვენება როდის გქონდა?

— ახლახან, საზაფხულო კოლექციის ჩვენება მოვაწყვე, სადაც 22 კოსტიუმი მქონდა გატანილი. გადაწყვეტილება უეცრად, „ექსპრომტად“ მივიღე — ბევრი დრო არ მქონდა, ამიტომ ღამეებს სახელოსნოში ვათენებდი, ყველაფერი თვითონ შევკერე... მანამდეც მქონდა კოსტიუმების ჩვენებები, ოღონდ, პერსონალური — არა. ძალზე სასიამოვნოა, როცა შენი შექმნილი კოსტიუმის მოდელებს უყურებ. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, დიზაინერს ეს აღარ აკმაყოფილებს.

— კოსტიუმებისთვის ესკიზებს თვითონ ხატავ?

— კი, მოდელის ესკიზს, რომელიც წინასწარ წარმოდგენილი ძირითადი ჩონჩხია, თვითონ ვაკეთებ, მაგრამ ხატვის დროს, კოსტიუმს ბოლომდე ვერასდროს ვასრულებ, „პრიმერკისას“ ძალიან ბევრი რამ იცვლება.

— რა სიახლეებია საზაფხულო მოდაში და რამდენად აქტუალურია თეძოზე მომდგარი ტანსაცმელი?

— ნათქვამია — მოდა ის არის, რაც გიხდებაო. საკუთარი მაგალითიდან გამომდინარე გეტყვით, რომ ძალიან მიყვარს და მომწონს ჯინსი, მაგრამ არ მიხდება... რაც შეეხება წლევანდელი ზაფხულის მოდას, ის ძალიან თავისუფალია და ამ მხრივ, დიზაინერებს უფრო დიდი გასაქანი გვაქვს. მთავარია, ყველაფერი გემოვნებით იყოს გაკეთებული. აქვე უნდა გვახსოვდეს ის, რომ არ შეიძლება მოდას ბრმად მივენდოთ — თეძოზე მომდგარი შარვალი, მიუხედავად იმისა, უხდება თუ არა, რატომღაც ყველამ მოირგო. რადგან მოდა მრავალფეროვანია, შესაფერისი სტილის არჩევა ძნელი არ უნდა იყოს. უგემოვნოდ შერჩეული ტანსაცმელი, ჩვენს ნაკლს ყოველთვის მკვეთრად აჩენს. რაც შეეხება ჩემს კოლექციას, მასში დაბალწელიანი შარვლები და ქვედაბოლოები არ არსებობს.

— რა შეგიძლიათ ურჩიოთ მოდის მიმდევარ მამაკაცებს?

— ამ ზაფხულს, მამაკაცებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე მოდური ტენდენცია შორტებისა და პიჯაკების ერთად ტარებაა. იმ მამაკაცებს, რომლებსაც გაღუნული ფეხები აქვთ, აშკარად არ გაუმართლათ, რადგანაც შიშველი ფეხების გამოჩენა ერთ-ერთი მთავარი შტრიხია. გარდა ამისა, იმ მამაკაცებსაც არ გაუმართლათ, რომლებსაც ნავარჯიშები სხეული არა აქვთ, რადგან მოდაშია, ღრმად ამოჭრილი პერანგები და ბლუზები; ყველა მოდური მამაკაცის გარდერობში, ოდნავ მოკლე პიჯაკი უნდა იყოს. თუმცა, განსხვავებული აზრის დიზაინერებიც არსებობენ...

ახლახან, საზაფხულო კოლექციის ჩვენება მოვაწყვე, სადაც 22 კოსტიუმი მქონდა გატანილი

— როგორი ფერებია ამ ზაფხულს უფრო აქტუალური?

— საერთოდ, ვფიქრობ, რომ ფერთა სწორი შეხამება, სწორად ჩამოყალიბებული გემოვნების ერთ-ერთი მანიშნებელია. ამ ზაფხულს, მოდაში თეთრი, წითელი, ვერცხლისფერი, თამბაქოსფერი, შავი და ოქროსფერია.

— როგორი ქსოვილებია უფრო მოდური?

— წელს მოდაშია შიფონის ქსოვილები, რომელზეც მუშაობა, სიმართლე გითხრათ, ძალიან ძნელია — ის ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

— შარშან ზაფხულს, მოდაში ბისერებით გაწყობილი ტანსაცმელი და ბრჭყვიალა სამკაულები იყო...

— ფერად-ფერადი სამკაულები აქტუალობას წლევანდელ ზაფხულსაც არ კარგავს. სამკაულების ტარება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი კოსტიუმი გაცვია. მაგალითად, ჩემს კოლექციაში რამდენიმე ისეთი კოსტიუმია, რომელიც ისეა გაწყო-

ბილი და გაფორმებული, რომ მასზე ყოველგვარი სამკაულის გაკეთება ზედმეტია.

— ქვედაბოლოების სიგრძეზე რას გვეტყვი?

— ჩემს კოლექციაში გრძელი და მოკლე ქვედაბოლოები არ არსებობს, თითოეულ მათგანს საშუალო სიგრძე აქვს, რომელიც მოდურიცაა და ელეგანტურიც.

— თინეიჯერები თუ მოდიან შენთან?

— კი, როგორ არ მოდიან, მაგრამ თითქმის ყველას ერთნაირი გემოვნება აქვს. ძირითადად, დაბალწელიან შარვლებს და ქვედაბოლოებს იკერავენ, ყოველგვარი ზედმეტი გაფორმებების გარეშე.

— საცურაო კოსტიუმებზე არ მუშაობ?

— როგორ არა?!. აგვისტოს შუა რიცხვებში ბათუმში, საცურაო კოსტიუმების ჩვენების მოწყობას ვგეგმავ. წელს მოდაშია როგორც ღია და შედარებით თამამი „კუპალნიკები“, ასევე მთლიანი და ნახევრად გადაბმული საცურაო კოსტიუმები, რომლებიც გაწყობილი იქნება მეტალის რგოლებითა და ბისერებით.

— ცნობილი ადამიანები თუ დადიან შენს მაღაზია-სალონში?

— დადიან, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა გამიჭირდება. მაგალითად, ლიტვის ელჩის ცოლი, ქალბატონი ეგლე ტანსაცმელს მუდმივად ჩვენთან იკერავს და დაგვიმეგობრდა კიდეც. ასევე, შენგელაიას ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“ მონაწილე მსახიობების რამდენიმე კოსტიუმი ჩვენთანაა შეკერილი... ■

„თავიდანვე მქონდა ველური გარეგნობა და სილამაზე...“

გადის დრო, იცვლება მოვლენები, შესაბამისად, იცვლებიან ადამიანებიც. ეცვლებათ ხასიათი, გარეგნობა, იერი. ზოგი წონაში მომატებას უჩივის, ზოგი პირიქით — დაკლებას, ზოგს კი, საკუთარ გარეგნობასთან დაკავშირებით სრულიად სხვა საფიქრალი უჩნდება... მაგალითად, მსახიობ ია ფარულავას ვიწრო საახლობლო წრემ გარეგნული მონაცემების გამო თავიდანვე „ველური ქალი“ შეარქვა, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ ყოველთვის გრძელ, შავ, ხუჭუჭ თმას ატარებდა და ამასთან, ხშირი, გადაკალმული წარბები ჰქონდა. ის წლების განმავლობაში არც თმას იჭრიდა და არც წარბებს ითხელებდა. ამ ველური იერით ია ამერიკამ მაინცდამაინც კარგად ვერ მიიღო, რადგან იქ მსგავსი ეთნიკური გარეგნობის ქალბატონებისთვის როლები თითქმის არც იყო. ამიტომ მას იძულებით, გარკვეული მსხვერპლის გაღება მოუხდა, რითიც ნაწილობრივ დაარღვია ველური ქალის იმიჯი. მის ტრანსფორმაციას გასული წლებში გადაღებული ფოტოების მეშვეობით გადავავლებთ თვალს.

ია ფარულავა და მისი ეტაპობრივი გარდაქმნა

ლალი ფაცია

— აი, ჩემ წინ დევს 1980 წელს გადაღებული შენი ფოტო, სადაც ვფიქრობ, რომ თინეიჯერი უნდა იყო. იმ პერიოდში გქონდა სურვილი, რომ საკუთარ გარეგნობაზე გეზრუნა, გაპრანჭულიყავი?

— ამ ფოტოზე უკვე იგრძნობა ის, რომ დაწყებული მაქვს ჩემს გარეგნობაზე ზრუნვა. თმაზე გაკეთებული მაქვს „ნევიდიმკა“, რომელზეც დავამაგრე ქსოვილისგან საკუთარი ხელით გამოჭრილი ყვავილი. მაქვს ეგრეთ წოდებული „ჩოლკა“, რომლის გაკეთებასაც რატომღაც ბავშვობაში მიკრძალავდნენ. ეს „ჩოლკა“ საგულდაგულოდ არის დედაჩემის ფენით დაყენებული, გასწორებული, რადგან ხუჭუჭი თმა მქონდა და არ მემორჩილებოდა. კისერზე მკიდია გულსაკიდი, რომელიღაც ზღვის ცხოველის კლანჭი თუ ფეხია. მე და ჩემმა ძმამ ბათუმში ვიპოვეთ. მასში სანთელი ჩავასხით, მივამაგრეთ საკიდი და ტყავზე ჩამოვკიდეთ. ეს დეტალი ჩემი მაშინდელი სტილის ერთ-ერთი სერიოზული შტრიხია. სურვილი მქონდა, რომ ვყოფილიყავი განსხვავებული, თავისუფალი. ასეთი გულსაკიდი ხომ ყველა ბავშვს არ ეკიდა!..

— შემდეგი ფოტოსერია — 1987 წელს მიეკუთვნება, მასზე კარგად ჩანს შენი შავი, ხშირი, გრძელი, გაშლილი ტალღოვანი თმა, ასევე ხშირი წარბები.

— ამ ფოტოებზე რაღაც კაიროს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ვგავარ


1980 წ.

1987 წ.

1989 წ.

1990 წ.

1991 წ.

(*იცინის*)... საერთოდ, მაშინ გრძელი თმა მოდაში იყო. იმ პერიოდში განებივრებული ვიყავი ასეთი შეფასებით — რომ მქონდა ველური გარეგნობა და სილამაზე, ამიტომაც პინცეტი ჩემთვის არ არსებობდა. ტონალურ კრემზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შიგადაშიგ მხოლოდ „რუმიანას“ ვხმარობდი. თმას სარეცხის საპნით ვიბანდი, ზემოდან ლიმონის მჟავას ვივლებდი, ეს საუკეთესო საშუალება იყო თმის დასარბილებლად. ხუჭუჭი და გრძელი თმა ძნელი მოსავლელია, ამიტომ ხან გაშლილს ვატარებდი, ხან ვიკრავდი, შუაზე ვიყოფდი და ვიწნიდი. ეს ერთ-ერთი „სერიოზული“ ვარცხნილობა იყო, რადგან მაშინ საპარიკმახეროებში ჩემნაირ გრძელ და ხუჭუჭა თმას არ ასწორებდნენ, ერთადერთი — იუთოებდნენ ხოლმე, რაც რთული პროცედურა გახლდათ. ამრიგად, ნაწნავი მოსახერხებელი იყო. ახლა ამ ფოტოებს რომ ვუყურებ, ჩემი მაშინდელი ასაკი მომწონს, მაგრამ საკუთარი გარეგნობა — არა, რადგან რაღაც ძალიან ჩაშავებული ვჩანვარ, ბევრი თმა მხვდება თვალში...

— 1989 წელს გადაღებულ შენს ფოტოებს თუ გადავხედავთ, იმავე სიგრძის თმა გაქვს, არც წარბები ჩანს მაინცდამაინც მოვლილი...

— ამ პერიოდში ლენინგრადში ფილმში Таинственный незнакомец გადამიღეს... ამ ფოტოებზე ცოტათი მოსუქებული ვჩანვარ და გამოკვეთილად ჩანს ჩემთვის დამახასიათებელი ყვრიმალები. მაგრამ 1990 წელს გადაღებულ ფოტოებს თუ დავაკვირდებით, წონა შესამჩნევად დაკლებული მაქვს. ამ პერიოდს დაემთხვა ის, რომ მიწვევით გავემგზავრე ამერიკაში (თეატრალური ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა). თმის სიგრძეს არაფერი აკლდება, სახეზე მატულობს მაკიაჟის შტრიხები — ტუშით წამწამების აპრეხა; სურვილი გაჩნდა, სახეზე ყავისფერი შუქჩრდილები დავიდო, მაგრამ ფანქარსა და პომადას არ ვიკარებ. საერთოდ, მეტისმეტად არ ვიპრანჭებოდი; მქონდა სურვილი, საზოგადოებისთვის სადად და მარტივად წარმედგინა თავი, ისეთად, როგორიც ვიყავი. თუმცა უცხოეთის ქვეყნებში (*რუსეთი, ამერიკა*) ვნახე, რომ არსებობდა თავის მოვლის დახვეწილი მეთოდები, ისეთი, როგორიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში არ იყო.


ეს უბრალოდ, კარგი მაკიაჟის, ფოგოს გადაღებისას დაყენებული სწორი განათების შედეგი იყო
2005 წ.

— ხელში მიჭირავს 1991 წელს გადაღებული ფოტო, სადაც ცალი მხარი გაქვს მოშიშვლებული.

— დიახ, ეს მხარმოშიშვლებული, ველურ-სექსუალური ია ფარულავაა (*იღიმება*). ამ პერიოდში თმის სიგრძე კიდევ უფრო გრძელდება, თუმცა... შუბლზე პატარა „ჩოლკა“ მაქვს, რომელზეც ჟელე მისვია. თმის ჟელე საქართველოში მაინცდამაინც არ იშოვებოდა, ამიტომ თვითონ ვაკეთებდით. წავისვამდი ამ ჟელეს და ხუჭუჭა თმას სველის ეფექტი ეძლეოდა.

— 1992-93 წლების ფოტოებზე რას იტყვი?

— ეს სურათები უკვე ამერიკაშია გადაღებული. ჩემს გარეგნობას სიეტლში დიდი მოწონება ჰქონდა, რადგან, მათზე განსხვავებული, ეგზოტიკური, „ეთნიკურად ველური“ ქალის შთაბეჭდილებას ვახდენდი. ბევრის ყურადღებას ვიქცევდი, მაგრამ კარიერაში წინსვლა არ მქონდა, რადგან ასეთი გარეგნობის ქალებისთვის იქ როლები არ იყო. ამიტომ ჩემი მენეჯერები ცდილობდნენ, ჩემს გარეგნობაში მკვეთრი ცვლილებები შემეტანა. აგენტები მთხოვდნენ, რომ მაქსიმალურად „კოსმოპოლიტური“ გარეგნობისთვის მიმეღწია. მეც ნელ-ნელა დათმობაზე წავედი. ამ ფოტოზე ჩანს, რომ მაქვს ამის სუსტი მცდელობა, რადგან ჩემს ფესვებს მაინც მყარად ვებღაუჭებოდი.

— როგორც ვიცი, 1995 წელს უკვე ლოს-ანჯელესში ცხოვრობდი. ნუთუ ამერიკამ თავის ყაიდაზე მაინც არ გადაგიყვანა?

— კი, 1995 წელს „დრამატული“ ცვლილებები შევიტანე საკუთარ გარეგნობაში: წონაში დავიკელი, თმა გავისწორე, მაკიაჟი გავიმკვეთრე, წარბები დავითხელე, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ეს ჩემგან მსხვერპლის გაღების ტოლფასი იყო. საშინლად გამოვიყურებოდი, ტანჯული სახე მქონდა. ისე, სულ მქონდა მცდელობა, რომ ჩემი თმა შემენარჩუნებინა, თუმცა, ბუნებრივად ტალღოვანი თმა თანდათან შემითხელდა, რაზეც ვფიქრობ, იქაურმა ჰავამ, წყალმა, კვებამ, ცხოვრების სტილმა იმოქმედა. 1996 წელს უკვე გადამიღეს პატარ-პატარა როლებში, თუმცა, გაშლილ თმას ბოლომდე ვერ შეველიე.

— ამერიკაში მაინც მოგიწია, რომ საკუთარ გარეგნობაში მკვეთრი ცვლილებები შეგეტანა და რაიმე პლასტიკურ ოპერაციაც ხომ არ გაიკეთე?

— მინდოდა,

გამეკეთებინა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია — ოდნავ დამეთხელებინა ნესტოები, მაგრამ ძვირი დამიფასეს — 5.000 დოლარი. ამის საშუალება არ მქონდა. თან, საერთო ანესთეზიის შემეშინდა, უნდა დამეძინა. ასეთი მსხვერპლი ვერ გავიღე.

— 1999 წელს, საქართველოში საბოლოოდ დაბრუნება გადაწყვიტე. როგორი იყო იმ პერიოდში შენი გარეგნობა?

— სურათებში მეტყობა, რომ მაქვს ისევ ხუჭუჭა თმა, რომელსაც ხან ვისწორებ, ხან — არა. თუმცა დამოკლებული მაქვს. შესაბამისად, წონაშიც დაკლებული ვიყავი. ამ პერიოდში, უკვე სილამაზის სალონების ხშირი სტუმარი გავხდი... ამასთან, დავიწყე გადაცემაზე — „ჩემი მშვენიერი ლედი“ — მუშაობა. უნდა ვაღიარო, რომ სიგამხდრე განსაკუთრებით სახეზე არ მიხდება. კიდევ ერთი მინდა ვთქვა — რომ ჩემი სახე მხოლოდ მაშინ გამოიყურება კარგად, როდესაც 64 კილოს ვიწონი, რისი მიღწევაც ჩემთვის ძალიან რთულია ხოლმე.

— სიმაღლე რამდენი გაქვს?

— 171 სანტიმეტრი... ტელევიზიაში მუშაობის პერიოდი ვახსენე და გადაცემის პარალელურად, სერიალში — „ძილის წინ“ მიღებდნენ. მაშინ თმა მუქად შევიღებე, მქონდა მკვეთრი მაკიაჟი, ჩემი ვარცხნილობის ოდნავ აპრეხილ ბოლოებს ზოგი „ჯენეირის ვარცხნილობას“ ეძახდა, რადგან „ძილის წინში“ ჩემს პერსონაჟს ჯენეირი ერქვა. მივხედე წარბებსაც: ფორმა შევიცვალე, რადგან ჩემს ველურ წარბებს ეს აუცილებლად სჭირდებოდა.

— 2004-2005 წლებში კომპანია „ისი-პარის“ სახე გახდი. შენი ბილბორდები ქალაქში ბევრგან ეკიდა. ამბობდნენ, ია ამ ბილბორდზე ისე გამოიყურება, რომ ეტყობა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთაო...

— ეს უბრალოდ, კარგი მაკიაჟის, ფოტოს გადაღებისას დაყენებული სწორი განათების შედეგი იყო და კიდევ იმისი, რომ იმ პერიოდში წონაში მოვიმატე — სახე შემევსო, კანი გადამეტკიცა... მაშინ ყველა მსაყვედურობდა — სად არის შენი ხუჭუჭა თმა, რა უყავიო? — მაგრამ ხვეული თმა ამდენი გასწორების შედეგად, სადღაც გაქრა, თან — შემითხელდა კიდეც... 2004 წელს შევხვდი ჩემს მეუღლეს, ფადის. დაიწყო მშვიდი, წყნარი, ჰარმონიული წლები. ამასთან, უკვე აღარც ვმუშაობდი; თანდათან წონაშიც მოვიმატე, რასაც მოჰყვა ათასგვარი დიეტა, გაძლიერებული ვარჯიში და ბრძოლა ჭარბ წონასთან.

— ეს ფადის მოთხოვნით ხდებოდა?

— არა, არა, პირიქით — სულ ვამბობ, რომ ფადიმ გამასუქა... სხვათა შორის, არასდროს ვყოფილვარ საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი, ყოველთვის მეტ მოთხოვნას ვუყენებდი საკუთარ თავს. ახლა ის პერიოდია, როდესაც ჩემი თავი მომწონს. რაღაც გაწონასწორებული, დამშვიდებული ვარ. ეტყობა, მეტად დავქალდი. სხვა მოთხოვნები მიჩნდება. ახლა მთელი ჩემი ყურადღება მიმართულია ოჯახისკენ. ფადის უდიდესი ყურადღება სჭირდება. ჩვენ ერთად ბევრ დროს ვატარებთ, ხშირად გარეთ ერთად ვსაუზმობთ, ვსადილობთ, ვვახშმობთ... ძნელია ამის გაძლება *(იცინის)* ჩემი დიეტების ფონზე, მაგრამ ამას ჩემი დღევანდელი ცხოვრება მოითხოვს...

— ია, ტუჩების გადიდების სურვილი არასდროს გქონია?

— კი, 2003 წელს მაინტერესებდა, სპეციალური გელის შეყვანის შემდეგ რა ფორმას მიიღებდა ჩემი ტუჩები. არ იყო ცუდი, მაგრამ გელი ერთ წელიწადში გაილია და ტუჩებმა ისევ ძველი ფორმა მიიღო. უბრალოდ, ინტერესის გამო გავიდიდე. ტუჩებით ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი და მხოლოდ რაღაც შტრიხი შევმატე. მომეწონა, მაგრამ მივხვდი, რომ ამ ეფექტის მიღწევა კონტურითაც შეიძლება. ვისაც პატარა ტუჩები აქვს, მათთვის არ არის ცუდი და მივესალმები. ასევე მხარს ვუჭერ მკერდის გადიდებასაც.

— კონკურსის — „მის საქართველო 2006“ ჟიურიში როგორ მოხვდი?

— მე მიმიწვია ჟიურის თავმჯდომარემ, სანდრა რულოვსმა. წვეულებაზე ვიყავით ერთად, ის ჩემთან მოვიდა და მითხრა — როგორც გემოვნებიანი ქალბატონი, მინდა, რომ ჟიურის შემადგენლობაში იყო, რადგან „მის საქართველო 2006“ უნდა ავირჩიოთო. გამიხარდა, თუმცა გამიკვირდა, რადგან ამ კონკურსის ორგანიზატორებს არასდროს მივუწვევივარ. დავთანხმდი ქალბატონ სანდრას და გავემგზავრე ბათუმში, რადგან ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

— როგორ ფიქრობ — „სექსუალური“ ნიშნავს თუ არა „ლამაზს“?

— არა, არსებობს კლასიკური სილამაზე და არის სექსუალურობა, რაღაც ეშხი. ჩემთვის პამელა ანდერსონი არ არის ლამაზი ქალი, ის სექსუალურია. ლიკა ქავჟარაძე ლამაზია, მაგრამ — არასექსუალური. ოდრი ჰეპბერნი საერთოდ არ იყო სექსუალური, თუმცა „საუზმე ტიფანიში“ ნათამაშები აქვს დაქირავებული მეძავის როლი. სოფი ლორენი სექსუალური ქალბატონია.

— შენს ფოტოებზე დაყრდნობით, ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ იცვლებოდი წლების განმავლობაში და როგორ ზრუნავდი საკუთარ გარეგნობაზე.

— კი, ვფიქრობ, მკითხველსაც დააინტერესებს ეს, თუ როგორ გარდაიქმნა „ველური ია“ მზრუნველ ქალად, მეუღლედ...

■

ქრისტიანული სჯულისთვის წამებული სპარსელი ევსტათი მცხეთელი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიწმინდეს ევსტათი მცხეთელის წმინდა ნეშტი წარმოადგენს, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშაა დაბრძანებული: „ამას გევედრები, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რათა გუამი ჩემი დაიმარხოს მცხეთას, სადაც იგი ნათელი მივიღე“, — უნატრია სიკვდილის წინ წმინდანს. მართლაც, წამების შემდეგ მისი ნაგვემი სხეული სვეტიცხოვლის საკურთხეველში დაკრძალეს... ევსტათი მცხეთელს წმინდა ეკლესია 11 აგვისტოს იხსენიებს. ეს არის დღე, როდესაც იგი ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებისთვის აწამეს.

შორენა მერკვილაძე



ევსტათი მცხეთელი წარმოშობით სპარსელი იყო. საქართველოში ჩამოვიდა და მცხეთაში დასახლდა, როცა 30 წლის იყო. სახელად გვირობანდრაკი ერქვა. იგი მალევე დაუახლოვდა ქრისტიან ქართველებს — იმდენად მოეწონა ქართველთა ზნე-ჩვეულება, შეიტკბო და შეიყვარა ქრისტიანული რჯული, რომ თავადაც გაქრისტიანება გადაწყვიტა. მართლაც, კათოლიკოს სამოელის ხელით ქრისტანული წესით მოინათლა და ნათლობის სახელად ევსტათი ეწოდა. ცოლადაც ქრისტიანი ქალი შეირთო.

ერთხელ, მცხეთაში მცხოვრებმა ცეცხლთაყვანისმცემელმა სპარსელებმა სპარსული დღესასწაული — „ტოზიკობა“ („ნავრუზობა“) გამართეს და ევსტათიც მიიწვიეს. მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღია, ქრისტეს აღდგომას ვზეიმობ და თქვენი სიბნელისგან შორს ვარო, — შეუთვალა მან. დღესასწაულის დასრულებისთანავე, გაჯავრებულმა სპარსელებმა მცხეთის ციხისთავთან, უსტამთან დაასმინეს: აქ ერთი კაცია, ჩვენს სჯულს გმობს, დასცინის, აგინებს და იქადის — ქრისტიანი ვარო, — უთხრეს. ციხისთავმა ევსტათი თავისთან დაიბარა.

როდესაც ევსტათი მცხეთელს უსტამის ბრძანება აუწყეს, ჯერ შეყოვნდა, შემდეგ კი გაიფიქრა: „...წავალ და ცხადად ვაღიარებ ქრისტეს, რამეთუ წერილ არს: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უვარ ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა“.

ციხისთავმა ევსტათის სადაურობა ჰკითხა. სპარსელი ვარ, სპარსული სოფლიდან, მამაჩემი მოგვი იყო, მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ დავრწმუნდი, ქრისტიანობა ყველა სარწმუნოებაზე უმაღლესია და მეც ქრისტეს სამსახურს შევუდექიო, — უპასუხა მან. არავინ შეგარჩენს ქრისტეს სამსახურს; თუ შენი ნებით არ მოიშლი ამ სიგიჟეს, ძალზე დიდი სატანჯველი მოგელისო, — მიუგო უსტამმა. „არათუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისთვის, არამედ სიკვდილითაც თავი ჩემი არ მეწყალება“, — მშვიდად უპასუხა ევსტათიმ. ამ პასუხმა ძალზე განარისხა ციხისთავი, მაგრამ რადგან მისი დასჯის უფლება არ ჰქონდა, თბილისში გაგზავნა, ქართლის მარზპან არვანდ გუშნასპთან, რომელიც ქართლში ყველა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს განაგებდა.

ევსტათი მცხეთელი ორი მხედრის თანხლებით წარგზავნეს თბილისს. მასთან ერთად წაიყვანეს კიდევ შვიდი სპარსი, რომელთაც ევსტათის მსგავსად, ქრისტიანული რჯული მიეღოთ.

ქრისტეს მსასოებელი სპარსელები მარზპანმა მკაცრად დაჰკითხა. ყველამ ერთხმად აღიარა: „ქრისტიანე ვიქმენით და აწ ქრისტიანე ვართ, რამეთუ ქრისტიანეთა რჩეულნი წმიდა და სურნელ არს და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუაი რჩეული ვერ ესწორების რჩეულსა ქრისტეანეთასა“.

განრისხებულმა მარზპანმა მათი წამება ბრძანა — ყველას თავი და წვერი დაჰპარსეს, ცხვირები დაუხვრიტეს, კისრებზე ჯაჭვები დაადვეს და საპყრობილეში ჩაყარეს. თან უთხრეს, თუ რომელიმე უარყოფს ქრისტეს და ცეცხლთაყვანისმცემლობას დაუბრუნდება, შევიწყალებთო. ორმა სპარსელმა მართლაც ვერ გაუძლო წამებას და მამაპაპისეულ რჯულს დაუბრუნდა, რის გამოც საპყრობილიდან გაათავისუფლეს და უხვადაც დაასაჩუქრეს. დანარჩენები კი, მათ შორის ევსტათიც, კვლავ დილეგში დატოვეს, სადაც ექვსი თვე სასტიკ ტანჯვა-წამებაში ამყოფეს.

ექვსი თვის შემდეგ, ქართლის მარზპანი — არვანდ გუშნასპი სპარსეთის მეფემ თავისთან იხმო. გამგზავრებამდე ქართლის კათოლიკოსმა სამოელმა, მცხეთის მამასახლისმა გრიგოლმა და პიტიახშმა არშუშამ მას დილეგში ჩაყრილი სპარსელი ქრისტიანების გათავისუფლება სთხოვეს. „ეგენი სიკვდილისთვის მყავდა გამზადებული, მაგრამ რაკი თქვენ მთხოვეთ, ვათავისუფლებ“, — უთქვამს მარზაპანს და მაშინვე გამოუშვია საპყრობილიდან...

სამი წლის შემდეგ, ქართლში ახალი მარზპანი — ვეუან ბუზმანი დანიშნეს. სპარსელებმა ევსტათი მცხეთელი მას-

სვეტიცხოველი

თანაც დაასმინეს. ვეუანმა ევსტათის მასთან მიყვანა ბრძანა. როდესაც წმინდანმა ამის შესახებ შეიტყო, მიხვდა, რომ ეს მისი უკანასკნელი მოგზაურობა იყო თბილისში, გამოემშვიდობა ოჯახს და მარზპანის მხედრებს გაჰყვა. მხედრებით გარშემორტყმული ევსტათი მცხეთის ჯვართან შეჩერდა და უფალს შეჰღაღადა: „უფალო ღმერთო იესო ქრისტე, უკუეთუ ღირს მყო მე სიკუდილსა სახელითა შენსათვის ქრისტიანობით, ხორცთა ჩემთაი ნუ ჯერ გიჩნს განგებაი გარე და შეჭმაი ძაღლთა და ფრინველთა ცისათა, არამედ ხორცთა ჩემთა ბრძანე აქვე მოქცევაი და დამარხვა მცხეთას, სადაც ნათელ მიღებიეს“.

მარზპანმა მკაცრად გამოჰკითხა ევსტათის ვინაობა. მან მშვიდად მოუთხრო, თუ რა მიზეზით უარყო ცეცხლთაყვანისმცემლობა და მიიღო ქრისტიანული რჯული. მისმა სიმშვიდემ და მტკიცე რწმენამ სპარსელი მმართველის გულიც მოხიბლა და ტკბილად სთხოვა, რომ უარეყო ქრისტიანობა და კვლავ ცეცხლთაყვანისმცემლობას შესდგომოდა, რაზეც წმინდანმა სასტიკი უარი განაცხადა. მაშინ, მარზპანის ბრძანებით, ევსტათი საპყრობილეში ჩააგდეს, ღამით კი, თავი უნდა მოეკვეთათ.

როდესაც დაღამდა, ევსტათი დილეგიდან გამოიყვანეს და თავი მოჰკვეთეს. გვამი ქალაქგარეთ გაიტანეს და ფრინველთა საჯიჯგნად დააგდეს, რათა ქრისტიანებს ვერ მიეგნოთ და პატივით არ დაეკრძალათ. ქრისტიანებმა მაინც მოახერხეს უფლისთვის წამებული წმინდანის ნეშტის მიკვლევა, მალულად წაასვენეს მცხეთაში, სადაც სამოელ კათოლიკოსი მიეგება და პატივითა და დიდებით დაკრძალეს სვეტიცხოველში, წმინდა ტრაპეზის ქვეშ.

ქრისტეს აღმსარებლობისთვის წამებამდე, ევსტათიმ ჯალათებს სთხოვა, რომ მისთვის ლოცვის ნება მიეცათ. მუხლი მოიდრიკა, თვალები ზეცად აღაპყრო და უფალს შეჰღაღადა: „უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაი გნებავს ცხორებაი, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახლსა წმიდასა შენსა; რომელმან ისმინე ლოცვაი პირველმოწამეთაი... ამას ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაეტევოს გვამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ რაითა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა იგი შენ გამომიჩნდი და რათა აქუნდეს მადლი და კურნებაი ძუალთა ჩემთა, ვითარცა იგი პირველთა მათ“.

„არა უნაკლულს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებაისაითა, რომელთა ვჰრწმენე მე, ხოლო გუამისა შენისათვის ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“, — მოისმა ხმა ზეციდან. მართლაც, წმინდა ევსტათის წმინდა ძვლების ძალითა და მადლით არაერთი სასწაული აღსრულებულა.

■

რატომ ეწოდა ლუკა მახარებლის მიერ დაწერილ ხატს ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატებს შორის ერთ-ერთია ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში სამჯერ — 3 ივნისს, 6 ივლისს და 8 აგვისტოს იხსენიებს, რუსეთში შემოსული მტრის სამგზის დამარცხების აღსანიშნავად...

გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის ვლადიმირისად წოდებული სასწაულმოქმედი ხატი ლუკა მახარებელს დაუწერია, იმ მაგიდის დაფაზე, რომელზეც იესო ქრისტე თავის ყოვლადწმინდა დედასთან და მართალ იოსებთან ერთად ტრაპეზობდა. საეკლესიო გადმოცემა ასევე გვაუწყებს, რომ ლუკა მახარებელმა ხატი ღვთისმშობლის მიძინებამდე დაწერა და ყოვლადწმინდა ქალწულს მიუტანა, როდესაც წმინდა მარიამს თავისი გამოსახულება უხილავს, უთქვამს: „ამიერითგან მნატროდნენ მე ყოველნი ნათესავნი“, თან დაუძენია: „მადლი ჩემგან შობილისა ძისა იყოს ამ ხატზე“...

450 წლამდე, ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ხატი იერუსალიმში იმყოფებოდა, შემდეგ — იმპერატორ თეოდორე უმცროსის დროს, კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს და იქვე ინახებოდა XII საუკუნის დასაწყისამდე. ამის შემდეგ, კიევში გადაიტანეს. ცარგრადის პატრიარქმა, ლუკა ქიზოვერხმა იგი მთავარ იური ვლადიმირის ძე დოლგორუკის გაუგზავნა, რომელმაც ვიშგოროდის დედათა მონასტერში დააბრძანა. ღვთისმშობლის ხატისგან მრავალი სასწაული აღესრულა, ამიტომ მალე გაითქვა მისი სახელი მთელ მხარეში.

1155 წელს დიდმა მთავარმა იური დოლგორუკიმ ვიშგოროდი თავის ვაჟს — მთავარ ანდრიას გადასცა. ერთხელ, ვიშგოროდის სავანის კლირიკოსებმა, ტაძარში შესვლისას იხილეს, რომ ღვთისმშობლის ხატი თავისი ადგილიდან გადმოსულიყო და ეკლესიის შუაგულში ჰაერში იყო გაჩერებული. ამ ამბის შესახებ მთავარმა ანდრიამაც შეიტყო, რომელიც მემატიანის ცნობით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი უდიდესი რწმენითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული. როდესაც მან შეიტყო, რომ ხატს იმჟამინდელი ადგილსამყოფელი არ აკმაყოფილებდა, გადაწყვიტა ის სხვა ადგილას გადაებრძანებინა, მით უმეტეს, რომ თავადაც დიდი ხანია, განზრახული ჰქონდა, როსტოვის მხარეში წასულიყო და იქ კიევისგან დამოუკიდებელი სამფლობელო დაეარსებინა.

მთავარი, ვიშგოროდის სავანეში მივიდა, ჰაერში გაჩერებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე პარაკლისი აღავლენინა, თავადაც გულმხურვალედ ილოცა, შემდეგ კი უდიდესი კრძალვით მიეახლა ხატს, ტაძრიდან გამოაბრძანა და სხვა განძთან ერთად, მამის ნებართვის გარეშე, ვიშგოროდიდან წავიდა.

როსტოვისკენ მიმავალი მთავარი გზად ვლადიმირში შეჩერდა, შემდეგ კვლავ როსტოვისკენ გაემართა, მაგრამ ვლადიმირიდან ათი ვერსის დაშორებით, მდინარე კლიაზმასთან ცხენები, რომლებიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს მიაბრძანებდნენ, შეჩერდნენ და გზა აღარ გააგრძელეს. ანდრიას ბრძანებით, ხატი სხვა ცხენებზე გადააბრძანეს, მაგრამ არც მათ ისურვეს გზის გაგრძელება. მთავარმა ლოცვა აღავლინა ხატის წინაშე, რომლის შემდეგაც, მას ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა აუწყა, რომ მისი ხატი ვლადიმირში უნდა დაეტოვებინა. ანდრია მის ნებას დაჰყვა და გადაწყვიტა, ტაძარი აეგო იმ ადგილას, სადაც სასწაულმოქმედ ხატს დააბრძანებდა. ტაძარი ორ წელიწადში ააგეს, ხატი კი, მთავარ ანდრიას ბრძანებით, პატიოსანი თვლებითა და ოქროსა და ვერცხლის ჭედურობით შეამკეს და ახალაგებულ ვლადიმირის მიძინების ტაძარში დააბრძანეს. მას შემდეგ, მას ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა.

ამჟამად ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი მოსკოვის მიძინების ტაძარშია დაბრძანებული.

■

მანჩესტერი ახალი სეზონისთვის ემზადება

ევროპის წამყვანი საფეხბურთო კლუბები სატრანსფერო ციებ-ცხელებას განიცდიან. გამონაკლისი არც „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელმაც გასულ საფეხბურთო სეზონში პრემიერ-ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა. ალექს ფერგიუსონი ხაზს უსვამს იმას, რომ კლუბის სატრანსფერო საკითხების გამო არ ღელავს და ახალი მოთამაშეების შესაძენად სახსრების დაუფიქრებლად განიავებასაც არ აპირებს. „ქომაგებს ახალი კონტრაქტებისა და სახეების ხილვა სურთ, რომლებიც ჩვენს თამაშში სიახლეს შეიტანენ და წარმატებულ გუნდად გვაქცევენ. რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას ვცდილობთ. ისინი ჩვენს თამაშს მრავალფეროვნებას შესძენდნენ. ფეხბურთელთა სხვადასხვა ტიპი ჩვენ უბრალოდ, გაგვაძლიერებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, მაიკლ კარიკის შეძენა გვსურდა, მაგრამ „ტოტენჰემმა“ უარი განაცხადა და გვაცნობა, რომ სატრანსფერო თანხა უნდა გავაორმაგოთ“, — დასძენს ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტი, რომელიც რუდ ვან ნისტელროის საკითხსაც ეხება: „ვერ გეტყვით, რომ რუდი აუცილებლად წავა გუნდიდან. მას ვარჯიშზე ველი. ტელეფონით კლუბის აღმასრულებელ დირექტორ დევიდ გილს ველაპარაკე. მას შემდეგ, რაც „რეალის“ წინადადებას განვიხილავდით, სიტუაცია არ შეცვლილა. მათ წინადადებით მოგვმართეს, მაგრამ უარი ვუთხარით. თუ ისინი მოსალაპარაკებლად მაგიდასთან არ დასხდებიან და თანხას არ გაზრდიან, ნისტელროიც აღარ წავა და კმაყოფილი დავრჩები. ეს საკითხი სრულებითაც არ მაღელვებს. ის გახლავთ თავდამსხმელი, რომელსაც სეზონის განმავლობაში 20 გოლი მაინც გააქვს. ეს არცთუ ისე ბევრ ფორვარდს შეუძლია. მაგრამ თუ რუდს წასვლა მართლა აქვს გადაწყვეტილი, აზრი აღარ ექნება იმას, რომ ეს გადავათქმევინოთ. თუ ფეხბურთელის გული კლუბს არ ეკუთვნის, მაშინ გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ვერ გეტყვით, თუ რატომ სურს მას წასვლა ან რის გამო შეიქმნა ასეთი სიტუაცია. რაც დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, ის გახლავთ, რომ მან გათავისუფლება ითხოვა და ჩვენც დავთანხმდით“.

ფერგიუსონი დასძენს, რომ ვარსკვლავებს შორის ურთიერთობა და მათთან საერთო ენის გამონახვა მისი სამუშაოს ერთ-ერთი რთული ასპექტია. შოტლანდიელის აზრით, მას უსამართლოდ მიაკერეს დიქტატორის იარლიყი. ასეა თუ ისე, რუდ ვან ნისტელროიც ალბათ, დევიდ ბექჰემის, პოლ ინსის, ნიკი ბატისა და როი კინის ბედს გაიზიარებს და „ოლდ ტრაფორდს“ გამოეთხოვება. „სამწუხაროდ, წლები მიდის, მოთამაშეებიც ბერდებიან. ეს შეუქცევადი პროცესია. მე ასეთი მხეცი სულაც არა ვარ. დენის ირვინმა განსაზღვრულ ასაკს მიაღწია, როი კინმა, სტივ ბრუსმა და გარი პალისტერმა კარიერა დაასრულეს, ბრაიან რობსონმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ჩვენს გუნდში კვლავ თამაშობს რაიან გიგზი, რომელიც 33 წლის ხდება. ვიმედოვნებ, ის „მანჩესტერში“ კიდევ 2-3 წელი ითამაშებს. თავის ფიზიკურ ფორმას დიდ ყურადღებას უთმობს. მაგრამ არც ის გვავიწყდება, რომ რაღაც მომენტში, მისი კარიერაც დასრულდება. უკვე დიდი ხანია, რაც ამ კლუბში ვმუშაობ, ამიტომ არაერთ ცნობილ ფეხბურთელთან დაკავშირებით ასეთ სიტუაციაში ხშირად აღმოვჩენილვარ. შეიძლება, სწორედ ამიტომ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოთამაშეებს უდიერად ვექცევი, როდესაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვიღებ. სინამდვილეში, მსგავსი არაფერი ხდება. ხშირ შემთხვევაში, ამას ლოგიკური ახსნა მოეძებნება — ფეხბურთელები კარიერას ასრულებენ, რაც გარდაუვალია“.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საგრძნობლად დაიძაბა ვითარება უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს შორის, რის გამოც პორტუგალიელმა ვარსკვლავმა „მანჩესტერის“ დატოვების შესახებაც კი განაცხადა. მიუხედავად ამისა, სერ ალექსს მიაჩნია, რომ ეს საკითხიც მისი კლუბის სასარგებლოდ გადაწყდება. „რონალდუ „იუნაიტედში“ დაბრუნდება. ჩვენი საუკეთესო მოთამაშეების გაშვებას არ ვგეგმავთ, მით უმეტეს — ახალგაზრდა ფეხბურთელებისა. უეინსა და კრიშტიანუს შორის არავითარი მტრობა არ არსებობს. უეინმა ფაქტობრივად, დაივიწყა ეს ინციდენტი. ვიცი, რუნის კონფლიქტი ჰქონდა რონალდუსთან, მაგრამ ამის გამო არავითარი პრობლემა არ შეიქმნება“.

როგორც ცნობილია, გასულ საფეხბურთო სეზონში, ინგლისის ჩემპიონობისთვის ბრძოლისას „მანჩესტერი“ ლონდონის „ჩელსიმ“ დაჯაბნა. გამორიცხული არ არის, რომ მომავალ სეზონშიც მანჩესტერელთა უმთავრესი მეტოქე კვლავ მოურინიოს გუნდი აღმოჩნდეს. ალექს ფერგიუსონი კი, პორტუგალიელ მწვრთნელს „ფეხბურთის განადგურებაში“ სდებს ბრალს: მისი აზრით, ლონდონელები დიდ ზიანს აყენებენ ფეხბურთს, რადგან არაერთ ვარსკვლავს ყიდულობენ. ასეთი მოსაზრება ფერგიუსონმა თავის გუნდთან ერთად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოგზაურობისას გამოთქვა, როდესაც სხვა 700 სტუმართან ერთად საქველმოქმედო სადილზე იმყოფებოდა. ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტის ნათქვამი, სამხრეთაფრიკელმა კომენტატორმა, რუდი ჰარტმანმა გაავრცელა. „მას ჰკითხეს, თუ რას ფიქრობს „ჩელსიზე“. ფერგიუსონმა კი განაცხადა, რომ ისინი ფეხბურთის განადგურებას უწყობენ ხელს. მან ისიც აღნიშნა, რომ მისი კლუბი ახალი ფეხბურთელების შეძენის საკითხში „ჩელსის“ კონკურენციას ვერ გაუწევს“.

თავად მწვრთნელის მტკიცებით, მისი სიტყვები კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი. „ჩვენს დროში სადილად ვერ წახვალ ისე, რომ რომელიმე შენი ფრაზა არ „მოიპარონ“ და პრესაში არ გაუშვან. არასოდეს მითქვამს ის, რაც გამოაქვეყნეს. ის განვაცხადე, რომ მათ 30 აფრიკელ ბიჭთან გააფორმეს კონტრაქტი და როგორ მისცემენ ყველა მათგანს თამაშის საშუალებას-მეთქი?.. ასეთია ჩემი თვალსაზრისი“.

ფერგიუსონის აზრით, მომავალ სეზონში „ჩელსი“ თავდაუზოგავად იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად, რაც მას შეიძლება, პრემიერ-ლიგაში მარცხის ფასადაც დაუჯდეს. „გაძლიერებას ვაპირებთ, რაც „ჩელსისთვის“ დიდი კონკურენციის გაწევის საშუალებას მოგვცემს. მათ დაიმატეს ორი ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი, როგორებიც არიან მიხაელ ბალაკი და ანდრეი შევჩენკო. ამასთან, რობერტო კარლოსის შეძენაც სურდათ. ვფიქრობ, ევროარენაზე დიდი ძალით ჩაებმებიან ბრძოლაში. შეძენილი მოთამაშეების მიხედვით, მათ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება უნდა სურდეთ. მაქსიმალურად გამოცდილი გუნდის ყოლა სურთ და ვფიქრობ, ამასთან ახლოს არიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალ სეზონში ევროარენაზე „იუვენტუსს“ და „მილანს“ ვერ ვიხილავთ, ჩემპიონთა ლიგა საგრძნობლად „გახსნილ“ ტურნირად უნდა იქცეს. იგივე შეიძლება ვთქვა ჩვენზეც, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მაქსიმალურად უნდა ავარიდოთ თავი ტრავმებს, რადგან გასული ორი სეზონის დასაწყისში ამან დიდი ზიანი მოგვაყენა. 2005 წლის სექტემბერში 6 ფეხბურთელის გარეშე დავრჩით. რა თქმა უნდა, ამან ძალზე გაგვირთულა საქმე. „ჩელსის“ ასპარეზობა დაცვაში კარგ თამაშზეა დამყარებული, რასაც შედეგი ყოველთვის მოაქვს. მათ დიდი გამოცდილება აქვთ და ახალი ფეხბურთელების დამატების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდებიან. ჩვენი გუნდისგან ქომაგები ყოველთვის ბევრს მოელიან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ გასულ სეზონში ან თუნდაც ორი წლის წინ ჩემპიონატში ვერ გავიმარჯვეთ. გულშემატკივრები ყოველთვის მაქსიმუმს მოელიან ჩვენგან“.

დაბოლოს, იმასაც გაცნობებთ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართული საწვრთნელი ტურნეს ბოლო მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პენალტების სერიით კლუბ „კაიზერ ჩიფსთან“ 3:4 წააგო (ძირითადი დრო 0:0 დასრულდა). დევიდ ჯონსმა, პატრიკ ევრამ, კირან რიჩარდსონმა თერთმეტმეტრიანი დარტყმები წარმატებულად შეასრულეს. აი, კრის იგლზმა და ბენ ფოსტერმა კი, ეს ვერ შეძლეს. ■

დიდი ბრაზილიელი

„პატარა ბრაზილიაში“ რჩება

ლუიშ ფელიპე სკოლარი იმ მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებმაც XXI საუკუნის დასაწყისში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. თუ საკლუბო ფეხბურთს მივიღებთ მხედველობაში, რჩეულთა შორის უპირველეს ყოვლისა, ლონდონის „ჩელსის“ თავკაცი, ჟოზე მოურინიო უნდა დავასახელოთ, ხოლო სანაკრებო მთავარ მწვრთნელებში ალბათ, ბრაზილიელი სპეციალისტია გამორჩეული.

2002 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი ბრაზილიის სამხრეთ მხარეში დაიბადა. როგორც ამ ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი, ფილიც ბავშვობიდანვე ბურთს დააგორებდა. მაგრამ სკოლარის, როგორც ფეხბურთელის პროფესიონალური კარიერა ნაკლებად საინტერესოა. იგი რიო-გრანდე-დუ-სულის შტატის საშუალო დონის გუნდებში ასპარეზობდა. მათგან ყველაზე ცნობილი, „ჯუვენტუდე“ იყო. სკოლარი მცველი გახლდათ და ხისტი, ხანდახან კი, ზედმეტად უხეში თამაშითაც გამოირჩეოდა.

სამწვრთნელო საქმიანობით სკოლარი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაინტერესდა და მალევე გამოეთხოვა ფეხბურთელის

პროფესიას. პირველად მწვრთნელის რანგში მან კლუბ „ალაგოანოში“ მოსინჯა ძალა, სადაც მოთამაშის კარიერა დასრულა კიდეც.

ფელიპესთვის დამახასიათებელი თვისებები, უმკაცრესი დისციპლინა და მოედნის ყველა მონაკვეთზე მაქსიმალურად ორგანიზებული მოქმედება იყო. მის სათამაშო სქემაში ბრაზილიელთათვის დამახასიათებელი რომანტიკა ადგილს ვერ პოულობდა. სკოლარი თავადაც რბილი ხასიათით არასოდეს გამოირჩეოდა. მოთამაშეებთან ურთიერთობისას ის ყოველთვის უკომპრომისო, პირდაპირი, უხეშიც კი გახლდათ. ცხადია, ფეხბურთის სპეციალისტი საერთო ენას ვერც რეპორტიორებთან პოულობდა, თუმცა ამის სურვილი არც არასოდეს გასჩენია. ერთხელაც, როცა არასასიამოვნო შეკითხვა დაუსვეს, ფილმა „უტიფარ“ კორესპონდენტს სახეში უთავაზა. და კიდევ: როდესაც მოედნის გვერდით ხაზთან იდგა და გუნდს ხელმძღვანელობდა, თავის მოთამაშეს პირდაპირ მოუწოდა — მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი მოცელეო!

რამდენიმე წლის განმავლობაში სამშობლოში მუშაობის შემდეგ, ლუიში სამუშაოდ აზიაში გაემგზავრა: ჯერ საუდის არაბეთში, შემდეგ — ქუვეითში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, სკოლარი სამშობლოში დაბრუნდა. მან მოკრძალებულ „კრისიუმას“, ეროვნულ ჩემპიონატში გაამარჯვებინა. საყოველთაო ყურადღების ცენტრში კი, 1995 წელს მოექცა, როდესაც „გრემიოსთან“ ერთად ლიბერტადორესის თასი მოიგო.

სკოლარი ვერასოდეს ეგუებოდა სხვის ბრძანებებს. მან 1996 წელს „გრემიო“ დატოვა და იაპონიაში გადაბარგდა.

მივლინებაში ყოფნა ხანგრძლივი აღმოჩნდა. ფელიპემ ერთი წელი „ჯუბილო ივატაში“ გაატარა და ბრაზილიაში უკვე დიდი ავტორიტეტის მქონე დაბრუნდა, სადაც ამჯერად „პალმეირასს“ მოაგებინა ლიბერტადორესის თასი.

მოგებულმა ჯილდოებმა დროთა განმავლობაში სკოლარის საბოლოოდ დაუმკვიდრა დადებითი იმიჯი. შეუპოვრობით, პატივმოყვარეობითა და „სხვების დაკრულზე ცეკვის“ კატეგორიულად მიუღებლობით, ფილი დღესაც გამოირჩევა კოლეგებისაგან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას თავშეკავებულობისა და დიპლომატიურობის არქონასაც ვერავინ დასწამებს. ამჯერად, გადაჭარბებული ფეთქებადობა და ხეპრეობა ფილის ქცევაში აღარ შეინიშნება.

ბრაზილიური ფეხბურთის ქომაგებმა კარგად იციან, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის სამწვრთნელო კარიერის მწვერვალად ეროვნულ ნაკრებში მოღვაწეობაა მიჩნეული. ის ბრაზილიის გუნდს ყველაზე რთულ

პერიოდში ჩაუდგა სათავეში: ხუმრობა ხომ არ არის — ყვითელმაისურიანთა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის საკითხი შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში წყდებოდა! პლანეტის ოთხგზის ჩემპიონებს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ ვენესუელის გუნდთან ასპარეზობისას. ბედის ირონიით, ბრაზილიის ნაკრები ედისონმა გადაარჩინა — სწორედ მან, ვისი მოცელვისკენაც წლების წინ ფილმა თავისი გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელს მოუწოდა...

ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზეც კი, სკოლარის საკუთარი პრინციპებისთვის არასდროს უღალატია. მან მუნდიალის წინ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი განცხადება გააკეთა: ჩვენს გუნდში სექსი არ გამაგონოთო! — და ყველა მექალთანე ფეხბურთელს ნაკრებში შესასვლელი კარი მიუხურა. ასეთთაგან შემადგენლობაში ფაქტობრივად, მხოლოდ რონალდო მოხვდა, თუმცა ფილმა მასაც მოათოკვინა ვნებები. აი, რომარიო კი, ამაოდ ცდილობდა ნაკრების თავკაცის გულის მოგებას. ეს უკანასკნელი ბრაზილიელი ქომაგებისა და მიმომხილველებისგან დიდ ზეწოლას განიცდიდა... ერთი სიტყვით, კორეა-იაპონიაში ბრაზილიელ მოთამაშეებს მეუღლეებიც არ წაუყვანიათ. საერთოდ, 2002 წლის მუნდიალის წინ სკოლარიმ თავის ფეხბურთელებს აუკრძალა ყველაფერი, რაც კი ტურნირთან არ იყო დაკავშირებული და მათ სათამაშო კონცენტრაციაში ხელს შეუშლიდათ — მასმედიასთან ურთიერთობიდან დაწყებული, წვრთნის დროს მობილური სატელეფონო საუბრებით დამთავრებული.

ბევრი, სკოლარის აკრიტიკებდა, გადაჭარბებული პრაგმატიზმისთვის, რასაც ბრაზილიური ფეხბურთისთვის მიუღებლად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ ერთხელ არჩეული გზით. ამასთან, გუნდში ვარსკვლავთა სიმრავლეც არ აღელვებდა. აი, ამაში კი, ფილს თავისი გაუტეხლობა და სიჯიუტე ნამდვილად დაეხმარა. იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა და ამის შედეგად, 2002 წლის 30 ივნისს ბრაზილიის ნაკრებმა პენტაკამპეონის სტატუსი შეიძინა, ხოლო სკოლარის იმ მომენტიდან საფეხბურთო სამყაროში „დიდი ფილის“ სახელით მოიხსენიებენ.

ტრიუმფული მუნდიალის დასრულებისთანავე, „დიდმა ფილმა“ ბრაზილიის ნაკრების დატოვება გადაწყვიტა, რათა ევროპაში გაეგრძელებინა მოღვაწეობა. ის პორტუგალიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. რადიკალური გადაწყვეტილებების გარეშე, არც პორტუგალიელებთან თანამშრომლობას ჩაუვლია. „დიდმა ფილმა“ გუნდიდან ორი ვარსკვლავი მოიკვეთა — ჟოაო პინტუ და ვიტორ ბაია. ამჯერად სკოლარის, შესარჩევ ტურნირში აღარ უხდებოდა საკუთარი ძალის გამოცდა: მოგეხსენებათ, „ევროპელი ბრაზილიელები“ 2004 წელს ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდნენ.

ტურნირის დასაწყისში პორტუგალიელები ბერძნებთან დამარცხდნენ, თუმცა შემდეგ, ფინალში გავიდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გასული საუკუნის 90-იანი წლების ოქროს თაობა ლუიშ ფიგუს ლიდერობით, ბოლოს და ბოლოს, დაეუფლებოდა ტიტულს სანაკრებო დონეზე. სკოლარის კი, დიდი ტურნირის ზედიზედ მეორედ მოგების შესანიშნავი შანსი ეძლეოდა. მაგრამ გასულ ევროპის ჩემპიონატზე დიდი სენსაცია მოხდა: ოლიმპზე საბერძნეთის ნაკრები ავიდა, რომელიც შთამბეჭდავი თამაშით ნამდვილად არ გამოირჩეოდა.

მიუხედავად ამ საშინელი იმედგაცრუებისა, ბოლო ათწლეულის ყველაზე ტიტულოვანმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა მუშაობა მაინც ევროპაში გააგრძელა. ის პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან ერთად 2006 წლის მუნდიალისკენ მიიწევდა, რომლის ფინალურ ეტაპზეც ევროპის ვიცე-ჩემპიონები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მოხვდნენ. ალბათ არავის დაავიწყდება, პორტუგალიისა და რუსეთის ნაკრები გუნდების დაპირისპირება, რომელშიც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა

დიდი სირცხვილი იგემეს.

ცოტა ხნის წინ დასრულებულ მუნდიალზე „დიდი ფილი“ რეკორდების მიღწევას განაგრძობდა. თუ ქრონოლოგიას მივყვებით, პორტუგალიელთა თავკაცის პირველი მიღწევა ჯგუფური ეტაპის დაძლევა გახლდათ, რადგან ეს 1966 წლის შემდეგ აღარ მომხდარა.

პლეიოფის პირველივე მატჩი პორტუგალიელების მონაწილეობით ყველასათვის დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, ოღონდ — ნეგატიურად დასამახსოვრებელი: პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, მოედნიდან ერთბაშად 4 ფეხბურთელი გააძევეს. რა თქმა უნდა, ამ სამწუხარო ფაქტს ტურნირისთვის ლაზათი არ შეუმატებია, მაგრამ იმ მატჩში ორივე გუნდის წარმომადგენლები თავდაუზოგავად იბრძოდნენ. გარდა ამისა, სკოლარიმ მთავარი მწვრთნელის რანგში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობითაც (11) რეკორდი დაამყარა.

მეოთხედფინალში სკოლარი და სვენ გორან ერიქსონი ბედმა კვლავ ერთმანეთის პირისპირ დააყენა: ისევე, როგორც 2002 და 2004 წლებში, ამჯერადაც, „დიდმა ფილმა“ ინგლისის ნაკრები ტურნირიდან გამოთიშა და ისევე, როგორც 40 წლის წინ, პორტუგალიის ნაკრები კვლავ ოთხ საუკეთესო გუნდს შორის აღმოჩნდა. ნახევარფინალში ხომ „სკოლარი და კომპანია“ თერთმეტმეტრიანების სერიის შედეგად, ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ გუნდთან — საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხდა.

მიუხედავად ბოლო მუნდიალზე წარმატებული გამოსვლისა, პორტუგალიის ნაკრების მიმართ მაინც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნებოდა — უპირველეს ყოვლისა, პირენეელთა არცთუ ისე „სუფთა თამაშის“ გამო. ისინი ხომ ნამდვილად ვერ პასუხობდნენ „ფეირ პლეის“ მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, ამაში „დიდი ფილის“ დამსახურებაც იყო.

პორტუგალიელ მოთამაშეთა ასეთ მოქმედებას არავინ გაამართლებდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: სპორტსმენს ხომ ფსიქოლოგია ბავშვობიდანვე უყალიბდება. პორტუგალიურ საფეხბურთო სკოლებში კი, აქცენტი ყოველთვის შედეგზე კეთდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ — მორალურ-ეთიკურ ფაქტორებზე. სწორედ ასეთი განწყობილებით გამოდიან „ევროპელი ბრაზილიელები“ მოედანზე და ათასგვარ ეშმაკობასა და უხეშობასაც არ ერიდებიან. ისე კი, როგორც ყოველთვის, თამაშის პერიპეტიები მეხსიერებაში იშვიათად რჩება, ყველას შედეგი ამახსოვრდება.

ცოტა ხნის წინ კი ცნობილი გახდა, რომ „დიდმა ფილმა“ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის თავის ამჟამინდელ გუნდში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩება. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ მან ბრაზილიის ნაკრების თავკაცობაზე კიდევ ერთხელ თქვა უარი. ამიტომ, სკოლარი „ევროპელ ბრაზილიელებთან“ ერთად გამარჯვების იმედს არ კარგავს. ■

ჯონ ლენონის ნიუ-იორკი

„ნიუ-იორკი იმ რომს წააგავს, რომელიც რომის იმპერიის ზეობის დროს იყო. იმ ეპოქაში რომ დავბადებულიყავი, აუცილებლად რომში ვიცხოვრებდი, ამიტომ ახლა ნიუ-იორკში ცხოვრება მსურს“, — ამბობდა ჯონ ლენონი, რომელმაც ეს ქალაქი თავის მეორე სახლად აირჩია. ჯონს ნიუ-იორკი იმიტომაც მოსწონდა, რომ ის მისი მშობლიური ლივერპულის მსგავსად, თითქმის ყოველი მხრიდან ზღვითაა გარშემორტყმული. სამწუხარო ბედის ირონიაა — მუსიკოსს იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიოს ყველაზე კოსმოპოლიტურ ქალაქში პოპულარობის მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებას შეძლებდა, ნიუ-იორკის მცხოვრებთა შორის ისე ჩაიკარგებოდა, რომ საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებას მოახერხებდა. როდესაც ნიუ-იორკში დასახლება გადაწყვიტა, ჯონი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ცნობილი ადამიანებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში, მათ გრძელ სიაში ერთ ჩვეულებრივ, სახელგანთქმულ ადამიანად არ ჩაეწერებოდა... მისი გარდაცვალების შემდგომ გაზეთები წერდნენ, — ნიუ-იორკის საპატიო მოქალაქის სტატუსი რომ არსებობდეს, ლენონი ამ წოდებას აუცილებლად მიიღებდაო...

1964 წლის 7 თებერვალს, 13 სთ-სა და 20 წუთზე, ლენონი პოლ მაკარტნისთან, რინგო სტართან და ჯორჯ ჰარისონთან ერთად, ავიახაზის — Pan American №101 რეისით ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელობის აეროპორტში დაეშვა და ნიუ-იორკის მიწაზე ფეხი პირველად დადგა. აეროპორტის ტერმინალი, ლივერპულელი ოთხეულის აჟიტირებული თაყვანისმცემლებით იყო გადაჭედილი. ამ ხანმოკლე, ერთთვიან ვიზიტს, ამერიკელმა ჟურნალისტებმა „ქვეყნის დაპყრობა“ უწოდეს. ამბობენ, თითქოს „ბითლზის“ ამერიკაში ჩასვლას მატონიზებელი სასმლის მოქმედების ეფექტი ჰქონდა და ამერიკელებს იმ გლოვისა და მწუხარების დაძლევაში დაეხმარა, რომელმაც ქვეყანა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდგომ მოიცვა.

კარნეგი ჰოლში, ოთხეულის პირველ კონცერტზე დასასწრები ბილეთის შესაძენად, ნიუ-იორკელები რიგს საღამოდან იკავებდნენ და ღამით სალაროსთან, პირდაპირ თოვლზე ეძინათ. აღფრთოვანებული რეცენზიები კავშირგაბმულობის ყველა საშუალებით ელვის სისწრაფით გადაიცემოდა, რათა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილ ამერიკელთა ინტერესი ოდნავ მაინც დაეკმაყოფილებინა. 2 დღის შემდეგ, ბროდვეიზე მდებარე „სიბიეს“-ის სტუდიაში „ედ სალივანის შოუ“ შედგა, რომლის რეიტინგმა, იმ დროისათვის არსებულ ყველა სატელევიზიო რეიტინგს გადააჭარბა. გადაცემა 73 მილიონმა მაყურებელმა (ამერიკის მოსახლეობის მესამედი) იხილა. სატელევიზიო გადაცემის დროს, რეკლამის 1 წუთის ღირებულებამ 62.000 დოლარი შეადგინა. ამის შემდგომ, „ბითლომანიამ“ სრულიად ამერიკას გადაუარა.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მომავალში, ლენონის სახელთან დაკავშირებული ყველა კუთხე-კუნჭული ნიუ-იორკის ცნობარებსა და ტურისტულ მარშრუტებში შევა. ვერ იპოვით ისეთ ნიუ-იორკელს, რომელმაც ლენონის სახლის ადგილმდებარეობა, ცენტრალურ პარკში მისი მემორიალი და ედ სალივანის სტუდია არ იცის. ნებისმიერი გამვლელი მიგასწავლით, თუ სად მდებარეობს სტადიონი Shea, სადაც 1965 წელს, „ბითლზის“ კიდევ ერთი ლეგენდად ქცეული კონცერტი ჩატარდა. მაშინ ჯგუფი ქუინსში ვერტმფრენით ჩაფრინდა, სტადიონამდე კი, ბანკის დაჯავშნული მანქანით იმგზავრა. კონცერტის 56-ათასიანი აუდიტორია ტრიბუნებზე ერთხმად ყვიროდა, ტიროდა და ზოგიერთს, გულიც კი შეუწუხდა. არენასთან პოლიცია, სახანძრო და „სასწრაფო დახმარების“ მანქანები მორიგეობდნენ. დღეს, ამგვარ კონცერტზე დასასწრები ბილეთები 2.000 დოლარი ღირს, მაშინ კი, ბილეთის ფასმა 5.000 დოლარს გადააჭარბა...



ჯონ ლენონი მეუღლესთან იოკო ონოსთან და ვაჟიშვილ შონთან ერთად

ეს ამბები ნიუ-იორკის ნებისმიერმა მცხოვრებმა იცის, მაგრამ ბევრმა როდი იცის ის, თუ რის ფასად დაუჯდა ჯონს ე.წ. „გრინ-ქარდის“ (ამერიკაში მუდმივად ცხოვრების უფლება) მოპოვება — მომღერალი აშშ-ის საიმიგრაციო უწყებას დიდხანს, უშედეგოდ ებრძოდა. ხელისუფლება ლენონს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამართულ აქციებში მონაწილეობას და ცნობილ სიმღერას — Imagine ვერ უვიწყებდა, რომელიც ანტისაომარი მოძრაობის ჰიმნად გადაიქცა. ფედერალური ბიუროს აგენტები ლენონს ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ, მის სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ, მასზე დოსიეს ადგენდნენ და მის ფაილებს ხსნიდნენ. მომღერალმა ამერიკაში ცხოვრების უფლება მხოლოდ 1976 წელს მოიპოვა.

ჯონისა და იოკოს პირველი ოროთახიანი ბინა ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, გრინვიჩ-ვილიჯის იმ უბანში მდებარეობდა, სადაც ოდითგანვე არტისტული ბოჰემა სახლობდა. 1973 წელს, ლენონმა ცენტრალური პარკის პირდაპირ, ვესტსაიდში 1880-1884 წლებში აშენებულ, „დაკოტად“ წოდებულ ძველ სახლში დიდი ბინა შეიძინა. „დაკოტა“ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სახლია, რომლის ბინადართა განკარგულებაშია: აუზი, კორტი, კრიკეტის მოედანი, ლიფტები, ჩაკეტილი შიდაეზო და სამზარეულო, რომლის ოფიციანტები ნებისმიერ წუთს მზად არიან იმისთვის, რომ მობინადრეებს კერძები აპარტამენტებში მიართვან. ნიუ-იორკის მაღალ საზოგადოებაში პრესტიჟული გახდა მდიდრულ, ნეოგოტიკურ სტილში აშენებული სახლის მაღალჭერიან ოთახებში ცხოვრება, რომელთა უზარმაზარი ფრანგული ფანჯრებიდან ცენტრალური პარკის შესანიშნავი ხედი იშლება. მეშვიდე სართულზე მდებარე ლენონის ბინა ოთახების ანფილადას წამოადგენდა, სადაც ყველაფერი — ავეჯი, კედლები, ხალიჩები თეთრი ფერის იყო. ერთ-ერთ სასტუმრო ოთახ-

„დაკოტის“ თაღოვან შესასვლელთან ჯონ ლენონმა უკანასკნელი ინტერვიუ მისცა მკვლელს, რომელმაც 5 წუთის შემდეგ მუსიკოსს 5 ტყვია ესროლა...

ში ჯონის უზარმაზარი თეთრი როიალი იდგა. ბინაში შესვლამდე, სტუმრებს ფეხსაცმელის გახდა ევალებოდათ — ეს იაპონური წესი იოკომ მათ ოჯახში დაამკვიდრა. ჯონთან მებალე ყოველდღე მიდიოდა და უმშვენიერეს ყვავილებსა და ლენონის საყვარელ ლელვის ხეებს უვლიდა. მუსიკის მოყვარულ მებაღეს, ჯონმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მუსიკალური ინსტრუმენტების კოლექციიდან ბანჯო უსახსოვრა... მეზობლებს ფანჯარაში ხშირად დაუნახავთ ჯონისა და იოკოს სილუეტები: ფრაკში გამოწყობილი ლენონი და საღამოს კაბით შემოსილი იოკო მანჰეტენის სინათლეებისა და ფეიერვერკის შუქის ფონზე ცეკვავდნენ. ქუჩის გადაღმა, ნიუ-იორკელთა უსაყვარლეს ცენტრალურ პარკში, ცოლ-ქმარი პიკნიკებს აწყობდა. ლენონს ხშირად ხედავდნენ „დაკოტას“ შორიახლოს მდებარე იტალიურ კაფეში — La Fortuna, სადაც ყავას მიირთმევდა, ფრანგულ სიგარეტს ეწეოდა და მყუდრო, ევროპული სტილის კაფეს მეპატრონეს, ბიძია ვინის ესაუბრებოდა. უკვე 25 წელია, რაც მუსიკოსის თაყვანისმცემლები ამ ბარში მოდიან, რათა მის საყვარელ მაგიდას მიუსხდნენ და ყავა მიირთვან. „დაკოტისგან“ რამდენიმე კვარტალის მოშორებით, სასტუმრო „პლაზაში“, ჯონი და იოკო ზოგჯერ „ედუარდიანულ ოთახში“ საუზმობდნენ, ზოგჯერ კი, საღამო ხანს, ხამანწკებით განთქმულ ბარში შეივლიდნენ. ერთხელ, ჯონმა ხუმრობანარევი საყვედურით განაცხადა, რომ სასტუმროს მუსიკოსები მას მუდამ სიმღერის — Yesterday მელოდიით ხვდებიან (ჯონის გულის მოსაგებად, მუსიკოსები სწორედ იმ სიმღერას უკრავდნენ, რომლის ავტორი პოლ მაკარტნი იყო და არა ჯონი)...

1974 წელს, ელტონ ჯონმა ლენონს მის კონცერტზე გამოსვლა შესთავაზა, რომელიც მანჰეტენის ცენტრში მდებარე ცნობილ სპორტულ არენაზე — მედისონ-სკვერ-გარდენში გაიმართა. სტადიონი თავდაპირველად საკალათბურთო გუნდის New-York Knichs „საშინაო“ დარბაზი იყო, შემდეგ კი, მოკრივეთა ორთაბრძოლებისა და ვარსკვლავთა კონცერტების მექად გადაიქცა. სწორედ, მედისონ-სკვერ-გარდენის არენიდან მიულოცა მერილინ მონრომ დაბადების დღე პრეზიდენტ კენედის და მის პატივსაცემად სიმღერა — Happy Birthday შეასრულა. ისე მოხდა, რომ ელტონ ჯონის კონცერტზე ლენონის გამოსვლა, მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა აღმოჩნდა. 1975 წლის 9 ოქტომბერს (ამ დღეს ლენონს 35 წელი შეუსრულდა), 42 წლის იოკომ ჯონს ვაჟიშვილი, შონი გაუჩინა. პირველ ცოლთან, სინტია პაუელთან ლენონს ვაჟი — ჯულიანი ჰყავდა, მაგრამ „ბითლომანიის“ გიჟურ ეპოქაში, ჯონმა მამობის სიხარულს გემო ვერ გაუგო. ახლა კი, ის ნამდვილად ბედნიერი იყო. ლენონმა მუსიკაზე გული აიცრუა და, ჭეშმარიტ ოჯახის მამად გადაიქცა. როდესაც იოკო ადვოკატებთან და აგენტებთან მოლაპარაკებებზე დადიოდა და „ბითლზის“ ეპოქიდან შემორჩენილ ფინანსურ და იურიდიულ პრობლემებს აგვარებდა, ჯონი სახლში იჯდა, ბავშვს უვლიდა და პურს აცხობდა (მან ეს უცნაური საქმიანობა ძალზე შეიყვარა და საოცრად ბრაზდებოდა, როდესაც მისი გამომცხვარი ფუნთუშები თვალის დახამხამებაში თავდებოდა)... ის შონთან ერთად ქუჩაში სეირნობის დროს, ტურისტებისა და ნიუ-ორკელთა ბრბოში გაუჩინარებას ცდილობდა. შვილისთვის საჩუქრებს მეხუთე ავენიუზე მდებარე ცნობილ საბავშვო მაღაზიაში ყიდულობდა და იქ ათასობით დოლარს ტოვებდა. შონისთვის საოცრად სასაცილო სურათებს ხატავდა (ჯონი ხომ ძალიან კარგი მხატვარიც იყო); მას განსაკუთრებით კატების ხატვა უყვარდა. მის ბინაში უამრავი კატა: სახელად საშა, მაშა, წიწაკა, ელისი და მარილი ცხოვრობდა.

იოკო და ჯონი, როგორც ნამდვილი ნიუ-იორკელები, ცენტრალურ პარკში ხშირად სეირნობდნენ

სხვადასხვა დროს, „დაკოტაში“ მრავალ სახელგანთქმულ ადამიანს უცხოვრია. მათ შორის იყვნენ მსახიობი ჯუდი გარლანდი, კომპოზიტორი ლეონარდ ბრენსტაინი და სხვები. თავის დროზე, ბილ კლინტონი „დაკოტის“ მმართველობის წევრიც კი იყო, მაგრამ ამ სახლმა მსოფლიოში სახელი მხოლოდ მაშინ გაითქვა, როდესაც იქ ჯონ ლენონი დასახლდა. მეშვიდე სართულზე მდებარე ბინაში დღემდე იოკო ონო ცხოვრობს. ჯონის დაბადების და გარდაცვალების დღეს, იოკო ყველა ოთახში სანთლებს ანთებს, რათა „დაკოტასთან“ თავმოყრილ ათასობით ადამიანთან ერთად, მეუღლის ხსოვნას პატივი მიაგოს...

1980 წლის 9 ოქტომბერს, „დაკოტასა“ და ცენტრალური პარკის თავზე უზარმაზარი დირიჟაბლი დაცურავდა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „ჯონსა და შონს — სიყვარულით იოკოსაგან“. იმ დღეს, ლენონს 40 წელი შეუსრულდა, მისი შვილი კი, დაბადებიდან 5 წლისთავს ზეიმობდა. 17 ოქტომბერს კი, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ, ჯონის ახალი ალბომი Double Fantasy გამოვიდა, რომელიც მან იოკოსთან ერთად ჩაწერა. ამ მოვლენას ლენონის ახლობლები და თაყვანისმცემლები მოუთმენლად ელოდნენ. იმ დღეებში, იოკო შონის მცველს შეხვდა და უშიშროების ზომების გამკაცრების შესახებ ესაუბრა, რადგან ლენონის ჩრდილიდან გამოსვლა იმას მოასწავებდა, რომ ამიერიდან, მშობლებს ბავშვის დატოვება ხშირად მოუწევდათ.

8 დეკემბერს, ნიუ-იორკში უჩვეულოდ თბილი დღე გათენდა (15 გრადუსი. მოგვიანებით სინოპტიკოსებმა განაცხადეს, რომ ეს დღე ნიუ-იორკის ისტორიის მანძილზე, დეკემბრის ყველაზე თბილი დღე იყო). დილის რვის ნახევაზე, ჯონმა ჩვეულებისამებრ კაფე La Fortuna-ში ისაუზმა, შემდეგ, 72-ე ქუჩაზე პარიკმახერთან შეიარა და თმა შეიკრიჭა. დღის პირველ ნახევარში ლენონს საოჯახო ფოტოსესია და ინტერვიუ ჰქონდა დაგეგმილი. 5 საათზე, ის და იოკო სახლიდან გამოვიდნენ და ხმის ჩამწერი სტუდიისკენ გაეშურნენ. თაღოვან ჭიშკართან, ჯონს ახალგაზრდა მამაკაცმა დაუძახა, მუსიკოსს ალბომი Pouble Fantazy გაუწოდა და მორიდებით ავტოგრაფი ითხოვა. ლენონის სახლთან ჩასაფრებულმა ფოტოგრაფმა ლენონის კეთილი ნების გამომხატველი ტრაგიკული ჟესტის ფირზე აღბეჭდვა მოასწრო და დააფიქსირა, თუ როგორ აძლევს ლენონი საკუთარ მკვლელს უკანასკნელ ავტოგრაფს. 11 საათისთვის იოკო და ჯონი სტუდიიდან დაბრუნდნენ. ისინი სავახშმოდ რესტორანში შევლას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ, გადაიფიქრეს და შვილთან დროულად დაბრუნება გადაწყვიტეს. ლიმუზინიდან პირველი იოკო გადმოვიდა, მას ჯონი მიჰყვა. სიბნელეს მისი

დილანდელი ნაცნობის სილუეტი გამოეყო... ზედიზედ 5 გასროლის ხმა გაისმა. ჯონმა შვეიცარის მაგიდამდე მხოლოდ 6 საფეხურის გავლა შეძლო და მიწაზე დაეცა. „დაკოტისკენ“ მიმავალი პოლიციელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როგორც ყოველთვის, კონსიერჟმა ფეიერვერკის ხმა ახლაც გასროლად მიიჩნია. დანაშაულის ადგილზე მისული პოლიციელებიდან ერთ-ერთი, 1965 წელს, სტადიონ Shea-ზე გამართული კონცერტის დროს „ბითლზებს“ იცავდა... პოლიციელები „სასწრაფო დახმარების“ მანქანის მისვლას არ დაელოდნენ და სისხლისგან თითქმის დაცლილი ლენონი უახლოეს კლინიკაში, 59-ე ქუჩაზე მდებარე რუზველტის სახელობის საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ექიმებს მომაკვდავის გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ნელ-ნელა, საავადმყოფოს ეზოში ხალხი მოგროვდა. ამერიკამ და შემდეგ, მთელმა მსოფლიომ, ეს ტრაგიკული ამბავი სპორტული კომენტატორისგან შეიტყო, რომელმაც „ეიბისის“ არხზე საფეხბურთო მატჩის ტრანსლაცია შეწყვიტა. ვიდრე ლენონის მკვლელს სასამართლო სამუდამო პატიმრობას მიუსჯიდა, ხელისუფლებას ტყვიაგაუმტარ ჟილეტში გამოწყობილი მარკ ჩეპმენი ნიუ-იორკის ქუჩებში დაჯავშნული მანქანით დაჰყავდა, რადგან შიშობდა, მწუხარებისგან გაგიჟებულ თაყვანისმცემელთა არმიას მკვლელი არ აეკუწა.

1981 წელს, „დაკოტის“ პირდაპირ, ცენტრალური პარკის დასავლეთ ჭიშკართან (იქ, სადაც ლენონს უყვარდა სეირნობა) ლენონისადმი მიძღვნილი მემორიალი — Strawberry Fields (ლენონის ყველაზე საყვარელი სიმღერის სათაური, რომელიც მან ოდესღაც ლივერპულის თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვებს მიუძღვნა) აღიმართა. ერთი ჰექტარი მიწის მოწყობის ნებართვას, ნიუ-იორკის მერი — ედუარდ კოხი აწერდა ხელს. პარკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, არქიტექტორ ბრიუს კელის წყალობით Strawberry Fields ბუნებრივ ლანდშაფტს ორგანულად შეერწყა. მოგვიანებით, ლენონის ქვრივმა ცენტრალური პარკის კეთილმოწყობისთვის სამეთვალყურეო საბჭოს ფონდში 1 მლნ დოლარი ჩარიცხა. ამერიკული თელებით გარშემორტყმული შავ-თეთრი მოზაიკისგან შექმნილი წრე მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასული ადამიანების სამლოცველოდ გადაიქცა. მოზაიკა — ქალაქ პომპეიში შემორჩენილი იატაკის ასლია. ეს ფილები ნეაპოლელმა ოსტატებმა დაამზადეს და პარკს საჩუქრად გადასცეს. ქვები, რომლითაც ლენონის კიდევ ერთი ცნობილი სიმღერის — Imagine სათაურია დაწერილი, მისმა თაყვანისმცემლებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩაიტანეს. მოზაიკის წრესთან ყოველდღიურად მიაქვთ ცოცხალი ყვავილები, გულის ამაჩუყებელი სათამაშოები, ლექსები. მემორიალთან დღესაც იკრიბებიან უკვე ხანდაზმული ადამიანები გიტარით ხელში — ისინი, ვინც „ბითლზის“ ეპოქაში ცხოვრობდნენ და ლენონის ნიუ-იორკული ცხოვრების მოწმენი გახდნენ... ■

ჯანეტ ჯექსონს დედობის სურვილი გაუჩნდა



ხანგრძლივი დროის მანძილზე მომღერალ ჯანეტ ჯექსონს სიყვარულში არ უმართლებდა. ის ორგზის გახლდათ გათხოვილი და ორჯერვე მისი ქორწინება კრახით დამთავრდა. თუმცა, როგორც ამბობენ, მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალა მუსიკალურ პროდიუსერ ჯერმეინ დიუპრისთან შეხვედრის შემდეგ, თანაც — იმდენად რადიკალურად, რომ 40 წლის ასაკში მაიკლ ჯექსონის დამ განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს, ოჯახური ბედნიერებისა და შვილების ყოლის სიხარულის განცდა სურს. „ძალიან მინდა, რომ შვილები მყავდეს. მანამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ოდესმე ამის სურვილი გამიჩნდებოდა“, — თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას მომღერალმა. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბედნიერი წყვილი მალე ოჯახის შექმნას გეგმავს. ■

ბეიონსი — ჭეშმარიტი მეგობარი

როგორც დასავლური პრესა წერს, მეტად გავრცელებული მოსაზრება, რომ ქალებს ჭეშმარიტი მეგობრობა არ შეუძლიათ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბეიონსმა თავისი მოქმედებით: მომღერალმა თავისი ახალი ალბომი — B`Day, სწორედ იმ დღეს განათავსა მუსიკალური მაღაზიების დახლებზე, როდესაც მისი საუკეთესო მეგობრის — ლატას სოლო ფირფიტის რელიზი გახლდათ დაგეგმილი. ლატა სოლო კარიერის დაწყებამდე ჯგუფ Destiny`s Child-ის წევრი გახლდათ.

თავად ბეიონსი ამბობს, რომ საკუთარ ქმედებაში ვერანაირ ბოროტ განზრახვას ვერ ხედავს. „ლატას, როგორც შემოქმედს უდიდეს პატივს ვცემ და მის მიერ გამოვლენილი ბიზნესლედის თვისებებით აღფრთოვანებული ვარ. მომღერალს და მის ახალ ალბომს დიდ წარმატებას ვუსურვებ. მე და ლატა სკოლის პერიოდიდან ვიცნობთ ერთმანეთს და შემიძლია ვთქვა, რომ უამრავი ცხოვრებისეული სირთულე დაგვიძლევია ერთად. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ და მხოლოდ წარმატებას ვუსურვებთ ერთმანეთს. ძალზე მიხარია, რომ ჩემი სამარკო ნიშნით — House of Dereon — გამოშვებული ტანსაცმელი, ლატამ ჰიუსტონში მდებარე საკუთარი ბუტიკის ასორტიმენტში შეიტანა და იმედი მაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება. გული მწყდება, რომ ადამიანები ხელოვნურად აღვიგებენ შუღლს იქ, სადაც ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს“, — განაცხადა მომღერალმა. ■

შერი საკუთარ ნივთებს აუქციონზე გაყიდის

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება, რომ ცნობილი ამერიკელი პოპმომღერალი შერი საკუთარი საწოლისა და კიდევ 700 ნიადაგსახმარი ნივთის აუქციონზე გასაყიდად ემზადება; მათ შორისაა: ავეჯი, ხელოვნების ნიმუშები, სამკაულები, დიზაინერ ბობ მექის მიერ შექმნილი ექსკლუზიური კოსტიუმები და ჯიპი — Hammer (2003). როგორც ირკვევა, შერს მალიბუში, კალიფორნიის შტატის სანაპიროზე მდებარე ვილის ინტერიერისა და ექსტერიერის განახლება აქვს განზრახული. მომღერლის თქმით, ის „ძველი“ ნივთებიდან ხუთიოდე რამის დატოვებას თუ აპირებს ვილაზე. აუქციონის ორგანიზატორის ლი დუნბარის პროგნოზით, გაყიდული ნივთებიდან მომღერალი, სულ ცოტა, მილიონ დოლარს აიღებს. სოთბის აუქციონის წარმომადგენლობებში, რომლებიც ლონდონის გარდა ჩიკაგოსა და ნიუ-იორკშიც მდებარეობს, წინასწარ შერჩეული ლოტები გაიგზავნება. ნივთების უმეტესი ნაწილი კი, ბევერლი-ჰილზზე მდებარე სასტუმრო „ჰიუსტონში“ გამართულ აუქციონზე იქნება წარმოდგენილი. აუქციონის გახსნა 2006 წლის 3 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. ■

ჯონი დეპმა ინგლისში სახლი შეიძინა

ბრიტანეთის საკურორტო ქალაქ ბატში ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯონი დეპმა 500.000 გირვანქა სტერლინგად სახლი შეიძინა. როგორც ამბობენ, ვანესა პარადთან და შვილებთან — 7 წლის ლილი-როუზთან და 4 წლის ჯეკთან ერთად, მსახიობი სწორედ ამ ქალაქში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას. მშობლები სასკოლო ასაკის ლილი-როუზისთვის უკვე სასწავლებელსაც არჩევენ.

როგორც ირკვევა, ჯონსა და ვანესას ბატის სანაპიროსა და მის წყნარ ქუჩებში სეირნობა ჯერ კიდევ მაშინ შეჰყვარებიათ, როცა 2000 წელს დეპს ფილმ „შოკოლადში“ იღებდნენ, რომლის გადაღებებიც სწორედ ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარეობდა.

შეგახსენებთ, რომ მაშინ, როცა ბაჰამის კუნძულებზე იღებდნენ ფილმს — „კარიბის ზღვის მეკობრეები: მიცვალებულის სკივრი“, ასევე გავრცელდა ხმა, რომ მსახიობი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ბაჰამის კუნძულებზე გადასვლას გეგმავდა, მაგრამ საბოლოოდ, ყოველივე ეს ჭორი აღმოჩნდა. თუმცა ერთი რამ ცხადზე უცხადესია, ჯონი დეპს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი — სამშობლოში ის კარგა ხნის მანძილზე აღარ აპირებს დაბრუნებას. „ჩლუნგ ამერიკაში ცხოვრება აღარ მსურს, — ამბობს დეპი. — ეს ქვეყანა იმ კბილებდაკრეჭილ ბრიყვ ლეკვს მაგონებს, რომელიც აგრესიულად გიყეფს და უცაბედად შეიძლება გიკბინოს კიდეც“.

■

«რკინის ბაჩო» — ქართველი მსოფლიო ჩემპიონი რუსეთში ანუ «სედოის» კრიმინალურ-ტკივილიანი წარსული

„რკინის ბაჩო“, „ბაჩომ შეუძლებელი შეძლო“, „ბაჩომ სასწაული მოახდინა“ — ასეთი სათაურებით იბეჭდება წერილები რუსულ პრესაში. ბაჩო ჩვენი თანამემამულე — არჩილ აბუაშვილი გახლავთ. ის 1963 წლის 23 ნოემბერს, თბილისში დაიბადა. კრივში ვარჯიში 14 წლის ასაკში დაიწყო და ორ წელიწადში საქართველოს პირველობა მოიგო. შემდეგ სწავლა როსტოვის (РИИЖТ) ინსტიტუტში განაგრძო. მას ბედმა არაერთხელ უმუხთლა — ათი წლის წინ, მას ერთადერთი შვილი დაელუპა; წლების განმავლობაში რთული და სახიფათო ცხოვრებით ცხოვრობდა; მისი სახელი კრიმინალურ სამყაროსთან გაიგივდა. ბაჩომ კიკბოქსინგში ვარჯიში 2003 წელს დაიწყო. 2004 წელს, მას მოყვარულთა შორის ვიცეჩემპიონის ტიტული მიაკუთვნეს. ერთი წლის შემდეგ კი, ის პროფესიონალებს შორის, რუსეთის ჩემპიონი გახდა. სწორედ მაშინ წერდა ვალერი ბელიკოვი, რომ „ბაჩომ შეუძლებელი შეძლო“. ერთ-ერთ პრესრელიზში ამოვიკითხე „ამჟამად, ის 42 წლის არის. 2004 წელს, მსოფლიოში მეორე გახდა. ახლა სურს, რომ რუსეთში პირველი იყოს.“ ის, ვისაც რუსეთში პირველობას უწინასწარმეტყველებდნენ, მსოფლიოშიც პირველია — ბაჩო უკვე მსოფლიო ჩემპიონია.

ლელა ჭანკოტაძე

გზა ჩემპიონობამდე ძალიან რთული, მძიმე და ტკივილიანი აღმოჩნდა. ბაჩოს ცხოვრება ცრემლებით დაიწერა და იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მასზე უკვე წიგნებს წერენ, მის ამბებს ტელევიზიით გადმოსცემენ. ერთ-ერთი კომპანია კი ფილმს იღებს. გადაღებები თბილისშიც არის დაგეგმილი... როგორც ბევრი ჩვენი თანამემამულე, რუსეთში ისიც სწავლის გაგრძელების მიზნით ჩავიდა. მალე დაოჯახდა და პატარა ბაჩანა შეეძინა. შვილისთვის სიცოცხლესაც არ იშურებდა: რამდენიმე ადგილას მუშაობდა იმისთვის, რომ ოჯახი გამოეკვება, ბინის ქირა გადაეხადა. მერე, ბინის რიგშიც ჩადგა, რიგმაც მოუწია, მაგრამ დაიწყო გარდაქმნის ურთულესი პერიოდი და ყველაფერი თავდაყირა დადგა. თვალის დახამხამებაში გაქრა სამსახურიც, ბინაც და ოფლის ღვრით შეკოწიწებული დანაზოგიც. იმედგაცრუება ძალიან დიდი იყო. მოკრივეთა წრეში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მის დახმარებას ცდილობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ბაჩო მაინც როსტოვის კრიმინალურ ავტორიტეტად იქცა.

„სედოი“ — ასე ეძახდნენ ბაჩოს კრიმინალურ სამყაროში. ის როსტოვის დასავლეთ რაიონებს უწევდა მფარველობას. გადიოდა წლები, პატარა ბაჩანაც იზრდებოდა, ყველა ხედავდა, რომ ბიჭი საოცრად ნიჭიერი, ფიზიკურად ძლიერი და პერსპექტიული იყო. 9 წლის ასაკში, 1500 აზიდვის გაკეთება შეეძლო, რაც უნიკალურ შედეგად მიიჩნევა. ბაჩო გრძნობდა, რომ რინგზე მომავალი ვარსკვლავი იზრდებოდა, მაგრამ ბედმა საშინლად უმუხთლა — 1995 წლის 29 ივლისს პატარა ბაჩანა ტრამვაიმ იმსხვერპლა. ისე გარდაიცვალა, რომ გონებაზე აღარც მოსულა. ბაჩო მწუხარებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, უბედურებამ გული მოუკლა. მისი სახლი შვილის საფლავი გახდა — დღესა და ღამეს იქ ატარებდა. მიაჩნდა, რომ ცხოვრება დასრულდა. მერე, ყველაფერი აირია. სასტიკ რეალობასთან გასამკლავებლად, ჰეროინს შეეჩვია. ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა, და მალე, ციხის კედლებში აღმოჩნდა. ის შვილის ხსოვნის წინაშე ვალდებულებას გრძნობდა და გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის და სხვებისთვისაც დაემტკიცებინა, რომ საზოგადოებისთვის დაკარგული ადამიანი არ იყო. იმ ერთადერთ საათსაც კი, რომელსაც პატიმრებს სასეირნოდ აძლევენ, ბაჩო ვარჯიშისთვის იყენებდა. მართალია, ციხეში საბრძოლო ხელოვნების შესწავლა აკრძალულია, რათა პატიმრებში გაქცევის ჟინმა არ გაიღვიძოს, მაგრამ ბაჩო ვარჯიშს მალულად ახერხებდა და სხვებსაც ავარჯიშებდა. ციხიდან 2003 წლის დეკემბერში რვა თვით ადრე გამოვიდა. მთელი ზონა აცილებდა ძლიერ და სამართლიან ადამიანს, რომელმაც ციხეში გაკეთილშობილება და საკუთარ თავში საუკეთესო თვისებების წინ წამოწევა შეძლო. მას უკვე მტკიცედ სწამდა, რომ ციხეში აღარასოდეს დაბრუნდებოდა

და რომ კრიმინალური წარსული თავს აღარასოდეს შეახსენებდა... ბაჩომ ვარჯიში მოკრივეთა დარბაზში განაგრძო — რომ იცოდეთ, როგორი ძნელი აღმოჩნდა რინგზე დგომა, ამდენი წლის შესვენების შემდეგ, თანაც, 42 წლის ასაკში. მას გამოუცდელი ყმაწვილები სცემდნენ, ის კი ითმენდა... შემდეგ თვითონ სცემდა სხვებს. ცდილობდა, სულ უფრო და უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყოლოდა. კრივში მაქსიმალური ასაკი 35 წელია, ამიტომ იძულებული გახდა, რომ ფეხებით ჩხუბიც ესწავლა და გზა კიკბოქსინგისკენ გაეკვლია. თუმცა, ამის შესახებ, ჯობს, თავად გვიამბოს.

— თავიდან, როგორც ყოფილ მოკრივეს, ძალიან გამიჭირდა, რადგან კრივი შედარებით ადვილია — მხოლოდ ხელებით ჩხუბობ. კიკბოქსინგში კი, ხელი და ფეხი ერთნაირად აქტიურია. თავიდან, მოყვარულებში ვჩხუბობდი. ახლა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალებში მოვიპოვე — სპორტის ამ სახეობაში, უფრო მაღალი ტიტული არ არსებობს. მოყვარულებს დამცავი ჩაფხუტები ახურავთ და ისეთი რბილი ხელთათმანები აცვიათ, რომ ერთმანეთს ტრავმას ვერ მიაღებინებენ. ეს ხელთათმანები ამორტიზატორებივითაა და კაცს ვერ გათიშავს, პროფესიონალები ჩაფხუტების გარეშე ვჩხუბობთ და შესაბამისად, ტრავმაც მეტია.

— როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღე? როგორ იწყება დილა მსოფლიო ჩემპიონისთვის?

— ჩემი ცხოვრება გამუდმებული ვარჯიშია. სპორტის ამ სახეობაში მუდმივი მსოფლიო ჩემპიონობა არ არსებობს — მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ყოველ ექვს თვეში უნდა დავიცვა ანუ ხუთი თვის განმავლობაში, შემიძლია ხელიც არ გავანძრიო, მაგრამ მეექვსე თვეს ლამაზი ჩხუბი უნდა ვაჩვენო. სისტემატურად დგება კიკბოქსიორთა საუკეთესო ათეული. ამ ათეულში, რაც უფრო მაღლა დგას სპორტსმენი, მით უფრო მეტი შანსი აქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონთან გამართოს ორთაბრძოლა. ჩემპიონს შეუძლია შერკინებაზე 2-ჯერ თქვას უარი, მესამედ კი, ამისი უფლება აღარ აქვს. ახლა, ჩემს ქამარს ზანგი პეტერსონი უმიზნებს, რომელსაც უზარმაზარი ხელები და კუნთები აქვს. ჯერ-ჯერობით, ის უძლიერესია და ბრძოლას პირველ ორ რაუნდში, ნოკაუტით იგებს ხოლმე. ის ჩემზე 4-5 წლით უმცროსია თანაც, R-1 ვერსიის ჩემპიონია. მოგეხსენებათ, კიკბოქსინგში სხვადასხვა ვერსია არსებობს. პეტერსონს სურს, რომ ქამარი მეც წამართვას და ჰოლანდიელ ჩემპიონსაც და სამივე ძირითად ვერსიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. მერე ტაისონივით სამი ქამრით ივლის. აი, ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგე მყავს. ამიტომ კარგ სპორტულ ფორმაში უნდა ვიყო. დღე და ღამე უნდა ვივარჯიშო.

— ასეთ დატვირთვას გული გაუძლებს?

— ჩემი გულის მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. მან ბევრ დატვირთვას გაუძლო და დიდი პატივიც მცა... თუ მინდა, რომ 25

წლის ბიჭსაც კი ვაჯობო, მასზე ორჯერ მეტი უნდა ვივარჯიშო. ჩემი სტანდარტული სტილი ასეთია — შერკინებამდე 2 თვით ადრე ძალოვან ვარჯიშებს თავს ვანებებ, რადგან შტანგა და გირები კუნთებს ძალიან ზრდის, ძალას აკარგვინებს და გადავდივარ სირბილზე — 3-4 კგ-იანი სიმძიმეები ხელებით მიჭირავს, ფეხებზე 6-6 კგ-იან ტვირთს ვიკრავ, ტანზე კი, 8 კგ-იანი ჯავშანჟილეტი მაცვია.

დავრბივარ 10 კმ-იან დისტანციაზე და თან, რინგზეც ვვარჯიშობ. სირბილის შემდეგ, 2 კმ-ს აუზში ცურვით გავდივარ; საღამოს ან ტყავის მსხალზე ვვარჯიშობ, ან ვინმესთან ვჩხუბობ. ბრძოლამდე ერთი თვე რომ რჩება, სირბილის სტილს ვცვლი — 500 მ-ს ტყვიასავით გავირბენ ხოლმე, 100 მ-ს კი — ნელა და ა.შ. ამ დროს, კუნთები „დნება“, მაგრამ რჩება ძალა და სისწრაფე. რინგზე გასვლამდე 3 დღით ადრე, ვარჯიშს თავს ვანებებ. ამ სამ დღეში, ორგანიზმში იწყება ძალის საშინელი მოზღვავება. პარალელურად, კარგად ვიკვებები, მასაჟი, ექიმის კონსულტაცია და ვიტამინები ჩვენთვის აუცილებელია.

— როდის ისვენებთ?

— გამარჯვების შემდეგ, თავს ორკვირიანი დასვენების უფლებას ვაძლევ და გვარიანადაც ვთვრები. სხვა დროს, სიგარა ან სასმელი გამორიცხულია. თუმცა, ვარჯიშის შემდეგ, ერთ ჭიქა „ხვანჭკარას“ დავლევ თუ არა, ეს დალოცვილი ისე მთენთავს ხოლმე, რომ მაშინვე ვიძინებ... ბოლო ექვსი წელია, რაც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ჩემი მწვრთნელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კრივში — ომარ ჯანიევი გახლავთ; მეორე მწვრთნელი და მენეჯერი კონსტანტინ ლისენკოა. სწორედ მას უკავშირდებიან, როცა ჩემთან ინტერვიუ სურთ ან რეკლამებში მონაწილეობას მთავაზობენ — რეკლამას ცნობილი ფირმების ტანსაცმელს ვუწევ. ხშირად უმაღლესი პოლიგრაფიული დონით შესრულებულ ჟურნალებში ჩემს ფოტოებს 5-10 გვერდი ეთმობა; ჩემი გამოსახულებით გამოდის კალენდრები; ჩემს სახეს ბილბორდებზეც შეხვდებით. მოკლედ, რუსეთში ძალიან პოპულარული ვარ. დასამალი არ არის, რომ როსტოვში, კიკბოქსინგი სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად სწორედ ჩემ გამო იქცა. დღეში ას ავტოგრაფს მაინც ვარიგებ. როცა ვჩხუბობ, დარბაზის მხარდაჭერა მხოლოდ მე მეკუთვნის. ეს ჩემი წარსულის გამო ხდება. მეუბნებიან, რომ ადამიანებს იმედს ვუსახავ: უამრავ კრიმინალს, ნარკომანს, გზააცდენილს სჯერა, რომ ოდესმე ჩემსავით შეძლებს ჭეშმარიტად სწორ გზაზე დადგომას. იცით, როდესაც ფეხი დამიცდა, წავიფორხილე, შვილი მომიკვდა... ჩემი ცხოვრება კონკიას ზღაპარივითაა. ხალხი ამიტომაც დადის ჩემი ჩხუბის საყურებლად და მთელი ხმით სკანდირებს: „გამაგრდი, ბაჩო!“ „შეუტიე, ბაჩო!“ „გვიყვარხარ, ბაჩო!“

— რა თანხა სჭირდება თითოეული ჩხუბის ორგანიზებას? რამდენია საპრიზო ფონდი?

— დანახარჯი 5.000-20.000 ამერიკული დოლარის ფარგლებში მერყეობს ხოლმე. წინასწარ მეძლევა 5-იდან 10.000 დოლარამდე, რაც კვების, მასაჟის, ვიტამინების ფულია... ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის — 25.000 დოლარი დაჯდა. მოსწავლეებიც მყავს, ყველა მსხვილი ბიზნესმენი ჩემთან ვარჯიშობს. მე ვავარჯიშებ ქართული დიასპორის პრეზიდენტს — მერაბ თევზაძეს. ასევე, ზურა გვენეტაძეს თავისი ორი ვაჟით. ბატონ ზურაბს ისეთი კეთილი გული აქვს, რომ ყველა იქ მცხოვრებ ქართველს ეხმარება. მათ შორის, მეც. ჩემი მოსწავლეები ჩემივე სპონსორები და ბრძოლების ორგანიზატორები არიან. ვავარჯიშებ ბავშვებსაც და ერთ-ერთი მოსწავლე, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა; თინეიჯერთა საყვარელი ჯგუფი „კასტაც“ ჩემთან ვარჯიშობს. ასე რომ, როსტოვში ჩემთან ვარჯიში პრესტიჟულ საქმედ მიიჩნევა.

— ალბათ, ყველა ბრძოლის წინ, აუცილებელია ფსიქოლოგიური მომზადება?

— რინგის კვადრატზე რომ შევდივარ, გულს ბაგაბუგი გაუდის. ასე მემართებოდა მაშინაც, როცა მოყვარულებში ვიბრძოდი და ასეა დღესაც, როცა მსოფლიო ჩემპიონი ვარ. რინგზე გასვლის წინ, შემწეობას ყოველთვის ღმერთს ვთხოვ. მიმაჩნია, რომ მთავარია ლამაზად ჩხუბი და არა მოგება — ხალხს სანახაობა სჭირდება. მათ არ უნდა შეგატყონ, რომ დაძაბული ხარ და ერთი სული გაქვს, ორთაბრძოლას როდის დაასრულებ. თორემ, შეუძლებელია პეტერსონთან საბრძოლველად ემზადებოდე და არ ნერვიულობდე — ის ფიზიკურადაც დიდია და უძლიერესი დარტყმაც აქვს. უნდა შევეცადო, რომ სისწრაფით და ტექნიკით ვაჯობო — ორ რაუნდს თუ გავუძელი, V-VI რაუნდს ნოკაუტით მოვიგებ. პეტერსონი ცაციაა. ბერძენიც, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ქამარი წავართვი (ვერსია W.P.K.A.), ცაცია იყო. ცაციებთან ჩხუბში გამოცდილება უკვე მაქვს. ბრძოლა 24 ნოემბერს გაიმართება. ჯერ არ მინახავს კაცი, ჩემზე მეტს რომ ვარჯიშობდეს, გულიც მერჩის და მკლავიც. ვნახოთ, რა მოხდება.

ბაჩო — არჩილ აბუაშვილი უკვე როსტოვშია. თბილისიდან მან ოჯახის, მეგობრების მხარდაჭერა გაიყოლა. არა აქვს მნიშვნელობა, შეინარჩუნებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონის ქამარს. როგორც რუსულ მედიაში დაიწერა — მან თავისი მთავარი ბრძოლა უკვე მოიგო და ის თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსოფლიო ჩემპიონად ***по версии – жизнь.***

■

ბოგანიეგა

შიო გვეტაძე

საშკა ჩერქეზი საკუთარი ცხოვრების ეპიზოდების თხრობას ამთავრებს. გამომძიებელ ლევან მინდელს მან უკვე უამბო რუსეთში ჩადენილი დანაშაულების, პატიმრობაში ყოფნის, კოლონიიდან გაქცევისა და თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ბოლოს, ქუთაისში ჩადენილ, თავი ბოლო „საქმეზე“ უყვება.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-31)

— ...დანარჩენი თქვენც იცით. ფანჯარა შეპირებისამერ, ღია დაგვხვდა. ბინაში სამნი შევიდნენ, მე გარეთ ვიცდიდი. მერე ის იყო, გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა, ჩიკვაიძის ბიძა და დეიდა შემთხვევით სწორედ საღამოს მატარებლით დაბრუნებულიყვნენ თბილისიდან და ეძინათ. როცა ივანისელმა საათებიც აიღო, ტყეშელიაძეს გაეღვიძა... შედეგი თქვენთვის ცნობილია. დაჭრილი ივანისელი ძლივს მოიყვანეს მანქანამდე.

სახლში წივილ-კივილი ატყდა. ჩვენ სასწრაფოდ გავშორდით იქაურობას, სადაც ალბათ, მალე გაჩნდებოდა მილიცია. ივანისელი მუცელში იყო დაჭრილი. სხვას მის ადგილზე უყოყმანოდ მოვუღებდი ბოლოს და სადმე გადავაგდებდი, ივანისელი კი ვერ გავიმეტე, გადავწყვიტე, მეშვეღა, თუნდაც ეს ჩავარდნის ფასად დამჯდომოდა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მას ჩემს გულში დიდი ადგილი ეჭირა... მაგრამ სად წამეყვანა ივანისელი?..

რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე შევუხვიეთ, კიტოვანმა მანქანა გააჩერა.

„რა ვქნათ? — იკითხა აღელვებულმა. — ასე მაინც არ თოვდეს, ეს ოხერი, მოვუსვამდით ქუთაისიდან“.

„რომ ყველანი გაგვთოკონ?!. სულელი ხარ და მეტი არაფერი!“ — მივუგე მე და ივანისელი შევანჯღრიე.

„როგორ ხარ, შეგიძლია სიარული?“

ივანისელმა მხოლოდ ამოიკვნესა.

„მოკვდება, თუ დროზე არ ვუშველით“, — ვთქვი მე.

ბალავაძემ პირქუშად შემომხედა.

უეცრად თავში ერთი აზრი მომივიდა.

„პაპაშას სახლი შორს არის?“ — შევეკითხე კიტოვანს მოუთმენლად.

„პაპაშას სახლი?.. მერედა, რად გინდა?“

„კითხვებს თავი დაანებე!“ — შევუტიე პირქუშად.

„არა, ახლოსაა!“

„სხვა ცხოვრობს ვინმე იმ სახლში?“

„არა!“

„მანქანა მივა ასეთ თოვლში?“

„იქ გინდა მიიყვანო?“ — შიშნარევი ხმით მკითხა ჩოფურამ.

„მიდის თუ არა მანქანა, მიპასუხე!“

„მიდის!“

„მაშ, გასწი!“

„ვა, ყველანი ჩავცვივდებით!“

„გასწი-მეთქი! დევიძეს იმას მოუყვები, რასაც მე გეტყვი. სხვა გამოსავალი არა გვაქვს“.

კიტოვანმა ერთი შემომხედა, მაგრამ წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, ძრავა აამუშავა...

ხუთიოდე წუთის შემდეგ, რომელიღაც სახლთან გავჩერდით.

„აქ იყავი!“ — მივუგე ბალავაძეს და სწრაფად გავაღე მანქანის კარი.

...მუცელში დაჭრილი, გონდაკარგული ივანისელი დიდი გაჭირვებით ავიყვანეთ მე და კიტოვანმა.

დევიძემ დაიჯერა კოტოვანის ნაამბობი. ჩემმა გლეხურმა ჩაბალახმა და ჭაღარა წვერმაც კეთილი, სასურველი გავლენა მოახდინა მასზე. მერე ის იყო, ქირურგი გრძელიძე მოვიტაცეთ. კვალის ასარევად, თვალახვეული, თითქმის ნახევარი საათი ვატარეთ ქალაქში და ბოლოს დევიძის ბინაში მივიყვანეთ.

რისკმა გაგვიმართლა, ივანისელს ჩემი სისხლი მივეცი. თუმცა ექიმი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვაიძულე. მე პირველი ჯგუფის სისხლი მქონდა და ვიცოდი, არაფერს ავნებდა დაჭრილს.

გრძელიძე სადღაც მიყრუებულ მოსახვევში ჩამოვსვით. გავთავისუფლდი თუ არა მისგან, ჭაღარა თმა და წვერი მოვიგლიჯე, ჩაბალახში შევახვიე და რიონში გადავყარე.

„პობედა“ ახლავე პატრონს წაუყვანე, ალბათ, ეძებენ უკვე. არსად წამოსცდეს, რომ შენ გყავდა წაყვანილი. ბალავაძე ოთახიდან არ გამოუშვა, შენ კი“... — გავაფრთხილე კიტოვანი.

„მე რა?“

„შენი გამოსვლაც საშიშია, მაგრამ ჩემთან კავშირიც რომ საჭიროა?“

კიტოვანი წამით ჩაფიქრდა.

„არის აქ ერთი „ბარიგა“, იმას გამოვუშვებ“.

ყოყმანი დავიწყე.

„სრულიად საიმედოა, მოვა და ყველაფერს გადაანაღდებს“.

„ვინ არის?“

„ვაჭარია ერთი, დიდი ხანია, ნაქურდალს „ასოხარებს“.

„კარგი, ხვალ 12 საათზე წყალტუბოში ჩამოიყვანე. სარისკოა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. თავიდან უნდა მოვიშოროთ ყველაფერი. ახლა კი გააჩერე, ჩამოვალ“.

მე ტაქსიში ჩავჯექი და რამდენიმე წუთში წყალტუბოში ვიყავი უკვე.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე კიტოვანი ჩამოვიდა, თან ხოტოველი ჩამოიყვანა.

მოვრიგდით.

კიტოვანმა საათები და ობლიგაციები გადასცა. შემდეგ ხოტოველი სასტუმროში მივიყვანე ტანიასთან, გავაცანი.

„ამ კაცს ჩემი ფული მართებს, — ვუთხარი ტანიას. — მე შეიძლება, ორიოდე დღით თბილისში მომიხდეს წასვლა, თუ ფული მოიტანოს — დაიტოვე!“

თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მე ივანისელის გამოკეთებას ვუცდიდი, რათა სასწრაფოდ დაგვეტოვებინა ქუთაისი და საერთოდ, საქართველო. ესეც არ იყოს, ვიცოდი — უკვე გვეძებდნენ და დაუყოვნებლივ გასვლას ასე პატარა ქალაქიდან შეიძლებოდა, ჩავარდნაც მოჰყოლოდა.

შემდეგ ის იყო, წყალტუბოს რესტორანში თქვენ მიერ დაგებულ მახეში გავები და ქუთაისში წამოყვანისთანავე მივხვდი, რომ ხულიგნობა და უცნობისგან ტანიას შეურაცხყოფა განგებ — ჩემს უხიფათოდ შესაპყრობად იყო ინსცენირებული. მე დარწმუნებული ვიყავი — გამოძიება ასე სწრაფად ვერ ჩაგვიდგებოდა კვალში და სწორედ ამიტომ, იარაღი თავიდან მოვიშორე, დევიძის ბინაზე დავტოვე. როგორც ჩანს, ვერ შევაფასე თქვენი უნარი. ჩემი ეს შეცდომა არც არის გასაკვირი: 20 წლის მანძილზე მგელივით დავძრწოდი და თუმცა დამდევდნენ, თავისუფლად ვუსხლტებოდი დიდი ქალაქების სამძებროს. ქუთაისი კი... ეს პროვინციული ქალაქი, ჩემი აზრით, ნაკლებად შეძლებდა ჩვენი კვალის აღმოჩენას. აქაც შევცდი და ნაცვლად იმისა, სადმე დიდი ქალაქის მუშაკებს ავეყვანე, თქვენ ჩაგივარდით ხელში. ესეც ბედის დაცინვაა ალბათ. რა გაეწყობა... ასე იყოს!

ჩარგიევმა წამით შეისვენა, ლაპარაკმა და წარსულის გახსენებამ, დაღლის ნაცვლად, თითქოს ღონე შემატა დაჭრილს.

თვალებდახუჭული, შედარებით გამართულად სუნთქავდა, ლოყებიც კი ოდნავ შეჰფაკლებოდა.

მინდელი გარინდული უსმენდა დაჭრილს, ამ გრძელმა თხრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გამომძიებელს შეებრალა კიდეც ჩარგიევი, შეებრალა ქურდობის გზაზე უნებლიეთ შემდგარი ადამიანი, ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე თამაზი, შემდგომში — საშიში ქურდი, არაერთი ავკაცობის ჩამდენი ჩერქეზი, რომელიც ახლა, მძიმედ დაჭრილი, იქნებ სასიკვდილო სარეცელზე იწვა და თავის ავკაცობას, საკუთარ უნებისყოფობასთან ერთად, სხვა ადამიანებს, მათ შეცდომებს აბრალებდა.

„რთული, ძალზე რთულია ცხოვრება. არის შეცდომები, რომელთა შხამიან ნაყოფს ათეული წლების შემდეგაც სისხლისა და სიცოცხლის ფასად იმკიან, — გაიფიქრა გამომძიებელმა, შემდეგ ციალა გაახსენდა: — რა უცნაურია ხანდახან ადამიანის ბედი: ჩარგიევმა ოცი წელი იმიტომ იავკაცა, რომ ბოლოს, მძიმედ, იქნებ სასიკდილოდაც, დაჭრილი ციალას შეხვედროდა ქუთაისში!.. ციალამ არც იცის ჩარგიევის ნამდვილი გვარი. ვერც იცნო მისი ყმაწვილობის დროინდელი მეგობარი, მაგრამ იგრძნო, გულით იგრძნო, რომ ეს კაცი, საშიში ბოროტმოქმედი, ოდესღაც მისი ახლობელი იყო. უმანკო და შეუბღალავია ახალგაზრდის გული და გრძნობა. უეჭველია, ციალასთან შეხვედრამ გაუღვიძა ჩარგიევს დიდი ხნის წინ ჩაკლული გრძნობები და აფთარი ადამიანად აქცია, დაენანა დაღუპული ყმაწვილკაცობა, სხვა თვალით დაანახვა ცხოვრება“.

„...ჩარგიევი არ არის დაღუპული ადამიანი, — განაგრძობდა ფიქრს მინდელი. — ის სასჯელს მიიღებს, სასამართლო ვერ იქნება მისდამი ულმობელი, გაითვალისწინებს ყოველივეს, ხოლო სასჯელმოხდილი ჩარგიევი შეძლებს, დაუბრუნდეს საზოგადოებას, ადამიანურ ცხოვრებას, ამისათვის კი, პირველ რიგში, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მის გადასარჩენად“, — დაასკვნა გამომძიებელმა და თბილად შეხედა პატიმარს, რომლის დანაშაულის დასამტკიცებლად ამდენი შრომა გასწია.

ჩარგიევმა თვალი გაახილა, სუსტი ხმით ისევ წყალი ითხოვა. მინდელმა ჭიქა მიაწოდა, გაუღიმა. დაჭრილმა გამომძიებლის ღიმილი დაიჭირა, ხარბად შესვა წყალი და დაღლილი ხმით განაგრძო:

— მე დავამთავრე ჩემი აღსარება, ბატონო ლევან. თქვენ ალბათ მიხვდით, რამ მოახდინა ჩემში ასეთი გარდატეხა... ციალა.. რომ შემძლებოდა ჩემი თავის დაძლევა და რამდენიმე წლის წინ, ციალასთან შეხვედრისას ხელი ამეღო ჩემს პროფესიაზე, იქნებ, მეც მრგებოდა დამსხვრეული სიხარულის პატარა ნატეხი. არა, ციალას სიყვარულზე როდი ვამბობ — შეუძლებელზე როდი ვოცნებობ. სადმე ვიმუშავებდი, ციალასთან, როგორც დასთან, ვიმეგობრებდი, ის ხელს არ მკრავდა, გამიგებდა, დამეხმარებოდა, ისევ შემეყვარებინა ადამიანები, ახლა კი... ახლა, მე საამქვეყნო აღარ ვარ და არ მინდა, საფლავში წავიღო ჩემი დაღუპვის საიდუმლო. ვინ იცის, იქნებ გამოგადგეთ, განსაკუთრებით თქვენ — ვინც ადამიანის ბედს წყვეტთ, უდანაშაულოს დასჯას ხომ ხშირად, უფრო მეტი ბოროტება მოაქვს, ვიდრე სიკვდილს... ჩემთვის კი ყველაფერი დამთავრებულია. საფლავიდან გელაპარაკებით და ადამიანთა სამართალს ჩემზე ძალაც აღარ აქვს უკვე.

მინდელი აღელდა.

— თქვენ არ მოკვდებით, თამაზ, იცოცხლებთ! და მე მწამს და მიხარია, რომ შეძლებთ, მალე დაუბრუნდეთ საზოგადოებას!

ჩარგიევს მწარედ გაეღიმა.

— გვიანღაა, ყველა ხიდი დამწვარია...

— მაშ, თქვენი სინანული?!. — შეედავა გამომძიებელი. — ახლა სხვა დროა. სასამართლო ყველაფერს გაითვალისწინებს, მხედველობაში მიიღებს და სასჯელმოხდილი, გაკეთილშობილებული დაუბრუნდებით ადამიანებს.

დაჭრილის სახეზე ერთი წუთით სიხარულმა გაიელვა. ჩარგიევი დაჟინებით მიაჩერდა გამომძიებელს და დიდრონი, ჩაცვენილი თვალები ცრემლებით აევსო. შემდეგ, გაფიცხებული ტუჩები გაილოკა და წყნარად ამოილაპარაკა:

— მე მთავარი არ მითქვამს თქვენთვის, ბატონო ლევან...

— მე არც გეკითხებით, არც საჩქაროა. ხვალ, ზეგ მიამბობთ, — უპასუხა გამომძიებელმა გულისხმიერად.

— ჩემთვის ხვალინდელი დღე არ გათენდება... — ჩარგიევმა ფანჯარას შეხედა. — თენდება... — განაგრძო სუსტი ხმით. — ადამიანები ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებიან... გავა ზამთარი, გაზაფხულზე ლურჯი იები აყვავდება, ხეები მწვანედ მოირთვება, ვარდებიც გაიფურჩქნება, თავიანთი სიტურფით ადამიანებს სიხარულს მოუტანენ, სურნელებას აზიარებენ, მე კი, მე... საფლავში ვიქნები და ჩემი სიკვდილიც არავის დასწყვეტს გულს. არავის დაენანება, ერთ იასაც არავინ მოიტანს ჩემს სამარეზე და ეს საფლავიც ისე დაიკარგება, ვით მე, ცოცხალი, დავიკარგე ამ ქვეყანაში...

ჩარგიევი უღონოდ გადაესვენა ბალიშზე. შეშფოთებული მინდელი დააცქერდა დაჭრილის სანთელივით გაფითრებულ სახეს, შემდეგ შეშფოთებული წამოხტა სკამიდან, ექიმს გასძახა.

შეშინებული ციალა პალატაში შემოვარდა, ჩარგიევს მკლავი გაუშიშვლა, ქაფური შეუშხაპუნა.

— ჩქარა, დეგალინი! — შესძახა თან შემოყოლილ ექთანს და აკანკალებული ხელით ავადმყოფის მაჯას წაეტანა.

ჩარგიევს კიდევ ორჯერ შეუშხაპუნეს წამალი. მინდელი მდუმარედ შესცქეროდა ციალას, მისმა შეშფოთებულმა სახემ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზული იყო. ჩარგიევის საწოლს მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა სიკვდილის მსახვრალი ხელი...

კარი უხმაუროდ გაიღო. პალატაში ფეხაკრეფით შემოვიდა ბალანჩივაძე და ნელა მიუახლოვდა გულხელდაკრეფილ მინდელს.

— გარდაიცვალა? — იკითხა შეშფოთებით.



მინდელმა, უარის ნიშნად, თავი გააქნია.

ციალას არც გაუგონია პალატაში მამამთილის შემოსვლა. ის დაჭრილს დასტრიალებდა თავს და ექთანთან ერთად ცდილობდა, სიცოცხლე დაებრუნებინა გულწასულისათვის.

...ასე გავიდა მტანჯველი ხუთიოდე წუთი. ჩარგიევმა რამდენჯერმე ამოიკვნესა და მძიმედ, ნელ-ნელა გაახილა თვალი.

— მადლობა ღმერთს! — თავისუფლად ამოისუნთქა ბარათელმა და მხოლოდ ახლა შეამჩნია პალატაში მყოფი პოლკოვნიკი.

— ავადმყოფის დაკითხვა არ შეიძლება, გთხოვთ, პალატიდან გახვიდეთ! — ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მოითხოვა მან და ისევ დაჭრილს მიუბრუნდა.

ჩარგიევს ოდნავ, სულ ოდნავ შეეფაკლა გაფითრებული სახე. ახალგაზრდა სიცოცხლე ერთხელ კიდევ მტკიცედ შეებრძოლა სიკვდილს, უკან დაახევინა... თვალები ფართოდ გაახილა, ღიმილმა ბაგე გაუპო. დაჟინებით მიაჩერდა ციალას.

— ისევ თქვენ... ექიმო, გმადლობთ! — წაიჩურჩულა მან.

— ლაპარაკი არ შეიძლება, გავნებთ! — მიუგო ციალამ.

— ვიცი, ექიმო, მაგრამ ეს სიკვდილს ვერ შეაჩერებს. მე ჯერ მთავარი არ მითქვამს... სად არის გამომძიებელი?

— გამომძიებელი წავიდა, მე დავითხოვე.

— დააბრუნეთ, ექიმო! — შეევედრა დაჭრილი.

— ნუ ლაპარაკობთ, მათე, თქვენთვის მომაკვდინებელია ოდნავი მღელვარებაც კი.

— არა, ექიმო, გევედრებით, გთხოვთ, ამას შხამად ნუ გამატანთ. დააბრუნეთ, ახლავე დააბრუნეთ გამომძიებელი! — დაჟინებით მოითხოვდა ჩარგიევი.

ბარათელი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, ნაღვლიანად დააცქერდა ავადმყოფს და შეყოყმანდა.

— გთხოვთ, ექიმო, დააბრუნეთ! თქვენ კი... თქვენ წადით. რამდენიმე წუთით კიდევ დამტოვეთ, — ნაღვლიანად, მაგრამ მტკიცედ ითხოვა ავადმყოფმა.

ციალამ ვეღარ გაუძლო მომაკვდავის დაჟინებულ თხოვნას და საწოლს მოშორდა.

მინდელი ნელ-ნელა მიუახლოვდა ჩარგიევს.

— სხვა დროისათვის გადავდოთ საუბარი, მათე, — რბილად მიმართა გამომძიებელმა.

— ასე აჯობებს, ახლა თქვენ სუსტად ხართ, — სიტყვა შეაშველა ბალანჩივაძემ.

— არა... ექიმმა დამიბრუნა ღონე... ან, უფრო სწორად — იმიტომაც მოვბრუნდი, რომ სათქმელი დავამთავრო... თქვენ ხომ არ იცით, მე ვინა ვარ. არ მინდა, ჩემი აღსარების შემდეგ, სხვისი გვარით ჩავწვე საფლავში... — უპასუხა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩარგიევმა.

მინდელმა მხრები აიჩეჩა, ვეღარ შეედავა.

ჩარგიევმა წამით იყუჩა, დაღლილი თვალები ჭერს მიაპყრო.

— მე აღარავინ მყავს ამქვეყნად... — ჩუმად დაიწყო მან. — არავინ დაიტირებს ჩემს სიკვდილს... მაგრამ არ მინდა, იმად მიმიჩნევდეთ, ვინც არა ვარ... თბილისში და იქნებ, სხვაგანაც... შეიძლება, ახლაც ახსოვთ ცნობილი პროფესორი რევაზ გელოვანი... და მისი მეუღლე მარინე, განთქმული ინჟინერი... მე მათი ვაჟი ვარ, თამაზ გელოვანი...

— გელოვანი?! — ფეხზე წამოიჭრა პოლკოვნიკი.

— გელოვანი! თამაზ გელოვანი! — იკივლა უეცრად ციალამ, რომლის ოთახში ყოფნა აქამდე არავის შეუმჩნევია და ანგარიშმიუცემლად მივარდა საწოლთან.

— თამაზ, თამაზ, ჩემო ბავშვობის მეგობარო!.. — გულდამდუღრულმა იყვირა ბარათელმა და საწოლზე დაემხო.

მინდელი შეძრწუნდა, დენივით დაუარა ჟრუანტელმა და გაშეშებულ პოლკოვნიკს ანგარიშმიუცემლად წაავლო მკლავში ხელი.

ციალას წუთით დაავიწყდა გარემო, მინდელი, ბალანჩივაძე, საკუთარი თავი... საწოლზე დამხობილი ხმით ტიროდა და მდუღარე ცრემლებით ალბობდა მომაკვდავის გულმკერდს.

ჩარგიევის სახე ძლიერმა სიხარულმა გააშუქა, გაფითრებული ღაწვები ერთბაშად აენთო, თვალები აუელვარდა.

— თქვენ... თქვენ აქ იყავით?.. მისმენდით? მე ეს არ მინდოდა, იმიტომ, რომ მსურდა, მხოლოდ ჩარგიევი მომკვდარიყო, თამაზს კი — ეცოცხლა... თუმცა, ვინ იცის — იქნებ, ასე ჯობს... გმადლობ, ციალა. სიკვდილს არ ვნანობ, რაკი შენი წმინდა ცრემლი მიმყვება საფლავში... შენი საყვარელი ლურჯი იები... გახსოვს?.. ეხ, ნეტავ, მაშინ... მე... — ჩარგიევს უეცრად ხმა ჩაუწყდა და ბალიშიდან მოწყვეტით გადაუვარდა ხუჭუჭა თავი.

ბალანჩივაძე ნელა დაეშვა სკამზე, ხელის ფათურით მოძებნა პაპიროსი, მოუკიდა, მოქაჩა და ღრმად ამოიოხრა:

— იცი, ლევან, — ჩაილაპარაკა მან ნაღვლიანად, — მე ვიცნობდი რევაზ გელოვანს. მე ვიძიებდი მათ საქმეს, რომელიც, უნდა ითქვას, ძალზე გახმაურებული და დაუჯერებელი იყო. თუმცა საქმის წარმოებაზე უარი არ მითქვამს, მეშინოდა, სუბიექტური განცდების ქვეშ არ მოვქცეულიყავი: სადღაც ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ გელოვანები ბოროტების მსხვერპლნი იყვნენ, ამიტომ წინაალმდეგიც ვიყავი მათი დაპატიმრების. გულმოდგინედ შევუდექი გამოძიებას, სიმართლის დადგენას. მახსოვს თამაზი. ის არაერთხელ ყოფილა ჩემთან მოსული. ვაიმედებდი, საფუძველიც მქონდა: როდესაც საქმე ღრმად შევისწავლე და მთელი რიგი მხილებანი საეჭვოდ მივიჩნიე, თანამდებობიდან ჩამომაქვეითეს. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემზე დაწერილი ანონიმური საჩივრებით გაივსო ზემდგომი ორგანოები. ჩემი მაშინდელი უშუალო უფროსი, ბუნებით მხდალი და თანამდებობაზე შეყვარებული ადამიანი ისე დაფრთხა, ყოველნაირად ცდილობდა, პასუხი მეგო, გელოვანებისადმი მიკერძოების ბრალდებით. შეიძლება მიეღწია კიდეც მიზნისათვის, ცენტრალური კომიტეტი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. გელოვანს, ალბათ გითხრათ, რა ბედი ეწია. ახლა კი, ახლა მე ის ვეღარ ვიცანი... — დაამთავრა ბალანჩივაძემ და გარდაცვლილზე ანიშნა.

— ვერც მან გიცნოთ, დავით ილიჩ, თუმცა ძალზე თბილად მოიგონა მისთვის უცნობი, შავკოსტიუმიანი „ჩეკისტი“ და რევაზ გელოვანის საქმის პირველი გამომძიებელი, — მიუგო მინდელმა და დასძინა: — მან ხომ მიამბო, დაწვრილებით მიამბო საკუთარი წარსული და ყოველივე, რაც თავს გადახდენია.

ბალანჩივაძე მძიმედ წამოდგა, კვლავ მოუკიდა პაპიროსს.

— აი, რა მძიმე შედეგი მოსდევს ჩვენს შეცდომას, ერთი შეხედვით, დანაშაულის დამამტკიცებელი ფაქტების უყოყმანოდ მიღებას; შიშს, გამოძიების შედეგით დაინტერესებულ ანონიმურ ავტორთა წინაშე... ვინ არის ახლა იგი?.. დამნაშავე. დიდი დამნაშავე, რომელსაც არაერთი ავკაცობა ჩაუდენია და ისე შეიძულა ადამიანები, რომ მხოლოდ ბოროტება ანიჭებდა სიხარულს. შეხედეთ მას, ლევან, კარგად შეხედეთ. კარგი მომავლის ადამიანი იყო. ბოროტი კარიერისტის დაბეზღებით, დანაშაულის ვითომ მტკიცებულებათა მოხერხებული მანიპულირებით და მართლმსაჯულების უსამართლობის გამო, მძვინვარე ქურდად იქცა და ბევრი ისეთი ავკაცობა ჩაიდინა, რომ იქნებ, სიკვდილითაც კი ვერ გამოისყიდა დანაშაული... შეხედეთ და არასდროს დაივიწყოთ, თუ რამ დააყენა ასეთ გზაზე. გესმით, ლევან?..

დასასრული

ლუქსის კლასის ყველაზე არასაიმედო ავტომანქანები

ამერიკაში ძალიან უყვართ სხვადასხვაგვარი რეიტინგის შედგენა. ზოგჯერ ამის პრაქტიკული საჭიროება ერთობ საეჭვოცაა, მაგრამ რიგ შემთხვევებში, ექსპერტთა აზრის გათვალისწინება აუცილებელია.

მაგალითად, ჟურნალის — Consumer Reports — და საკონსალტინგო ფირმის — J.D.Power and Associates — მიერ ცოტა ხნის წინ შედგენილი რეიტინგი, რომელიც ბევრი ავტომოყვარულისთვის სასარგებლო იქნება. ლაპარაკია ლუქსის ანუ პრემიუმ კლასის ე.წ. პრობლემურ — ე.ი. ყველაზე მეტი ხარვეზით გამორჩეულ ავტომობილებზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არა მარტო იაფფასიანი მცირელიტრაჟიანი მანქანები, არამედ ძვირად ღირებული ავტოებიც უქმნიან ხოლმე პრობლემებს მათ მფლობელებს. აქვე ვუტყვით, რომ Consumer Reports-ის მესვეურთა თქმით, აღნიშნული რეიტინგის შედგენისას, ისინი დარწმუნდნენ, რომ სწორედ ძვირად ღირებული სედანებისა და ყველგანმავლების მესაკუთრეები გაცილებით მეტად ღიზიანდებიან ამის გამო, ვიდრე სხვები, რაც სავსებით გასაგებია — მათ ხომ იმისთვის გადაიხადეს მოზრდილი თანხები, რომ ამ სიკეთით სარგებლობისას, ყოველგვარი მოულოდნელობისგან იყვნენ დაზღვეული. „როცა ადამიანი პრემიუმ კლასის ავტომობილს იძენს, მას არა მარტო გარშემო მყოფთა ყურადღების მიპყრობა, ძვირად ღირებული მასალებით მოპირკეთებული სალონი და სხვა ამგვარი რამ ხიბლავს, არამედ საიმედოობაც აინტერესებს, — აღნიშნავს Consumer Reports-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. — გარდა ამისა, ასეთი მანქანების მფლობელი სერვისის დროსაც მისდამი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და როცა რწმუნდება, რომ დიდი თანხის გადახდის მიუხედავად, მანქანის გაუმართაობისგან თავი ვერ დაიზღვია, ძლიერ ღიზიანდება“.

ჟურნალის რეიტინგით მიღებული მონაცემების მიხედვით, პრემიუმ კლასის ყველაზე არასაიმედო მანქანად Land Rover Discovery დაასახელეს, რომელსაც უამრავი ხარვეზი აღმოაჩნდა ელექტროსისტემაში. მეორე ადგილზე ასევე ინგლისური ჯიპი — Range Rover გავიდა. ამ ძვირად ღირებული მანქანის შემქმნელებიც ვერ დაიკვეხნიან იდეალური საიმედოობით, თანაც, მასაც ელექტროსისტემა უფუჭებს რეპუტაციას. ამ არასაპატიო „კვარცხლბეკის“ მესამე ადგილი ასევე ჯიპსაც ერგო, ამჯერად — ამერიკულ Lincoln Navigator-ს, რომელსაც, ელექტრონიკასთან ერთად, სალონის მოპირკეთების ხარისხს, კონდიციონერსა და ძრავასაც კი უწუნებენ.

„საპატიო“ სამეულს მოჰყვება Saab 9-3, რომელიც ასევე ელექტრონიკაში მოიკოჭლებს. მეხუთე ადგილი არასაიმედო „ძვირფას“ ავტომობილებს შორის, Volkswagen Touareg-მა დაიკავა.

ბოლოს დავძენთ, რომ პრობლემებით არა მარტო ლუქსის კლასის სერიული მანქანები, არამედ ხელით აწყობილი, ექსკლუზიური სუპერავტოები გამოირჩევიან. მაგალითად, წლეულს Mercedes-Benz AMG CLK-GTR Roadsters-ის მფლობელებმა Mersedes-Benz-ს სასამართლოში უჩივლეს — აქაოდა, კომპანია კლიენტებზე უხარისხო ნაწარმს ასაღებსო. ■

BMW ახალ მოდელს ამზადებს

გერმანული ავტოგიგანტის მესვეურები არ უარყოფენ, რომ კომპანია აპირებს, რამდენიმე წელიწადში, ძვირად ღირებული ორადგილიანი როდსტერის სერიული წარმოების დაწყებას და მას სავარაუდოდ, Z6-ს უწოდებენ. აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ Z6-ის გამოშვება სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ გეგმის მიხედვით, 2008 წლისთვის გამოუშვან Z8, რომლის სიმძლავრე 500-600 ცხ.ძ. იქნება. რაც შეეხება Z6-ს — წინასწარი მონაცემებით, მას ალუმინისგან დამზადებული ძარა და მყარი მასალისგან დამზადებული დასაკეცი სახურავი ექნება, რაც მას უნივერსალურობას შემატებს. გარდა ამისა, შესაძლოა, ავტომწარმოებლები Z6-ზე ისეთ კარებს დააყენებენ, რომლებიც ზემოთ გაიღება. ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა ხნის წინ, ბავარიელებმა გამოაქვეყნეს კომპანიის ახალი კონცეპტის — Z29-ის (ფოტოზე) ფოტოსურათები, რომლებსაც სწორედ ასეთი კარები აქვს. ■

ქუთაისელი „შინა მანა კენა" თბილისმა „გულში ჩაიკრა"

ამბობენ, ქართული შოუბიზნესი ისეთ მდგომარეობაშია, სიტყვები გამოელია და მისი წარმომადგენლები უკვე გაუგებარ ენაზე ამღერდნენო. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ნინო ძოწენიძის სიმღერა „შინა მანა კენა", თუ არა ამას?! ის ხომ ბგერების უცნაური წყობის შედეგად შეიქმნა. ხუმრობა იქით იყოს და „შინა მანა კენაზე" გადაღებული კლიპი დღეში რამდენჯერმე გადის ჩვენი გასართობი არხების ეთერით. ისიც გაირკვა, რომ ამ ზაფხულს ყველაზე პოპულარული ეს ვიდეორგოლი ყოფილა. ალბათ იმიტომ, რომ დაიღალა ხალხი „დაკარგულ სიყვარულზე", „ნისლისფერ ოცნებასა" და „ცრემლიან გრძნობებზე" სიმღერების მოსმენით.

აღნიშნული სიმღერის ავტორი ნინო ძოწენიძე ქუთაისელია, იქ დაბადებულ-გაზრდილი. მუსიკასაც იქ ეზიარა. 10 წლის განმავლობაში მღეროდა გოგონათა კვარტეტში, მანანა ტყაბლაძის ხელმძღვანელობით. ქუთაისში ნინოს, როკში, სოულსა და ლირიკულ სიმღერებშიც აქვს საკუთარი ძალები მოსინჯული. ის თბილისში უკვე 7 წელია, რაც თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობს.

ნინო ძოწენიძე:

— ძალიან მიყვარს ქალაქი ქუთაისი, სადაც დავიბადე. იქ ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ხშირად ჩასვლას ვერ ვახერხებ, რაზეც გული მწყდება. ქუთაისშია მამაჩემის საფლავი; დედა მყავს იქ, მაგრამ აქ საქმეებში ისე ვარ ჩართული, რომ...

— რატომ ჩამოხვედი თბილისში?

— მე და გიგამ *(კუხიანიძე, ნინოს მეუღლე. — ავტ.)* გადავწყვიტეთ, დედაქალაქისკენ აგვეღო გეზი, რადგან ქუთაისში ფაქტობრივად, ჩაკვდა ყველაფერი. სანამ თემურ შაშიაშვილი იყო იქ, რაღაც-რაღაცები ხდებოდა, ვაქტიურობდით. ახლა ძალიან შეიცვალა მდგომარეობა. ვერაფერს აკეთებენ.

— აქ რისი გაკეთება შეძელი?

— ჯერ ერთი, დედაქალაქია და მუშაობისთვის უკეთესი პირობებია. დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის ფაკულტეტი. მოვხვდი ვოკალის საუკეთესო პედაგოგთან, მზია ღამბაშიძესთან. სხვათა შორის, ისიც ქუთაისელია. გიგა, ჩემი მეუღლე ამომიდგა მხარში, ის ჩემი პროდიუსერია, ყველანაირ საქმეს მიგვარებს.

— მაინც რას ნიშნავს „შინა მანა კენა"?

— *(იცინის)* არ ვიცი. იმწუთას, მუსიკასთან ერთად, ასეთი ბგერები ამოვიდა, არც ერთ ენაზე არაფერს არ ნიშნავს. გადავწყვიტეთ, რომ კლიპში გართობა, მხიარულება, კარგი განწყობილება აგვესახა. ნამდვილად არ მეგონა, თუ ეს ნამუშევარი ასე მოეწონებოდა მსმენელს და პოპულარული გახდებოდა.

— ხედავ, თბილისმა როგორ მიგიღო?

— ჰოო *(იცინის)*, მიმიღო, მიმიღო...

— რას იტყვი, ხარ თუ არა თბილისელი?

— თბილისში ცხოვრება მომწონს, აქ თავს კარგად ვგრძნობ. თუმცა, ჩემი ქალაქი — ქუთაისია, სადაც გავიზარდე. აქეთ რომ მოვდიოდი, ქუთაისელები მეუბნებოდნენ, დედაქალაქში დაიკარგებიო. ამის დიდი შანსი იყო, რადგან „ჯეოსთარ 1"-ზე არცთუ ისე სამართლიანად მომექცნენ. მაგრამ თბილისში სამართლიან და კეთილ ხალხსაც რა გამოლევს!..

■

ზურა ხაჩიძეს და ხათუნა ჟორდანიას გოგონა შეეძინათ

რა უწინასწარმეტყველეს ექიმებმა ჩვილს

7 აგვისტოს, ზურა ხაჩიძესა და ხათუნა ჟორდანიას გოგონა შეეძინათ. ბავშვის მამამ ერთი დღის განმავლობაში უკვე უამრავ სატელეფონო ზარს უპასუხა, რადგან ოჯახის სიხარულს არაერთი ნაცნობი თუ უცნობი უერთდებოდა. დედა და ჩვილი თავს კარგად გრძნობენ და როგორც შევიტყვეთ, მშობიარობამაც მშვიდობიანად ჩაიარა.

— ზურა, გილოცავ შვილის შეძენას!

— დიდი მადლობა!

— რას გვეტყვი პატარაზე, როგორი გოგოა?

— 3 კგ და 200 გ დაიბადა, 50 სანტიმეტრი. კარგი გოგოა *(იცინის)*.

— რა დაარქვით?

— ანასტასია.

— შენი შერჩეული სახელია?

— ორივესი ერთად.

— სად იმშობიარა?

— სამშობიარო სახლში „ჰერა" *(ექიმი სოსო ღოლობერიძე)*.

— ბავშვის სქესი წინასწარ თუ იცოდი?

— მე — არა, ხათუნამ — კი.

— ხათუნა როგორ გრძნობს თავს?

— არაჩვეულებრივად.

— მშობიარობას არ დასწრებიხარ?

— ვერ შევძელი... საყვარელი ადამიანი როგორ იტანჯებოდა, ამის ყურებას ვერ ავიტანდი.

— ვის ჰგავს პატარა?

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. თან ვერც გავარკვიე, ხან მე მგავს, ხან — ხათუნას.

— სანამ ის დაი-

Wreli kiTxvebi

„სიმაღლიდან გადმოხტომის მეშინია"

— **შინზო, ხომ ხარ ჯანზე?**

— კი, რა მიშავს.

— **რას აკეთებ იმისთვის, რომ ჯანზე იყო?**

— აუზზე დავდივარ და ვცურავ.

— **წყალში სიმაღლიდან ხტები?**

— სამი-ხუთი მეტრიდან ვხტები.

— **არ გეშინია?**

— ცოტათი.

— **კიდევ რისი გეშინია?**

— ღია სივრცის, ავადმყოფობის და პატარ-პატარა „ფობიები" მჭირს.

— **რომ ამბობენ — რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, — მართალია?**

— ნაწილობრივ ვეთანხმები. ზოგჯერ ახლობლების ბრალია, ზოგჯერ — შენიც, როდესაც რაღაც არასასიამოვნო ხდება.

— **თუ იცი, სიყვარული როგორ გაჩნდა, ვინ მოიგონა?**

— ოო, ვიცი, რომ ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ადამის ნეკნისგან გაჩნდა ქალი...

— **როდის ტირის ნიანგი?**

— როცა ცხელა.

— **ახლა ცხელა?**

— კი, რადგან აგერ, ვხედავ, როგორ ტირის ნიანგი (*იცინის*).

— **სად ხარ ახლა?**

— ეგვიპტეში. პირამიდებთან. დუტაც აქ არის. ვხედავთ, თუ როგორ უკეთებენ სფინქსს ცხვირის ოპერაციას. მერე ინდოეთის ოკეანის ნაპირებისკენ ვაპირებთ, რომ დავიძრათ.

— **რა საიდუმლოს ინახავს პირამიდები?**

— ოო, ბევრს... და ნუ მეკითხები ისეთ რაღაცას, რაზეც პასუხიც შენც იცი (*იცინის*).

— **შენც ბევრ საიდუმლოს ინახავ?**

— არა, ცოტას.

— **სიკეთე „მსუქანია"?**

— „გაბერილია".

— **რინგზე ვის დამარცხებას ისურვებდი?**

— ვინც გამაბრაზებს.

— **თმის გადანერგვა არ გიფიქრია? არ გინდა, მელოტის იმიჯი შეიცვალო?**

— არა, პირიქით, იმაზე ვმუშაობ, რომ რაც თავზე თმა მაქვს, მოვიშორო.

— **როგორ მუშაობ?**

— დილიდან საღამომდე (*იცინის*).

— **ვინ იქნებოდი წინა ცხოვრებაში?**

— მაგაზე არ მიფიქრია.

— **რომელ ფერს უარყოფდი?**

— მე ვინ მომცა მაგდენი ძალაუფლება?! თითოეული ფერი თავისებურად ლამაზია.

— **კვირაში მართლა 7 დღეა?**

— ხომ გითხარი, ნუ მისვამ ისეთ შეკითხვას, რომელზე პასუხიც თავადვე იცი (*იცინის*).

— **მე ვიცი, რომ კვირაში 8 დღეა.**

— მაშინ მასე დაწერე.

— **არც იმაზე გიფიქრია, სამყარო შავ-თეთრი რომ იყოს?..**

— მაგრად გატეხავდა. ამიტომაც მეცოდებიან ძაღლები — ეგენი ხომ შავ-თეთრ ფერებში ხედავენ სამყაროს.

— **კიდევ ვინ გეცოდება?**

— პეპლები. ცოტას ცოცხლობენ. ■

ბადებოდა, ამბობდი — ფერით მე თუ დამემსგავსება და დედამისის თვალები ექნება, გამიხარდებაო. ახლა რას იტყვი?

— ჯერჯერობით, ბავშვი ქერაა.

— **როგორია მამობა?**

— არაჩვეულებრივი. ბავშვი სულ რაღაც ერთი დღის არის (*ინტერვიუ ჩაწერილია 8 აგვისტოს. — ავტ.*) და შეიძლება ითქვას, რომ სულ ხელში მიჭირავს. დღეს დილას ერთი სული მქონდა, სამშობიაროში მივსულიყავი და მენახა.

— **ნინი რას შვრება, როგორ არის?**

— ნინი გახარებულია. შვეიცარიაში იყო და ანასტასიასთვის ტანსაცმელი ჩამოიტანა. ყველაფერი ჩაცვა, გვერდიდან არ სცილდება.

— **შვილის დაბადება პირადად შენ როგორ აღნიშნე?**

— რესტორანში მეგობრებთან ერთად გაჩაღდა ქეიფი და „ჩქარი ტაში" (*იცინის*).

— **რას უსურვებ ანასტასიას?**

— ჯანმრთელობას, ბედნიერ საქართველოში ეცხოვროს, იყოს თავისი ქვეყნის პატრიოტი, უყვარდეს საქართველო, თავისი ისტორიითა და აწმყოთი... რაც შემეხება მე — მისთვის მკაცრი მამა არ ვიქნები.

— **როგორც გოგოს მამას, ყურები აგახიეს?**

— კი. როცა ბიჭი იბადება, ყურს დაბლა ქაჩავენ, გოგოს დაბადების შემთხვევაში, პირიქით — ზემოთ უწევენ. ამიტომ, ახლა ცალი ყური ზემოთ მაქვს აწეული (*იცინის*)... იცი, რამ გამაოცა?.. ჯერ ერთი დღეც არ არის გასული, რაც ანასტასია გაჩნდა და ამის შესახებ ისე სწრაფად გავრცელდა ხმა და უკვე იმდენმა ადამიანმა დამირეკა, რომ... ყველას მადლობას ვუხდი, რომ ჩვენი ოჯახის სიხარული გაიზიარა.

— **ბავშვს „როგორი პირი უჩანს" — მოგლერალი იქნება?**

— ექიმებმა ასე მითხრეს: პალატიდან გამოყვანისას ისე იკივლა, არ გაგვიკვირდება, თუ ანასტასია შენზე კარგად იმღერებსო...

— **გმადლობ საუბრისთვის და კიდევ ერთხელ გილოცავთ ბავშვის დაბადებას!**

— გმადლობ. ■

kviris astrologiuri prognozi

(10 – 16 agvisto)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირას, იყავით ლაღი და მხიარული, თავს დასვენების უფლება მიეცით, რადგან წვეულებაზე შეიძლება გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, მაგრამ დაიმახსოვრეთ — რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შორს დაიჭირეთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

ნუ უჩივით უილბლობას. წარუმატებლობის მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ. წარმატების მიზეზი კი, იმ ადამიანების კეთილგანწყობილებაში გამოიხატება, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდებით. წინ სასიამოვნო დასვენების დღეები გელით. შესაძლებელია, ელიტურ წვეულებაზე მიგიწვიონ, სადაც სასიამოვნო ადამიანს გაიცნობთ.

ᲢᲧᲣᲔᲑᲘ 21.05-21.06

ამ კვირას, საინტერესო სიახლეები გელით. მოულოდნელად, თქვენთვის კარგად ნაცნობი ადამიანი შვებულების ერთად გატარებას შემოგთავაზებთ. ნუ ეტყვით უარს, რადგან მასთან ერთად გატარებული დღეები დიდხანს დაგამახსოვრდებათ. ამ კვირას, დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებასა და გართობას დაუთმეთ.

ᲙᲘᲜᲒᲝ 22.06-22.07

წარმატებული დღეების დეკადა გრძელდება — იღბალი თქვენს მხარესაა. საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებისას მნიშვნელოვან პრივილეგიებს მოიპოვებთ, რასაც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

კვირის დასაწყისში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდეთ. ხმამაღალი შელაპარაკება შეიძლება, სამსახურის დაკარგვითაც კი დამთავრდეს. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ბუნების წიაღში მეგობრებთან ერთად განმარტოვდით.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

კვირის პირველ ნახევარში, სასიამოვნო ცვლილებები გელით, თქვენ გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. იყავით მასთან გულახდილი და მის ნდობას უფრო იოლად მოიპოვებთ. შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ კვირის, სასიამოვნო ცვლილებები გელით. შეეცადეთ, თავი არ დაკარგოთ და ნებისმიერ სიახლეს ემოციების გარეშე შეხვდეთ. მართალია, გარშემო მყოფებზე ოდნავ ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას დატოვებთ, მაგრამ ასეთი იმიჯის შექმნა თქვენი მომავალისთვის აუცილებელია.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ამ დღეებში, მატერიალურმა პრობლემებმა არ შეგაშინოთ, რადგან კვირის ბოლოს, ყველა ვალის გასტუმრების რეალური შანსი მოგეცემათ. შეეცადეთ, შაბათ-კვირა მყუდრო გარემოში, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

ᲛᲒᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

სანამ რაიმეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით, რადგან ამ კვირაში დამღელელი და უნაყოფო დღეები გელით. თუ საშუალება გაქვთ, ჯობია სამსახურს თავი დააღწიოთ, შვებულება აიღოთ და დასასვენებლად გაემგზავროთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

წინ დაძაბული კვირა გელით. ამიტომ ამ დღეებში დიდი დრო დაუთმეთ პირადი ცხოვრების მოწესრიგებას. შემდეგ კი, დასვენებასაც შეძლებთ და იმ ენერგიის აღდგენასაც, რომელიც კვირის დასაწყისში დახარჯეთ.

ᲓᲐᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

კვირის დასაწყისში, ახალგაცნობილ ადამიანებს არ ენდოთ, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ მათ წინასწარ დაგებულ მახეში გაგხვიონ. კვირის ბოლოს კი, სასიამოვნო სიახლეებია მოსალოდნელი. შაბათ-კვირა მარტოობაში გაატარეთ და თავს დასვენების უფლება მიეცით.

ᲗᲔᲗᲠᲘᲗᲐᲕᲘ 20.02-20.03

თუ ამ პერიოდში საქმე გაგირთულდებათ, დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. არ გაეკაროთ ალკოჰოლს, შეეცადეთ, უფრო მობილიზებული იყოთ. კარგია, თუ ამ კვირას შვებულებაში გახვალთ და თავს დასვენების უფლებას მისცემთ.



ფიდელ კასტრო

diqtaturis damamxobeli diqtatori

სულ ახლახან კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო დროებით, ძალაუფლება ძმას — ქვეყნის თავდაცვის მინისტრს, რაულ კასტროს გადასცა. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების უმეტესობა მიიჩნევს, რომ კომანდანტეს პრობლემები თირკმლებმა შეუქმნა. არის ზოგიერთი სხვა მოსაზრებაც. კუბაზე კი, ფიდელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სახელმწიფო საიდუმლოდ გამოცხადდა. მსოფლიო მასმედიას ეს ამბავი სიცილადაც არ ეყო. მედიამ კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას სწორუპოვარი რევოლუციონერის მანიაკური ეჭვიანობის ამბავი: კომანდანტემ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაასაიდუმლოა იმიტომ, რომ მისი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები ისარგებლებს მისი ამჟამინდელი მდგომარეობით და შეეცდება, კუბის ხელმძღვანელობას ჩამოაშოროს. მეორე მხრივ, შესაძლოა, ფიდელ კასტროს ეჭვიანობა და შიში არცთუ ისე უსაფუძვლოა: მაიამიში (სადაც კუბელი ემიგრანტების უმეტესობა ცხოვრობს) დიდი აქტივობა შეინიშნება. გახშირდა ფიდელის საწინააღმდეგო მანიფესტაცია და გამოსვლა. ესეც არ იყოს, ბუშის ადმინისტრაციამ ფიდელის ოპოზიციას 80 მილიონი(!) დოლარი გამოუყო...

ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი — კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1965 წლიდან, კუბის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1976 წლიდან, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი — დაიბადა 1927 წლის 13 აგვისტოს, მსხვილი მიწათმფლობელის ოჯახში.

ფიდელის მამა XX საუკუნის ბოლოს გადავიდა საცხოვრებლად ესპანეთიდან კუბაში. როგორც ბევრი ესპანელი ემიგრანტი, ისიც დაუღალავად შრომობდა, ძალზე მომჭირნედ ცხოვრობდა და ამის შედეგად, შაქრის დიდი პლანტაციის მფლობელი გახდა, რომელიც 9 ათას ჰექტარზე იყო გადაჭიმული.

ფიდელ კასტროს დედა — ლინა რუს გონსალესი მოახლედ და მზარეულად მუშაობდა კასტროს ოჯახში, როცა მას პირველი ცოლი ჰყავდა. ლინა რუსთან ქორწინების შემდეგ, კასტროს 7 შვილი შეეძინა (ფიდელი მესამე იყო). კასტროს მშობლები მხოლოდ მისი ორი უფროსი ძმისა და ფიდელის დაბადების შემდეგ დაქორწინდნენ.

ფიდელს მკაცრი კათოლიკური წესით ზრდიდნენ. 6 წლის ასაკიდან იგი სწავლობდა იეზუიტთა სკოლა-ინტერნატში, რომლის აღმზრდელებმაც სპარტანულ წესრიგსა და დისციპლინას მიაჩვიეს. როცა მან წერა-კითხვა ისწავლა, ოჯახში გადაწყვიტეს, რომ იგი ერთ-ერთ დასთან ერთად, სანტიაგო-დე-კუბაში გაეგზავნათ სასწავლებლად. ფიდელი კათოლიკურ გიმნაზიაში გაამწესეს.

ფიდელი გამოირჩეოდა სწავლაში მიღწეული წარმატებებით და კიდევ — სამართლიანობის გრძნობითა და თავისუფლებისმოყვარეობით. მთელ თავისუფალ დროს სპორტულ გადატაცებებს უთმობდა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში დაიწყო ბეისბოლზე, კალათბურთზე, კრივსა და ბილიარდზე სიარული. ვარჯიშზე ფიდელს შეეძლო, საათობით ემუშავა მოძრაობის სიზუსტის ან დარტყმის ძალის მისაღწევად და მეცადინეობას მხოლოდ მაშინ წყვეტდა, როცა დაძაბულობისგან ხელი გაულურჯდებოდა ან დაღამდებოდა...

ფიდელი გამოირჩეოდა — სამართლიანობის გრძნობითა და თავისუფლებისმოყვარეობით

1941 წელს ფიდელ კასტრო ჰავანაში გადავიდა საცხოვრებლად და სწავლა განაგრძო კოლეჯში — „ბელენი“, რათა წარმატებით დაემთავრებინა საშუალო განათლება და უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებულიყო. „ბელენი“, შეძლებული ოჯახების შვილებისთვის განკუთვნილი პრივილეგირებული სასწავლო დაწესებულება გახლდათ. კოლეჯის კურსდამთავრებულები სწავლას ჩვეულებრივ, ჰავანის უნივერსიტეტში განაგრძობდნენ ან საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ, რათა შემდგომში, კუბის საქმიან და პოლიტიკურ ელიტაში დაემკვიდრებინათ ადგილი. ამ კოლეჯში გატარებული 3 წელი კასტრომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა, უპირველეს ყოვლისა — ისტორიის სერიოზულად შესასწავლად გამოიყენა. იმავდროულად, არც სპორტს ივიწყებდა. აქტიურად მონაწილეობდა ისტორიული წრის, ლიტერატურული საზოგადოების საქმიანობაში, სადაც ერთხელ პირველი პრემიაც კი მიიღო ორატორულ ხელოვნებაში.

1945 წელს, კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ფიდელ კასტრომ სწავლა განაგრძო ჰავანის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე. ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. სწორედ მაშინ დაუმეგობრდა სტუდენტ-კომუნისტებს და მალე კონტაქტები დაამყარა კუბისა და ამერიკის სხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებთან. მოგვიანებით ასე იხსენებდა აღნიშნულ პერიოდს: „მე უნივერსიტეტის დონ კიხოტი ვიყავი და ამისთვის ყოველთვის ვიღებდი საზღაურს. ის, რაც უნივერსიტეტში გადავიტანე, ვფიქრობ, უფრო ღირებულია,

კუბაზე აჯანყებულები ჭაობიან ადგილას, პროვინცია ორიენტეში გადასხდნენ

ვიდრე მთელი ჩემი გამოცდილება, რომელიც სიერა-მაესტრაში შევიძინე“.

1947 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, ფიდელ კასტრო მონაწილეობდა ექსპედიციაში დომინიკის რესპუბლიკაში, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ტრუხილიოს დიქტატურის დამხობაში დახმარებოდა. ექსპედიციის წევრები დააპატიმრეს, მაგრამ კასტრო დაჭერას გადაურჩა და მშვიდობიანად დაბრუნდა ჰავანაში. 1948 წელს, როგორც სტუდენტთა ლიდერი, ფიდელ კასტრო კოლუმბიაში მიემგზავრება ლათინური ამერიკის სტუდენტთა ანტიიმპერიალისტურ და ანტიკოლონიურ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად.

იმ პერიოდში ფიდელ კასტრო ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი კომუნისტებისადმი, მაგრამ იმავდროულად, მარქსიზმის კლასიკოსთა ბევრ ნაშრომს გაეცნო და ერთხელ, აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „მზად ვარ, კომუნისტი გავხდე, თუ ჩემგან სტალინს შექმნიან“.

კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პოლიციის არქივებში იპოვეს ფიდელ კასტროს პირადი საქმე, რომელშიც მისი საზოგადოებრივი საქმიანობის რეზიუმეს სახით ეწერა: „იყო სტუდენტური მასის მუდმივი ამმხედრებელი და აგიტატორი“.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ფიდელ კასტრო განსაკუთრებულ ყურადღებას საზოგადოებრივ მეცნიერებებს, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ სამართალს უთმობდა, მაგრამ მაინც, მთავარი საგანი, რომელსაც ის ჩაჰკირკიტებდა, პოლიტიკა იყო და არა იურისპრუდენცია.

მიუხედავად უნივერსიტეტშივე გაშლილი აქტიური პოლიტიკური საქმიანობისა, კასტრომ მაინც შეძლო სწავლის დასრულება. ყველა საგნის ჩაბარების შემდეგ, მან სწავლულთა საბჭოს განსახილველად გადასცა თავისი სადიპლომო შრომა თემაზე: „ვექსილი კერძო საერთაშორისო სამართალში“. ამ ნაშრომში უმაღლესი შეფასება მიიღო და 1950 წლის 13 ოქტომბერს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა.

უნივერსიტეტის დამთავრების დღიდან სულ ცოტა ხანში, კასტრო შევიდა კუბელი ხალხის პარტიაში და მაშინვე მისი მემარცხენე ფრთის ლიდერად იქცა. 1952 წელს პარტიამ იგი ნაციონალური კონგრესის დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ არჩევნები ჩაიშალა სახელმწიფო გადატრიალების გამო, რომელიც გენერალმა ფულხენსიო ბატისტამ ამავე წლის 10 მარტს განახორციელა და ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. ფიდელ კასტრომ უმაღლეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა და დიქტატორი ფულხენსიო ბატისტა კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა. მაგრამ სასამართლომ არ მიიღო განსახილველად კასტროს განცხადება. მაშინ ფიდელ კასტრომ, მისმა ძმამ რაულმა და კიდევ რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ გადაწყვიტეს, შეიარაღებული ბრძოლისთვის მომზადებულიყვნენ.

ბატისტას მიერ დამყარებული დიქტატურის დასამხობად ფიდელ კასტრომ, რომელიც მაშინ მხოლოდ 26 წლის იყო, იატაკქვეშა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნა. მალე მას დაახლოებით 2000 მომხრე გამოუჩნდა. ის საქვეყნოდ ცნობილი გახდა — როგორც აშშ-ის მომხრე ბატისტას შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

მალე კასტრო სიტყვიდან საქმეზე გადავიდა: 1953 წლის 26 ივლისს, 165 მომხრესთან ერთად, თავს დაესხა მონკადის სამხედრო ყაზარმებს. იგი იმედოვნებდა, რომ ხელთ იგდებდა იარაღს, ყაზარმაში გამაგრდებოდა და ქვეყანაში საყოველთაო გაფიცვას გამოიწვევდა. მაგრამ თავდასხმა ჩაიშალა. ცოცხლად გადარჩენილი თავდამსხმელები დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს. მათ შორის იყო ფიდელ კასტროც. პროფესიონალმა იურისტმა ისე ოსტატურად მოახერხა თავდაცვა, რომ ის სასამართლო დარბაზიდან გააძევეს და მხოლოდ პროცესის ბოლოს მისცეს სიტყვის თქმის უფლება. ფიდელ კასტრომ ეს შანსი ისე კარგად გამოიყენა, რომ მისი სიტყვა რევოლუციური მოძრაობის პროგრამად იქცა. თავისი მგზნებარე გამოსვლა მან შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „მე არ მეშინია საცოდავი ტირანის მრისხანების. ვინც ჩემს სამოცდაათ ამხანაგს სიცოცხლე მოუსწრაფა. გამოიტანეთ თქვენი განაჩენი, რომელსაც ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისტორია კი მე გამამართლებს!“

სასამართლომ მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და კუნძულ პინოსზე (1976 წლიდან — ახალგაზრდობის კუნძული) მდებარე ციხეში უკრა თავი. მაგრამ რადგან ამ მოვლენების შემდეგ, ფიდელ კასტრო ცნობილი პიროვნება გახდა, 1955 წელს მისი ამნისტირება გადაწყვიტეს. კასტრომ ციხეში მხოლოდ 2 წელი გაატარა და გათავისუფლებისთანავე ემიგრაციაში მექსიკაში წავიდა, სადაც მაშინვე განაცხადა, რომ კვლავ აპირებდა ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. მან მექსიკაშივე ჩამოაყალიბა ორგანიზაცია — „26 ივლისის მოძრაობა“ — და რევოლუციის მზადებას შეუდგა.

1956 წლის 26 აგვისტოს კუბის ყველაზე პოპულარულ ჟურნალში — „ბოჰემია“ გამოქვეყნდა მისი წერილი, რომელშიც ის აფრთხილებდა დიქტატორს: „...1956 წელს ჩვენ ან თავისუფლები ვიქნებით, ან თქვენი რეჟიმის მსხვერპლად ვიქცევით. მე, სრულ გონებაზე მყოფი, საზეიმოდ ვადასტურებ ამ განცხადებას იმის გათვალისწინებით, რომ 31 დეკემბრამდე მხოლოდ 4 თვე და 6 დღეღა დარჩა“.

1956 წლის 25 ნოემბერს მექსიკის პორტ ტუზპანიდან კუბის მიმართულებით გავიდა იახტა „გრანმა“. 2 დეკემბერს იახტამ კუბის ნაპირებს მიაღწია. იახტაზე მყოფ 82 პატრიოტს ფიდელ კასტრო ედგა სათავეში. კუბაზე აჯანყებულები ჭაობიან ადგილას, პროვინცია ორიენტეში გადასხდნენ, თუმცა მათი პირველი ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა: რაზმი ალყაში მოექცა. ალყას მებრძოლთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა დააღწია თავი. სწორედ ეს რაზმი იქცა მომავალ აჯანყებულთა არმიის ბირთვად, რომელმაც კუნძულ კუბაზე პარტიზანული ომი გააჩაღა. 82 კაციდან მხოლოდ 22 გადაურჩა სიკვდილს და თითქმის ყველა მათგანი შემდგომში კუბის სახელმწიფო მოღვაწედ იქცა: ფიდელ კასტრო, მისი ძმა რაული, ერნესტო ჩე

ფიდელი სიტყვას ამთავრებდა. მოულოდნელად გრომიკული სიბნელიდან ორი თეთრი მგრედი გამოფარუაგდა და მას მხრებზე დაჯდა. ბრბო გაისუსა.

გევარა, ვალდესი, ალმეიდა და სხვები.

აჯანყებულთა ტაქტიკა ძალზე მოქნილი გახლდათ, რაც საშუალებას არ აძლევდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას, რომ კუბაზე განვითარებულ მოვლენებში ჩარეულიყო. ამასთან, იმ დროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბევრ თანამშრომელს ესიმპათიურებოდა კასტრო და მასზე იმედებსაც კი ამყარებდა. მათ მიაჩნდათ, რომ კასტრო, არა კომუნისტი, არამედ პირიქით — კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი იყო.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევის მიზნით, 1958 წელს ფიდელ კასტრომ მძევლების აყვანა დაიწყო. დაატყვევეს მსოფლიო ჩემპიონი ავტორბოლაში ფანჯიო; რაულ კასტრომ ტყვედ ჩაიგდო ავტობუსი, 47 ამერიკელი ჯარისკაცით, რომელიც გუანტანამოს ბაზისკენ მიემართებოდა... იმავე წელს მთელ კუბას მოედო პოლიტიკური გაფიცვა. „26 ივლისის მოძრაობამ“ საერთო ეროვნული მასშტაბები შეიძინა.

ბევრისთვის მოულოდნელად, 1959 წლის პირველ იანვარს ბატისტას დიქტატურა დაემხო. მას შემდეგ, ყოველი წლის პირველ იანვარს ფიდელ კასტრო დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს თავისი რევოლუციის წლისთავს. 1959 წლის ახალწლის ღამეს კუბელი დიქტატორი ფულხენსიო ბატისტა მიხვდა, რომ მისი არმია ფაქტობრივად, დამარცხებული იყო, ძალა აღარ შესწევდა წინააღმდეგობა გაეწია კასტროს აჯანყებულთა არმიისთვის და კუნძულიდან გაიქცა. 1959 წლის პირველ იანვარს აჯანყებულთა კოლონა, რომელსაც თვითონ ფიდელ კასტრო ედგა სათავეში, ქვეყნის მნიშვნელობით მეორე ქალაქში — სანტიაგო-დე-კუბაში შევიდა. ერთი დღის შემდეგ, მეორე კოლონამ, ჩე გევარასა და კამილო სიენფუეგოსის მეთაურობით, როგორც ტრიუმფატორმა, ჰავანაში შედგა ფეხი. ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა. მაგრამ ფიდელ კასტრომ, რომელიც სანტიაგოში იმყოფებოდა, როცა აჯანყებულთა სრული გამარჯვების შესახებ შეიტყო, მრავალმნიშვნელოვნად თქვა: „ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია!“ იგი ჯიპში ჩაჯდა 600 მილი გაიარა და 8 იანვარს ჰავანაში ჩავიდა. დასვენებაზე დრო არ დაუკარგავს და იმავე საღამოს, თანამემამულეთა უზარმაზარი ბრბოს წინაშე წარმოთქმული მომავალი ასეულობით მარათონული სიტყვიდან, პირველი სიტყვა წარმოთქვა. ხალხი დედაქალაქის მწუხარებით ცნობილ კვარტალში — კამპო კოლამბიაში შეკრებლიყო, რომელიც ბატისტას არმიისა და პოლიციის ყაზარმებით იყო მოფენილი.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ფიდელი სიტყვას ამთავრებდა. მოულოდნელად ტროპიკული სიბნელიდან ორი თეთრი მტრედი გამოფარფატდა და მას მხრებზე დააჯდა. ბრბო გაისუსა. ფიდელ კასტრო ლაპარაკს განაგრძობდა, ენერგიულად აყოლებდა ჟესტიკულაციას და სიტყვების ტაქტზე მაშინ ჯერ კიდევ შავ, ეკლიან წვერებს არხევდა. მტრედები კი, ეპოლეტების მსგავსად, მშვიდად ისხდნენ მის მხრებზე. ერთ-ერთმა მათგანმა ბუმბულის წმენდასაც კი მიჰყო ხელი. აი, სწორედ მაშინ იფეთქა ბრბომ: „ფი-დელ! ფი-დელ! ჩვენ შენთანა ვართ!“

ფიდელ კასტრო და ერნესტო ჩე გევარა

რა თქმა უნდა, მან ეს ბრბო მტრედების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე დაიპყრო, მაგრამ მტრედებმა წარმატებით დაასრულეს საქმე — ფიდელ კასტროს ლიდერობა რაღაც მისტიკური ნიშნით გააღვიძეს. მტრედი ობატალის, ელეგუას ვაჟიშვილის სიმბოლოა — ფოლკლორული კულტი, სანტერიის მთავარი ღვთაებისა, რომელსაც კუბელთა უმრავლესობა, კათოლიკურ მოძღვრებასთან ერთად, ეთაყვანება. ობატალა ღვთაებაა, რომელიც განაგებს ადამიანთა აზროვნებასა და ქცევას. მტრედების გამოცხადება ძალზე ცრუმორწმუნე კუბელებმა — კერპთაყვანისცემლებმა და ქრისტიანებმა ერთდროულად — იმის ნიშნად მიიღეს, რომ ღვთაებებმა ფიდელ კასტრო აირჩიეს, რათა მას ემართა და დაეცვა ისინი.

განმათავისუფლებლიდან ტირანამდე

მაშინ, 50-იანი და 60-იანი წლების დასაწყისში მას განმათავისუფლებელსა და დიქტატურის დამამხობელს უწოდებდნენ. „ნიუ-იორკ თაიმსის“ რეპორტიორმა ჰერბერტ მეთიუმ, რომელმაც ჯერ კიდევ 1957 წლის დასაწყისში შეაღწია აჯანყებულთა ბანაკში სიერა-მაესტრას მთებში და მათზე სამსვეტიანი მასალა გამოაქვეყნა, მათ შორის — ისტორიაში პირველი ინტერვიუ ფიდელ კასტროსთან, — მას ახალი ბოლივარის, კარიბის ლინკოლნისა და ლათინურამერიკელი რობინ ჰუდის გაერთიანებული სახე უწოდა, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა — V-26-7, რომელსაც ის მეთაურობდა, დაახასიათა, როგორც დემოკრატიული, ქრისტიანული და ანტიკომუნისტური.

დღეს თვითონ კასტროს, ისევე, როგორც ოდესღაც ბატისტას, დიქტატორს ეძახიან და სადამ ჰუსეინს ან მეორე აღმოსავლელ დესპოტს, ლიბიელ ლიდერს — კადაფის ადარებენ. შემდგომში, კიდევ ერთი პერსონაჟი გამოჩნდა შესადარებლად — მახეში გაბმული პინოჩეტი. პინოჩეტის ამბით შთაგონებული, კასტროს რადიკალური მოწინააღმდეგენი მის სასწრაფო გასამართლებას ვარაუდობდნენ. მისი ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში, კუბაში ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევისათვის ისინი დასავლეთის ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ კიდეც, რომ კასტრო დაუყოვნებლივ გადაეცათ სასამართლოსთვის, როგორც კი კუბელი ლიდერი ევროპას ეწვეოდა...

რაც არ უნდა სადავო იყოს ეს შედარებები, არავის, გარდა ზოგიერთი შუბლმაგარი რუსისა და ვიღაც გათავხედებული მემარცხენე ექსტრემისტებისა ლათინურამერიკული ქვეყნებიდან, თავში აზრად არ მოუვათ, ამტკიცონ, რომ კუბაში, მრავალრიცხოვანი ბრბოსა და ორი მისტიკური მტრედის თანდასწრებით კასტროს მიერ 1959 წელს დაპირებული დემოკრატიული საზოგადოება აშენდა, სოციალური და პოლიტიკური თანასწორობა დამყარდა და აყვავების შესაძლებლობა შეიქმნა. ამის უფლებას არ იძლევა ქრონიკული შიმშილით განაწამები კუბელი ხალხის, დანგრეული, დემორალიზებული ქვეყნის დანახვა, რომელშიც აკრძალულია ყველა პოლიტიკური პარტია, გარდა კომუნისტურისა, ხოლო ოპოზიციონერობა სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა.

რაც შეეხება თვითონ კუბელებს, მათ უკვე დიდი ხანია, თავიანთი ლიდერი ღმერთების წარმოგზავნილად აღარ მიაჩნიათ. თუმცა კვლავ განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ის იმქვეყნიურ ძალებთანაა დაკავშირებული, რაც ეხმარება იმაში, რომ დღეს უპრეცედენტოდ დიდხანს შეინარჩუნოს ძალაუფლება და იცავს მრავალი მოძულისაგან, რომლებიც არაერთხელ დასხმიან თავს.

ელეგუა მას შემდეგ განუდგა ფიდელ კასტროს, რაც მან თავისი ხალხი საომრად გაგზავნა აფრიკაში — მიწაზე, საიდანაც მათი წინაპრები მოვიდნენ. მას შემდეგ, „მაქსიმო ლიდერი“ დაკავშირებულია შავ და არა თეთრ მაგიასთან და მას უკვე ელეგუა კი არა, ეშუდემონი იცავს. მათი ღმერთები კი — ელეგუაც, შანგოც და ოგუნიც ძალზეც განაწყენებულნი არიან ფიდელზე, თანაც — არა მხოლოდ აფრიკის გამო. მაშ, კიდევ რისთვის?.. პასუხი ამომწურავია, თუმცაღა მოკლე: იმისთვის, რომ თავისი ხალხი მოატყუა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ხართ თუ არა ლიდერი?

შესაძლოა, სწორედ პატივმოყვარეობა აღმოჩნდეს ის თვისება, რომელიც ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. ქვემოთ მოცემული ტესტი გაგარკვევთ იმაში, დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისად პატივმოყვარე ხართ თუ არა. შეკითხვებს უპასუხეთ — „დიახ“ ან „არა“.

1) ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა იძულებული ვიყავი ვინმეს დავმორჩილებოდი, ეს ჩემთვის პრობლემა გახლდათ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

2) მიმაჩნია, რომ იმ ადამიანების გარეშე, ვისაც სხვებზე მბრძანებლობის განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნილება აქვს, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში პროგრესი წარმოუდგენელია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

3) ვფიქრობ, ნამდვილმა მამაკაცმა კარგად იცის, როგორ უნდა დაუმორჩილოს საკუთარ ნებას ქალი.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

4) ვაღიარებ, რომ არ მსიამოვნებს, როცა ახლობლები ჩემდამი მოჭარბებულ ყურადღებას იჩენენ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

5) ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ქალი ბუნებით მორჩილი უნდა იყოს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

6) შესაძლოა, ახლობლები ვერ ხვდებიან, მათ ნაცვლად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება იმიტომ მიხდება, რომ სწორედ მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

7) ჩემი აზრით, ხშირ შემთხვევაში პრობლემის წარმოქმნის მიზეზი ისაა, რომ ლიდერის „მტკიცე ხელის“ ნაკლებობას განვიცდით.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

8) რთულ სიტუაციებში, როდესაც გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაა აუცილებელი, ჩვეულებრივ, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ მჭირდება.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

9) ჩემთვის ცნობილია, რომ სხვების მართვის უნარიც მაქვს და მათი ხელმძღვანელობაც მომწონს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

10) ვინმესთვის ბოლომდე გულის გადაშლის არც სურვილი მაქვს და ვფიქრობ, ამის გაკეთება არც შემიძლია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

11) მსიამოვნებს, როცა „მყუდრო ნავსაყუდელზე“ ვოცნებობ.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

12) ჩემი აზრით, ხელქვეითმა ხელმძღვანელის ნებისმიერი ბრძანება უნდა შეასრულოს.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

13) შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა იძულებული ვარ ახლობლებს რაიმე ვთხოვო, ყოველთვის შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა მეუფლება.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

14) ხშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ვინმე ჩემგან ახსნა-განმარტებას ელის, მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს ხოლმე, რომ ყველაფერი ისედაც ნათელია.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

15) მგონია, რომ ხასიათით მამას (დედას) ვგავარ, რომელიც ყოველთვის ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო.

ა) დიახ — 10; ბ) არა — 0; გ) არ ვიცი — 5.

ტესტის შედეგები

150-100 ქულა: პასუხების მიხედვით, თქვენ უდიდესი დიქტატორების ტიპს მიეკუთვნებით და მიგაჩნია, რომ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ — რა როგორ არის და სინამდვილეში რა როგორ უნდა იყოს. თანაც ნებისმიერ საკუთარ ქცევას, თქვენ ძალზე იოლად უძებნით გამართლებას. სხვების დარწმუნებისა და მათი ხელმძღვანელობის უნარითაც გამოირჩევით. თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ აიძულოთ ხელქვეითები მკაცრად განსაზღვრულ დროს ჩაგაბარონ შესრულებული სამუშაო. გაითვალისწინეთ, ასეთი ხელმძღვანელის ხელქვეითთა მზერასა და ჟესტებში მუდმივად გამოსჭვივის განწყობილება — „მაცალე სულის მოთქმა!“

99-50 ქულა: ჰარმონია და გამბედაობა, სიბრძნე და ანგარიშიანობა, კეთილი რჩევის მიცემის უნარი — აი, თვისებები, რომლებიც თქვენს უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს. თუკი თქვენ ამის აუცილებლობას ხედავთ — ხელმძღვანელობთ, თუკი საჭიროა — თმობთ, ყოველთვის ანგარიშს უწევთ სხვების აზრებსა და სურვილებს. აი, ერთი რამ კი, მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი — ეს არის ის, თუ რამდენად ღირსეული ხერხებით აღწევთ მიზანს.

49-0 ქულა: თქვენი პასუხების მიხედვით, მივიღეთ ძალზე უპრინციპო და უნებისყოფო ადამიანის ტიპი. თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ნებისმიერი საყვედური, მაშინაც კი, თუ ამის აუცილებლობის წინაშე არ დგახართ. შეგიძლიათ ვინმეს შესწიროთ ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ამას თქვენგან არავინ ითხოვს. პარადოქსია, მაგრამ ხშირად, როცა საკუთარ უძლურებას გრძნობთ, გაბედული ნაბიჯის გადადგმაც კი შეგიძლიათ. იმდენად განიცდით საკუთარ უსუსურობას, რომ ნებისმიერ ადამიანში იმ თვისებას ეძებთ, რაც თავად გაკლიათ და უკეთესი ცხოვრებისა და მომავლის აზრს სწორედ ამაში პოულობთ.

1 მოძრავი კიბე
2 ბამბუკის დათვი
3 სახელმწიფო ევროპაში
4 ქვითკირის სამარე
5 ძველბერძენი რუპორიანი ფერსაკრავი
6 კულტურის ძეგლთა განადგურება
7 მარჯნის კუნძული
8 ისრის წვერი
9 ძირითადი ფერი
10 ძაღლებშეებმული მარხილი
11 ჯუჯა კამეჩი
12 კეთილი საქმე
13 ერთგვარი შავი ლუდი
14 ტოგოს დედაქალაქი
15 სასიმინდე
16 გადაჭარბებული თავმოყვარეობა
17 ჩასაბერი მუს. საკრავი
18 მუშაობის ტერგის სახეობა ერთული
19 მელოდია
20 შვეიცარიელი ჩოგბურთელი
21 სახელმწიფო აფრიკაში
22 ვერძნის ამპერატორთა ტიტული
23 თვალის გუგა
24 აზერბაიჯანის პრეზიდენტი
25 ღორების ჯოგი
26 გემთმშენებლობის გადაზიდვის საფასური
27 ქალაქი სარეველებში
28 მუსიკალური ბგერა
29 ტბორი
30 იაპონიის ფულის ერთეული
31 შაქრის ლერწმის საჭრელი დიდი დანა
32 ... პელტროუ
33 ... გაბრიაძე
34 სპირტიანი სასმელი
35 საკარმიდამო ნაკვეთი
36 ისტ. ჩამოყალ. წესჩვეულ.
37 მდინარის ქვიანი ნაპირი
38 ანცი
39 სიბრძნის ქალღმერთი ბერძ. მით.
40 ხელის ცეცხლსასროლი იარაღი
41 ... დე ფიუნესი
42 ცხოველის სხეულის ცხიმი
43 საწვრთნელი ბრძოლა კრივში
44 პლანეტა ოუპიტერის თანამგზ.

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მაჰაგონი; 2. ჰომეროსი; 3. სატირა; 4. მოლა; 5. ნაძვი; 6. და; 7. კამიკაძე; 8. ლავრა; 9. რა; 10. კილი; 11. ქერი; 12. იჯარა; 13. ჯეზვე; 14 ლაიკა; 15. მანაგუა; 16. კიევი; 17. ბაზილიკა; 18. სუფრა; 19. პაკეტი; 20. საგა; 21. ამალა; 22. კარამელი; 23, აგა; 24, ხატი; 25, კრანახი; 26. დოკერი; 27. აგარა; 28. ემისია; 29. მეკარე; 30. ფარინგიტი; 31. მედრესე; 32. ლიფსიტა; 33. მარაო; 34. ნიაგარა; 35. დერბი; 36. ლაოსი; 37. ოპიზა; 38. იადონი; 39. სენეკა; 40. ლოქო; 41. ბატალია; 42. ნკირი; 43. ბედუინი; 44. კორიდა; 45. მისია; 46. პკე. მიკ ჯაგერი; დევიდ ბოუი.

M K

უჩვეულო გარიგება

ინდოეთის ერთ-ერთ საავადმყოფოში ფარულად დამონტაჟებული ვიდეოკამერის მეშვეობით, მთელმა ქვეყანამ შეიტყო ერთი ფრიად უჩვეულო გარიგების ამბავი: 3 ექიმი თანახმა იყო, რომ გარკვეული ანაზღაურების საფასურად, სრულიად ჯანმრთელი პაციენტისთვის ორივე ქვედა კიდური და ხელის სამი თითი მოეკვეთა.

CNN-IBN-ის ტელეარხების მიერ ნაჩვენებ მასალაზე ჩანდა, როგორ სთავაზობდა პაციენტი ექიმებს სრულიად ჯანმრთელი ორი ქვედა კიდურის ამპუტაციის სანაცვლოდ 10.000 რუპიას (212 დოლარი); ამასთანავე, ის მარცხენა ხელის 3 თითის მოკვეთასაც ითხოვდა. უცნაური პაციენტი თურმე თავს მათხოვრობით ირჩენდა. ის არწმუნებდა ექიმებს, რომ მისი „პროფესიის“ ადამიანისთვის ხეიბრობა ძალზე ხელსაყრელია, რადგან ქუჩაში გამვლელები ინვალიდ მათხოვრებს უფრო მეტად თანაუგრძნობენ და შესაბამისად, მათ შემოსავალიც უფრო მეტი აქვთ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მათხოვარსა და ექიმებს შორის უჩვეულო გარიგება შედგა, მაგრამ საქმე ამპუტაციამდე არ მისულა...

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით არავინ დაუპატიმრებიათ. 3 ეჭვმიტანილი ექიმიდან ერთ-ერთმა, რომელიც დაკითხვაზე ჰყავდათ გამოძახებული, ბრალი არ აღიარა. მეორე ექიმმა კი გაამხილა, რომ ჯანმრთელი კიდურის სისხლმომარაგებაზე განსაკუთრებული მეთოდით ზემოქმედებისას, სრულიად შესაძლებელია რამდენიმე დღეში განგრენის ხელოვნურად გამოწვევა. ■

ფილიპინელ სტუდენტებს თავს ციხეში უჯავენ

იმ მალაიზიელ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში იურისპრუდენციას ეუფლებიან, გამოცდილების მიღების უნიკალური შანსი მიეცათ: პროგრამა — „გისოსებს მიღმა“ პრაქტიკის კურსის გავლას ქვეყნის ციხეებში ითვალისწინებს. მალაიზიის საერთაშორისო ისლამური უნივერსიტეტის (მსიუ) 84 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი (ჯგუფი 20-24 წლის სტუდენტებისგან შედგება), ქვეყნის უდიდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორ დღეს გაატარებს. „ახალი საგანმანათლებლო კურსის დანერგვის ინიციატივა თავად მსიუის სტუდენტ-იურისტთა საზოგადოებას ეკუთვნის, რომლის ხელმძღვანელობამაც საჭიროდ მიიჩნია, რომ მომავალი იურისტები პრაქტიკულად გასცნობოდნენ იმას, რასაც ჩვეულებრივ, ნაცნობთა და პედაგოგთა მონათხრობიდან ან ფილმების მეშვეობით იგებენ“, — განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მატ რასიდ ჯალილმა, რომელმაც საკუთარ მხრებზე იტვირთა იმ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. მისი თქმით, სტუდენტთა ერთი ნაწილი სიკვდილმისჯილ პატიმართა როლში აღმოჩნდება, მეორენი ფიზიკურ სასჯელს (გაროზგვა) „დაიმსახურებენ“, მესამენი კი პატიმართა ყოველდღიურ ყოფას საკუთარ ტყავზე იწვნევენ. ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

8	6	1	7	2	4	9	3	5
4	2	3	5	9	1	8	6	7
7	5	9	6	8	3	1	2	4
2	4	5	8	7	9	6	1	3
9	7	6	1	3	5	2	4	8
1	3	8	2	4	6	7	5	9
3	8	2	4	6	7	5	9	1
5	9	7	3	1	2	4	8	6
6	1	4	9	5	8	3	7	2

2	4	7	5	9	1	3	6	8
9	1	6	3	7	8	5	2	4
8	3	5	2	6	4	1	7	9
6	5	4	7	1	9	8	3	2
1	9	2	6	8	3	4	5	7
3	7	8	4	5	2	6	9	1
4	2	1	9	3	5	7	8	6
7	8	3	1	2	6	9	4	5
5	6	9	8	4	7	2	1	3

2	3	1	4	5	7	9	6	8
4	6	5	2	8	9	1	3	7
7	8	9	6	1	3	4	5	2
8	4	6	9	3	1	2	7	5
3	9	7	5	4	2	6	8	1
1	5	2	7	6	8	3	9	4
6	1	3	8	7	4	5	2	9
9	7	4	3	2	5	8	1	6
5	2	8	1	9	6	7	4	3

* მარტივი

		6	3		7	4		
		1		4		6		
2	3			9			7	8
9			7		4			6
	4	3				7	1	
8			2		6			5
4	2			6			5	7
		5		7		3		
		9	1		5	2		

* * საშუალო

6			3	4	2			7
	2		8		1		9	
2	3			5			8	6
	1						4	
4	5			8			7	2
	7		5		9		6	
9			6	2	3			8

* * * რთული

	8	5		3		2	4	
6				5				1
1			9		8			6
		8				4		
4	6						7	3
		9				1		
5			6		3			8
7				2				4
	4	3		9		6	2	

ფოტოკუთხეები





Premier by Dead Sea Premier
ნიღაბი ღამის ფეხია
674/30
Premier
by Dead Sea Prem
MASK MIRACLE
ALL SKIN TYPES
by Dead Sea
ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲰᲝᲑᲝᲘᲡ ᲡᲐᲣᲯᲔᲗᲔᲡᲝ
ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ
ᲢᲔᲚ: (+995 32) 38 44 54
ᲛᲝᲑ: (+995 99) 54 66 66
Ш.Ѳ.Ѕ. И.Ц. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ
www.il-premier.ge